ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

N8
08/2006

1522/2
2006

მხატვრული
ნიკო ფიროსმანი

სარედაქციო
ზაირა
ორსენიშვილი

სარედაქციო
ჯანო ჯანელიძე
გიორგი
ოდიშვილი

სარედაქციო
მორის ფოცხიშვილი

რედაქტორი
დალი ფანჯიკიძე

თარგმანი
ბაჩანა ბრეგვაძე

პოლიგრაფ
გულბათ ტორაძე

ნიკო ფიროსმანი

ქალი ჭიქა ლუდით

ლიტერატურა და ხელოვნება

N8
08/2006

გამომცემლობა
„ეროვნული მწერლობა"
ყოველთვიური ჟურნალი

ISSN 1512-3189

Literature And Art

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი:
ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი:
ზურაბ თორია

რედაქტორები:
დავით შემოქმედელი
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი:
მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა:
ნიკო ფიროსმანი

რედაქციის მისამართი:
რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@posta.ge

გამოცემის სპონსორია

მაგთიკომი

სარჩევი

ლირიკა, ლიტანია

3 ზაირა ახსენიშვილი - ჯოლაფი მთვარის შუქზე
22 ჯანო ჯანელიძე - სევდიანი პოემა
34 ავთანდილ ადეიშვილი - მე მოვკლავ ჩემს სიკვდილს...
39 გიორგი ოდიშვილი - ლექსები

ისტორია

42 ნიკოლოზ ბერძენიშვილი - ესეები
/თარგმნა ბაჩანა ბერეგვაძემ/

ესეიკული

56 მოირის ფოცხიშვილი - "შთაგონების წყარო"
/მოამზადა ირმა ფეიერაშვილმა/

ჩანაწერები

58 მერმან ჯგუბერია - მესამე ჯოტე
62 დავი ფანჯიკიძე - ჰიტლერის ბორტრეტი და გრიგოლ ხობაქიძის ტრაგედია
66 იოსებ სიბოშვილი - "მეოთხე სასჯასჯეტო"

მუსიკა

70 გულბათ ტორაძე - ბალანჩივაძეების სახელოვანი მუსიკალური საგვარეული
76 ირინა ფირცხალავა - მუსიკალური ტექსტი, ესთეტიკა და დინამიკა

მხატვრობა

81 ქეთევან ჯინწარაშვილი - ფიროსმანი — ფლანერი
83 ესმა ონიანი - ფიროსმანი

84 ფოტოარქივიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოსადმი სიტყვა:

ფასტოს ამირეჯიბი, ბასრანა ბოდვაძე, ნანი ბოდვაძე,
ბერასტ ბერძენიშვილი, ანაგა ბურდულაძე, მაყვალა გოგუაშვილი,
ნათელა ურუშაძე, თემურ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, გიგი ჩერქეზელი.

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაირა ასლანიშვილი

ჯოლაფი მთვარის შუქზე

ROMANI*

/გაგრძელება/

„გენერალ ლაზარევის უკანასკნელი ღამე, 1803 წლის 18 აპრილი.“

შუაღამისას საშინელმა სიზმარმა გამოაღვიძა ივან პეტროვიჩ ლაზარევი... შუბლი ცივი ოფლით ჰქონდა დაცვარული... პირი უშრებოდა... ყურები უშხუოდა... ცუდად ეძინა, ცუდად, ძილში შფოთავდა და წამდაუწუმ ეღვიძებოდა, ბოლოს-ბოლოს, როგორც იყო, ძილი გაიხშირა, მაგრამ რა, საშინელი რაღაც მოელანდა, მეფე გიორგი, გვამის ლაქებით დაფარული, კუბოში კი არ იწვა, კუბო ცარიელი იდგა მაღალ დასადგარზე, იქვე, ცალი ხელით ჩამოყრდნობოდა კუბოს ნაპირს, მეორეს კი, უზარმაზარ, დიდ ხელს, დაჯირჯვებულ, ლურჯი ლაქებით დაფარულ მტევანს ლაზარევს უქნევდა და თან, უცნაურად აბრჭყვიალებული თვალებით, მისჩერებოდა. სიზმარშივე შეძრწუნებული იყო გენერალი, მთელ სხეულში ცივად, ცივად უვლიდა შიში, უნდოდა სასწრაფოდ გამოსულიყო სიონიდან, გამოქცეულიყო და არ შეეძლო, უკანიდან ხალხი აწვებოდა, სიონი სავსე იყო პანაშვიდზე მოსული ხალხით, სულთათანას ჟღრიალი ერთვოდა, საშინელი ჟღრიალი, როგორც მაშინ, ნამდვილი პანაშვიდის დროს, გლოვის ნიშნად ყველა თავის საციქველს სიონის იატაკზე რომ ჰყრიდა, მდივანბეგები, საწერელსა და კალმებს, მზარეულები ქვაბებს, ფლავის საწურავს და ამისთანებს, პირის მწდე ოქროსა და ვერცხლის სასმისებს, მილახვარი ცხენთა ძვირფას აღვირებს, ხელჯოხიანები ჯოხებს, და მთელი კუთხეები ეკლესიისა ამ საციქველით, იყო სავსე... მაშინ ლაზარევი გაოცებას იყო, ამას რასა სჩადიანო, ახლა კი ეს ჟღრიალი კიდევ უფრო აშფოთებდა, აგერ ფეხებშიც გამოედო რაღაც, უკან დახევაში ხელს უშლის... გამატარეთ... გამატარეთ... უბიძგებენ მთელი ძალით, უკანიდან მეფე ხელს გიწვდისო... არა გაქვს უფლებაო... უნდა გავიდე... სული მეხუთება... გიორგი, უზარმაზარი, მოთხლეშილი, გვამის ლაქებით... ეხვევა ლაზარევს, მარწუხებივით ჩასჭიდებს ხელებს, შემოაჭდობს... გამიშვით... გამიშვით... მთელი ხმით ყვირის და ამ ყვირილით ეღვიძება. იქვე საწოლთან, ტაბურეტზე შემოდგმულ სურას გადასწვდა, წყალი დალია. როგორმე უნდა დამშვიდდეს და დახუჭოს თვალი, გათენებამდე ჯერ სად არის, იქნებ როგორმე დაიძინოს, აღარ იფიქროს ამ საშინელ სიზმარზე, და არავითარ შემთხვევაში არ აფორიაქებდეს მათი გადასახლება... სწორედ ამ აფორიაქებისა და ღელვის ბრალია ეს სიზმარიც, არადა რატომ უნდა ღელავდეს, რატომ! ეს ხომ არც არის გადასახლება... რაა, გადასახლების ადგილებში ასახლებენ?! პეტერბურგში, პეტერბურგში უნდა იცხოვრონ! მაშ, თვითონ რაღა უნდა თქვას, აქ რომ გამოამწესეს, ამ კელების ბუდეში, გამუდმებით ხმლების ტრიალში და ამ ბრექია, აუტანელი ბატონიშვილების ურთიერთდაპირისპირებისა და შუღლის გარემოცვაში... აი, გადმოსახლება თუ გინდათ, ეს არის, თან რა საშინელი უბედურებები დაატყდა თავს... მაგრამ სამშობლოს სიყვარულიც ხო არსებობს, მოვალეობაც ხომ არსებობს ქვეყნის წინაშე, ჯერ სადა ხართ, რამდენს გადმოასახლებენ

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ №4, 5, 6, 7.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

აქა, რამდენ ჩინოვნიკს, რამდენ ოფიცერს, რამდენ ჯარისკაცს, რამდენ მღვდელს? ახლა მათი ოჯახები?! მათი ცოლ-შვილი?! ამ აკლებულ, მოუწყობელ ქალაქში, ამ არეულ ქვეყანაში! ჰოდა, როგორ უნდა წამოაორთქლონ საყვედური, როგორ უნდა გაიფხაკუნონ, პეტერბურგში მიდიან, იმპერიის უპირველეს ქალაქში! რა უფლება აქვთ თავისი წასვლა იჩივლონ?! იულონი ვითომ რაღაცას ფხაკუნებს... ოჰ, რა გულუბრყვილოა, იმასაც მოუკუპრავენ დღეს-ხვალ, ტყუილი იმედი აქვს, რომ რუსებს აქ ვინმე წყალს შეუყენებს, ისიც დღეს თუ ხვალ დასტოვებს აქაურობას... ულაპარაკოდ... ალექსანდრე ხომ ანგარიშში ჩასაგდებიც არ არის, და მასთან ერთად თეიმურაზი... იყვნენ იქა და სვან შარბათები... აქ ვერაფერს ვერ იკენკებენ და თავშიაც ქვა უხლიათ... ტრიალებს, ტრიალებს ქვეშაგებში ლაზარევი, ძილი კი არა, ფიქრი ფიქრზე შემოეჯარა, ხან რომელი სურათი დაუდგება თვალწინ, ხან რომელი... ჰო, გაახსენდა, გაახსენდა იმ საშინელი სიზმრიდან ის ახალგაზრდა კაცი... ვინ იყო, ვინა, სახე ვიწრო, შავგვრემანი... წურბელასავით... თვალები წვრილი და განზე გაზიდული... ჰო, ეძახდა ხალხს გამოატარეთ, გენერალი გამოატარეთო... და თან რაღაცას ბურტყუნებდა... შავები ეცვა და თვითონაც შავი იყო წურბელასავით. ჰო, გაახსენდა, გაახსენდა, გიორგის კარზე იყო ეს კაცი, — სწორედ ის არის, ერთხელ ქსიუშა მოაცილა სასახლიდან, დააგვიანდა, ბატონიშვილებთან გაერთო თურმე, ლაზარევს კიდევ თათბირი ჰქონდა, ის იყო უნდა გაეგზავნა კაცი ქსენიას მოსაყვანად და ამ კაცს გამოეცილებინა. რომ მოვიდა, როგორ ეჭიკჭიკებოდა, ღმერთო, რა მოჭიკჭიკე ხმა ჰქონდა, ბატონიშვილებს ნართის ძაფით თამაში ესწავლებინათ, ჩაუჯდა კალთაში, ნართის ძაფს ბოლოები გაუკვანძა, გამოწვდილ ხელებზე გადააცვა ქმარს, მერე რა პატარა და ფუნჩულა ხელები ჰქონდა, როგორ უცაცუნებდა... ასწავლა როგორ უნდა ამოეხსნა სხვადასხვა ფიგურები და თამაში დაიწყეს... თან ეჭიკჭიკებოდა, ფიგურებზე ეუბნებოდა ეს „წყალიაო“, ეს „გუთანიაო“, ეს „კალიააო“... თვითონაც, გენერალს, ამოდენა კაცს, მებრძოლსა და მეომარს, როგორ მოსწონდა თავისი თავი, სულ სხვანაირად, ქსენიასთან ურთიერთობის გამო, იმიტომ რომ თავის სიცოცხლეში, თავის დღეში, ასეთი სინაზე არავის მიმართ არ უგრძვნია, და ეს სინაზე მალამოსავით ედებოდა მის გოროზ გულს, მის უხეშ არსებას. ქსიუშასთან არ იყო არც უხეში, არც ფიცხი, არც ბრაზიანი და არც არაფერი... მერე კიდევ ბატონიშვილებს ერთი თამაშიც ესწავლებინათ, ხალიჩაზე ბაყაყურად გადაგორება, ან კიდევ, მუხლებზე უნდა შეადგე ვინმესო, ხელები ჩასჭიდო და გადმოხტეო. არადა ორსულად იყო, მაგრამ თავისი ოცი წლის მიუხედავად, მთლად ბავშვის ხასიათი ჰქონდა, უყვარდა ანცობა და თამაში, ისე მსუბუქად შეახტებოდა თავის ქმარს მუხლებზე, ხელებს ჩასჭიდებდა და ასევე მსუბუქად გადმოხტებოდა... ბეღურა... ბეღურა... პატარა ბეღურა... როგორ ფრთხიალებდა მის მკერდთან... ქარი რომ ამოვარდებოდა, მერე მტკვრის ხეობაში რა ქარები იცის, ისინი კიდევ სწორედ მტკვრის პირას ცხოვრობდნენ, სიონის იქით, აბანოებისკენ, სასახლიდან არც თუ ისე შორს, — და ქარი რომ ამოვარდებოდა და აზანზარებდა კარ-ფანჯარას, შეეშინდებოდა, ძილი გაუკრთებოდა, როგორ ეკვროდა... როგორ ეკვროდა... გულთან თავს ჩაურგავდა და ყურებზე ხელებს აიფარებდა... ღმერთო, რა ბედნიერება იყო... რა ნეტარება... რა ფეხზე ჩამოვიდნენ... რა ფეხზე იარეს... მაშინვე, მაშინვე უნდა მიმხვდარიყო, იმ საშინელ გზებზე, იმ კორწოხებზე, ნაპრალების პირას, რა მძიმე ქვეყანაშიც მოდიოდნენ, უგზოობით ჩახრამულ ქვეყანაში. როგორ ეშინოდა არ ჩაჩეხილიყვნენ, არადა ამაზე ადვილი არაფერი იყო, კლდე ზოგჯერ მათ თვალწინ იმზღვლეოდა, გზა მათ ფერხთით იხერგებოდა, აღარ იცოდა რომელ ერთზე ეფიქრა, თავქაჯშეყრილი მიდი-მოდიოდა, ცალკე ფეხმძიმე ცოლი ადარდებდა, ცალკე ჯარი, გზის გაწმენდასა და გაფართოებაში არავინ ხიფათს არ მოსწეოდა... როგორც მართლა ნამდვილი გადმოსახლებულები, ისე მოიკვლევდნენ გზას... რამდენი წმენდა იყო საჭირო, რამდენი გამაგრება, და თან ცდა და ყურყუტი გაუთავებლად... ამდენი თავის სიცოცხლეში არ ულოცია, რამდენსაც მაშინ ლოცულობდა და ღმერთს ჯარისა და ქსენიას მშვიდობით ჩასვლას სთხოვდა ტფილისში, მშვიდობით დაბინავებას.

მაგრამ ტფილისამდეც, გზებზე ხალხი იყო გამოფენილი, ხონჩებით, მოსაკითხით ხვდებოდნენ, სიხარულით სახეგაბრწყინებულები, დიდი ხანია თქვენს მოსვლას ველოდითო, მადლობა ღმერთს, ჩამობრძანდითო, ეხლა კი გვეშველებაო, ჯარისკაცებს ხელს ართმევდნენ, გახარებულები შესცინოდნენ... ტფილისში ხომ წარმოუდგენელი რამ ხდებოდა, ზარების რეკა, დაფა-ზურნა, ბანებზე შეჯგუფებული ხალხის ყიჟინა და მისალმება, გიორგი მეფე თავისი მრავალრიცხოვანი სახლეულით გამოეგება ლაზარევსა და რუსთა ჯარს, სიონში მადლიერების პარაკლისი გადაიხადა... ქსენიას სიხარულსაც საზღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი არ ჰქონდა, რა ბედნიერებაა რომ ჩამოვედითო, თუ ასეთ სიხარულს მოვუტანდით ამ გაწამებულ ხალხსო... ღმერთო, რა სიკეთით იყო სავსე, იმ გაჭირვებას სულ აღარ ჩიოდა, ეს საწყლებიო, რა შევიწროებულები ყოფილან მტრებისაგან, რომ ჩვენი ჯარის ჩამოსვლაზე ქუდებს ცაში ისვრიანო... ლაზარევიც კი, — და ის ხომ გრძნობების ამყოლი სულაც არ არის, პირიქით, — ჰოდა, ლაზარევიც კი აღელდა, იმოქმედა ამათმა სიხარულმა... შეიძლება ქსენიას გამოისობითაც: განა ამაზე დიდი და მნიშვნელოვანი შეიძლება სხვა რამ იყოსო? ეუბნებოდა თავისი მოჭიკჭიკე ხმით, ვიდრე ამდენი ხალხის, ლამის მთელი ქვეყნის გაბედნიერება ჩვენი ჯარის მოვლინებით და იმედის ჩასახვითო. ისიც კი სათქმელია, ეგონა ველურ ქვეყანაში მოდიოდა და ნეტავ როგორ მოეწონა მეფის ოჯახი, რა ზრდილობა და რა განათლებაო, დედოფალზე ხომ სულ ის იძახა, მე ასეთი ლამაზი არავინ მინახავსო, მგონი ეკატერინესაც კი აჯობებდა მშვენიერებითო. ამას კი ცხადია, თავისი აღტაცებული ხასიათის გამო აჭარბებდა, თორემ სად ეკატერინეს დიდებულება და სად ამ თვალებდაჭყეტილი დედოფლის სილამაზე... მეფემ დიდებული სუფრა გაშალა, რამდენიმენაირი პური ჰქონდათ და უნაკლო ღვინოები. რაც მართალია, მართალია, ხალხი, რომელსაც ასეთი პური და ღვინო აქვს, თავში ხელწამოსაკრავი არ არის, ქსენია გაგიჟდა ლურჯ პურზე, ასეთი გემრიელი არაფერი მიჭამიაო... უმცროსმა ბატონიშვილებმა ფერხული გააბეს, შუაში ქსენია ჩაიყენეს და ძალზე მოხდენილად როკავდნენ... ოჰოჰო, რა ამაყი იყო, ასე რომ შეჰფრფინავდნენ, როგორ კისკისებდა, როგორ ხარობდა ამ უცხო და უცნობი ხალხის სიხარულით, უნდა ვუშველოთო, უნდა ავულაგმოთ მტრებიო, ლაზარევს აგულისებდა, თავი არ უნდა დაზოგოვო... ოოო, პატარა გოგო... ღაბუა მტრედი... რატომ უნდა ყოფილიყო ასეთი ხანმოკლე ამ ძლივს, ჭარმაგობაში გაბედნიერებული კაცის სიხარული... რატომ... რატომ! ბავშვივით უხაროდა ბატონიშვილები რაიმეს რომ აჩუქებდნენ, შეიყვარეს, ნამდვილად შეიყვარეს და რამდენ რამეს ჩუქნიდნენ, სულ ძვირფას რამეებს, ბეჭდები იქნებოდა, გულქანდა, სამაჯური, თუ სხვა რამ, ნახე, ნახეო, რა გულუხვები არიანო, ეჭიკჭიკებოდა, რა მაჩუქესო, საჩუქრები მართლა მეფური იციან, ამ ღარიბმა ხალხმაო, და ისე შეჰხაროდა, ისე შეჰხაროდა, მეტი რომ არ შეიძლება... დღეობაზე რომ დაჰპატიჟეს, მოინდომა მთლიანად რუსულად ჩაეცვა, წმინდა შალის დიდ ყვავილებიანი სარაფანი, კანვით ნაკერი ბლუზა, და სულ ზევიდან ჭრელი შალი, რაც მთავარია, კოკოშნიკიც დაიდგა შუბლთან, ისე შვენოდა, ისე შვენოდა, თვალს ვერ აცილებდა ლაზარევი, პატარა, ფუნჩულა ხელები კიდევ წინ, გამობერილ მუცელზე ელაგა კოხტად. ოჰ, როგორ ენატრება ეს ხელებიც, მწყაზარი სახეც, დიდი, ლურჯი თვალების თვინიერი მზერაც, ყველაფერი... ყველაფერი... ჰოდა, გაგიჟდნენ მაშინ ბატონიშვილები, ეს ვინ მოგვივიდაო, ეს რა მშვენიერი ვინმე გვეახლაო, კოკოშნიკი კიდევ ჩვენი ხევსურული ჯიღასავით ყოფილაო, ამიერიდან ჩვენც უნდა გავიკეთოთო. ხარობდა ქსენია, ბავშვივით შემოსცხო ტაში, მე ვიცი კარგად კოკოშნიკის გაკეთება და თქვენ რომ ამდენ რამეს მჩუქნით, მე უნდა გაგიკეთოთო... იჯდა და რა თავგამოდებით უქარგავდა გაიანეს კოკოშნიკს, ჩემი პატარა გოგო... ღმერთო, რას არ მისცემდა, რომ ის ცოცხალი იყოს, მის გვერდით იწვეს ახლა, მასთან მიკრული და როგორც სჩვეოდა, წყნარად და უჩუმრად სუნთქავდეს... მართლა, არც ისმოდა მისი სუნთქვა. თვითონაც, როგორ ერიდებოდა გვიან ვახშმობას, გაეგონა ხვრინვა იცისო და განა დაუშვებდა იმას, რომ თავისი პატარა გოგოს გვერდით ეხვრინა და შეეწუხებინა... ბოლოს კი, როგორ კრთებოდა ძილში, გაეღვიძებოდა ხოლმე შეშინებულს, ვაიმე, როგორ ვიმშობიარებო, ვაითუ აქ არ იყვნენ კარგი ბებიაქალებიო, იქნებ სახლში უნდა დავრჩენილიყავიო, დედა ხომ მეხვეწებოდა და მერე ჩამოვსულიყავით მე და ბავშვიო. ჩემო სიცოცხლეო, ეუბნებოდა, როგორ გავძლებდი ამ უცხო ქვეყანაში უშენოდო... და რომ გათენდებოდა, ხალხი ამოძრავდებოდა, ეტყოდა: აბა, მოდი ერთი, რა გაჩვენოვო, გაიყვანდა ბალკონზე და დაანახვებდა მტკვრის პირას მოსიარულე ხალხს, იცოდე, ესენი სულ აქ არიან დაბადებულებიო, თან გაიხსენე სიონში რამდენი მლოცველი იკრიბებაო, ჰოდა, დამშვიდდი, ჩემო ოქრო, ჩემო პატარა გოგოო... გაიცინებდა... ჩაიკისკისებდა, უცებ გადაეყრებოდა ეჭვი და შიში... არ კმაროდა? ამ კელების ბუდეში რომ გამოამწესეს, ბედიც ასე სასტიკად არ მოჰქცეოდა?! ულმობლად... ულმობლად... რათა... რისთვის... რამდენი მახინჯი და გონჯი იბადება, ვითომც არაფერი, რამდენი გლახაკი და მათხოვარი... ღობის ძირას აჩენენ ზოგნი ბალღებს, ისე უბრალოდ, ისე სხაპასხუპით ჰყრიან და მაინცდამაინც მას, გენერალს, ამ ქვეყნის გამგეს, უნდა დამართნოდა ასეთი საშინელი რამ, მაინცდამაინც მის პატარა ქსიუშას უნდა დამართნოდა ის საშინელი სისხლისდენა... თან მშობიარობის შემდეგ და საშინკაც... ის ვარდისფერი... მთლიანად გასაშლელ ბუტონს რომ ჰგავდა...

საკვირველია, ერთი კვირისა და ასეთი ლამაზი, ერთი კვირისა და ასე კოხტად გაფორმებული, წარბებიც რა გრძელი ჰქონდა, ტუჩებიც კოხტად გამოკრული და გამობანტული... თავზე ღინღლები აეშალა სიკვდილის წინ... ამის მოგონებაზე შიგნით ყველაფერი მოეფუტკნება ხოლმე... ოჰ, დაიწვას სამართალი, ორივე რომ გამოეცალა ხელიდან... ისე იყო თავზარდაცემული და გაოგნებული, უნდოდა მათთან ერთად დამარხულიყო... და ეს, ამოდენა მოვალეობა რომ არა, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა რომ არა, იქნებ თავიც მოეკლა, აღარ, აღარ, აღარ უნდოდა სიცოცხლე მათ გარეშე... ოჰ, როგორ გაუქარწყლდა სიხარული და ბედნიერება... ჩამოუღამდა... დაუბნელდა... ჯერ ისედაც რა იყო და შესჯავრდა აქაურობა, შესჯავრდა... ქსენიას საფლავი აქვს აქა, სიონში, და საშინკაც მასთან ერთად არის დასაფლავებული. თურმე დიდი პატივია სიონში დასაფლავება... მადლობთ ამ პატივისთვის, დიდი მადლობა, რად უნდოდა, რადა, ოცი წლის გოგოს სიონი და თუნდაც იერუსალიმი! იმ ნორჩსა და მწყაზარს!? მეფე გიორგი ეუბნებოდა: მე უნდა ვიყო ბავშვის მიმრქმელიო... საშინკა, საშინკა... ორივე ერთად... ოო, მენატრებით... მენატრებით... წამოდგა, საშინაო ჩუსტებში წაყო ფეხი, შალი მოიხვია და აივანზე გავიდა.

ცა ვარსკვლავებით იყო მოჩახჩახებული, გათენებამდე ჯერ შორს იყო, მთვარე კი არ ჩანდა, ჩაბნელებული იყო ირგვლივ ყველაფერი, შავად მოჩანდა მეტეხის სილუეტი და მტკვარიც, მოდიდებული, ძლივს შეინიშნებოდა... დიდი რამე მტკვარიც არის, ერთი სიტყვით, შეადარეთ რუსეთის მდინარეებს, წყალუხვსა და თევზით სავსე მდინარეებს... ოჰოჰოჰო, რა თევზი იცის, რა ძვირფასი, ტყუილია რუსეთში რო თევზია, აქ სახელიც კი არ იციან იმ თევზებისა. როგორ იწყინა გიორგი მეფემ დიდმარხვაში ურმებით დოში რომ გამოგზავნა ჩვენი ჯარისთვის, ის რა თევზი იყო. ცხადია, დაუწუნა და უსაყვედურა, აქ მე სახარჯო ხალხი კი არ მყავსო! და იწყინა, რატომ სწუნობთო, საუცხოოაო. სხვაფრივ დიდი პირის პატივისა ბრძანდებოდა გიორგი მეფე, მაგრამ იმ თევზს კი თევზი არ ეთქმოდა! თუმცა უნდა ითქვას, ნედლი თევზი, ცოცხალს რომ ეძახიან, არა უშავს, გემრიელია, ქსენია კი გიუდებოდა, ისე მოსწონდა, ორსულობაში მაინც სულ თევზს თხოულობდა. დარიალის ვიწროებში რომ შემოვიდნენ, იმ დოღრიალა თერგის ხმის გაგონებაზე, თან იმ ოღროჩოღროზე კინაღამ ეტლი გადაუბრუნდათ, ქსენია შიშით აცახცახდა, თვალები დაუმრგვალდა, თან ის საშინელი შავი მთა რომ დაინახა, ლამის გადაირია, ასე მგონია, ავი სული ბუდობს იმ შავ მთაშიო, ასე მგონია უნდა გადმოგვემხოსო. საშინელია ეს მთები, სული გეხუთება, და ეს დოღრიალა მდინარეები, თუ თერგი, თუ არაგვი... მოდი და ნუ მოგაგონდება ვოლგა, უზარმაზარი, მოდის, მოედინება და ხმას არ იღებს... აქაური მდინარეები კიდევ, ვოლგის მეასედები, ვოლგის ნატამალები, ზათქით, გრიალით იკლებენ არემარეს, ქართველებსა ჰგვანან, გაბრექილ, ხმაურიან ქართველებს, მოვდივართ და, განიო! მაიმუნები! ჰოდა, მაშინ, სტეფანწმინდაში რომ მოვიდნენ, თევზი მოართვეს, ახალი თევზი, ახლად მოხარშული, და ქსენია გადაირია, ისე მოეწონა, ამ თევზმა ყველაფერი დამავიწყაო, რა გემრიელიაო, რა სურნელოვანიაო, მერე რა ფაქიზი ჭამა იცოდა, მაგრამ იმ თევზს ვეღარ ეშვებოდა, ისიც კი თქვა, სახლში ასეთი გემრიელი თევზი არც მიჭამიაო. გიორგი მეფემაც, რომ ჩამოვიდნენ, სუფრა გაუშალა და გაიგო თუ არა, ქსენიას თევზი უყვარსო, უმარჯვებდა და უმარჯვებდა ხან ცოცხალსა და ხან ლოქოს. სიზმარში კი, რად მოელანდა ისე საშინლად, ისე შემზარავად... ერთხელ, მხოლოდ ერთხელ შეეცოდა ეს საწყალი მეფე გიორგი, თუმცა ეზიზღებოდა კიდეც... შეუძლებელი იყო არ შეგზიზღებოდა, და არ შეგცოდებოდა... მომაკვდავი... წყლიდან ამოყვანილი თევზივით რო ღაფავდა სულს... რა ოფლი, რა ქოშინი, რა ხრჩობა... რომ ვთქვათ, ლამაზი კაცი იყო, მაგრამ სიკვდილის წინ კი შემზარავი.

სასწრაფოდ დაუძახეს, მეფე გიხმობსო, სიტყვა უნდა ჩაგაბაროსო. და წავიდა. წინა დღეებში ანჩისხატთან ფეხშიშველა მარიამს მოჰკრა თვალი, მიდიოდა მხლებლებთან და შვილებთან ერთად, თავისი მომაკვდავი ქმრის შესავედრებლად ანჩისხატთან, თან ეტყობა, ხატი უნდა განებანათ, რადგან მომაკვდავმა რომ იხმო, მარიამს ჯერ დიდი ტილო ეჭირა ხელში და სახეზე გადამდინარე ოფლს სწმენდდა, მერე კი თეთრი მინის ჭურჭლით ხატის ნაბანი წყალი მიართვა მომაკვდავს... ცრემლი მოერია გიორგის, თან პირს აღებდა, რომ სულშეხუთულს როგორმე ჰაერი დაეჭირა, ისხურა წყალი პირზე, გულმკერდზე მოისვა, ქოშინით, ძლივს-ძლივს, წარმოთქვა ტროპარი ცრემლმორეულმა... ლაზარევი კი იდგა და ელოდა, მეფეს სათქმელი აქვს სიკვდილის წინო და ელოდა... რატომ, რატომ მოაგონდა ეხლა ის საშინელი სცენა მეფის სიკვდილისა, ეხლა, როცა ყველაზე მხნედ უნდა იყოს, როცა გასასახლებელია მეფის ოჯახი. რვა საათისთვის უნდა გაასახლონ... ყაზახები რაღაც ხანია იქ არიან, ალყა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოარტყეს სასახლეს. ოჰოჰოჰო, სასახლეს რომ ეძახიან! სადა აქვთ ამათ სასახლეები, სადა, სასაცილოც კია, სად უცხოვრიათ ამათ მეფეებს, რუსეთში თავადიც რო არ იკადრებს ეგეთ სახლებში ცხოვრებას. ეტყობა სიზმარიც ამიტომა ნახა, და გიორგის სიკვდილიც ამიტომ აგონდება, უზარმაზარი მთასავით რო იდო ტახტზე... მარიამი თავს კი იკავებდა, მაგრამ მაინც ტირილის ხმაზე, მწუხარე კილოთი ეუბნებოდა მომაკვდავს: „ბატონო, რას უბრძანებთ შვილებსა ამათ? ვის აბარებთ, თუ გვეწვია უბედურება რაიმე? დავით უნდა იყოოს ამათი პატრონი? (თავისი გერის, დავითის ხსენებაზე დედოფალს შიშით დაუმრგვალდა თვალები და თავიც უსიამოვნოდ გაიქნია), ანუ თქვენი ძმებიი? ანუ დედოფალი დარეჯაან?" დარეჯანის ხსენებაზე ხომ ხელებიც გაასავსავა. გიორგიმ სვენებ-სვენებით, ქოშინ-ქოშინით აღმოთქვა: „ბატონო... დედოფალო... გაიგონე... რა გიამბო... მე აუჩენ... მათ პატრონსა... დიდსა და... ძლიერსა..." მომაკვდავმა მორღვეული თვალები აატრიალა ლაზარევისკენ და ძალაგამოცლილი ხელი ძლივს, ძლივს აიღო და გამოუწოდა: „ივან პეტროვიჩ... ღენერალო... დაწერე წერილი... იმპერატორ... პავლესთან... ჩამიბარებია... ანდერძად... ცოლ — შვილი ჩემი... დაა საქართველო... რუსთა ხემწიფე... და თვით მაცხოვარი... იზრუნებს... სამეფოსათვის ჩემისა..." ისევ მიისვ-მოისვა, უფრო მოიცაცუნა ანჩისხატის ნაბანი წყალი და წეღანდელივით ძლივ-ძლიობით, რადგან უკვე უჭირდა ხელების მოძრაობა, სამჯერ გადაისახა პირჯვარი. საბოლოოდ კი ცრემლმორეულმა მიმართა ისევ ლაზარევს: „რუსების... დიდებულების... საფარველი რომ... მოაკლდეს... საქართველოსა... საქართველოდგან... ქრისტიანობის ნათელი... განქარდება." მაშინ შეეცოდა... ადამიანურად შეეცოდა... თუმცა ისეთი სიმყრალე იდგა მეფის ოთახში, ვერავითარი მუშკამბარი ვერ შველოდა მომაკვდავისაგან მომდინარე საშინელ ოხშივარს. მაგრამ სიტყვა კი ჭკვიანური ჰქონდა მომაკვდავს, და დაუფასა კიდეც ასეთი სიტყვა, რუსეთს რომ აბარებდა თავის ცოლ — შვილს და თავის სამეფოს. იმიტომ, რომ სასაცილოა ამათი მეფობა და დედოფლობა, ძალიანაც სასაცილო... ჩვენი დიდი რუსეთი რომ მიდგას თვალწინ და, ჩვენი მეფე — დედოფლები, იმპერატორი და იმპერატრიცა, რა თავის დაჭერა, რა დიდებულება, რა მიხრა-მოხრა, რა ბრწყინვალება... უბრალოდ ვერავინ დაელაპარაკება, იმპერატორი ზევით არის ატყორცნილი, ლამის ღრუბლებში, და ხალხი კი, პირდაუბანელი ხალხი მიწურებში ფართხალებს. აქ კი, მეფე და ხალხი ლამის ერთია, მიკვირს და გამკვირვებია, რა ახლოს იყვნენ თურმე ამათი მეფეები ხალხთან, როგორ უყადრებდნენ თავსა, ლამის სწორებივით ელაპარაკებოდნენ თურმე, აბა, ეს წარმოსადგენია?! ერეკლეზე ხო პირდაპირ ზღაპრებსა ჰყვებიან, იმის ზრუნვაზე ქვრივ-ოხრებისთვისა და უპოვართათვის. არაა! ჩვენს იმპერატორს ახლოსაც ვერავინ მიეკარება... რაც მართალია, მართალია, ძვირფასი თვლები და ოქროულობა ამათაც ჰქონიათ, ძვირფასი ხატები, ძალიანაც ძვირფასი. ჩემს ქსენიასაც ხომ აჩუქეს ღვთისმშობლის ხატიც და სამკაულებიც, ღმერთო, როგორ შვენოდა ის გულქანდა, იმის ბროლივით ყელ-კისერს, როგორ უხდებოდა... სწორედ მარიამმა აჩუქა და პატარა ბატონიშვილებმა. მაგრამ რა გინდა, სამეფო რეგალიები კი არა ჰქონდათ და... არც გვირგვინი, არც სკიპტრა, არც ტრონი, არც ყარყუმის მოსასხამი, სულ რუსეთიდან გამოუგზავნეს, მაშ, არადა!? იქნებ ფათალი შაჰი გამოუგზავნიდა, ან სულთანი სელიმი?! მართალია, დაინთქა თბილისის ხანძარში, მაგრამ მერე ხომ ისევ გამოუგზავნა პავლე იმპერატორმა ამ მელაკუდა კოვალენსკის ხელით მეფე გიორგის გვირგვინიც, ხმალიც, პორფირიც, სკიპტრაც, ტრონიცა და დროშაც, და ამ დაჭყეტილ დედოფალ მარიამს კიდევ ორდენი წმინდის ეკატერინასი, I ხარისხის, გესმიით რა პატივია?! ეხლა ამ რეგალიებს გაუვიდა ყავლი, ვინ უნდა დაიდგას თავზე? მორჩა ამათი მეფობა... და თუ ვინმე გაბედავს და დანანებით იტყვის მეფობა მოიშალაო, გეკითხებით, ვის უნდა ემეფა? ვისა? ვინ იყო მეფობის შემძლე? თავქარიანი დავითი? ან ის ტრაწიანი იულონი? ვინა, ვინა!! იულონი გაქცეულია ეხლა იმერეთში და იქიდან ვითომ ფაშასთან აპირებს მოლაპარაკებას რუსების გასადევნად. ვაიი, რატომ ღმერთი არ გაიცინებს იულონის ფახიფუხზე. ვინ არის ისეთი გაუგებელი, არ ესმოდეს რომ მეფობა წმინდა საქმეა, საღმრთო საქმეა, საქვეყნო საქმეა! მაგრამ არის კიი ვინმე სამეფო, მითხარით ერთი, ლამის დაჭამონ ერთმანეთი და ქვეყანაც საბოლოოდ დაღუპონ და ჩაჩეხონ უფსკრულში. აი, ბატონო, თავის დროზე რუსეთში რომ ვერა ნახეს სამეფო კაცი, აკი მიმართეს მთელ ქვეყანას, მოდით და იმეფეთ, ვისაც ძალგიძთო... სამეფო ჭკუა უნდა მეფობას, სიდარბაისლე, გამჭრიახობა და ქვეყნის სიყვარული, ამათ კი არ ეთქმით, არა, რომ თავისი ქვეყანა უყვარდეთ, ამათ რომ თავისი ქვეყანა ჰყვარებოდათ, თავისი ქვეყნის დარდი ჰქონოდათ, განა ასე მოიქცეოდნენ? ასე გადაეკიდებოდნენ ერთმანეთს? ასე ააბუნტებდნენ აქაურობას? ასეთ მახეს დააგებდნენ

ყველა კუთხე-კუნჭულში? რა დაავიწყებს, რაა, გიორგი მეფე ოთხას ჯარისკაცს რომ სთხოვდა იულონის წინააღმდეგ გასალაშქრებლად, იულონი კიდევ თავის მხრივ ორას ჯარისკაცს გიორგის დასამხობად. არც ერთს ერთი ჯარისკაციც არ მისცა, ნახეს უჭკუო, ან ერთი გაეძლიერებინა, ან მეორე და თავისი ჯარისკაცები კიდევ ამოეხოცა მაგათ მიშველებაში; მიდიი, იქნიე ხმალიი, ტენე თოფიი, მიიღე მონაწილეობა ძმათა შორის სისხლის ღვრაშიი, ჩაწექი უცხო მიწაში დაუტირებლად... რა კარგია არაა?! ომარ ხანთან როგორ თავგამეტებით იბრძოლეს, საქართველოს იმ მთავარ მტერთან, და რა ქნეს, ამ სანაქებო ძმებმა, ნახეთ ამათი მზაკვრობა, იულონი და ვახტანგ ბატონიშვილები ბრძოლის დროს არ გამოვიდნენ, თავისი ხალხიც არ გამოუყვანიათ, მტრული განზრახვა ჰქონდათ თურმე, ომარხანს უნდა შეერთებოდნენ, თავისი ქვეყნისა და თავისი კარგი მამის მტერს! იბრძოლოს რუსმა ჯარმა, დაუოკოს ქვეყანას მტერი, კარგია, არაა?! ასეც უთხრა მაშინ გიორგი მეფეს: ჩემმა ჯარისკაცებმა ბევრი იბრძოლეს, ბევრს იბრძვიან და მომავალშიც ბევრს იბრძოლებენ ქვეყნის დასაცავად, რომ შინა სისხლისღვრებშიც არ ჩაერევნენო. თუნდაც ამათი წერილები რომ ავიღოთ, ჩვენ ხომ ყველა წერილის პირი გვაქვს, ყურო ნუ გაიგონებ რას სწერენ ერთმანეთზე, რა ბადეს უქსოვენ და რა ძირს უთხრიან... დავითი? სახეზე ნათელი რომ გადასდის და ლექსებსა სჩხაპნის, (ლექსებს თურმე ყველანი სწერენ, ლექსაობა აქ დიდად მიღებულია, ქსიუშასაც კი ასწავლეს ერთი პატარა ხალხური ლექსი და რა თავგამოდებით ამბობდა, ლაზარევსაც ჩაუჯდებოდა კალთაში და აბა, გაიმეორეო, აბა, გაიმეორეო, და ისიც ხათრს ვერ უტეხავდა და ქართულ სიტყვებს ძლივს გამოსთქვამდა: მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი... მერე კი ისე სასაცილოდ ამბობდა, რომ ქსიუშა კისკისებდა და კისკისებდა, და რა იქნებოდა ეკისკისა... რა იქნებოდა... ჰოდა დავითი? თავი დიდად პროგრესული რომ ჰგონია, რაებსა სწერს თავის ძმა ბაგრატს? კახეთის ჯანიშინს? იულონი ლეკივით არ დაზოგოვო, ესროლე თოფი როგორც ლეკსაო... და კიდევ, რა მზაკვრულად არიგებს, როგორ ცილისწამებაზე აქეზებს! არადა, ყველა ტახტისაკენ იწევდა, ამ დავითს ხომ ვითომ ეკუთვნოდა მეფობა, იულონს კიდევ მიაჩნდა, რომ ის იყო ქვეყანაში უპირველესი, და ფარნაოზი რომ ფარნაოზია, ისიც კი ფეხს იწვდიდა ტახტისკენ... ის მშფოთვარე ქალბატონი? დარეჯან დედოფალი? აგეერ, ახლა სიბნელეა, არა ჩანს, თორემ მეტეხის იქით, გამოჩნდებოდა მისი მარაოსავით აივანი, მისი ე. წ. სასახლე... ისეა გადმოყუდებული მაღლიდან და კოხტად, მარაოსავით მორკალული აივანი, მართლა რაღაც გეგონება, მოუვლი მეორე მხრიდან, მიხვალ და არაფერი, რაღაც ორიოდე კინკილა ოთახი; სწორედ აქ დაატუსაღეს ეს ბობოქარი ქალბატონი, ესეც მეფობის მოსურნე, ბატონიშვილ ვახტანგთან ერთად... და ერთადაც გაუყენეს გზას პეტერბურგისკენ, ახლა ჩასულები თუ არა, მიახლოებულები იქნებიან, თებერვალში წავიდნენ, მაგრამ, რაში არ ეპარება ეჭვი და, იმაში, რომ დავითს ნამდვილად აჯობებდა ბებია და თავის შვილებსაც, მეტად აქტიური ქალბატონი ბრძანდებოდა, ერეკლეს გვერდით გამოწრთობილი. აბა, როგორ ჰქუხს ერეკლეს სახელი და შვილები და შვილიშვილები კი ამისთანა ქარაქუცები გამოუვიდნენ. როგორცა სჩანს, ყველაფერი ერეკლემ წაიღო თან, იმიტომ რომ, გიორგი მეფეც, რა იყო და რას წარმოადგენდა? რამდენჯერ ლაზარევს თავისი ყურით გაუგონია, „თვით მაცხოვარი იზრუნებს ჩემი სამეფოსთვისო“, და „დასაწყისი სიბრძნისა არს შიში უფლისაო...“ სულ ასეთ ლოცვა-კურთხევაში იყო და ღმერთმანი, ისეთი ლოხი და გულუბრყვილო რომ არა ყოფილიყო, ლაზარევს ნამდვილად პირმოთნე და ფარისეველი ეგონებოდა. ამ სიზმარში კი რა საზარელი იყო, აბრჭყვიალებული თვალებით რომ მისჩერებოდა და ხელს უქნევდა, უკანიდან კი ის წურბელასავით კაცი, დედოფლის ყულუხჩი, აწვებოდა... თან რა გამაყრუებელი ზრიალი და რახუნი ისმოდა, ყურთასმენა იყო წაღებული... თვითონაც არ იცის, რად ღელავს, რა აფორიაქებს?! როგორც ისინი გაასახლეს, როგორც ისინი წავიდნენ, ბაგრატ ჯანიშინიც თავისი ცოლ — შვილით, ასევე წავლენ ესენიც... იქნებ იმიტომ ღელავს ასე, ქსენიას ძალზე კარგად რომ ექცეოდნენ, რომ მართლა შეიყვარეს და შეივრდომეს... მერეც რამდენი იტირეს და ივაგლახეს იმათი სიკვდილის გამო, მასაც როგორ ანუგეშებდნენ, როგორ ზრუნავდნენ... გიორგი მეფემ ივანე ბატონიშვილი მიუჩინა... სხვათაშორის, ვინ არის ამათში გონიერი და დაფიქრებული და, ივანე ბატონიშვილი, მაგრამ რა, ისიც დავითს ამოუდგა მხარში. ჰოდა, არ უნდა აღელდეს, არა, აგერ ძილითაც ვეღარ დაიძინა, ზის აივანზე და გაჰყურებს ჩაბნელებულ არემარეს, თან როგორ უბერავს მტკვრიდან ნიავი... ზის და ფიქრობს ხვალინდელ, რაღა ხვალინდელ, დღევანდელ დღეზე, ძნელი დღე ელის, ძნელი და მძიმე , გასახლება, ვისიც უნდა იყოს, სასიამოვნო საქმე არ არის, თანაც ამოდენა ბავშვები და ქალები... მოსამზადებლად საკმაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო ჰქონდათ... არა, არც უნდა იფიქროს, რომ ეს გასახლებაა, გადადიან საცხოვრებლად პეტერბურგში, არა სადღაც მივარდნილ ადგილებში, არა რუსეთის სიღრმეში, არამედ თვით პეტერბურგში! რა ლარივით ქუჩები უნდა ტკეპნონ, ამ ოღრო ჩოღროების მაგივრად, რა სასახლეები უნდა ნახონ, რა საზოგადოებაში უნდა გაერივნენ? ღირსნი კი არიან? ვერ შეუგნიათ ვერა, ვერაფერი ვერ შეუგნიათ! გააცილებს მცხეთამდე, ცხადია, მოინდომებენ საფლავებთან გამოთხოვებას... და რომ მობრუნდება, სიონში პარაკლისს გადაიხდის, ამათი წასვლისა და გაცილების პარაკლისს, ქსენიას კი, როგორც სხვა დროსაც გადაუხდის ხოლმე, პანაშვიდს შეუკვეთავს... დაცვა ისეთი გაძლიერებულია, ვერავინ ვეღარაფერს ვერ გაბედავს. ეს ქალბატონი დედოფალი ხომ უჩუმრად თუშეთში აპირებდა გაქცევას, მისმავე ახლობელმა, კალატოზიშვილმა შეგვატყობინა, მთავარი ხომ ყოველთვის ეს არის, შიგნით, მათ შორისვე მოიპოვო მომხრეები და გამცემები, ჰოდა, შეგვატყობინეს გაამაგრეთ დაცვაო, და აკი მოვაბრუნეთ კიდეც... არ ნებავს რუსეთში წასვლა! აფსუს, პეტერბურგი, აფსუს!? თუშეთზე გაცვალო, და რაღაცა ფშავ-ხევსურეთზე, რაღაცა მთებზე, საშინელ კორწოხებზე, ლამის პირველყოფილ ხალხზე! იმის მაგივრად, უხაროდეთ, მზამზარეულად რო დამკვიდრდებიან იმისთანა ქალაქში, სატახტო ქალაქში და სიზმარში ეგონებათ თავი! ეღირსებოდნეენ როდისმე რუსეთთან, დიდ რუსეთთან ეგეთ ერთობას! საჭმელი არ მოაკლდებათ და სასმელი, ჩასაცმელი და დასახური, მეტი რა უნდათ, რა ნებავთ?! შფოთისთავი, დარეჯან დედოფალი, პირველი ამმღვრევი წყლისა, დადგეს ეხლა და ამღვრიოს ნევა, სანამ არ მოსწყინდება. ოჰოჰოჰო, რა მზაკვრობასა ხლართავენ ერთმანეთის წინააღმდეგ... მაინც რა უკვირს და გაჰკვირვებია, და ხო პატარაა ეს ქვეყანა, პატარა, მაგალითად, გრაფ ორლოვს ათი ამოდენა მამულები აქვს, ჰოდა, ინტრიგებით, ქიშპობით, მალული ხრიკებით, გაიძვერობითა და ბეზღობით, ქვემძრომობითა და სარმის გამოკვრით, და რაც მთავარია, პირველობისკენ მისწრაფებით, თან დაუმსახურებლად, ყველა პირველობის სნებაშეყრილია — ყველას მეფობა უნდა, შემირცხვენია დიდი ქვეყანა, ღმერთმანი, ყველას გადააჭარბებენ, ყველას აჯობებენ... მაგრამ ნურას უკაცრავად, მათ კი ვერ გააცურებენ, ვერავითარ შემთხვევაში, პირიქით, ლაზარევმა გააცურა დავითი, გააცურა და გააცუცურაკა, და განა არ იყო ღირსი? ვინც თავისი ქვეყნის ტრაგიკულ მომენტში სიმამაცეს ვერ გამოიჩენს და რისკზე ვერ წავა, ვისაც იმდენი ჭკუა არ ეყოფა, რომ გაერკვეს შექმნილ მდგომარეობაში და მიხვდეს, რომ აცუცურაკებენ, განგებ აყოვნებენ, რომ სამეფო ქვეშიდან გამოაცალონ, ის განა მეფობის ღირსია? ხალხის წინამძღოლად გამოდგება? პოლკი ჰო, პოლკს გაუძღვება და ქვეყანას?

ის ყეყეჩი იულონი კიდევ უთვლიდა და უთვლიდა, თან წერილსაცა სწერდა, მე გამომაცხადე მეფეთაო. ტახტი ერთი იყო, ერთი, ერთი, გაიგეთ! რომ გაგეგოთ და შეგეგნოთ, ეჭვი არ ეპარება, ამ ქვეყნისთვის კი ძალიან ცუდი იქნებოდა რომელიმე ამათგანის მეფობა, მაგრამ იქნებ კიდევაც შეენარჩუნებინათ ტახტი... თუმცა ძნელი სათქმელია, ძალიან ძნელი, ამისათვის ერეკლე იყო საჭირო, ერეკლე, სახელმწიფო ჭკუა იმასა ჰქონდა... წამოსვლისას მასალებს გაეცნო, აქ რომ ჩამოვიდა, აქაც რამდენი რამ გაიგო, კაცმა რომ თქვას, ყველაფერი გაიგო ამათი, და აქაური თუ ვინმე მოსწონს, ეს ერეკლეა, ეს მართლა გმირთაგმირი, თან როგორი რაინდი, არ უღალატა თავის მოცემულ სიტყვას, შეება იმ საზიზღარ აღა მაჰმად ხანს და საწყალმა არც იცოდა, რომ ხოჯა მსტოვრებს მსტოვრებზე გზავნიდა და გუდოვიჩს საჩუქრებით ავსებდა, იმ მექრთამეობის უსტაბაშს, ქრთამისთვის საკუთარ დედას რო გაჰყიდის და ფეხებზე არ ეკიდა ერეკლე და საქართველო? თუნდ წყალსა და მეწყერს წაეღო?! ლაზარევს მიაქვს გულთან ახლოს ამ ქვეყნის ამბავი, იმიტომაც უნდა ამათი მალე გასახლება, რომ დაწყნარდეს და დამშვიდდეს ქვეყანა. მეტისმეტად გულუბრყვილო გიორგი მეფე, სხვა სიტყვა რომ არ ითქვას, რუსებს ფიანდაზად ეგებოდა, მაგრამ რუსიც არის და რუსიც, ის გველაძუა კოვალენსკი, ის ქვეშქვეშა, დათაფლული სიტყვებით ისე დაახვია თავბრუ, ისე შეუძვრა, ორთაჭალის საუკეთესო მიწები უბოძა მეფემ, პირველი სტუმარი მეფისა ის იყო... და კნორინგი? ფულის ტომარა, იმდენი ფული აქვს, რომ გესროლოს, წაგაქცევს, კვალში ჩაუდგა ლაზარევს, ჩამოართვა პირველობა! ოო, რა მუზმუზელაა, პირველი მოსურნე ბატონიშვილების გასახლებისა, თვითონ განზე გადგა და ეს სასიამოვნო საქმე ლაზარევმა უნდა განახორციელოს, ნარი ლაზარევმა უნდა გლიჯოს! და ამას იმიტომ კი არ ამბობს, ნარის გლეჯა უჭირდეს, თავისი ქვეყნისთვის, რუსეთისთვის ნარსაც დაგლეჯს და თუ საჭირო იქნება, თუ უბრძანებენ, ამათ ყველას აჰყრის დედაბუდიანად! იცის ლაზარევმა, რომ ამათი გასახლებით დამკვიდრდებიან აქ რუსები, ამ ქვეყანაში კი მხოლოდ რუსთა ბატონობაა საჭირო და აუცილებელი! სხვათა

შორის, რამდენჯერ უფიქრია კიდეც, — ცხადია, ამას მაგ ჩიტირეკიებს ხმამაღლა არც ეტყვის, რა საჭიროა ამდენი წვრილ-წვრილი სახელმწიფოები? აბა, რა საჭიროა მათი დამოუკიდებელი არსებობა? მით უმეტეს, ასეთი დაქუცმაცებული და დაშლილი ქვეყნისა?! მთელი სამი საუკუნეა დაშლილია, ან რომ ვთქვათ, რამდენი ხანი იყო გამთლიანებული და აღორძინებული? როგორც წაიკითხა და გაიკითხა, ძალიან ცოტა ხანი, რა არის ქვეყნისთვის საუკუნე და საუკუნე ნახევარი? მერე დაიშალა და დაიშალა... და ახლა, შექმნილ მდგომარეობაში რომ გაერკვა და ამათი ხასიათიც გაიგო, ურუსებოდ ვერც გამთლიანდება! ერეკლემ, იმ უჭკვიანესმა კაცმა, იმ თავდადებულმა თავისი ქვეყნისთვის, ვერ გააერთიანა და ეს ჩიტირეკიები და ქარაფშუტები გაუძღვებიან და გააერთიანებენ?! დიახაც რომ ჩვენ უნდა გავამთლიანოთ, ჩვენ მთლიანი ქვეყანა გვინდა, გამჭრიახი იყო ერეკლე, იმიტომ დატოვა ისეთი ანდერძი, ერთი შეხედვით, სულელურიც რომ შეიძლება გეგონოს, მაგრამ ოდნავაც რომ ჩაუფიქრდები, მაშინვე მიხვდები საქმის ვითარებას: იცოდა რომ გიორგი ავადმყოფი იყო, წყალმანკი სჭირდა, დიდხანს ვერ გასძლებდა, და არ სურდა, ეს ღმერთის მოძულე დავითი, ლექსების მჩხაპნელი და ვაჭარ სომხებთან დამოყვრებული ანგარების მიზნით, ტახტზე აბრძანებულიყო, და ქვეყანაზე კი არა, საკუთარ კეთილდღეობაზე ეფიქრა, და ისეც დაშლილი ქვეყანა უარესად დაეშალა. ისინი კი გააერთიანებენ, რუსები აუცილებლად გააერთიანებენ, სწორედ ასეთი გეგმა აქვთ, გააერთიანონ და ქვეყანა ქვეყანად აქციონ, სულ მალე იმერეთიც შემოერთდება, სხვა სამთავროებიც, და ეს დანაწევრებული ქვეყანა აღდგება და გამთლიანდება, დიახ, სწორედაც მთლიანი ქვეყანა უნდათ, ჰოდა, არ უნდა უხაროდეთ? მაშ, სიხარულით მაღლა-მაღლა არ უნდა ხტოდნენ? არ უნდა ესმოდეთ, რა დიდებული ჩაფიქრებაა, მართლა რუსეთს რომ ეკადრება, ისეთი. თანაც ვეღარც სპარსეთი და ვეღარც თურქეთი ფეხს რო ვეღარ გააფხაკუნებენ, ლეკებიც აილაგმებიან და კმაყოფილები არ უნდა იყვნენ?! ვის ეკუთვნის, თუ არ რუსეთს, ქვეყანაზე ხელმწიფება!! აი, ვის არ ესმოდა ესა და სოლომონ ლიონიძეს, იმ გველს, იმას, იმ ღრძოს, რუსთა მოძულეს, ცეცხლმოკიდებულივით დარბოდა და ყველას მოუწოდებდა მოდით გონებასაო, ქვეყანა იღუპებაო. კიდევ კარგი, დავითმა არ უსმინა, არც სარდალმა იოვანე ორბელიანმა, არც მუხრან ბატონმა და არც სხვებმა... თვითონ ქართველებივე გვაფრთხილებდნენ, იცოდეთ, ლომსავით იბრძვის სოლომონიო, ხან მოუწოდებს, ხან ემუდარება, საქმეს ურჩევს, აფრთხილებს რაც ძალი და ღონე აქვსო... მერე ხომ იცით, რა მჭევრმეტყველია, რა განსჯის უნარი აქვს, ეჩიჩინება და ეჩიჩინებაო: „ბატონებო, ფრთხილად იყავითო, ჯვარცმულის მადლმა, იღუპება ქვეყანაო, იქით სარდლები იწევენ, აქეთ მეფის ძენი, მელიქი და სომხობა გველურად იქცევაო, და მოდით გონებასაო, დაფიქრდით და შედით საქმის ბჭობაშიო, დავითის მტერობისთვის რად უნდა შეექმნათ მტერი ქვეყანასაო.“ ლაზარევს კი რაა, ეძინა? უთრევდა და უთრევდა დავითს საბელს, იმპერატორის ბრძანებას დაუცადეთო. სოლომონ ლიონიძესაც შეუთვალა არაერთხელ, გეყოფათ ბობოქრობაო, და რომ არ დადგა, შეხვდა კიდეც და მშვიდობიანად მოსთხოვა: „რაღა თქვენი არევა უნდა ისედაც არეულ ქვეყანასაო, დავითს მეფობისკენ რომ მოუწოდებთ, თქვენ ხომ არ გესწავლებათ ვინ ვინ არისო!“

„დიახაც რომ არ მესწავლება ჩემი ქვეყნის ამბავი, ამიტომაც ვამბობ და მოვუწოდებ ყველას: მეფობის მოშლა არ შეიძლება, არა! არასგზით და არავითარ შემთხვევაში!“ თან ისე შეუპოვრად უყურებდა, თვალს თვალში უყრიდა, მის მზერას ძალა რომ ჰქონოდა, ადგილზე გააქრობდა.

„ვის ხედავთ სამეფოს, ვისა! თავისი ძმების აუგს პირველი თვითონ გიორგი მეფე მეუბნებოდა, როგორ სძულთ ერთმანეთი, როგორ არიან აშლილები, მღვრიე მდინარე რო მოჰქუხს და ზათქით აყრუებს არემარეს, ასე გააყრუა მათმა სიძულვილმა და შფოთმა ქვეყანა! მე პატივს ვცემ თქვენს გონებასა და დამსახურებას ქვეყნის წინაშე და რომელი ერთი გითხრათ, რომელი ერთი, ისაა, თუ როგორ უნდოდათ ჯერ კიდევ საწყალი გიორგის გადაგდება და იულონის გამეფება, ბატონიშვილი ალექსანდრე, ის მტერი თავისი ქვეყნისა, იულონის გასამეფებლად და ჩვენს გასაძევებლად ლეკთა ჯარის შემოყვანას რომ აპირებდა ტფილისში, თან იმერეთის მეფეს ჯარს რომ სთხოვდა... და დავითი? ნეტავ გაჩვენათ დავითის მზაკვრული წერილები, როგორ მოუწოდებს თავის ძმას, კახეთის ჯანიშინს ხალხის აჯანყებისკენ, ძმათა სისხლის ღვრისკენ, და ალმასხანი თუ გადმოვიდეს, დაუნანებლად ესროლეთო! სუსტი და სასტიკი, ასეთი მეფე გამოადგება თქვენს ქვეყანას?! და იულონი? ახლა იულონის წერილები და ჯარის თხოვნა? აკი შეგროვდნენ კიდეც დუშეთს, იქიდან მცხეთაში უნდა დაეგვირგვინებინათ იულონი მეფედ! განა დავითმა არ წამიყვანა ქართლის დასამშვიდებლად და თავისი ბიძების დასასჯელად, ისინი კი ომარ

ხანსა და ლეკებს მოუწოდებდნენ დასახმარებლად, იოვანე ბატონიშვილი სდევდა ჩვენი ჯარით მათ, თქვენ ხომ მოგეხსენებათ ყოველივე?! და ახლა ეს დარეჯან დედოფალი?, ეს მშფოთვარე და დაუცხრომელი ქალბატონი, წერილებს წერილებზე მიგზავნიდ მიიბრძოდა თავისი შვილებისკენ, რომ თავისებურად ეწინამძღვრა მათთვის, მაგრამ ნურას უკაცრავად, არ გავუშვით და კარგადაც გამოვკეტეთ იმ თავის ვითომ სასახლეში!"

„მაგრამ თქვენ სხვებიც გწერდნენ, თხოვნის წერილებს!" — დაიწყო ისევ თავისი დაუცხრომელი კილოთი, „ბოდბელი იოვანე და დიდნი თავადნი, ითხოვდნენ თქვენგან იმპერატორის უფლების ქვეშ მეფის გამოცხადებას! უმეტეს ათასი წლისა გვყოლია მეფე ბაგრატოვანთა გვარისა, რომელნიც იყვნენ წმინდანნი და მოწამენი, და მოვითხოვთ კვლავ ჩვენს მეფესაო! და თქვენ ამისი უარყოფა არ ძალგიძთ!"

„იყვნენ, იყვნენ, მეც ვიცი, რომ გყავდათ თავდადებული მეფენი, თავისი ქვეყნისა და ხალხისთვის თავგანწირულნი, მაგრამ, როგორც ჩანს, ამოიწურა მარაგი მეფური ჭკუაგონებისა, სახელმწიფოებრივი თავაზიანობისა და მზეოსნობისა... წავიდნენ ის მეფენი, წავიდნენ! თქვენ კი მომიწოდებთ მეფე გამოვაცხადოთ და არეული ქვეყანა კიდევ უფრო ავრიოთ... ჩვენ ხომ თავს ვიდეთ მტკიცე და შეურყეველი სასოება სახიერებისადმი უფლისა, არა მზაკვრობა და სიგლისპე, წინდაუხედაობა და გაუფრთხილებლობა, არამედ ქველის მოქმედებით დამშვიდება და დაწყნარება ქვეყნისა! ამას ელის, ამას მოითხოვს ქართველი ხალხი ჩვენგან..."

ასე მწყობრად მოახსენა ყველაფერი, ის კიდევ, გეგონებათ შხამს აფრქვევსო, ისეთი სიძულვილით უყურებდა, მერე კი მღელვარედ შესძახა: „მოგიწოდებთ, გთხოვთ გაიგეთ!! მეფობის მოშლა არ იქნება, არა!! თქვენი ქვეყნის მაგალითიც საკმარისია ამის დასტურად, უსასტიკესი მეფეც გყოლიათ, სუსტი და ჭკუასუსტი მეფეებიც, არეული დროებაც გადაგიტანიათ, და ქვეყანა მაინც ქვეყნად დარჩენილა, არ დაღუპულა, აგერ ახლა კავკასიონიც გადმოლახეთ, ჩვენთანაც მობრძანდით და მეფობის გაუქმებით ლახვარი გინდათ ჩასცეთ ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!!" ხელები ექავებოდა, ერთი კარგად გაესილაქა ეს აუტანელი კაცი, „ოჰოჰოჰო, თურმე რა მნიშვნელოვანია ამათი თავისუფლება და დამოუკიდებლობა?! როცა ქვეყანა შფოთსა და არეულობაშია ჩანთქმული?!" მაგრამ შესძლო და მობოჭა აღელვება: „ლახვარი ჩავცეთ, თუ ამ საცოდავ ხალხს ვუშველოთ! არ დავინდოთ ჩვენი ძალ-ღონე, არ დავინდოთ ჩვენი საწყალი ჯარისკაცები და ამდენი შემოსევებით, ამდენი ყაჩაღობით, ამდენი ლეკიანობით წელში გაწყვეტილ ხალხს დახმარების ხელი გავუწოდოთ... თქვენ კი სახალხო ომისკენ მოგვიწოდებთ, თქვენ რა გენაღვლებათ, ჩვენმა ჯარისკაცებმა შინაც იბრძოლონ და გარეთაც! მიკვირს თქვენისთანა ჭკვიანი ადამიანისაგან ასეთი დაუნახაობა! ასეთი დაუნახაობა თავისი ხალხისაც! ერთი მუჭა ქართველები ხართ დარჩენილი, ჰკითხეთ იოვანე ბატონიშვილს, მოგეხსენებათ, იმან აღწერა მოსახლეობა და ის გეტყვით, და ჩვენი წასვლით გინდათ ეს ერთი მუჭაც მტრის ლუკმად იქცეთ? და სულ ამოიუუოთ? მე თქვენ გეტყვით, ცოტა გახვევიათ ან შინ, ან გარეთ!" „ეს რომ არ მინდოდა, ძილი რომ მიკრთებოდა ჩემი ქვეყნის ჭირვარამით, ამიტომაც ვედექი გვერდში ერეკლეს და პირველი მე ვიყავი მომხრე რუსთ მფარველობისა! მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ თურმე სხვადასხვანაირად გვესმის აზრი მფარველობისა... თქვენს ადგილას სპარსეთი ან თურქეთი რომ ყოფილიყო, ჩვენ უმალ მივუხვდებოდით იდუმალ ზრახვებს... მაგრამ ჩვენ, საცოდავებსა და შორსუჭვრეტებს, ერთმორწმუნეობამ შეგვიყვანა შეცდომაში და თქვენთან ურთიერთობის გამოუცდელობამ, აი, სიმართლე თუ გინდათ, ეს არის!!"

„მაგ სიმართლით იარეთ და დაღუპეთ თქვენი ქვეყანა!" „არ დავიღუპებით, არა!" — შესძახა სოლომონმა, „მტერი სულ გვეხვია, ასეთია ჩვენი ბედი, ჩვენი სასტიკი ბედი, აქამდე მოვაღწიეთ და მერეც ვიქნებით!!", „იქნებით! ჩვენი დახმარებით იქნებით! ჩვენი შემწეობით იქნებით!! წადით, ჩამოიარეთ, გამოიკითხეთ, წავიდეთ თუ არ წავიდეთ აქედან, და ნახავთ რა პასუხსაც მიიღებთ, ნახავთ ჩვენზე რას ფიქრობენ და როგორ ფიქრობენ!!"

„მერე იფიქრებენ, მერე, როცა უკვე გვიან იქნება! როცა საქმის გამოსწორება შეუძლებელი შეიქმნება, როცა იტყვიან: ვჭამეთ კაწახი და მოგვეჭრა კბილებიო! ვერ დავიბრმავებ თვალებს, ჩემი ქვეყნისა და ამ შორსუჭვრეტი ხალხის მაყურებელი!!" იდგა გამართული, მხრებში გაშლილი, თავაწეული, ჯიქურ მიყურებდა, გეგონებათ ერთი ლეგიონი ჯარი უმაგრებს ზურგსო. მე კი ვიფიქრე, ამისი ადგილი უთუოდ დილეგშია — მეთქი, ამიტომ ისევ ისე მშვიდად და აუღელვებლად, ღიმილითაც კი ვუთხარი: „მე ჯერ კიდევ ჩამოსვლისას გავეცანი თქვენს დატირებას... მერე ქართულიც ვისწავლე და უკვე დედანშიც შემიძლია წავიკითხო ეს შესანიშნავი ნიმუში მჭევრმეტყველებისა... ჰოდა, ამ დატირება-

შიც გამოსჭვივის თქვენი წუხილი იმის გამოც, რომ ერეკლეს წასვლით თქვენც საყრდენი და საფუძველი გამოგეცალათ და აღარავინ არის თქვენი ერთგულებისა და მსახურების ღირსი. განა ეს ასე არ არის?"

„დიახ, ერეკლეს დარი არავინ არის, მაგრამ ჩვენ გვაქვს ერეკლეზეც და ამქვეყნიურ ყველა საკითხზე უმაღლესი რამ, ღვთით ბოძებული ჩვენი ქვეყანა, რომელსაც მე ვმსახურებდი და მსურს ვემსახურო, და სანამ პირში სული მიდგას, ვერ დავთმობ ენას და ვერ დავიკრეფ გულხელს!!"

თუმცა მოწინააღმდეგე იყო და ჩვენი მოძულე, ვერაფერს იტყვი, ღირსებით სავსე კაცი ბრძანდებოდა, და მე ვიფიქრე, ხუთი მაინც რომ ჰყავდეს ამისთანა ამ ქვეყანას, იქნებ მართლაც, სხვანაირად იქნებოდა ამათი საქმე — მეთქი. მაგრამ კიდევ კარგი, ერთი იყო, ერთადერთი, და ასეც ვუთხარი: „თქვენ ერთი ხართ, ერთი! განათლებული კაცი ხართ და იქნებ გაგიგონიათ ლათინური ანდაზა: Nemo solus sapit satis, რას გახდებით ერთი, ვერაფერს! ვერაფერს ვერ გახდებით! ყველაფერი დანგრეული და განადგურებულია აქ, გიორგი მეფემ თავისი ცოლ — შვილი და თავისი სამეფო ჩვენ ჩაგვაბარა, და რა კარგია არაა, ქვეყანა აგიღორძინოთ, ქალაქი აგიშენოთ და გაგიმშვენოთ, მტრები დაგიოკოთ, ხალხი დავაწყნაროთ და თქვენ კი ტყისკენ გეჭიროთ თვალი?! ნურას უკაცრავად! ასეთი დაბდურები თქვენში მოიკითხეთ!!" და ზარი დავრეკე. „ტყისკენ კი არა, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისკენ!" — დაიძახა მჭახე ხმით და ყაზახებიც შემოცვივდნენ ოთახში, ლიონიძეს გარს შემოეხვივნენ.

„თქვენი ქვეყნის სიკეთისთვის უნდა წაბრძანდეთ დილეგში!" — ვთქვი და მყისვე შევაქციე ზურგი ლიონიძესა და ყაზახებს, ფანჯარასთან მივედი და მტკვარსა და მეტეხს გადავხედე. დიდი ხნით კი არ ჩავსვით დილეგში და მერე ხომ ხელიც შევუწყვეთ იმერეთში გადასულიყო, იყოს იქა, იქნიოს ხელები იქიდან და მოაწვდინოს თავისი მრგვინავი ხმა ამ ტუტუცებს. ეჭვი არ მეპარება, რომ ძალიანაც გაუხარდათ იმისი თავიდან მოშორება, ისა და დავითი ხომ ვერ იტანდნენ ერთმანეთს. დავითი კი, დავითი! საკვირველია ამ დავითის ამბავი, წრფელი გულით მიკვირს და გამკვირვებია, თურმე შეიძლება კაცი ახოვანიც იყოს, ბრძოლაში მამაცი და უდრეკიც, განათლებულიცა და მეფურად ზრდილიც, და ამასთანავე იყოს თხლე, ნამდვილი თხლე, არ ჰქონდეს არც შექმნილ მდგომარეობაში გარკვევის უნარი, არც რისკი და საქვეყნო გაბედულება, აკი ყვიროდა თურმე დილეგში სოლომონ ლიონიძე: დავითმა დაღუპა ოჯახი მეფეთაო, გამოსჭრა ყელი მეფობასა და დაამცირა ერი თვისი და თვით თავი თვისიო. მართლაც რომ ასე იყო... რომ გაიგო რაოდენ პენსიას უნიშნავენ, როგორც ტახტის მემკვიდრეს და რა მამულების მფლობელი უნდა გახდეს რუსეთში, სიხარულით აღარ იყო, მამაჩემს არ ღირსებია ასეთი ფული და სიუხვე და პაპაჩემსო, ასე ამბობდა თავისი პირით. არა, რა კეთილშობილია მაინც ალექსანდრე იმპერატორი, ნამდვილი არისტოკრატი, განსახიერება დიდბუნებოვნებისა... აქედან მისდიოდა და მისდიოდა არეული ხმები და ჭოჭმანობდა, ეჭვობდა, რამდენი ხანი ვერ წყვეტდა ამ ქვეყნის ამბავს, რა ექნა და რა მოემოქმედა, რამდენი ითათბირა, რამდენი იმსჯელა, იქნებ ჯერ ვიფიქროთო, იქნებ არ მოისურვონ თვითონაო, იქნებ აღარ მოისურვონო, დიდი დაფიქრება გვმართებსო, დიდი აწონ-დაწონვაო, თავის დღეში არ დავუშვებ უნებურად დამოუკიდებელი ქვეყნის შეერთებასო... ოჰ, რა დიდებულია, რა კეთილსაიმედო, რა ჭკუა-გონებით სავსე! იცოცხლეთ, აქ ბევრზე-ბევრს, თუ ყველასაც არა, უკანატანი უთახთახებდათ შიშისაგან, ვაითუ არ შეგვიერთოსო, ვაითუ რომელიმე ეს უტვინო დაგვაჯდეს თავზე და დაღუპონ ქვეყანაო... ალექსანდრემ კი რა დიდებულად გადაწყვიტა „сила обстоятельств сих, общее посему чувство ваше и глас Грузинского народа, преклонили нас не оставить и не предать на жертву бедствия язык единоверной, вручивший требий свой великодушной защите России". Александр I.

ჰოდა, ადგნენ ეხლა და უკოცნონ ტრაკი იმპერატორს, ულოკონ ფეხები რაც ძალი და ღონე აქვთ, რომ აიღო და შეიერთა ეს ტრაწიანი ქვეყანა, აიღო და ამისთანა წყალობა მოიღო, ამ ხალხის შეფარება, მათი მეურვეობა თავს იდო. მას კი აღარ სურს აქ დარჩენა, აღარ! ესენი ისეთი ჯიშის არიან, ტყუილია, თავის ქერქში ვერ დაეტევიან, ვერა და მთელ ქვეყანას ხომ არ გაასახლებენ, არა?! ხვალ და ზეგ არც ის ქურდბაცაცა, ავაზაკი ლეკები დადგებიან, ის კი დაიღალა, დაიღალა, ჭარმაგია უკვე, ორმოცს გადასცდა, ასე კი არ არის? მოენატრა თავისი ქვეყანა, თავისი მამული... თან რა საშინელებაა, ირგვლივ სულ ქართული ესმის, არადა რა მოუხერხებელი ენაა, რა ძნელად გამოსათქმელი თანხმოვნებით... თვითონ კი ისწავლა, ისწავლა, საჭირო იყო და ისწავლა, მაგრამ, ეჭვი არ ეპარება, შემდეგ და შემდეგ, აქ ჩამოსახლებულ რუს ჩინოვნიკებს აღარ დაჭირდებათ ქართულის სწავლა, რადგან უკვე ესენი თვითონ ისწავლიან რუსულს, აბა, როგორ, იმპერიის

ენა, ჩვენი დიდებული ენა... საზღვრები ფართოვდება და ფართოვდება, კიდევ რამდენი მილიონი ილაპარაკებს მათ ენაზე! ესენი კი რა, ერთი მუჭა ხალხი, ძალიან ადვილი შესაძლებელია გადაშენდეს კიდეც მათი ენა! გზაც იქითა ჰქონიათ. ოჰოჰოჰო, მთვარეც ამოვიდა... მტკვარი ალაპლაპდა... ადიდებულია მტკვარი, ადიდებული და აჩქარებული, აგეერ, გაღმა ნაპირზე თეთრად აფეთქებულ ხეებს ნახევრამდე უწევს... ნეტავ სულ არ დაფაროს... ყოველთვის აღელვებს აყვავებული ხეები, თავის დაუვიწყარ ქსენიას აგონებს, თავის ქსიუშას, ისიც აფეთქებული და აყვავებული იყო, საკვირველია, მიცვალებულსაც როგორი ვარდისფერი ლოყები ჰქონდა, ატმის ყვავილისფერი... მტკვრიდან ცივმა ნიავმა დაუბერა, სადაცაა ღამეც გატყდება... უნდა დაწვეს, იქნებ ცოტა მაინც დაიძინოს, ძნელი დღე ელის, არ ივარგებს ამდენი ღელვა და უძილობა... ეს მთვარე... ქსენიასაც უყვარდა აქ ჯდომა და მთვარის ყურება, და რაც არაერთს უთქვამს, ისიც იტყოდა ხოლმე, მშობლებისა და თავისი მშვენიერი სახლის მონატრული, „თუ ჩვენში არ წვიმს და ღრუბლები არ ეფარება, შეიძლება დედიკოც ახლა მთვარეს უყურებს და ჩემთან მოკითხვას აბარებსო." ეს სკამიც ჩამოსვლისთანავე შეუკვეთა, სავარძელივით სკამი, კაკლის ხისა, მოჩუქურთმებულ-სახელოებიანი, ქსიუშასთვის, იჯდა ხოლმე ხშირად, აი აქ, აივნის კუთხეში, გაჰყურებდა მეტეხს, პირჯვარს იწერდა და მეტეხის ღვთისმშობელს კეთილად მორჩენას სთხოვდა...

შევიდა ოთახში, დაწვა და, კიდევ კარგი, მაშინვე ჩაეძინა. აღარაფერი დასიზმრებია, თუმცა ძილში ნაბიჯების ხმა ჩაესმოდა და არ იცოდა მართლა ვიღაც ამოდიოდა კიბეზე, თუ ეჩვენებოდა... ადრიანად გაეღვიძა და მაქსიმეს რომ უთხრა, კამერდინერს, არა, თქვენო ბრწყინვალებავ, ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა და არც არავინ მოსულაო... შვიდი საათი სრულდებოდა დილისა, ოთახი მზით იყო გაჩახჩახებული... გაწკრიალებული ჩექმები და მუნდირი შემოუტანა მაქსიმემ, ტახტის ბოლოს, მაღალ სკივრზე დაულაგა, და ჰკითხა, საუზმედ რას ინებებთო.

„საუზმობა არ მინდა, მაქსიმე, მცხეთაში ვისაუზმებთ ყველა ერთად, ახლა კი ბაქმაზი მომიტანე წყალგარეული და ნატეხი პური. ლურჯი იაბო შემიკაზმონ და მარქაფად არგამაკი წამოიყვანონ." „ვეღარ ისაუზმა, ვეღარ..." ტირილის ხმაზე მოთქვამდა მერე კამერდინერი, გენერლის მოკვლის შემდეგ, „უსაუზმოდ წავიდა ამ ქვეყნიდან". გენერალმა კი, ჩაცმა-დახურვისა და მოწესრიგების შემდეგ, პურის პატარა ნატეხი პირში რომ ჩაიდო და წყალგარეული, სურნელოვანი ბაქმაზი დააყოლა, გაიფიქრა: არა, არა, ხალხი, რომელსაც ასეთი შესანიშნავი პური და ღვინო აქვს, არ დაიკარგებაო... მაგრამ ბაქმაზი... ქსენია გაგიუდა, ისე მოეწონა, მაშინ, გიორგი მეფესთან სადილზე საგანგებოდ რომ მოართვეს, ფეხმძიმისათვის სარგოაო... ბატონიშვილებმა თამარმა და გაიანემ ჩაისვეს შუაში და ახალგაზრდა ქალებს რომ სჩვევიათ, სულ სიცილი უნდოდათ, თავს იკავებდნენ, მაგრამ უცებ ამოსკდებოდათ შადრევანივით კისკისი, წამიერად გადაუვლიდა სუფრას და სანამ მეფე გიორგი თავის დიდ, ხარის თვალებს გადაატრიალებდა, სიცილიც ჩაქრებოდა. მთელი დიდი შუშა ბაქმაზი გამოუგზავნეს ქსენიას მეორე დღესვე...

არა, არა, პირადმა გრძნობებმა არ შეიძლება დაჩრდილოს ქვეყნის ინტერესები... არც ერთი წუთით, ოდნავაც კი არა! აგეერ, ისმის უკვე ცხენების ფრუტუნი, ოფიცერთა ოცეული მის გამობრძანებას ელის... ამ რამდენიმე საათში მტკვარსაც დაუხევია, მარცხენა სანაპიროზე აყვავებული ხეები ძირიანადვე ჩანან... აქაიქ მეთევზეებიც გამოსულან ანკესებით... გაბრწყინებულია ირგვლივ ყველაფერი, მეტეხსაც მზე მისდგომია, განათებულია კლდეები, შუქს გამოსცემენ თითქოს...

ოფიცერთა მისალმებისა და ცხენზე შეჯდომის შემდეგ ძალა და მხნეობა შეემატა, უძილო ღამიდან გამოყოლილი განწყობილება სრულიად გაეფანტა და ფიქრების ბურიც მოსცილდა, ახლა, სასახლისკენ ჩორთით მიმავალს, ერთი აზრი უტრიალებდა თავში, დათქმული დროისთვის არ გადაეცდინათ და ზუსტად რვაზე გამგზავრებულიყვნენ... მტკვრის პირას რომ ჩავიდნენ და მეტეხს გასცდნენ, თავი მიაბრუნა და უნებურად ახედა დარეჯანის სასახლეს... ის ბობოქარი და დაუცხრომელი დედოფალი, სანამ აქ ბრძანდებოდა, ლაზარევი აქეთკენ გავლა-გამოვლისას, ამ ე. წ. სასახლეს რომ ახედავდა, ასე ეგონა კედლებიც კი თრთოდა და ცახცახებდა... ახლა კი ჩამკვდარი იყო ყველაფერი... ჯერჯერობით მაინც აღარავინ იყო სასახლეში და ლაზარევს ძალიან უნდოდა რამდენიმე ოფიცრისთვის გაეპიროვნებინათ ეს შენობა... ისინი კი უკვე ჩასულებიც იქნებიან პეტერბურგშიო, სიამოვნებით გაიფიქრა. სიონთან შეაჩერეს ცხენები, ლაზარევი ჩამოხდა ცხენიდან, თავი დახარა და პირჯვარი გადაიწერა, აქ ხომ თავისი დაუვიწყარი ქსიუშა განისვენებდა. ოფიცრებმაც მიბაძეს გენერალს, აქედან აღარც ღირდა ცხენებზე შეჯდომა, ორ ნაბიჯზე იყო მეფის სასახლე. ყაზახთა ასეულის

უფროსი დიდ ალაყაფთან შემოეგება გენერალს, მოახსენა, რომ გასამგზავრებლად ყველაფერი უკვე მზად იყო, დიდი, გადაჩარდახებული სამგზავრო ეტლები მომზადებული, მაფრაშებით დატვირთული ურმები გაწყობილი, გამცილებელთა ცხენები შეკაზმული...

გალავანთან ყაზახები იყვნენ ჩამწკრივებული... ახლა უკვე მისი მაღალკეთილშობილების ბრძანებას ელიან და წამსვლელთა სამგზავრო დაბინავებას და გაცილებასო. ყაზახებმა ალაყაფის კარი გააღეს. ეზოშიც ყაზახები ირეოდნენ. საურმე გზის პირას უზარმაზარი ნუში ყვაოდა, მეორე მხარეს კი ვაშლები იყო გადაპენტილი, კიბესთან შორიახლოს კი მორჩილი, კოხტად მოყვანილი ატამი ვარდისფერი თაიგულივით იყო გადაშლილი... აივანზე ვიღაცები მიდი-მოდიოდნენ, დარჩენილი ფუთები კიბეზე ჩამოჰქონდათ... ისინი კი არსად ჩანდნენ. სადაც არის რვაც შესრულებოდა, სად იყო დედოფალი, სად იყო მარიამი ან ბატონიშვილები რატომ არსად ჩანდნენ?! გენერალმა ჩქარი ნაბიჯით აიარა რამდენიმე საფეხური, მსახურები გამოეგებნენ, უკანაც ადიუტანტი და ოფიცრები მიჰყვნენ. მობრძანდით დარბაზში და დედოფალიც ახლავ გეახლებათო, და გენერალს დარბაზში შეუძღვნენ. გენერალმა დარბაზში არავინ შეიყოლა, თქვენ აქვე, აივანზე იყავითო. მერე ადიუტანტიც და ოფიცრებიც თავში იცემდნენ, ნეტავ შესაძლებელი ყოფილიყო არ დავმორჩილებოდით გენერლის სიტყვას და დარბაზში შევყოლოდითო. მაგრამ მეტად ფიცხი ხასიათის იყო და არაფრით არ შეგვეძლო მისი სურვილის წინააღმდეგ წასვლაო, და საერთოდ, ვინ მოიფიქრებდა, ეს ყველაფერი რით დასრულდებოდაო. გენერალმა კი, შედგა თუ არა ფეხი დარბაზში და თვალი მოავლო იქაურობას, ერთდროულად სიამეც იგრძნო და თითქოს უხერხულობაც, თუ რაღაც უცნაური გულდაწყვეტაც... დარბაზი დაცარიელებული იყო, თითქმის აღარაფერი დაეტოვებინათ, იატაკიდან ფარდაგები და საფენები აეკეცათ, კედლებიდან სურათები ჩამოეხსნათ. დარბაზის შორეული კუთხე მოფენილი რომ ჰქონდათ ძვირფასი ხატებით, ახლა აღარც ერთი აღარ ჩანდა, დიდი ვერცხლის სასანთლეები, თახჩებში ვერცხლის ჭურჭელი, სურები და ლარნაკები, მოსევადებული და მომინაქრებული, აქ ყოფნის დროს გენერალი სიამოვნებით რომ შეათვალიერებდა ხოლმე, აღარაფერი აღარ იყო, ყველაფერი აელაგებინათ... უბადრუკი დასანახი იყო აქაურობა. იავრქმნილისა და გაძარცულის შთაბეჭდილებას ტოვებდა... მაგრამ გენერალს უხერხულობასთან ერთად ეამა კიდეც, წუხანდელი საშინელი სიზმრისა და უძილობის შემდეგ მაინც ღელავდა, ეჭვიც იპყრობდა, იმის ბრალიც იყო, სულ მცირე ხნის შემდეგ დედოფალი თუშეთში რომ აპირებდა გაქცევას, ახლაც რაიმემ არ დააბრკოლოს ამათი აქედან მშვიდობიანად წასვლაო. და ახლა, ამ გაპარტახებული დარბაზის დანახვაზე, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ აი, სადაცაა წავიდოდნენ და საბოლოოდ დატოვებდნენ აქაურობას.

დარბაზის ბოლოს კარი გაიღო და დედოფალი გამოვიდა, და ლაზარევისკენ გამოემართა. ლამაზი იყო... ძალიანაც ლამაზი... კარგადაც ეცვა, ძალიან მუქი, იისფერი ხავერდის კაბა, თავზე, მაღალ ჩიხტაზე ნაცრისფერი, გამჭირვალე თავსაბურავი ეხვია, გულზე კი ძვირფასი თვლებით შემკული ჯვარი ეკიდა. წარბები ჰქონდა საოცრად მორკალული და მშვენიერი, დიდი, მუქი თვალები მიეპყრო ლაზარევისთვის და თავს უკრავდა. ასეთია სილამაზეო, გაიფიქრა ლაზარევმა, ათასჯერ რომ გყავდეს ნანახი, ყოველ ჯერზე ახლიდან განიცდი, თითქოს პირველად დაგენახოსო. „დილა მშვიდობისა, დედოფალო," — თქვა ლაზარევმა, ერთი წამით შეყოვნდა და: „სადაცაა რვა შესრულდება, დედოფალო, იმედია მზად ხართ გასამგზავრებლად..." დედოფალმა ოდნავ დახარა თავი: „ღენერალო, მინდოდა მეთხოვა ცოტაოდენი დრო კიდევ მოგეცათ, შვილებს წვრილებს სძინავთ..." „როგორ, დედოფალო!" — უკმაყოფილოდ წარმოთქვა გენერალმა, — „ყველაფერი მზად არის უკვე, თქვენი მოგზაურობის ცხრილი შედგენილია, მთლიანად გაანგარიშებულია სად, როდის, რამდენი ხნით უნდა შეჩერდეთ, ჩვენ ვერ დავარღვევთ სამოგზაურო განრიგს!" „ორი-სამი საათი განა რას სცვლის, ღენერალო?!" და დედოფალმა თავისი მშვენიერი თვალები გენერალს მიაპყრო.

„რას ქვია ორი-სამი საათი, დედოფალო, ალყა განა რამდენი ხანი შეიძლება ჰქონდეს დარტყმული სასახლეს, ყაზახებს ბევრად მნიშვნელოვანი საქმეებიცა აქვთ, ვიდრე თქვენი დარაჯობაა დღე და ღამე."

„მე ეს თქვენთვის არ მითხოვია, ღენერალო."

„თქვენ თავს დააბრალეთ, დედოფალო, თუშეთში რომ აპირებდით გაქცევას! ახლა კი ათასჯერ იყავით გაფრთხილებული, რომ რვა საათზე უნდა გასულიყავით, და იცოდით კიდეც... ხომ იცოდით?"— გენერალს ხმაში სიმკაცრე შეეპარა.

„რა თქმა უნდა, ვიცოდი... სამწუხაროდ, ვიცოდი... მაგრამ ორი-სამი საათი განა რას შესცვლის, ჩვენ ხომ... სულ ვტოვებთ ჩვენს

ქვეყანას...“ —დედოფალს ხმა გაებზარა, — „მკვდარს თუ ჩამომასვენებენ და... ღმერთი გვიყურებს მაღლიდან, ღენერალო.“ „ღმერთი მაშინაც გვიყურებდა მაღლიდან, დედოფალო, თქვენმა მეუღლემ, მეფე გიორგიმ სიკვდილის წინ რომ მიხმო და რუსთ ხელმწიფეს ჩააბარა თქვენი თავი და თქვენი ქვეყანა... და მაშინაც, თქვენ რომ ლამის ფეხებში ჩამივარდით, არავითარ შემთხვევაში დავითი არ უნდა გამეფდესო...“ „და თქვენც კი როგორ გსურდათ დავითის გამეფება, არაა?!“— ჩაურთო დედოფალმა. „თქვენ რა გსურდათ, ამაზეა ლაპარაკი, დედოფალო,— ხმაში მოუთმენლობა დაეტყო ლაზარევს, — და იულონმა რომ მომწერა წერილი და მთხოვდა მეფედ გამომაცხადეთო, თქვენ ხელებს ასავსავებდით ამის გაგონებაზე და თქვენი ცოცხალი თავით არც იულონი გნებავდათ მეფედ, და დარეჯანი ხომ გძულდათ და გძულდათ!! რომ იცოდეთ, სიძულვილმა დაამხო თქვენი სამეფო სახლი, დედოფალო!!“ — შესძახა გენერალმა. „და თქვენმა სიყვარულმა ჩვენს მიმართ!“ დედოფალს თითქოს ბალღამი ჩაასხეს თვალებშიო, ისეთი სიძულვილით უყურებდა ლაზარევს.

„დიახაც ჩვენმა ზრუნვამ თქვენი პატარა ქვეყნის მიმართ! თქვენ კი, ალბათ, თორმეტი წლის ილია გნებავდათ მეფედ დაგვესვა? ან შვიდი წლის ოქროპირი? და მერე მათთვის აკვანი გვერწია? ან მამათქვენი, ბატონი ხათა გიორგიი?!“

„ოო, ღმერთო ჩემო...“ — აღმოხდა დედოფალს, —“რისხვა დაატყდა ჩვენს ოჯახს... და რატომ... რატომ...“ „ოო, დედოფალო, ამ რისხვაში ხომ თქვენი მონაწილეობა არც თუ უმნიშვნელოა...“— თითქოს შეეცოდა დედოფალიო, უცებ ისე დაურბილდა ხმა ლაზარევს — ამ არეულობაში ხომ თქვენი, მამათქვენის, თქვენი ახლობლების ხელი ურევია და როდემდე, გეკითხებით, როდემდე... თქვენ არ დაწყნარდებით და მუდმივი არეულობისთვის გასწირავდით თქვენს ქვეყანას და თქვენს ხალხს, და რა იქნებოდა ცოტა მაინც გეფიქრათ თქვენს საცოდავ ხალხზე... თქვენს აკლებულ ქვეყანაზე...“

„დიდად გულმოწყალე ბრძანდებით, ღენერალო, ალბათ, მადლობა უნდა მოგახსენოთ, რომ მომიწოდებთ ჩემი ხალხისა და ჩემი ქვეყნის შებრალებას...“

„დედოფალო... დედოფალო... რამდენადაც მევალება, იმდენად ვარ გულმოწყალე, ახლა კი მევალება, რომ თქვენ აქედან სასწრაფოდ წაბრძანდეთ! ხომ იცით, პეტერბურგში ჩვენი დიდი დედოფალი შემოგეგებებათ, და არც ერთი მეჯლისი, არც ერთი წვეულება უთქვენოდ არ იქნება, თქვენ სასურველი წევრი გახდებით რუსეთის სამეფო კარისა და რუსეთის მაღალი საზოგადოებისა, ეს ხომ საამაყოა, დედოფალო, თქვენ კიდევ თუშეთში აპირებდით გაქცევას!!“ „მერჩია! მერჩია!“— და დედოფალმა გეგონებათ გულიც ამოატანა ამ სიტყვებსო,— ჩემი შვილების მზემ, მერჩია მთაზე დავეკიდე შიშველ-ტიტველი, იქ გადახვეწას! მერჩია!“ - დედოფალს ხმა უკანკალებდა.

„და მე რა მერჩია, ერთი მითხარით!“ შესძახა მოუთმენლად ლაზარევმა,— იქნებ არ მერჩია ჩემს ქვეყანაში ყოფნა!? ეტყობა ფიქრობთ, ჩემი საოცნებო მიზანი ამ ქალაქში ცხოვრება იყო, ამ ნანგრევებსა და ქოხმახებში! ამ გაუვალ ტალახში! ამ შუღლსა და ინტრიგებში! ჩვენ ორივე, ჩვენ ორივე! მოვალეობას და შექმნილ მდგომარეობას უნდა დავემორჩილოთ! გესმით, დედოფალო? როგორც მე, ისევე თქვენ! ასე ინება ისტორიამ და ჩვენ ვერაფერს შევცვლით! ეს უნდა შეიგნოთ! ჩვენ არაფერი არ ძალგვიძს!“

„მაგრამ ის ხომ ძალგიძთ, ორი სამი საათით გადასწიოთ ჩვენი გამგზავრება, ოქროპირი ვერ იტანს გაღვიძებას, დიდი ხანი არ არის ბატონები გადაიტანა და ცოდოა, გამოიძინოს მაინც... თქვენ წაბრძანდით, ღენერალო, ამასობაში გაიღვიძებენ, მოვამზადებ, დავაპურებ კიდეც გზის წინ... რა იქნება...“

„დედოფალო! დიდი დრო ექნებათ გზაში გამოსაძინებლადაც, საჭმელადაც, და რამდენიც უნდათ იმდენი იძინონ! ვეღარ დავყოვნდებით, ვერა! აი, სადაცაა შესრულდება კიდეც რვა საათი, ზუსტად დათქმულ დროს უნდა გავიდეთ!“

დედოფალი კი გაუნძრევლად იდგა და თავისი უზარმაზარი თვალებით შეჰყურებდა გენერალს, ხმას აღარ იღებდა, მდუმარედ შეჰყურებდა.

და უცებ საეჭვო ფიქრმა გაჰკრა ლაზარევს: იქ კი არიან ბავშვები? მართლა სძინავთ? მაინცდამაინც ყველას ერთად? ვინ იცის გააპარა, უნდა გადამალოს და განგებ ეუბნება სძინავთო... კვნესით და ოხვრით თავს აბრალებს, ორ-სამ საათს სთხოვს დაყოვნებას და ვინ იცის, თვალთმაქცობს და აქედან უნდა გაიტყუოს... რა ოინია სასახლის ქვეშ გვირაბი ჰქონდეთ გათხრილი, საიდუმლო გვირაბი... და ყველანი უნდა გაიპარონ... ტყუის, ტყუის, არაფერიც არ სძინავთ! ბავშვები გააპარა და ეხლა თვითონაც უნდა გაიპაროს! აქაოდა ქსენიასთან მეგობრობდნენ და კარგად ექცეოდნენ, ჰგონია თვალებს დავხუჭავ? საქმეს უღალატებს? საქვეყნო საქმეს?!“ — და გენერალმა მთელი ხმით და-

იგრგვინა: — ტყუით! არაფერიც არ სძინავთ! ეხლავე შევამოწმებ როგორ სძინავთ და მე თვითონ გავაღვიძებ თუ სძინავთ!!"— და გენერალი დარბაზის ბოლოსკენ წავიდა გაჩქარებული.

დედოფალი გაიქცა, გზაზე გადაუდგა შეძახილით: „არ შეაშინოთ! ისეც შეშინებულები არიან! ისეც დათრგუნულები არიან!"

გენერალმა გვერდი აუქცია დედოფალს და გამძვინვარებული გაემართა კარისკენ. დედოფალი გამოეკიდა, ხელები გაშალა და კვლავ გადაეღობა: „არ შეხვიდეთ! არ გააღვიძოთ! მე შევალ! მე შევალ—მეთქი!"— კიდევ უფრო გადიდებული, ლამის საცრისოდენა თვალებიდან მრისხანებას აფრქვევდა. „გამატარეთ-მეთქი, ჩამომეცალეთ!!" — შეჰყვირა გენერალმა და გამეტებით ხელი ჰკრა მარიამს.

დედოფალი დაბარბაცდა, შეტორტმანდა, უკან გადაქანდა და „ვაის" დაძახებით კარის გვერდით კედლის ნაპირს მიაწყდა. და სწორედ ამ დროს გაიღო კარი და გენერლის წინ კაცი აისვეტა, ეს ის კაცი იყო, სიზმრის კაცი, სიზმარში რომ ნახა, კუბოსკენ რომ უბიძგებდა! გენერალი, გაოგნებული ერთ წამს შედგა და სწორედ ამან გადაწყვიტა მისი ბედი, კაცმა უსწრაფესად იძრო ხანჯალი, მთელი ძალით მუცელში ატაკა გენერალს, დაუტრიალა, გამოაძრო და ისევ ჩასცა. გენერალმა ტკივილისაგან საზარლად დაიღრიალა. დედოფალმა გასისხლიანებული ხანჯალი ხელიდან გამოგლიჯა კაცს, და ეს კაცი როგორც გაჩნდა, ისევე გაქრა. დარბაზში კი მაშინვე შემოცვივდნენ ადიუტანტი, ოფიცრები, ყაზახები, მათ „კვარტალნი" მოჰყვა. გენერალი წაიქცა.

„ეს მე ჩავიდინე, მე!"— დაიძახა დედოფალმა.

„კვარტალნიმ" ხანჯალი იძრო, რომ დედოფალზე შური ეძია, მაგრამ აუკრეს და მხოლოდ მკლავში დაჭრა. უცებ ხელბორკილიც გაჩნდა, დედოფალს დაუბორკეს ხელები და გაიყვანეს. „ვაიმე, ჩემი შვილები, ჩემი შვილები..." ოხრავდა დედოფალი.

ამასობაში კი ყველა ცდილობდა გენერლისთვის ეშველა, როგორც იყო, წამოაყენეს, ტახტზე დააწვინეს, სასწრაფოდ დასტაქრისკენ აფრინეს კაცი. მაგრამ გენერალმა ადგომა მოისურვა, წამოიწია, და რომ ააყენეს, ხელები გაყარა, თავი დამანებეთო, არ მომეკაროთო, საზარელ ტკივილთან ერთად მრისხანება ჩასვლოდა გულ-გვამში, გმინვით და ბარბაცით კარისკენ წავიდა, და ამ ტკივილზე მეტად დაბლა სისველე აღონებდა, სისხლი თქაფუნით რომ მოედინებოდა, პანტალონებს უვსებდა, ჩექმებში ჩასდიოდა, იატაკზეც მეწამულ კვალს სტოვებდა... ტორტმანითა და ბარბაცით, ძლივსძლიობით მიაბიჯებდა აივანზე, ხელებით იშორებდა ყველას, არ მომეშველოთო, და ტკივილის მიუხედავად, კბილებგაჭერილი, ჩუმად ზმუოდა... ასევე ვაივაგლახობით ჩამოათავა კიბეები, ჩამოვიდა სასახლის ეზოში და უკვე ამღვრეული თვალები მიაპყრო მის წინ, შორიახლოს აყვავებულ, აფეთქებულ ატამს, მერე გაღმა მტკვარს გახედა და თითქოს განგებო, სწორედ ამ დროს, მეთევზემ ანკესს აჰკრა და ასხმარტალებულმა თევზმა ვერცხლისფრად გაიელვა ჰაერში... „მეც ვკვდებიო..." წამიერად გაიფიქრა, როგორც იყო მიბობღდა პატარა, ტანმორჩილ აყვავებულ ატმის ხესთან, ჩაიკეცა, ზროს მოეჭიდა, ხელები შემოხვია და უკანასკნელად ესღა ამოილუღლუღა: „ჩემო გოგო... ეს ყოფილა ჩვენი ბედი... ამ უცხო მხარეში... უნდა... ამოგვსვლოდა... სული..." და მართლაც განუტევა სული.

ნიკომ ღრმად ამოიოხრა... ლამის გულიც ამოატანა, წვრილად ნაწერი თაბახები წამოკრიფა, საქაღალდეში ჩააწყო და სულის მოსათქმელად სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. არა! და არა! საბჭოთა ცენზურისთვის მიუღებელი იქნებოდა, შეუძლებელია შვილის ზრუნვითა და ფიქრით მოცული ნიკოსთვის მისაღები და მოსაწონი ყოფილიყო... რაზეც საბჭოთა ვითომ კრიტიკოსები, ჯაბანი დედალმაშოები და ცოცხალ სიტყვასთან საბრძოლველად მარად მზადმყოფი სატელიტები, გაფაციცებით მიყურადებული „პარტიის ანუ კულტურასთან შორს მდგომი, ტლანქი და უხეში ადამიანების მიერ შეთითხნილ იდეოლოგიურ დადგენილებებს, ნიადაგ მიყურადებული მათრახებისა და წიხლების ექოს, არადა მათ დაბრაწული ნაზუქი ერჩიათ, იმისი არ იყოს, დონ ბაზილიომ ძვირფასი ბეჭედი რომ არჩია გრაფ ალმავივას ხმლიან მუქარას... ჰოდა, რაზეც აი, ეს კრიტიკოსები ხელებს გაასავსავებდნენ, ქვა და გუნდას მიაყრიდნენ ნიკოს ერთადერთ შვილს, ჯვარზე გააკრავდნენ და იქნებ ქვეყნიდან განდევნაში ხელიც შეეწყოთ, განა შეიძლება მამისთვის მისაღები და სასიკეთო ყოფილიყო!? თავის შვილზე მლოცველი მამისთვის?! და თუმცა მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ თიკოს ეს რაღაც ნაწერები დღის სინათლეს ვერასოდეს ვერ იხილავდა, არა, არა, სამწუხაროდ და სავალალოდ, არასოდეს საბჭოთა სისტემა არ დაინგრეოდა, ყოველ შემთხვევაში, ეს სანუკვარი რამ თუ მოხდებოდა, მაშინ მათი ძვლებიც აღარ იქნებოდა, — თიკოს შეჩვენებისა და ლანძღვა — გინების უბრალო წარმოდგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაც კი დაუცხრომელ ნიკოს აუგემურებდეა და აშფოთებდა. თანაც, ღმერთო დიდებულო, ერთი ხელის მოსმით ხომ არ შეიძლება რაიმე შექმნა, ერთი ხელის მოსმით ხომ ვერაფერს დაწერ, გარდა განცხადებისა, თუმცა იქნებ უბრალო განცხადებაც კი ვერ დაწერო უცებ და ერთბაშად... ჰოდა, ძილი გაიკრთო, მოთმინებით აღიჭურვო, წერო და წერო მუყაითად ისეთი რამ, რითაც საკუთარი ხელით ორმოს გაითხრი, რის გამოც ლარივით აწყობილ ცხოვრებას გაიმრუდებ, სიცოცხლეს ჩაიშხამებ და შენიანებსაც ჩააშხამებ, ეს განა სასიხარულო შეიძლება იყოს მშობლისთვის? და თუ გინდა წერო და წერო მთელი სიცოცხლე, უჯრაში ინახო და ვერასოდეს ვერაფერს ვერ მოესწრო, ესეც რა არის? რა პერსპექტივაა ახალგაზრდა, გასათხოვარი ქალისთვის, ვისი უპირველესი მოვალეობა დედობაა, ოჯახის შექმნაა!? ჩვენს ქვეყანას ღირსეული მოქალაქეები გაუზარდოს, ქართველს ქართველი შემატოს, ჩვენი პატარა ქვეყანა ამრავლოს! ეს უფრო მნიშვნელოვანია, თუ, პაპის ინდექსში შესატანი თხზულების წერა?! ამასწინათ მარიკოსაც რომ ეკამათებოდა და პასტერნაკი მოიგონა, სულ ახსოვს, სულ, როგორ ჩააშეშეს, როგორ ამოხადეს სული, და რისთვის? დიმამ ხომ ჩამოიტანა ჯერ კიდევ მაშინ „დოქტორ ჟივაგო“, და განა რა იყო იქ ისეთი, მთელ ქვეყანაზე თავის მოსაჭრელად ზარბაზნები რომ აქუხეს. თან ის ბრწყინვალე ლექსები... დიმამ სულ ზეპირად იცოდა და დილით, სტადიონზე სიარულის დროს გამუდმებით უკითხავდა პოეზიისა და ლიტერატურის მოყვარულ თავის ბიძაშვილს. ასეთი სულელები რომ ყოფილიყვნენ რუსი მეფეები, კაცმა არ იცის რამდენს დაკარგავდა დიდი რუსული ლიტერატურა, კაცმა არ იცის?! ჰოდა, მისი საყვარელი თიკო ვინ არის და საიდან კნავის? ვინ არის და შარშან, სინიავსკისა და დანიელის ამბების შემდეგ, გასამათრახებელი წერილი მისწერა გრიბაჩოვს, მხოლოდ თავისი სახელი და გვარი არ მოაწერინა ნიკომ, რა საჭიროა, შენ ხომ ცნობილი ვინმე არა ხარ და რაკი არ დაგიშლია, შენი გვარით ნუ გამოჭენდები და წერილსაც ჩვენს საფოსტო ყუთში ნუ ჩააგდებ, დიმას გაატანე, მოსკოვიდანვე გაგზავნოსო. ამაზე კი ვერ დაითანხმა, დაე, საქართველოდანაც გაისმას პროტესტის ხმაო, სწორედაც ბეჭედს საქართველო უნდა ეწეროსო და გააგზავნა... კარგად კი ჰქონდა დაწერილი, როგორ არცხვენდა, ბნელეთის მოციქულს უწოდებდა, ძაღლთან აბამდა... ბოლოს კი ასე ამთავრებდა: „Засуньте ваши бездарные поэмы „Колхоз“, „Большевик“ и „Весна в победе“ в одно место и радуитесь своему лизоблюдству.“ ენაცვალოს მამა, რა აღშფოთებული და თან ამაყი იყო, მეც ფეხი გამოვყავიო, ის კი არ იცოდა, ნიკომ ფოსტალიონს რომ ამოაღებინა ყუთიდან ის წერილი, დახია და გადაყარა... აბა, მაშ, როგორ, იმას დაუშვებდა, თიკოს თავიდან ბეწვი ჩამოვარდნოდა!? ერთიც ვნახოთ და გაეგოთ, გამოეკვლიათ ვინ დაწერა ის საპროტესტო წერილი!? გაუჭირდებათ გაგება თუ რა?! მიწაში ჩაჰყვებიან, მტრად თუ ვინმე დასახეს! გამოცდილია ნიკო, გამოცდილი, საკუთარ ტყავზე აქვს ნამწვნევი, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან, წარამარა რომ იბარებდნენ პირველ განყოფილებაში და თანამშრომლობას სთხოვდნენ... მერე ჯგუფელები ერთმანეთს გამოუტყდნენ, რომ თურმე ყველას იბარებდნენ. ნიკო კი ვერასოდეს ვერ დაითანხმეს, მაგრამ სულ იმას ფიქრობდა, ვინ იცის, ჩვენს ჯგუფში ვინმე კიდევაც თანამშრომლობს და ამხანაგებს აბეზღებსო. დასმენის ეს უნივერსალური სისტემა, დესპოტიის სულისჩამდგმელი და ყოველგვარი უზნეობით ნაპატივები, ხელიხელჩაბმული ტერორთან და დაშინებასთან, ეზიზღებოდა ნიკოს, მთელი თავისი არსებითეზიზღებოდა, და ეს ზიზღი ისეთი აღშფოთებითა და რისხვით ავსებდა, საყოველთაო შიშსაც კი უქარწყლებდა და სრულიად დაუშვებლად მიაჩნდა იმ შერისხულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა. არადა, თუმცა 37 წლის დიდ ტერორს, რომელსაც კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, თავისი ულმობელი მასშტაბებით ვერცერთი ტერორი ვერ შეედრებოდა ოსვენციმ — ბუხენვალდის ჩათვლით, და რომელმაც ნიკოს მრავალი ნაცნობ — მეგობარი და ნათესავი შეიწირა, თვითონ ნიკო გადაურჩა, და ამას უმადლოდა ხანგრძლივ კვალიფიკაციას ლენინგრადში, გეგონებათ ამ გადარჩენის სანაცვლოდო, განსაკუთრებით ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ, წარამარა იბარებდნენ, სადაც ჯერ არს და თანამშრომლობისკენ ხან მოუწოდებდნენ, ხან არწმუნებდნენ, ხან სთხოვდნენ, ზოგჯერ ემუქრებოდნენ კიდეც, მაგრამ ნიკოს ძვრა ვერ უყვეს, ჩემს პროფესიას არავითარი კავშირი პოლიტიკასთან არა აქვსო, მე მევალება მტერსაც ისევე ვუშველო, როგორც მოყვარესო, ყოველგვარი პარტიულობის მიუხედავადო და რასაც ერთი ხელით ვაკეთებ, მეორე ხელით იმას ხაზს ვერ გადავუსვამო, აი, ასე, ბედავდა და წარბშეუხრელად ერთსა და იმავეს ეუბნებოდა... ომის დროს კი, თუშები რომ „გავიდნენ“, მათი თავკაცი ადამა ბობღიაშვილი ნიკოსთან მეგობრობდა და საწყალ ნიკოს ლამის სული ამოხადეს დაკითხვებით:

საქართველოს პარლამენტის

კიდევ ვინ იყვნენ თუშების მომხრეებიო, თქვენ გეცოდინებათ და გინდა თუ არა უნდა დაასახელოთო. კიდევ კარგი, თუშების საქმეზე შინსახკომის გენერალი იყო ჩამოსული, რომელსაც ნიკოს ბედად, სადინარში დიდი კენჭი ჩაეჭედა და გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებდა. კაცი იხუთებოდა და დათანხმდა, სანამ თბილისიდან ჩამოვლენ, იქნებ სულიც გამძვრესო და ნიკომ გაუკეთა ოპერაცია, შედეგიც კარგი ჰქონდა და გენერალმა რომ მოიხედა და ნიკოს უთხრა, თქვენს ვალში ვარო, ნიკომ გულმხურვალედ თავისი ამბავი უამბო, ასე და ასეო, სულ ტყუილუბრალოდ გამიჭირეს საქმე, ამ შვიდი წლის წინ, ადამამ მთათუშეთში რომ წამიყვანა, მას შემდეგ არც ადამა მინახავს, არც მთათუშეთში ვყოფილვარ, მათი „გასვლის" შესახებაც არაფერი არ ვიცოდიო, თორემ შეგიძლიათ გამოიკვლიოთ და დარწმუნდეთო. ის იყო და ისა, ნიკო იმ დაწესებულებაში აღარ გამოუძახიათ. მაგრამ ნიკოსაც, როგორც მრავალ პატიოსან საბჭოთა ადამიანს, დროდადრო ეჭვი უღრღნიდა ხოლმე გულს: მართალია, ამ გულის გამაწვრილებელ და შემაწუხებელ შემოტევებს გავუძელი, ოღონდ, რომ ვეწამებინე, იმ ქანჩებსა და მარწუხებს, იმ წიხლებსა და ბოთლზე დასმას, იმ საზარელ წამებას გავუძლებდი თუ არაო, დავასახელებდი თუ არა უდანაშაულო ადამიანებსო, მოვაწერდი თუ არა ხელს ცილისწამებასა და სისულელეზე აგებულ აბსურდულ ბრალდებებსო, და ბოლოს... დახვრეტის წინ წავხდებოდი, თუ შევინარჩუნებდი ღირსებასო. ეზოს პატარა რკინის კარი გარახუნდა, ეს ნამდვილად მარიკოაო, ავადმყოფები კარს ასე არ არახუნებდნენ, თიკოც ხომ წასული იყო კვეტერაზე და ნიკომ საქაღალდე დააბინავა, უჯრა დაკეტა და ცოლთან შესახვედრად გაემართა. მარიკო კი იდგა ქვევით ეზოში, აყვავებული ჟასმინის დიდ ბუჩქთან, თავაწეული და ყვავილების სურნელს იყნოსავდა. უყვარდა ყვავილები და სილამაზე, ყოველგვარი გამოვლენით, და თვითონაც მეტად სანდომიანი და მიმზიდველი იყო. გახარებულიც ჩანდა, ქვევიდანვე გაუღიმა ნიკოს და აივნისაკენ წამოვიდა. თურმე მოგზაურობის ტრფიალს, მარიკოს, მიზეზიც ჰქონდა გახარებისა, ჯერ ერთი, ბამბის ქსოვილის, წვრილუჯრიანი, ნაცრისფერი კოსტუმი, „სამგზავრო კოსტუმი", როგორც მარიკო ამბობდა, მშვენივრად შეეკერათ ატელიეში, კარგადაც ედგა და შვენოდა კიდეც. პირველ რიგში სწორედაც სადილისთვის გაშლილ სუფრას ყურადღება არ მიაქცია, შეკრულა გახსნა, სარკესთან კოსტუმი ჩაიცვა და ნიკოსა და თინათინს ასე ეჩვენა... მეორე სიხარულიც უშუალოდ საზაფხულო მოგზაურობას ეხებოდა, ტურისტულ ბიუროში უკვე მიეღოთ საგზურები, ენისეიზეც დიკსონამდე და ბაიკალის ტბაზეც... „მაგრამ საქმე ის არის", ამბობდა მღელვარედ მარიკო, „ლელიკო არაფრით ენისეისა და დიკსონს არ დამთანხმდა, „ობი რომ იყოს, არც დავფიქრდებოდიო, საწყალი დეიდაჩემი, როგორც ყოფილი ნაციონალ-დემოკრატი, ოცდარვა წელს, სწორედ ობზე, კუშევატში გადაასახლეს და ძვლებიც იქ ჩაყარაო, და ობზე რომ წავსულიყავით, კუშევატში მწვანე გაჩერება რომც არ ყოფილიყო, იმ ადგილას გემიდან ყვავილებს მოვაბნევდით და სანთლებს დავანთებდითო.... თანაც ენისეის საგზური ცამეტი ივლისიდან არის, ჩემი მოწაფე კი კონსერვატორიის მისაღებ გამოცდაზე ხუთმეტ ივლისს უკრავს და უკანასკნელ დღემდე უნდა ვამეცადინოვო, ამიტომ მოდი, ბაიკალზე წავიდეთო... „ძალიანაც გამიხარდა", განაგრძობდა ხალისიანად მარიკო, „ბაიკალი ხომ უნიკალური ტბაა, ლამის ბავშვობიდან ჩემთვის საოცნებო..." „თან ჭამე, მარიკო, გაგიცივდა ჩიხირთმა,"— ჩაურთო ნიკომ. მოხუცი თინათინი კი უტყვად დასჩერებოდა თავის მათლაფას და გუნებაში თავის რძალს განაქიქებდა: „ასე, ყოველ არდადეგებზე თავაღერილი სიარული ამ სიშორეზე და ჩემი შვილის ნაშრომის წაღმა — უკუღმა ფანტვაც მეტისმეტიაო". „თან რა კარგ დროსაც არის", — განაგრძობდა მარიკო,— „სწორედ, როცა მუზეუმიდან ექსპედიციაში აპირებენ წასვლას, ლელიკოსაც უხარია, შალვა აქ მარტო არ იქნებაო, ჩვენც ოცდაორ ივლისს ირკუტსკში უნდა ვიყოთ, იქიდან იწყება ჩვენი მარშრუტი." „დედა, ძალიან კარგი, ჩვენ მშვენივრად ვიქნებით უამათოდ," ნიკომ დედას ნიგვზის საწებელა გადაუდგა, „მერე კი, აგვისტოში, მეც შალვას ავიყოლიებ, თიკოსაც ჩავჭიდებ ხელს და საითმე გავკრავთ, ალბათ, ზღვისკენ, აბა, მაშ როგორ?!" ვითომ გამოჯავრებით თქვა და მარიკოს ღიმილით გადახედა. „მონაა, მონა ცოლშვილისა", — გუნებაში ჯავრობდა თინათინი, — ასე ფეხქვეშ გაგებაც არ შეიძლება..." და მაშინვე, თავისი განწყობილება რომ გაექარწყლებინა, იკითხა, რაო თიკომ? გვიან დავბრუნდებითო?" „რა თქმა უნდა", თქვა მარიკომ, „სანამ მხატვრები იმუშავებენ, მერე სანამ მწვადებს შეწვავენ და იქეიფებენ, დაბინდებამდე არც უნდა ველოდოთ... ერთ — ერთს თურმე თიკოს დახატვაც სდომებია, იცი, ნიკო? და თუ მოგვეწონება, ვიყიდოთ აუცილებლად, კარგი?! უნდა გითხრა, ნამდვილად კარგი მხატვარია". ნიკოს უცებ ფიქრმა გაუელვა, ნეტავ ეს ბიჭიას მეგობარი ხომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უყვარს თიკოსო, მაგრამ მყისვე უკუაგდო ასეთი ეჭვი, ესენი ერთი თვეა ჩამოვიდნენ და თიკოს შეყვარებულობას მე ზამთრიდან ვამჩნევო, ხან უმიზეზო ტირილსა და ხან წრეს გადასულ აღფრთოვანებასო... ინანა კიდეც, რომ მაშინვე გენერალი ლაზარევის შესახებ კითხვას შეუდგა, დრო დაკარგა... შავბნელი ფიქრებიც აღეძრა... იმის მაგივრად, თიკოს პირადი ჩანაწერის ან ლექსის, ან იმ ვიღაცის წერილის ძებნას შესდგომოდა... და სრულიად შემთხვევით ნიკოს ბედმა გაუღიმა; სადილის შემდეგ თინათინი თავის ოთახში განმარტოვდა, მარიკომ კი მე ჭურჭელს ავალაგებ და აქაურობას მივხედავო, ნიკო თავისი კაბინეტისკენ წავიდა, ავადმყოფების მიღებამდე ცოტას დავისვენებო, რომ ჭიშკრის მხრიდან ეზოს ძაღლის, ჯულბარსის გამწარებული ყეფა მოისმა. მანქანით თუ არსად მიდიოდა, ჭიშკარი სულ დაკეტილი იყო ხოლმე, ბაღის მხრიდან, კუტი კარიდან დადიოდნენ. ნიკო დარბაზიდან პატარა რკინის აივანზე გავიდა და ჭიშკარს გახედა, თათრის ქალი იყო, საწყალი, ბენტერა ქალი, ეზოს ცოცხები დაჰქონდა, ახლაც ცოცხებს გალავნიდან თავი ჰქონდა ამოყოფილი, ნიკო დროდადრო ტყუილუბრალოდ ყიდულობდა ხოლმე ცოცხებს და ისეც ჩუქნიდა ხოლმე ქალს ფულს, ეცოდებოდა. ზოგჯერ შემოიყვანდნენ და პურსაც აჭმევდნენ. „ექიმო, სოსხი აიღე... ეზო დაგავე!"— იძახდა ქალი, ძაღლი კი იყეფებოდა. „გაჩერდი, ჯულბარს!"— დაიძახა ნიკომ, „ცოცხი არ გვინდა, შენ თუ გშია, შემოდი იქიდან, პატარა კარიდან!" მაგრამ თათრის ქალმა ცოცხი გალავნიდან გადმოაგდო და წავიდა. ნიკო ის იყო დარბაზში უნდა შებრუნებულიყო, რომ გაჩერდა, აყვავებული ლიმონის სურნელი შეიყნოსა და ძალზე ესიამოვნა. ამ პატარა რკინის აივანს თიკო იყო დაპატრონებული, ერთი ნაწილი დიდ ლიმონს ეკავა, რომელიც გაზაფხულის დადგომისთანავე თიკოს სწორედაც ამ პატარა აივანზე გამოჰქონდა, იმ დროს როცა უკან უზარმაზარი აივანი ჰქონდათ, და გარდა ლიმონისა, კარგა მოზრდილი, ვარდისფრად აყვავებული ოლეანდრეც იდგა თიხის მუცელგაბერილი ქოთნით, მცირეოდენი ადგილიღა იყო დარჩენილი ჩალის მოწნული სავარძლისთვისა და ვიეტნამური ჭრელი ქეჩისთვის. მაინც რა მშვენიერი მცენარეა ლიმონიო, გაიფიქრა ნიკომ, რა სურნელოვანი, თანაც ერთდროულად რომ ზოგი მწიფს, ზოგი ჰყვავის, ზოგი ჯერ ისევ მწვანეა. უნდოდა კიდეც ერთი დიდი, ყვითელი ლიმონი მოეწყვიტა, მაგრამ გადაიფიქრა, თიკოს როცა ენდომება, მაშინ მოწყვიტოსო. თვითონ კი აქ დარჩენა და აქ დასვენება მოუნდა, ჩალის სავარძელში, ლიმონის ქვეშ. და რომ დაჯდა და ძირს დაიხედა, ქეჩის ნაპირას, იქვე სავარძელთან წიგნი შენიშნა, დაიხარა, პლუტარქეს პარალელური ბიოგრაფიები იყო, იქვე ფანქრებიც ეყარა, ნიკომ წიგნი აიღო და ის იყო უნდა უკან დაედო, ცოტას ჩავთვლემო, რომ წიგნი ოდნავ გაიშალა და ფურცლები გამოჩნდა, თხელი რვეული იყო, თიკოს ნაწერი... ნიკომ მაშინვე გულის ჯიბიდან სათვალე ამოიღო და რვეულის გვერდს ჩახედა: „მეტროდორე დიდის პატივით დაკრძალა ტიგრანმა და იმ კაცის გვამის შესამკობად, რომელიც მან სიცოცხლეში ვერაგულად გასცა, არაფერი არ დაზოგა." აა, ეს პლუტარქედან იყო ამოწერილი, „როგორც ყველა სხეულს არ შეუძლია ბევრი წმინდა ღვინის ატანა, ისე ყველა ადამიანს არ შეუძლია ჭკუა-გონების შენარჩუნება დიდი ბედნიერების ჟამს". „სულა თავის „მოგონებებში" ამბობს, რომ არაფერი არ უნდა ჩათვალოს კაცმა ისეთი ნდობის ღირსად და ისეთ ჭეშმარიტებად, როგორც ის, რაიც სიზმრად გამოგვეცხადება ხოლმეო." კითხულობდა ნიკო და ფიქრობდა, რომ ამ საუკუნეების მანძილზე ადამიანის ფსიქიკა იოტის ოდენადაც არ შეცვლილაო... ნიკომ გადაფურცლა რვეული და ბიჭოს, ლექსი, შუა ფურცელზე ჩამწკრივებული ტაეპები, რომელთა კითხვამ ნიკო ისე ააღელვა, ისე ააღელვა, აღარც ჩათვლემაზე უფიქრია და აღარც დასვენებაზე, აი, ის ლექსიც:

„შენთან მოვედი მშიერი და...
არ დამაპურე!
შენთან მოვედი მწყურვალი და...
არ დამარწყულე!
სარკმელი
კარი
ერდო
ბანი დახშე, დახურე!
სული მომეთქვა შენს ბაღში მსურდა...
ბაღის კარი მომიჯახუნე!
შენ დამამტერე სიხარულს და
ლხენას სულისას შენ დამამდურე!
და მუხლმოდრეკილს,
ხელაპყრობილს,
მღაღადებელს და
მსასოებელს...
შენი წყალობა ცის მანანად
არ დამაპკურე!"

ნიკო ისეთი ჩაციებით კითხულობდა და ისეთი ინტერესით დასჩერებოდა ამ ტაეპებს, აუცილებლად უნდოდა ამოეცნო და ცოცხლად დაენახა ადრესატი, ვისკენაც მიმართული იყო ეს სიტყვები, ვინც ჩააგონებდა აი, ასეთი მათხოვრული ლექსის დაწერას მის

საყვარელ შვილს... ვინ არის ის ოხერ-მუდრეგიო! -შესძახა თავის გულში ნიკომ, ვინც აი, ამისთანა განწყობილებაზე აყენებსო! და თუ პირველ წაკითხვაზე რაღაც კმაყოფილების მსგავსი იგრძნო, ხომ გამართლდა ჩემი ეჭვებიო, ხომ ტყუილუბრალოდ არ ფიქრობდა, რომ თიკო შეყვარებული იყო და მუცლის ტკივილიც, თავის ტკივილიც, უგუნებობაც და თვალზე ცრემლიც სულ ამ გატაცებასთან იყო დაკავშირებული... ჰოო, აი, კიდევ რაში ყოფილა საქმე, რვეულის კიდეზე, წვრილი ასოებით იყო მიწერილი „მტანჯავს, მაწვალებს მე უბინობა...“ როგორც არ უნდა საჩოთირო ყოფილიყო ნიკოსთვის ამის გაგება, მას ერთსა და იმავე დროს გაუხარდა კიდეც და შეწუხდა კიდეც ტრადიციულ მამასა და ძველთაძველი, პატიოსანი ოჯახის შთამომავალს, დაუშვებლად მიაჩნდა თავისი შვილი გაუთხოვრად ვიღაცას მისცემოდა, ეს ხომ ოჯახისთვის თავის მოჭრა იქნებოდა და თვითონ თიკოსაც, ბოლოს-ბოლოს რა ხეირს გამოუყრიდა?! არადა, ის ვიღაც, ეტყობა, ქორწინებაზე სრულებითაც არ ფიქრობდა, თორემ აქამდე ხომ ათასჯერ მოვიდოდა ოჯახში და ნიკოს დაელაპარაკებოდა?! რომელი უწლოვანი იყო მისი შვილი, რომ იმ ვიღაცას უკან დაეხია და დროს დალოდებოდა?! რა იყო ეს, რა, ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი იდიოტი, თიკოზე უარი ეთქვა?! ნიკოს ვერც წარმოედგინა, თიკოს ვინმე მოსწონებოდა და ის ვიღაც კიდევ უფრო არ გადარეულიყო თიკოზე, ნიკოს ყოველმხრივ შემკულ შვილზე... ამიტომ შეწუხებასთან ერთად შეურაცხყოფასაც გრძნობდა, რატომღაც პატარა, მათხოვარ გოგონად წარმოედგინა თიკო, ვიღაცის კარზე მიმდგარი რომ თხოულობს პურსა და წყალს... ანუ სიყვარულს... გული ეკუმშებოდა ნიკოს, ცხოვლად იგრძნო როგორ იტანჯებოდა თიკო, ხორციელად და სულიერად... უნდა ეშველა თავისი შვილისთვის, აუცილებლად, ყოველ მიზეზ გარეშე, ცეცხლს მისცემდა თავს და უშველიდა! შალვა უნდა ამოიყენოს გვერდში, აი, რა. ვის შესტკივა გული შალვასავით. შეერთებული ძალით შეუტიონ... ფიქრებში ჩაძირულ ნიკოს კაბინეტიდან ზარის ხმა მოესმა. ახალგაზრდა ბიჭი იდგა კართან და მღელვარებისაგან ცქმუტავდა: „ექიმო, თქვენი ჭირიმეთ, მამაჩემია ძალიან ცუდად და უნდა გამოგვყვეთ, ქისტაურში, შორს კია, მაგრამ გთხოვთ...“ „რა სჭირს ამისთანა!“ „რა ვიცი, საშინელი ტკივილი აქვს მუცლისა, საშინელი!“ „რატომ არ წამოიყვანეთ მერე!“ „შემეშინდა... თვითონაც არ მოინდომა... გთხოვთ! — მანქანა ქვევით გვიცდის...“ „ჩავიცვამ და ახლავე ჩამოვალ...“ ცოლს კი დაუბარა სასწრაფო შემთხვევაა, ქისტაურში უნდა წავიდე და ავადმყოფებს უთხარი დღეს მიღება არ მექნებაო. და წავიდა, შემთხვევა მართლაც სასწრაფო იყო, ნაწლავების გადახლართვა ჰქონდა ხნიერ კაცს, ის სასწრაფოდ გადმოიყვანეს, ნიკოს გადაუდებელი ოპერაციის გაკეთება მოუხდა, გადაარჩინა საწყალი კაცი პერიტონიტსა და სიკვდილს; და დაღლილ-დაწყვეტილი შინ რომ დაბრუნდა, უკვე ყველას ეძინა. მაგიდაზე ბისკვიტი და თერმოსით ცხელი რძე დახვდა. ფრთხილი ძილი ჰქონდა თინათინს და შვილის ფეხის ხმაზე მაშინვე წამოდგა, გამოვიდა და მაგიდასთან ჩამოუჯდა. „რა არის გენაცვალოს დედა, ამდენი მუშაობის შემდეგ ასე რომ ციცქნები, რა მაწივრობა აქვს მაგ ბისკვიტს, ივახშმე ხეირიანად...“ ნიკოს გაეცინა: „მარიკო ვერ იტანს ღიპიან კაცებს, დედა...“ „ოჰ, ჩვენს ოჯახში არავინ ყოფილა ღიპიანი და უშნო.“ „შენ ის მითხარი, თიკო როგორ დაბრუნდა? კმაყოფილი იყო? კარგი დრო გავატარეთო?“ „ერთი წუთით ვნახე, მაშინვე სადღაც გაიქცა...“ „და გვიან დაბრუნდა?“

თურმე გვიან დაბრუნდა. და ზოგჯერ რომ არის ხოლმე აღფრთოვანებული და ატაცებული აი, ისე იყოვო, შემომეხვია, ლოყები დამიკოცნა და ბები, რა ბედნიერებაა სიცოცხლე, არაოო?! ნიკო მოიღუშა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს აღტაცებაც იმ ვიღაცის გამოისობით იყო, ვისაც ლექსში პურსა და წყალს სთხოვდა... დაღლილობის დროს ისედაც უკრთებოდა ძილი, ახლა მით უმეტეს ვერა და ვერ დაიძინა. რა თქმა უნდა, ის ვიღაც იდიოტი იყო, და სრულიად შეუფერებელი თიკოსთვისა და მათი ოჯახისთვის. ასე რომ არ ყოფილიყო, განა პირველი თვითონ თიკო არ იტყოდა?! სხვა დროს როდის დაუმალავს თავისი გატაცებები, რომ ახლა დაემალა?! ნორილსკში უნდოდა წასვლა, იმ ვიღაც მუდრეგთან! ყოველთვის ყველაფერს თვითონ თიკოსგან გებულობდნენ და რა იყო ეს?! ასე გასაიდუმლოება, რომ მარიკოსთვისაც კი არაფერი უთქვამს?! ახლა მაგას რა ემჯობინებოდა, თუ მოხდებოდა ისე სანიმუშოდ და თიკოს ვინმე ღირსეულიც შეხვდებოდა და შეუყვარდებოდა კიდეც, მაგრამ ნიკოს ასეთი ბედნიერი შემთხვევის არ სჯეროდა უმთავრესად თიკოს ხასიათისა და არაპრაქტიკულობის გამო... თორემ აგერ ოთარი, აგერ, შარშან რომ იყო, ვაჟა, როგორ მოწადინებული, როგორი თავგადაკლული მსურველი თიკოსთან ოჯახის შექმნისა! და ელიბო? ელიბო? ამოვა ბაკურციხიდან და სულ იმას სთხოვს და ემუდარება: მოდი, ჩვენი შვილები შევახვედროთ ერთმანეთს და გავაბედნიეროთო. კიდევ სხვე-

ბიც! ვინ აღარ! არა და არა! და რაც ნიკომ იცოდა თიკოსი, ბავშვობიდან მოყოლებული, მერე ჟერარ ფილიპიდან მოყოლებული, არავითარ ნდობას ეს ცოდნა და გამოცდილება არ აღუძრავდა, პირიქით, განუმტკიცებდა რწმენას, რომ სიყვარულით თიკოს ცხოვრება ვერ მოწესრიგდებოდა, ვერა, განუმტკიცებდა გადაწყვეტილებას, რომ ჩარევის გარეშე, თანაც აქტიური, გადაუდებელი ჩარევის გარეშე თიკო ბედნიერებას ვერ ეწეოდა. ვერა, ვერა, ნიკო თავისი ერთადერთი შვილის ტანჯვას, ცრემლებს და ასეთ მათხოვრულ ლექსებს ვერ მოითმენდა, ვერავითარ შემთხვევაში. ცხოვრება ისეთი ნადირიაო, ფიქრობდა ძილგამკრთალი ნიკო, თუ სწორ კვალზე არ დააყენე შვილი, თუ გეში არ ააღებინე, ვერაფერს ვერ მოინადირებსო, დარჩება აბგაცარიელი და იმედგაცრუებულიო... და ნიკოს ეთაკილებოდა თავისი შვილისთვის და თავისი თავისთვისაც, შეწუხებასთან ერთად, ეთაკილებოდა მის შვილს, მათხოვარივით ხელი გაწვდენილი დარჩენოდა! დები და ძმები მაინც რომ ჰყოლოდა, ასე კი არ იქნებოდა ნიკო გადარეული, თიკოც ასეთი თავისი წვერა კი არ იქნებოდა, ასეთი თავის ნათქვამა... დღეს რა მოაქვს და ხვალეს, რა ვინ იცის, ისინი ცას კიტრად კი არ გამოებმებიან და დარჩება თიკო მარტო, მარტოდ მარტო, დარჩეს? ცისა და მიწის ამარა? ოჰ, ღმერთო ჩემო, და ჩაეწეროს მათ დასში? მარტოდ დარჩენილი ქალების დასში? და ძილგამკრთალ ნიკოს ხან რომელი ეული ქალი წარმოუდგა, ხან რომელი, მე თქვენ გეტყვით, ცოტანი იყვნენ?! მაგრამ ამდენი?! ამდენი მაინც არ ეგონა ნიკოს, პირდაპირ შეძრწუნდა, მგონი არასდროს არავის შესცოდებია ეს ქალები ისე, როგორც ძილგამკრთალმა ნიკომ შეიცოდა. მერე რა მშვენიერი ქალები, თუ შეხედულად, თუ ოჯახიშვილობით, თუ სწავლა-განათლებით... დავიწყოთ თუნდაც ნადიკვრის ქუჩიდან, დავიწყოთ და ჩამოვყვეთ. დები ეთერი და ქეთო, როსტომაშვილები, ძველთაძველი ოჯახის ქალები, ეთერი იურისტი, ქეთო მასწავლებელი, თან რა სანდომიანები, რა ეშხიანები... ეთერი, სახენათელი, უმწიკვლო პიროვნება... ქეთო კიდევ რა წერწეტი, რა ჰაეროვანი მიხრა-მოხრა, მიჰქრის სკოლისკენ ისე მოხდენილად, ნიავქარივით, შეუძლებელია თვალი არ გააყოლო. ჰოდა, რაა, ეს საქმეაა, იმათი უოჯახობა?! და იქვე მეზობლად ნუცა გოგოლაძე? მგოსანი ქალი, სევდიას ფსევდონიმით რომ აქვეყნებდა „ცნობის ფურცელში" ლექსებს?! ნუცა უკვე მოხუცია, და კიდევ კარგი ძმა და ძმისშვილები ჰყავს, კიდევ კარგი... და კატო? ლაფაური?! რატომ პირველად კატო არ მოიგონა, თვალში რომ ჩაგივარდეს, ხელს არ მოისვამ, რა ჭკუა-გონებით სავსე, რა განათლებული, ისტორიის მასწავლებელი პირველ სკოლაში, ღმერთო, რა კდემამოსილი, დადის და გეგონებათ დედამიწას ფეხს არ აკარებსო, გადაკალმული თვალწარბი, ხელებზე კი, გაზაფხულობით, მაქმანიანი ხელთათმანები... ძველი ეგვიპტე, რომი, საბერძნეთი, პუნიკური ომები, ჯვაროსნები... სულ ზეპირად იცის, ძილიდან გამოაფხიზლო და ჰკითხო, არაფერი შეეშლება... მართალია, ბევრი ჭირი ნახა, ოცდაოთხში, სულ პატარას მამა დაუხვრიტეს, ოცდაჩვიდმეტში ძმა დაუღუპეს, მეორე ძმა ომში დაეკარგა, ჩაიკეტა, ჩაიკეტა, დეიდასთან ერთად... და მაინც, ნიკომ გაუკეთა ხომ ბრმა ნაწლავის ოპერაცია და სხეული და რა სხეული, სადაფი, ნამდვილი სადაფი, აფსუსი არ არის, ამისთანა სხეული ხელშეუხებლად წავიდეს, ნაყოფი არ გამოიღოს, გუდაფშუტასავით გაქრეს?! ან ისინი? ელიკო და ვერიკო? თურმანიძეები?! ერეკლეს მკურნალის შთამომავლები, ახლაც აკეთებენ დიდებულ მალამოებს, ჯერ მარტო ნიკოს რამდენი ავადმყოფი გაუგზავნია მათთვის... თავგადახრილი, თითქოს დარცხვენილები რომ დაიარებიან, აშკარად ეტყობათ სახეზე რაღაც, შეკრთომასავით... აბა, ეხლა აქეთ წამოვიდეთ, ავუხვიოთ მარქსის ქუჩაზე?! და აგერ თინიკო, იმნაძეებისა, ორი ძმის და! განა თუ ეცადნენ შოთიკო და ტარიკო ხელი გაენძრიათ, გარჯილიყვნენ და სულ ძალად გაეთხოვებინათ თავისი და, მერე რა ერთგული და თავდადებული ძმებისა!? ტარიკოს ნაღვლის ბუშტის ოპერაცია რომ გაუკეთა ნიკომ, თინიკო არ მოსცილებია არც ერთი წუთით, დღე და ღამე თავზე ედგა, აი, რა მართალია ქართული ანდაზა: და ძმისთვისო და, ძმა სხვისთვისო! იმათ არ დაიკლეს ცოლები და ქალები და თინიკოც დარჩა, შინაბერების ამქარში...

/გაგრძელება იქნება/

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭანო ჭანიერიძე

"მეღოდიები ოქროს ბედიდან"

სევდიანი ჰოემა
ღეიჯოს — ჩემს მაჰადიელ მეგობარს

1.
კარგად იცოდე, ჩვენი ცხოვრება
ვიღაცამ დაჰყო ნაწილ-ნაწილად:
ბედნიერებად, უბედურებად,
ხან რომ გვათოვა და ხან გვაწვიმა.
სევდად, ღიმილად, მწუხრად, ცრემლებად,
ლამაზ აპრილად, პირქუშ იანვრად,
გულში ტკივილად რომ ჩაეწერა
და მკერდს ნიაღვრად გადამიარა.
სევდით გავცქერი შორეთს დარდიანს
და მესმის მწუხრის ზარების რეკვა,
ცხოვრება ჭრელი მასკარადია,
ხან ვარდს გვთავაზობს და ხანაც ეკალს,
გააღებ სარკმელს, მზეა ბარჩხალა,
ხან მთვარე ნათობს, მთლად ნაღვლიანად,
ხანაც დამჩხავის ყვავი-ყვანჩალა
და მკერდზე კორტნის ღია იარას.
ჩემი კარებიც ბევრჯერ მოთელა
მოხეტიალე ქარმა ტიალმა,
წუთისოფელმან, მართლაც ორფემა,
მითხარი, ვინ არ გაატიალა?!

2.
ხან გაანჩხლებით ჩხიკვი დამჩხავის,
ხან მაფშალია ტკბილად მიგალობს,
ღმერთო მაღალო, არ ვარ ლაჩარი,
არც დარდი-მანდი ვინმე ფიგარო.
დაბადებიდან თან დამყვა ბედად
ერთი ვარსკვლავი მისნად და მრჩევლად.
საგანძურივით გულს მიდევს სევდა
და ვცხოვრობ ასე, მე, შეუმჩნევლად.

3.
ნუთუ ვერ ხვდები, რომ ეს ცხოვრება
არის ქარის ხმა, სხვა არაფერი,
ამაოების ამაოება
და ემსგავსება კარებს მოფელილს,
თავაღერილი ჩვენ რომ შევდივართ
და გამოვდივართ თავდახრით გარე,
მზე რომ ამოდის და ასე ბრწყინავს,
რასა გვძენს?! — მხოლოდ გვიბრმავებს თვალებს.
ნუთუ ვერ ხედავ, ნუთუ ვერ ხედავ
საგულდაგულოდ მოფელილ კარებს?!
წავიდა მამა, წავიდა დედა,
წავიდა ზაზა, მეც წავალ მალე.

4.
ნეტავ გუშინწინ იქ ვინ მღეროდა,
აქ ნეტავ გუშინ ვინ ჩაიარა,
ხვალინდელ მზეს რომ ასე ელოდა,
მეც გამიღიმა მთლად ნაღვლიანად?!
საბურთალოზე, კლდეზე ხე რომ დგას,
სამარადისოდ იქ დაივანა.
წუთისოფლისგან სხვას რას ელოდა,
ვინღა წასულა სხვა უწყინარად?!
ეს ვინ დაგვცქერის ნეტავ ზემოდან,
მართლაც ბრიყვია, მიხვდეს ვინ არა?!
და მეც ვეცემი, ვეცემი, ვდგები,
წყაროც დამშრალა ჩემი მცინარა,
შემართულია გაფრენად ფრთები,
მიწია ალბათ ჩემმა ფინალმა,
ძლივსღა ვბრუნდები სახლში ღრმა ღელით,
სულ უკან მივალ, არა, წინ — არა,
შენ შენი გყოფნის თუმცა ნაღველი,
შენ შენი გყოფნის თუმცა იარა.

5.
და მზის ამოსვლას მე მაინც ველი
და ქედსაც ვუხრი მის სიდიადეს,
თუმც ხელთ რა შემრჩა?! — მხოლოდ-ღა ბნელი,
მაინც სიბნელეს ჭარბობს სინათლე.
ჰა, მივუყვები თავდახრით დამრეცს,
ეს, მე ვარ, მე ვარ სიმღერა ხვალის,

ბევრი დავკარგე და ბევრიც გავეც,
უფრო მეტი კი მივიღე მაინც.
ცხოვრება ჩვენგან მართლაც ბევრს ითხოვს,
უკვე მივდივარ, ფრთებს ძლივს მივათრევ,
გავეცი ჩემი წილხვედრი სითბო,
ჩემი წილხვედრი გავეც სინათლე.

6.
დიდება შენი, უფალო, მე მწამს,
და მწამს, ამიხდენ მე ყველა სურვილს,
არა, არ მინდა, მე შენი ზეცა,
აქ, ამ მიწაზე დარჩეს ეს სული,
ჩემი დაღლილი, ცოდვილი სული,
ხორცი ჩემი კი სადაც გსურს, ჩაფლე,
თუნდ ხეს დაკიდე წესით კოლხურით,
ოღონდაც სული შეერწყას ნათელს.
სხეულმა ჩემმა – არილმა მთვარის,
რომ ერთხელ მაინც გაინავარდოს,
ბაგეთა შენთა სურნელით მთვრალი,
აღარ დატოვებს მიწას არასდროს.

7.
დაღლილი ქარის ხმაურს რომ ვისმენ,
ეს შენ მეძახდი, მიხმობდი გუშინ;
მზესუმზირა რომ იღერებს კისერს,
ეს შენი ყელი მზეობდა გუშინ;
განთიადი რომ გადიკრავს მზისფერს,
ეს შენი ღაწვი ფერობდა გუშინ;
ბროწეული რომ სიწითლით მიმზერს,
ეს შენი მკერდი იწვოდა გუშინ;
ტანი ალვის რომ იწევდა ცისკენ,
ეს შენი ტანი ნათობდა გუშინ;
ჩვენი ცხოვრება რა არის ისე,
სიკეთის მარცვალს თუ არ ჰყარი ხნულში?!

8.
ის, რაიც შენგან მე დღეს მაცილებს,
მხოლოდღა ციდა არის მანძილი,
რომ გაუშლიათ ფრთები ნარინჯებს,
გაწუწულია ცრემლით, ცვარ-წვიმით,
სიტყვა, რომელიც მე მომანიჭებს
მარადისობას, მზით მაქვს აცრილი.
მიწას, რომელსაც მე ზედ ვაბიჯებ,
შენი სხეულის არის ნაწილი.
მზემ ოქროსფერი გაჰფინა ბადე,
ვარ გალუმპული სხივების თქეშით,
ეს ყველაფერში ჩვენა ვართ, გწამდეს,
და ყველაფერი ჩვენშია, ჩვენში.
სიკვდილი მუდამ სიცოცხლეს ჰბადებს,
და სიცოცხლეა სიკვდილის თესლი,
ვერ გამიგია, რას დარდობ ამდენს?!
წამსვლელი უნდა წავიდეს, გესმის?!

9.
მეხსიერება სასაფლაოა,
ძვირფას ხსოვნას რომ კრძალვით ინახავს,
მეხსიერება სევდის წყაროა,
შენ კი, სიკვდილო, მითხარ, ვინა ხარ?!.
ცხოვრებას ჩვენსას ასე რომ განსჯი
და ყოფას ჩვენსას ასე განაგებ?!.
ჩასაფრებულხარ მარცხნივ თუ მარჯვნივ
და კვნესის ჩემი ბედის ალაგე.
ნუთუ არ გეყო, ეს გული ჩემი
სათალივით რომ ჩეხე და თალე,
ნუთუ ვერ ამჩნევ ისრებით მწველით
საგულდაგულოდ დაშანთულ თვალებს?!.
ქვეყანად არც მე ვარ, მწამს, ერთადერთი
განუკითხავად რომ ტანჯეს ასე,
მე კი არა და თვით ქრისტე ღმერთი
ურცხვად, უნიჭოდ გააკრეს ჯვარზე.
მეც ჯვარცმული ვარ ასგზის, ათასგზის,
კარგად გაიგეთ, კარგად იცოდეთ!
და ყოფნა ჩვენი იმად არა ღირს,
რომ ქედს ვუხრიდეთ სიკვდილ-სიცოცხლეს.

10.
გაუგებრობის გაგებას ველტვი,
ერთად ზეიმობს შავი და თეთრი,
არ ხარ არვისთვის და არ ხარ ჩემთვის,
ხარ შეუცნობი ისე, ვით ღმერთი.
ვზივარ და ვტირი სისხლიან ცრემლით,
დევს მაგიდაზე პურის ნარჩენი,
გადანისლულა მწვერვალი ვრცელი,
არა, არა ჩანს გზა გადარჩენის.
თეთრი პერანგით დგას იკაროსი
იქ, გადარაზულ კართან სამოთხის
და ვხედავ მამულს ლაფში ამოსვრილს
და ვხედავ მამულს სისხლში ამოთხვრილს.
ეს მე ვარ შენი ძეც და ასულიც,
გააქვთ ლაპლაპი სისხლის სანახებს
და მზე ზეიმობს, ვით აღსასრული,
ბედი მამულის არვის ანაღვლებს.
ვაი, ჩემს პატრონს, ვაი, ჩემს ყოფას,
რისი ქართველი?! — მიდი და ძარცვე,
ნიღბის ქვეშ რატომ იღვრები ოფლად?!.
წუთისოფელი შეგვრჩება არც ერთს.
და ნიღბოსნებით სავსეა ქუჩა,
ტყე თუ ტაფობი, ბარი თუ მთები
და ძარცვას ჩვენსას ბოლო არ უჩანს
და ჩვენივ სისხლით ვლოთობთ და ვთვრებით.
„თავისუფლება“ — ვისწავლეთ სიტყვა,
თავისუფლება ვინა თქვა მონის?!
სულ ტყუილად ითქვა, რაიც კი ითქვა,
მიტომც ზეიმობს სულში ამონი.
რა მშვენიერი მითია მართლაც,
ძმა ძმასთან წვება, შვილი — დედასთან,
დამპყრობი რუსი ჩვენს სარდალს ნათლავს,
გადახდილია, რაც კი ემართა.
ვერ შემიცვნია, ეს ვინ მოვიდა?!.
და ზეციური ერწყმის მიწიერს,
ვიღაც მოვიდა ძლიერ შორიდან
და ვარსკვლავებმა ძირს დაიწიეს,
ცნობისმოყვარე ცად ვარსკვლავებმა
და მეც შეუცნობს უხმოდ ვბარდები
და უწმინდესი, ვით აღსარება,

ავსებულია სივრცე ვარდებით.
მწუხრის ფერია ჩემი ფიქრებიც
და მწუხრისფერი ფრთები შრიალებს
და მწუხრისფერი ირგვლივ ფიფქები
გვანან განწირულ ადამიანებს.
და ვიღებ ვარდს და მივიტან გულთან,
ვით სუნთქვას შენსას, თრთოლვით ირიბით,
ვარდივით წმინდა, ვარდივით სუფთა,
ღმერთო, შემყარე სიკვდილს პირისპირ.
გაუგებრობის გაგებას ველტვი,
ერთად ზეიმობს შავი და თეთრი,
არ ხარ არვისთვის და არ ხარ შენთვის,
ხარ შეუცნობი ისე, ვით ღმერთი.

11.

დილიდან საღამომდე,
საღამოდან დილამდე
მე ვიგონებ ჟამსა, ოდეს
გულს ლოდინი მივანდე.
ისევ გელი, ისევ გელი
მწყრალი ბედის წინაშე,
მწუხრისფერი ელავს ველი,
ვჭვრეტ შორეულ მირაჟებს.
შენ კი ქარებს გაჰყოლიხარ,
ამაოა ლოდინი,
მე კი მდაღავს ბედის რისხვა,
ვისმენ დედის მოტირილს.
გულიც ორად გაყოფილა,
ვარ მომაკვდავ გედივით
და ქარს მიაქვს ღრუბლის ფთილა,
როგორც შენი მერდინი.

12.

აღსრულდა, რაც ლეგენდად თქმულა,
ჩამესმის იავნანა მდინარის,
მოვსულვარ სტუმრად,
მივდივარ სტუმრად,
ნეტავ მასპინძელი ვინ არის?!
რა ქვითინი, გულსაკლავი რა გოდება
და რა გზა ქცეული ვარდებად?!
მივდივარ, ბავშვობა მაგონდება,
ცივ შუბლზე შენი ბაგე მადნება.
რა შიში დაგტყობია გულგულადს,
რა სახე, რა თვალები მტირალი,
იქნებ გამგზავრებაც არ ღირდეს სულაც,
ნეტავ მასპინძელი ვინ არის?!
ნეტავ რა გზებია გასავლელი,
მაინც რა უცნაურად ბარდნის?!
ჩათავდა მშვენიერი სიზმრის ლელი,
გულმკერდზე შენი ცრემლი დამდის.
მივდივარ, ქარი მომდევს ფეხაკრეფით,
როგორც მეგობარი ერთგული და ძველთაძველი,
ნეტავ ვინ მხვდება, ვინ მომელის,
არის კი დამხვდური და მასპინძელი?!
რა დარდი მიმაცილებს მთა-გორებად,
რა ხმები — თეთრი ქარის კისკასი?!.
მივდივარ, დედაჩემი მაგონდება,
ფოთოლივით მოფარფატე წინკარში.
აღსრულდა, რაც ლეგენდად თქმულა,
ჩამესმის იავნანა მდინარის,
მოვსულვარ სტუმრად,
მივდივარ სტუმრად,
ნეტავ მასპინძელი ვინ არის?!

13.

მე ქრისტეს მცნება მიყვარს ათივე,
ამ ღვთიურ სიბრძნეს გვერდს ვინ აუვლის?!.
და მასთან ერთად გულს რომ ჩავტიე,
ეს სიყვარული არის მამულის.
დიახ, მე ჩემი მიყვარს მამული,
და მასზე ფიქრით ვაღამ-ვათენებ,
ისიც ღალატით რამ უცნაურით
ათიათასჯერ მტრებმა გათელეს.
...და მახსენდება დაცემა რომის,
მამულის ქვითინს სიზმარშიც ვისმენ,
მაგრამ მე მჯერა, აღსდგება რომ ის,
ისე, ვით ჯვარზე გაკრული ქრისტე.
ჩვენცა გვყავს ჩვენი გიჟი ნერონი,
საბედისწეროს რომ სდევს ბილიკებს,
ტაკიმასხარა თითქოს შემოდის
სცენაზე, ისე ხტის და ქილიკებს.
ცისფერებმა კი აავსეს ლოჟა,
ზოგი ვირსა ჰგავს, ზოგი ცხენს ოჩანს...
...ხალხი კი, ხალხი არსაით მოსჩანს,
ჰე, მიდით, მიდით, მართლაც რომ ყოჩაღ!..
მაგრამ იცოდეთ, ვინც ვერ გაიგო
დაღვრილი სისხლის და ცრემლის ფასი,
ეს დღეს იქნება და თუნდ ხვალ იყოს,
სისხლს მისას ხალხი შეირგებს თასით.
...და დაგვიდგება დღეები ნატვრის,
არც თუ შორს ცოტნეს აჩრდილიც მოსჩანს,
რომელსაც, როგორც ღვთისმშობლის ხატი,
მკერდს ახატია მამულის დროშა.

14.

მე დავიღალე ამდენი ცრემლით,
მე დავიღალე ამდენი ხილვით,
არავინ მელის, არავის ველი...
...მხოლოდ სამარე და ბალდახინი.
მოხეტიალე ეს მე ვარ სივრცეში
და გაბლანდული ამ ბითურ დროში,
ბევრი ტკბილ-მწარე შარბათი შევსვი
და ვცხოვრობ ჩემი მცირედი გროშით.
ვით გაფანტული მარცვალი ხნულში,
მე მომაქვს შენი ღიმილი პეშვით,
ეს არის დღეს და ეს იყო გუშინ,
მე ვცხოვრობ დროში და დროა ჩემში.
არავითარი ხსნა და ნუგეში,
ვარ გალუმპული ცრემლების თქეშით,
როგორც უმწეო ბარტყი ბუდეში
გადაფრენამდე, მე ვრჩები შენში.
მერე კი, მერე თვით ღმერთმა იცის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევხვდებით კია, ნეტავ ერთმანეთს?!
როგორც ვარსკვლავი, ეს გული იწვის
და მიცისკროვნებს სავალს ღმერთამდე.

15.
ჩაფიქრებული და სევდიანი
ჭეშმარიტებას ვეძებდი დიდხანს
ჩემი წყლულით და ჩემი იარით...
...და ბოლოს ღმერთმა უჩუმრად მითხრა:
„ნურც დაიდარდებ, ნურც სევდიანობ,
სული ხომ ყოველს წვდება და იტანს,
ადექ და ნანატრ მწვერვალზე წამო,
სადაც მე ვარ და ჭეშმარიტება“.
დიახ, ეს მე ვარ, ეს მე ვარ, გწამდეს,
რაიც იყო და რაიც იქნება,
ამაღლებული მიწიდან ცამდე,
ამაღლებული მზედ და სიტყვებად.

16.
შენ რომ გგონია ლარივით სწორი,
ის ბილიკია ხვეული ძლიერ,
მე ვარ მდინარე მდინარი წნორით
და თვით უძლეველს მე სიტყვით ვძლიე.
მე მწამს ცხოვრება ღმერთივით სადა,
ვხედავ, ცრემლები საფლავშიც ატანს
და მწამს და მჯერა, მე არ ვარ სადაც,
არ აღსრულდება იქ ერთი ნატვრაც.
გზებით მართალით ნეტავ ვინ ივლის?!.
ვხედავ მტრედები ფრენენ გუნდებად,
ყველა ოცნება მწუხრის თუ დილის
მხოლოდღა სიტყვით თუ აღსრულდება,
ამაღლებულით მხოლოდღა სიტყვით,
ცისკარივით რომ ცაზე აენთო,
რომელიც ბევრჯერ ითქვა და ითქმის
და არ ვარსებობთ უერთმანეთოდ.

* * *
ეს სევდა მაინც გულს როგორ ციცქნის,
სევდის ნათელი შიგ სულში ატანს,
არ აღსრულდება არც ერთი ფიცი,
არ აღსრულდება არც ერთი ნატვრა.
თუ არა სიტყვა და ისევ სიტყვა,
ამ წუთისოფელს ისე ვინ გალევს?!.
ჩამოდის თოვლი სულ ფიფქა-ფიფქად
და კურნავს ტკივილს, წყლულს და იარებს.
ისევ და ისევ, ისევ და ისევ,
ისე, ვით წყარო წკრიალებს ცელი
და ცრემლთა შენთა წკარაწკურს ვისმენ,
სადაც შენ არ ხარ, არ არის ცრემლიც.
ჩვენი ყოფა და ჩვენი ცხოვრება,
ვიცი, კვლავ ბევრჯერ განმეორდება,
სადაც შენ არ ხარ ცრემლთა მოდებად,
არც წუხილია და არც გოდება.
სიო აწვალებს უწმინდეს მანდილს,
ანთია სული, როგორც კანდელი,
ვით დავიტიო ამხელა დარდი,
ვით დავიტიო სევდა ამდენი?!.
თუ არა სიტყვად და ისევ სიტყვად,
აბა, სხვა რაღა მანაღვლიანებს?!.
ჩამოდის ზეცა ლეგენდად, მითად
და ეფინება წყლულს და იარებს.

17.
ვის ეტოქები, რაღას ქედმაღლობ,
რაღას დაეძებ, რას ჰპოვებ ახალს?!
სადაც შენ არ ხარ, არ არს სამყარო,
არც სამყაროა, სადაც შენ არ ხარ.
საცხოვრისს ჩემსას უცნობი ვიღაც
საგულდაგულოდ აწყობს, ალაგებს,
წასვლისას უცბად აიკრავს ნიღაბს
და მიდის, ღიად ტოვებს ალაგეს.
მეც მივალ და ვის რა დავუბარო?!.
წინ სავალია შორი და ვრცელი,
რაც ადრე შევქმენ, ძლიერ უბრალოდ,
რაც უნდა შევქმნა, ის არის ძნელი.
და მცემს ნათელი შენი სამარის
და ვისმენ მოტივს მშობლიურს, ნაცნობს,
არც წარსულია, არც მომავალი,
მხოლოდ შენა ხარ და არის აწმყო.

18.
ვზივარ მოწყენით და კლავიშებზე
დაქანცულ თითებს უჩუმრად ვაწყობ,
წარსულში ვიყავ, ვერარა შევძელ,
გავცქერ წარკვეთით წავარნას ნაცნობს.
ვცხოვრობ აწმყოში, ველი მომავალს,
ის მომავალი არსებობს ან კი?!.
გადამიარა ჟამმა მბოლავმა
მთელი ღირსებით და მთელი ნაკლით,
და ვცხოვრობ ასე, მე, ნაღვლიანი,
ცა გაიბზარა შენს შეკივილზე,
წინ რომ მიმიძღვის, ნეტავ ვინ არის,
უკან მდევარი არის კი ვინმე?!
და ისევ, ისევ და ისევ, ისევ,
ვით მარგალიტი, ცრემლი წკრიალებს.
და ორივ ფრთებით მივიწევ ცისკენ
და დაბლა ვტოვებ წყლულს და იარებს.

19.
ჰკრთიან გაფრენად ხასხასა ფრთები,
ცვარ-ნამს რომ კრძალვით დაუნამია,
მე მიყვარს ჩემი ლამაზი მთები,
ღმერთთან რომ ძლიერ ახლო არიან.
დაცვარულია ჩემი ოცნებაც
და ცხრაკლიტულში ჩაიმტვრა კლიტე,
როცა ვარსკვლავი ციდან მოწყდება,
რჩევად მოვუხმობ მე ჰერაკლიტეს.
სხვა რაღა გინდა ამაზე მეტი?!.
ვიყავ ვარსკვლავი, ვიქეც სიტყვებად,
თუმცა ამაოდ, ამაოდ ველტვი

ქარში გაფანტულ ჭეშმარიტებას.
მე გასაოცარ თამაშს ვთამაშობ
ბედისას, ღვთისგან რომ წილმხვდა იღბლად
და ფინალს ჩემსას ვხედავ განა შორს?!.
და ხან ვირგებ და ხან ვიხსნი ნიღაბს.
წინ გადამირბის ირემი თეთრი,
სიზმრად რომ ბევრჯერ დამსიზმრებია
და წყალობს ჩემი კეთილი ღმერთი
სიმღერას ჩემსას ცისფერფრთებიანს.
და მკერდი შენი იწვის, გიზგიზებს,
როგორც ღვთიური ორი კოცონი.
და მზე მთავაზობს ღიმილს მიმზიდველს
და მწამს, კეთილი ბოროტს მოწონის.
ცხადად ჩამესმის ნაცნობი ხმები,
ნაცნობი ხმები ციდან იღვრება.
და ვიწევ ცისკენ ლამაზი ფრთებით
და ჭრელ-ჭრულ ღრუბლებს ვირგებ ნაღბებად.

20.
და მაინც სიტყვა და ისევ სიტყვა,
წამი წამს წყებად, წყობად წაება,
თუკი მე მართლაც სიცოცხლე მიყვარს,
უნდა მიყვარდეს ტანჯვაც, წამებაც.
ო, სიტყვა იცით, წააგავს რაღას?!.
სიტყვაში მე ვარ, სიტყვა ჩემშია,
სიტყვა დაღსა ჰგავს, ცხენებს რომ ვდაღავთ,
ძაღლს ჰგავს, პატრონს რომ დაუგეშია.
სიტყვა ყოველი თუმცაღა ტყუის
(ეს გაიხსენეთ, მე წავალ ოდეს)
ის ჰგავს სიმაგრეს, ირგვლივ რომ ვუვლით
და ვერ ავიღებთ ვეღარასოდეს.
შენ ფიქრობ, ქარი მიხვეტავს ქვიშას?!.
არა, მტვერს ჩემსას — გულდაგულ, გვიან,
წუთისოფლისთვის არაფერს ნიშნავს, —
ჩვენ ადრე წავალთ თუ წავალთ, გვიან.
ცხადად ჩამესმის ძვირფასი ხმები,
ძვირფასი ხმები ციდან იღვრება
და ვიწევ მაღლა ლამაზი ფრთებით
და ჭრელ-ჭრულ ღრუბლებს ვირგებ ნიღბებად.

21.
მე თვალებდათხრილს ვგევარ ელადელს
და მიცხოვრია მხოლოდ წყლის ნაყვად,
სიხარულიდან მწუხარებამდე
ჩემი ცხოვრება კაკალ ცრემლს გაჰყვა.
აბა, უშენოდ რა გაათენებს?!
ისევ ჰყვავილობს ჭრილობა ღია
და ცისარტყელებს და ცისარტყელებს
ფერები არა, — ცრემლები სხია.
ქარი აწვალებს ქარვისფერ მტევნებს,
ცა გაბზარული ზარივით ბზინავს,
კეთილო ღმერთო, შენ მომიტევე
ცოდო ყოველი ზეცისკენ მზირალს.
სიმღერას ჩემსას ტირილი ერქვა,
იარებს ჩემსას ცრემლებით ვწამლობ,
მწუხარებისთვის მოსული ქვეყნად,
მწუხარებისგან მხოლოდღა ვსწავლობ.
წელთა სიმძიმეს მხრები ვერ იტანს,
ყრმობა თან გაჰყვა ოქროს კარეტას
და მე, შობილი მწუხარებიდან,
თვით მწუხარების ვდგევარ კარებთან.
ჩემგან რას ითხოვ, წუთისოფელო?!.
(წავალ წავარნას წითლად ნაწვიმარს)
როგორ ორპირობ, როგორ ორფერობ,
მართლაც ორგულო, ბედის დაცინვად?!.
ჩახერგილია ყველა გზა-ხიდე,
ჰა, ვიღაც ჯიქურ აღებს მზის კარებს,
წარმავალი ხარ? — უნდა წახვიდე,
საგზლად კურცხალი კენტი იკმარე.

22.
რა სილამაზით ჰყვაოდა ბაღი
და ყვავილებიც ჰყვაოდნენ, თრთოდნენ,
იდგა სურნელი ვარდისფერ წარღვნის,
ვარდები ჰგავდნენ მთვლემარე ლოთებს.
და მე, ცხოვრებით დაქანცულს, დაღლილს,
მეუფლებოდა ნიჭი გაგების,
უცხო სასახლე ბრწყინავდა მაღლით,
ცისარტყელების ფერით ნაგები.
ო, ღმერთო ჩემო, რა მსურს, რას ვჩემობ,
რა ამოყვება ჯადოსნურ ბადეს?!.
გადათქვირულო ცრემლებით ველო,
პოეტის გულში სევდას რად ბადებ?!.
აჰა, ფინალიც, ეშვება ფარდა,
სადღაც აქვეა გზა-გასაყარიც,
ჩემი ცხოვრება, ჰა, როგორ ჰგავდა
მინდვრის უჩინარ, უმწეო ყვავილს?!.
ვარ დასასრულიც და ვარ სათავეც,
სიკვდილო, ყოვლის მგმობელ-მიმღებო,
გაცრეცილ პერანგს, შენ რომ ატარებ,
მსურს, ჩემივ სისხლით გადაგიღებო.
სიცოცხლის ფასი სხვაა, იცოდე,
ცრემლებით გიწერ ბოლო ამ პწკარებს,
თუკი ლამაზად ვეღარ ვიცხოვრე,
ლამაზად წასვლა მაინც მასწავლე.
მესმის შრიალი გიშერა თმების,
სიზმარში ვხედავ თოვლისფერ მკლავებს
და შენი თმების სურნელით ვთვრები,
ბაგეს შენსას კი არ გამაკარე.

***
ქარიშხლის ფრთებზე ვარ გაწოლილი
და ქარიშხალი ჩემი ფრთებია,
მე მიღალატეს ორგულ ცოლივით,
ჩემი ქართული სისხლით თვრებიან.
აუხდენელი ყველა სურვილით
ვარ გარიყული ცხოვრების მიღმა,
შეუცნობელი სიყვარულივით...
რა ვუთხრა მართლაც, ჩემს ბედს და იღბალს!..
და შენც, სიკვდილო, ბრმავ, დაუნდობო,
მართლაც უგულოვ, მართლაც უსულოვ,
ყინულოვანო არყოფნის ლოდო,
ის გაქრა, ნატვრა ვის აღვუსრულო?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

განცხრომად არა, ჩვენ ტანჯვად ვიშვით,
მიიზლაზნება ნისლი ორხევად,
არ გინდა ვაი, არ გინდა ვიში,
მწამს, მოსახდენი მაინც მოხდება.
გამოთხოვების წუთს უძვირფასესს
მხოლოდ დუმილი თუკი შეჰფერის
და გადაიფრენს ცხოვრება ასე
სიზმრის ველს ლამაზს, როგორც რეფრენი.
როგორც მთებიდან მყვირალა ნახირს,
მივერეკები დღეებს სევდიანს
და მე, ცხოვრებით დაქანცულს, დაღლილს,
მდევნიან, ალბათ, ესეც ბედია.
დამჭკნარ გვირგვინებს ცრემლები ნამავს,
ცრემლები ცალად დარჩენილ შველის
და ჩემს ჭრილობებს მალამო არა,
მალამო არა, — ცრემლები შველის.
ბედს უბედობა ნეტავ რად ცვლიდა,
ბედისწერამ რად გაიმარადა
და, ცისარტყელას, დაშვებულს ციდან,
შვიდივ ფერს ნეტავ ვინღა პარავდა?!.
ჩახერგილია ყველა გზა-ხიდე,
გააქვს ჭრიალი მოფელილ კარებს,
წარმავალი ხარ? — უნდა წახვიდე,
საგზლად კურცხალი კენტი იკმარე.

23.
მოვერცხლისფერო ბადით ამომყავს
მთვარე — კალმახი, ვით კოლხს შეჰფერის,
გაღმით შენა ხარ, ის კი — გამოღმა,
ის — აბესალომ, შენ კი — ეთერი;
ორივ ვარდივით ერთად ჩამოხმა,
ორივ ბედკრული, ორივ ერთფერი,
ნეტავ რა იყო, ნეტავ რა მოხდა,
ასე უეცრად როგორ შეთვერი,
ეს ქარიც ასე რად სწუხს, რად ოხრავს,
სით ილტვის მგოსნის სულისკვეთებით?!.
ქარმა ღრუბლები არივ-დარია
და ვხედავ, შინაც არავინ არის,
ავდარია თუ ნეტავ დარია,
რა გულსაკლავად ქვითინებს ქარი?!.
გაუტეხია კოკა მარიამს,
გათვალულია უცილოდ მთვარის
და მთვარეც შენი ცრემლით მთვრალია,
ბრწყინავს მოწყენა ისე, ვით ლალი,
ვიღაცამ ჩემი სისხლიც დალია,
სისხლის ფერია ენგურის წყალიც.

24.
დავწყვილებივარ კვლავ ბედისწერას,
ცხოვრება კვლავაც მიყვარს და ვეტრფი,
ცა კვლავ გამოკრთის მიმწუხრისფერად,
დაღმართზე კვლავაც ეშვება ეტლი
და თუ მოხდა და გადაიჩეხა,
მართლაც იქნება ეს ნება ღმერთის.
კვლავაც ვგრძნობ შენი ხელის შეხებას,
შენი აჩრდილი კვლავაც მდევს გვერდით,
კვლავაც მეღვრება ხსოვნა შხეფებად,
კვლავაც მღალატობს წყეული ბედი.
ისევ და ისევ, ისევ და ისევ
შენ სანუგეშოს არაფერს ამბობ,
მეც სანუგეშოს ვერაფერს ვისმენ
და შენც მომხდარზე წუხარ და დარდობ.
იმ შეხვედრიდან ამ შეხვედრამდე
მაინც გასულა რა ხანი, რა დრო?!.
მეც ბედისწერას რარიგ ვედავე,
ისიც იცოდე, არაფერს დავთმობ,
შხამს და სამსალას მე კვლავაც დავლევ
და კვლავაც ვიგრძნობ იუდას ამბორს.
ერთი რამ მაინც კარგად იცოდე,
არაფერია აქ გასაკვირი,
როგორც სიცოცხლე,
როგორც სიცოცხლე, —
ჩვეულებრივად მოდის სიკვდილიც.

25.
ჰა, ცისარტყელაც, ოქროსნაწნავა!..
გაბრწყინებული მოსჩანს გზა — ცრემლად,
ღმერთმა ჩვენ ფრენა მისთვის გვასწავლა,
რომ ღირსეული შევძლოთ დაცემა.
ეს ზეცაც როგორ გადაისარკა,
ჩემს ტკივილს ვაზი მტევნად აისხამს,
ო, არის აწმყო წარსულისა და
წარსული კიდევ — მომავალისა.
ჩემს ცთომილ დღეებს ნეტავ ვინ დათვლის,
უკან მოხედვა ვინღამ მაღირსოს?!.
მე ვარ ზვარაკი მომავლისათვის
შესაწირავი სამარადისოდ.
მე ფრინველი ვარ და მშვენის ფრენა
და სიმაღლეა ხვალ ჩემი შველა
და მე რატომღაც მწამსა და მჯერა,
ნანატრ ტაძარში ერთხელაც შევალ.
შენ კი ვინ დაგგმო და ვინ დაგწყევლა,
ვინ დაგაბედა მატლივით ხოხვა?!.
და კარგად ვიცი, და მტკიცედ მჯერა,
რომ ჩემს აწმყოში ვერასდროს მოხვალ.
თუმც, კარგო, კარგად მე არც კი ვიცი,
აწმყოში ვარ თუ წარსულში ჩავრჩი
და, როგორც ნათელს უწმინდეს ფიცის, —
ვატარებ ბედის მე უჩინ-მაჩინს.

26.
თანასწორობა გწადია, ვიცი,
თანასწორობა წმინდა განძია,
თუმცა ვერც სიტყვით და ვერცა ფიცით
ვეღარ იგუებს აწმყო ვარძიას.
ვეღარ იგუებს მწვერვალი ვაკეს
და ვერც ხევ-ხუვი — თეთნულდს ქათქათას,
ვერც ოქრო — ვერცხლი — ნაგავს და ნაკელს,

უსამართლობა ვერ შობს სამართალს.
მწუხრში წასული ავანთებ სანთელს
და დიოგენის სიფრთხილით დავალ,
ამ წუთისოფელს ჩემი რაც მართებს,
გაუტოლდება ერთხელაც მარადს.

* * *

...და მე მივმართავ მამას და მოძღვარს:
„რა არის ჩვენი ცხოვრების აზრი,
აზრი იმ წვიმის, ველი რომ მორწყა,
აზრი დარჩენის, მოსვლის თუ წასვლის?!.
აზრი სიმაღლის და სიდიადის,
შარავანდედი რომ შვენის ამ ცის,
აზრი იმ მთვარის, მწვერვალს რომ ადის
და მზის ვნებით რომ დააკვდა ნარცისს?!."
იდგა მოძღვარი და კრინტს არ ძრავდა...
სიტყვა მოგვიტანს, იცით, რა ზიანს?!.
ეს ნანგრევები ციხე-ტაძართა
ჩვენი ცხოვრების ბოლო აზრია.

27.
მხოლოდ წერილი — წმინდა ცრემლივით, —
ასე ვცხოვრობდი, ვწერდი, მიყვარდა
და ყველასაგან მარად დევნილი
შეფარებული ვიყავ ღვთის კალთას.
დღეს კი გამთოშეს უმკაცრეს თოშით
და ყელთ დუმილის ბურთი გამჩრია,
და ვერც მივმხდარვარ, რომ სამშობლოში
დევნილს სამშობლოც არ გამაჩნია.
და წკვარამეთში ბრწყინავს ნათელი,
მზე მლოცველივით ადგას სალოცავს
და მზერა შენი, როგორც სანთელი
საკურთხეველზე, ისე წამომცდა.
ფერი წასვლია ცას ჩემსას აზიზს,
ჰა, სადაც არის, წვიმაც წამოვა,
უაზრობაა აქ ყოფნის აზრი,
რაობა კიდევ — არარაობა!..
შენ შემიფარე, მშობელო მიწავ,
ცალად მოსული მივდივარ ცალად
და ისე მივალ, ველარც შევიცან
ამ წუთისოფლის მე გამოცანა.

28.
რა გამძაფრებით უბერავს ქარი,
შურით შევყურებ ცათა ბინადრებს,
ეს, რასაც ვხედავთ, სიზმარი არის
შეუცნობელი თვით სიკვდილამდე.
ჩემი ცხოვრებაც სიზმარი არის,
სიზმარეთია ჩემი მრჩეველი,
ამ წუთისოფლის ვარ მე ბრმა მგზავრი,
თვით გაჩენიდან გაუჩენელი.
და ჟამი წასვლის დადგება ოდეს,
უნდა ჩამოვჯდე წმინდა წყაროსთან,
ო, რა ძნელია, შენ რომ დაგშორდე
და შეუცნობი გზებით წამოსვლა!..
რა უნდა გითხრა ამაზე მეტი?!.
ველარ დავიწყებ მე ცრუ მისნობას,
მარადისობა წარმავალს ელტვის
და წარმავალი — მარადისობას.
და ცრემლით ნაწერს დავცქერი წერილს
და ჭიდილია ფიქრთა მორევთან,
ჩემი ცხოვრების ყოველი წელი
არყოფნას ჩემსას იმეორებდა.
პირი იბრუნა უკვე ამინდმა,
არავინ დარჩა ამბის წამღები...
და მესიზმრება სემირამიდას
დაკიდებული სიზმრის ბაღები.
და შეუმჩნევლად წლები გადიან,
ბედმა ბევრს უმტრო, ბევრს გაუმართლა.
მაინც კეთილი, როგორც გადია,
იმედი მიზის თავსასთუმალთან.

29.
დაგიკარგია შეგრძნება ახლის
და მკერდმოკვეთილს ჰგევხარ ამორძალს,
თითქოს სიკვდილის შეგირდი გახდი
და განუწყვეტლივ გიწყობს გამოცდას.
სავსე მაქვს ცრემლით ორთავე თვალი,
ნუთუ ეს ცრემლი მართლაც ცრემლია?!.
გამოიხურე ორთავე კარი
და საყვედურიც არ დაგცდენია,
წახვედი ისე ჩუმად და წყნარად
და ავგაროზად შემრჩა მზე შენი,
მეც შენებ ჩუმად და წყნარად წავალ,
წამსვლელს ხმაური აღარ შეშვენის.
ამ დილით სუსტმა აჩრდილმა შენმა
შეაღო ჩემი სიზმრის კარავი,
კარის ჭრიალი, ვით კვნესა მესმა,
ვიფიქრე, შენ ხარ, — იყო არავინ.
ქედი ბედს მაინც არ მოვუხარე
ჩემი სიკერპით, ჩემი იერით
და სიხარულით მე ვარ მწუხარე
და მარადისით ვარ წამიერი.
ჰა, უკვე ჩემი ვენახიც ახმა,
მესმა, ყორანი ყორანს მიჰკივის,
ვიდრე ცოცხალხარ,
ვიდრე ცოცხალხარ,
აღარ გაბედო, ძმაო, სიკვდილი.

30.
გავცქერ მიმინოს მაღლა აფრენილს
და გავცქერ მდელოს სულ ოდნავ ცვრიანს,
რომელსაც ქვეყნად სხვა არაფერი,
სხვა არაფერი — მამული ჰქვიან.
რომელიც ნაწილ, სულ ნაწილ-ნაწილ
ვიღაც-ვიღაცებს გაუნაწილეს,
განუწყვეტლივ რომ სისხლისფრად აწვიმს
და დაუმსხვრიეს ფრთები არწივებს.
და ვლოცავ მთვარეს და მთვარის არილს,
მამადავითს რომ აწვიმს ფიფქებად,

ის ჩემი გულის ტკივილი არის
და განკურნება აღარ იქნება.
მე მიყვარს შენი ქათქათა ნისლი,
შენი კესანე, დეკა და ღვია
და ნაკადული, კვნესად რომ ისმის,
შენი მზე — ჩემი ჭრილობა ღია.
მე კარგად ვიცი, დარდი გაქვს რისი?! —
მიწის, რომელსაც სასხვისოდ გვიან,
მე შენი ცრემლის გავხდები ღირსი,
მაგრამ იქნება ეს ძლიერ გვიან.
გავცქერ მიმინოს ცაში აფრენილს
და გავცქერ მდელოს სულ ოდნავ ცვრიანს,
რომელსაც ქვეყნად სხვა არაფერი,
სხვა არაფერი, — მამული ჰქვიან.

31.

გაუძლო, განა არის ადვილი
ამ წუთისოფელს, მართლაც ძირმწარეს?!.
ჩემთვის არ დარჩა ციცქნა ადგილიც
ამ ცოდო-მადლით სავსე მიწაზე.
რომ განგერიდო, ამაოდ ვცდილობ,
ამაოდ ვებრძვი მტყუანსა თუ მართალს,
მშობელო მიწავ, თბილოც და ცივოც,
შენ მიგენდობი, ვით დედის კალთას.
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე,
დარუბანდიდან ნიკოფსიამდე
შენი ცრემლებით მბანდნენ, მნათლავდნენ
და სისხლის წვიმა დამყვა სიავდრედ.
თითქოს სიზმარში ვჭვრეტდი მზის სხივებს,
ახლა ტანჯვით რომ ვტვიფრავ იმ წამებს,
როცა პირველად მე შენ გიხილე,
ჰო, შენი მიწა მაშინ ვიწამე.
და მეც შევეკარ და ვეძმე სიკვდილს
და დაქანცული მოვდივარ შენთან,
რატომ გაოცებს და რატომ გიკვირს
ქანცგაწყვეტილი ამ გულის ფეთქვა?!
როგორც არავინ, როგორც არასდროს, —
დავეწყვილები მე შენს მარად მზეს,
ვგრძნობ, საკუთარი გული მღალატობს
და სიყვარულის კარი ჩავრაზე.
კარი ჩავრაზე ჩაურაზავი,
ასე ჩათავდა წუთისოფელიც,
ცრემლის და სისხლის მე ვარ ნაზავი
და ვარ არყოფნის მე სამყოფელი.

32.

მე ვიღაც მკაცრი მებადურივით
ზღვად გადამისვრის, ვით ვერცხლის ბადეს...
...და ასე ყველა ნატვრა, სურვილი,
ყველა ტკივილი სიმღერას ჰბადებს.
წუთისოფელი მართლაც ორფერობს
და თვალში ისევ მაჩეჩებს დირეს,
დავემსგავსები ხმატკბილ ორფეოსს
და გულსას შენსას მოვინადირებ.

* * *

ქარი აწყდება ჩაკეტილ კარებს,
ქარი აწვალებს ოქროს ნაწნავებს,
მასპინძლად მიზის კეთილი მთვარე,
სევდის იერი დაჰკრავს ამ ბნკარებს.
მეც წასვლა მელის ადრე და მალე,
უნდა გავუყვე უცნობ ბილიკებს,
ავიღებ სასმისს, ბოლომდე დავლევ,
ქარი კარებთან ისევ ქილიკობს.
ღმერთო, უღმერთოდ როგორ განმძარცვე
თავკინწურიდან ტერფით ნაცრამდე,
თვალის მოხუჭვა არც კი მაცალე,
მთავარი სული ამომაცალე.
კვლავაც რაღა გსურს, რა დაგრჩა ჩემში,
ჩემგან რა გინდა, წაიღო კიდევ,
ცრემლით სავსე მაქვს მთრთოლვარე პეშვი
ამ წუთისოფლის მე გადამკიდეს.
მორჩა, დამთავრდა ჩემი ბალადა,
შეწყდა სპექტაკლი, დაეშვა რიდე,
დედის აჩრდილი თავზე დამადგა,
თიბათვის მთვარე სასთუმლად მიდევს.
უკვე გამშრალა ყელი წყურვილით,
დღეებს სევდიანს ვინ დათვლის ამდენს?!.
მე ყველა ჩემი ნატვრა, სურვილი
საკურთხეველზე ზვარაკად დავდე.

33.

დღეს ყველა სიმი შენზე ქვითინებს
და ყველა სიმი შენს გამო ტირის,
ჩემი ოცნების ვტოვებ ზღვისპირეთს
და ვილტვი შენსკენ არყოფნის ტივით.
ჰე, მეგობრებიც სადღა არიან?!.
დავჯერებივარ ნასუფრალს, მცირეს,
ჩვენ მივეჩვიეთ სიკვდილს ძალიან,
ერთგულებას კი გადავეჩვიეთ.
ეს განშორებაც გამოიგლოვეს,
დამწიფებულა ბოლო ნაყოფიც,
ვემშვიდობები მშობელ მთა-გორებს,
წინ რა მომელის? — ჟამი არყოფნის.
ცა საოცარი ვინ დაიჩემა?!.
და მხრები გრძნობენ წელთა სიმძიმეს,
ყელი გამოჭრეს ჯაგას და ჩელას,
ნიბლია ნარზე აღარ იძინებს.
რა გაანჩხლებით დაჩხავის ყანჩა!..
ვერ უპოვნია თავშესაფარი,
იქ, სადაც ჩემი ბავშვობა ჩარჩა,
მიტოვებული ტირის საფლავი.
ჟინით დაცხრილულ, დასეტყვილ მკერდზე
ჭრილობა, როგორც ყაყაჩო მიჩანს,
ღიმილს გაფანტულს ამაოდ ვეძებ,
სად არის ზაზა, სად არის ხვიჩა?!.
გულში გამჩრია დარდი, ვით დანა,
მივალ, ვიგონებ დღეებს ონავარს,
არა, ამ მიწის მე შვილი არა,
მე შვილი არა, — უფრო მონა ვარ.
ვარ გაჩენილი უბედო ბედად,

ვინღა გაუძლებს ქარაშოტს ამდენს?!.
როგორც ფერგასულ დარდსა და სევდას,
საფლავთან ვტოვებ ჩამომჭკნარ ვარდებს.
ყაყაჩოსავით ჰყვავის იარა,
გადაჭრილია ბოლომდე ფესვი,
ქარის კი არა, ქარის კი არა, —
მე დედაჩემის ძახილი მესმის.
სიო კი სევდის მიმღერის ნანას,
ვდგავარ თავდახრით ჩემივ საფლავთან,
სათავე არა, სათავე არა, —
სულ ყველაფერი აქვე დამთავრდა.
ცხოვრება მოჰგავს სამწვერა ფიწალს,
ეს მე ვისწრაფი შენსკენ ლტოლვილი,
ჩემი მამულის ლამაზი მიწა
ხელში მადნება პირველ თოვლივით.
ღმერთმა იუდას ხვედრი მაშოროს
(თუმც მისგან ბევრჯერ ვარ გაყიდული),
არა მამული, არა სამშობლო, —
მე ხელში მისი შემრჩა ფიტული.
ვეღარ ვიოკებ მე გულის ვარამს,
მხრებზე მეხლება ქარი გოდებად,
არა, ეს მიწა სამშობლოდ არა, —
მხოლოდ საფლავად თუ გამოდგება.
დღეს ყველა სიმი შენთვის ქვითინებს,
ეს ცრემლი არა, — არის ცის ნამი,
ჩემი ოცნების ვტოვებ ზღვისპირეთს
და ვილტვი შენსკენ ჰადესის ნავით.

34.
ჩემივე თავის გავხდი მე მონა,
ვინღა ატარებს ტანჯვას ჩემოდენს?!.
თუმცა ოტელო და დეზდემონა
თქვით, ბედნიერნი რა იქნებოდნენ?!.
ან გამჩენს ჩემსას რაღა ენება,
ბედი ამაოდ რად მემდურება?!.
როგორც არ არის ბედნიერება, —
ისე არ არის უბედურებაც.
როგორც წასულა წელი მრავალი,
გწამდეთ, სულ მალე ეს წლებიც წავლენ,
მოვა მავანი, წავა მავანი,
მწარე — ტკბილს შეცვლის და ტკბილი — მწარეს.
ჰა, აიეტიც შემოგლიჯინდა
თვისი ბრწყინვალე ოქროს კარეტით
და მშვენიერი მოდის ბრიჯიდა
და მთლად შეშლილი მოდის ჰამლეტიც.
ვარ განწირული ჩემივე ბედით,
ჩემივ ტაძარით და ჩემივ ფრესკით,
ვარ მარტოსული და ერთადერთი
ჩემივ ნიცშეთი და დოსტოევსკით.
ისევ უეცრად წახდა ამინდი,
არცა მეტი და არცა ნაკლები,
ეს განწირული მე ვარ რაინდი
და ჩემივ დაშნას ზედვე ვაკვდები.
როგორ უღმერთოდ ცელავს ეს ცელი!..
ბედნიერება არის, არც არის...
მხოლოდღა რჩება ლექსი და ცრემლი, —
ჩემი მარადი შთამომავალი.

35.
როგორც ღრუბლები საავდრო ცაზე,
ამღვრეულია ჩემი ცრემლებიც,
და ვგავარ სასმისს ცრემლებით სავსეს
და ვიცი, მალე ავიცელები.
ისევ მოგელი მდინარის პირად,
მთვარე თიბათვის კი თვალს მარიდებს,
იქვე, პირმცინარ ზამბახებს ძინავთ,
თითქოს ღმერთების დათვრნენ ნადიმზე.

* * *

კვლავ, ძველებურად დავეძებ შენს კვალს,
ირხევა ნისლი — შენი მანდილი,
ო, რა ძნელია სიკვდილთან შეყრა,
განშორება კი — ძლიერ ადვილი!..
წვიმას მოველი, ცრემლი წამოვა,
მითხარ, სიკვდილი სხვა რაღა არის,
თუ არა ღმერთის დიდი წყალობა?!.
და გავცქერ ველზე მომღიმარ ყვავილს.
სავალი ჩემი ჩახერგეს ბევრჯერ,
ბედმა უბედომ ბევრჯერ დამზაფრა,
სიცოცხლე ჩემი ჰკიდია ბეწვზე,
სიცოცხლე ჩემი ფასობს არაფრად.
მე ხვალ საწუთრო ბინდბუნდს დამაფენს
და ბედისწერის გადვიფრენ წარაფს,
არაფრისმქონე ველი არაფერს,
რითაც მოვსულვარ, იმითვე წავალ,
როგორ უეცრად დაშრა ეს წყარო?!.
შენც იგივ გელის, კარგად იცოდე!..
სიცოცხლისაგან მე სიკვდილს ვსწავლობ
და სიკვდილისგან — კიდევ სიცოცხლეს.
ჩემს აივანზე, ჩემს წინა კარში
ვხედავ, მერცხალი ბუდეს იკეთებს,
გავცქერი ღრუბლებს საავდროდ აშლილს,
სიდან მოვსულვარ, მივალ იქეთკენ.

36.
ვარ გაჩენილი მე ბედისწერად,
გააქვს შრიალი ქარში შენს ფშიარს
და ძლიერ მჯერა და ძლიერ მჯერა,
რომ მე ღმერთში ვარ, ღმერთი — ჩემშია.
ადვილი არის შეცნობა მკვდართა,
ცოცხალთ შეცნობა ძნელია მართლაც,
ცისკრის ნათელი ცრემლებით მნათლავს,
და ღვთისმშობელი მაფარებს კალთას.
გავცქერი ღრუბლებს საავდროდ აშლილთ,
ვარ დარწყურული ცრემლის წყაროთი
და შენი ბროლის ყელის კისკასში
მე უკვდავებად ამოვწყაროვდი.
ქედი ბედს არა, არ მოვუხარე,
გამგზავრებაზე მაინც რად ვჩივი?!.
მივყვები დაღმართს ჩუმი, მდუმარე
და წინ მიმიძღვის შენი აჩრდილი.
ნეტავ პოეტი სულაც არ მერქვას, —
რა შემრჩა? — ყლუპი წყალი და სარჩო,
ვდგევარ მარეხის კოშკის კარებთან
და სიყვარულის წყურვილი მახრჩობს.

37.
გააქვს წკრიალი, ვით ძვირფას მძივებს,
ცრემლებს, ჩამდგარა უკვე მზისქარი,
რა შემრჩა? — ხსოვნა თალხი და მძიმე,
წკვარამისფერი, როგორც სტიქარი.
ვარ განძარცული სულით ხორცამდე
არაფრისმდომი, არაფრისმქონე,
შენი მეტოქე, შენი მოცალე
და მხოლოდ სიტყვით ვიქშიებ ქორებს.
სიტყვით, რომელიც მე ფიცად მითქვამს
და სასთუმალთან ღამეს ათევდა,
ღმერთი რომ გზავნის სულ ფიფქა-ფიფქად,
სულ კურცხალ-კურცხალ, ფანტელ-ფანტელად.
დიახ, რა შემრჩა? — მხოლოდღა სიტყვა,
ბნელეთში შობილს რომ მოჰგავს ნათელს,
მთრთოლვარე ბაგით შენზე რომ მითქვამს
და კავკასიას სიმაღლეს მატებს.
მხოლოდღა სიტყვა და ისევ სიტყვა, —
ეს ერთადერთი — შენი რაც მმართებს
და მე, მოსული ლექსად და მითად,
არდავიწყების აგინთებ სანთელს.
მე მხოლოდ სიტყვის მონა ვიყავი
და სიტყვის მადლით უნდა ავივსო
და დავემსგავსო ცვრიან იმ ყვავილს,
საფლავს რომ შერჩა სამარადისოდ.

38.
ხვალ-ზეგ საწუთრო ბინდბუნდს დამაფენს,
დანისლულია მიმწუხრის ველი,
არაფრისმქონე გვედრი არაფერს
და არაფრისგან არაფერს ველი.
ეს ქვა დოლაბის რა ხმას გამოსცემს,
რა ხმა გაუდის სოფლის ამ წისქვილს,
თუკი სიცოცხლე აღარ გაოცებს,
მაშინ სიკვდილი რატომღა გიკვირს?!
და მხოლოდ ამით მეც განაკვირი
ვმღერი და ვტირი, ვტირი და ვმღერი,
სიცოცხლეა თუ არის სიკვდილი —
ერთი ოსტატის მბრძანებლობს ხელი.
ქარები წეწენ ყველა ჩემს წადილს,
გრიგალი ანგრევს ოცნების ფარეხს,
თუკი წასვლაა, დე, დროზე წადი,
აქ, ამ სოფელში უდგეხარ რა მეხს?!

***
ეს სტრიქონებიც, ვნებად რომ იწვის,
სარკოფაგია ჩემი აზრების,
ჩემივ სხეულით და ჩემივ მიწით,
ჩემივ ცრემლით და სისხლით ნაზელი.
და საკანია საკანთა შორის,
მე კი ამ საკნის ტყვე და მძევალი,
სავსე ღვთიური სევდით და თრთოლვით
და მარადისი შენი მევალე.
და ვცხოვრობ შენით და მხოლოდ შენით,
ცეცხლს შენი ცეცხლით ვინთებ-ვიქრობდი,
ჩემი ერთგული და დამამშვენი
ეს მოძოწისფერო შენ ხარ სტრიქონი.
მკერდზე განძივით გაყრი მზის სხივებს
შენგან მარადის გაურიყავი,
თუმცა ვერასდროს შენ ვერ მიხილე,
მაინც ყოველთვის შენთან ვიყავი.
ჰა, მერანი ხრავს მიშვებულ ლაგამს
და ბედისწერის მიშენენ ისრებს...
შენ წადი, მაგრამ, შენ წადი, მაგრამ
კვლავ ჩემში ცხოვრობ ისევ და ისევ.
უკვე მეწვია მარადი დაღლა,
ჩემი ოცნების ცაც უცბად გაცვდა,
დაღონებული მივყვები დაღმართს,
ხელთ რა შემომრჩა დიდების ნაცვლად?!.
ჰა, სადაც არის, წვიმაც წამოვა,
დავრჩი რა მარტო, დავრჩი რა ობლად?!.
წვიმა კი არა, — სევდის წყაროა —
არარაობის ჩემი რაობა.
ხვალ-ზეგ საწუთრო ბინდბუნდს დამაფენს,
დანისლულია მიმწუხრის ველი,
არაფრისმქონე გყვედრი არაფერს
და არაფრისგან არაფერს ველი.

39.
ისევ და ისევ მე მივდევ ნისლებს,
ისევ ჩამესმის კვნესა სოსანის,
არავის სევდა არ შვენის ისე,
დედას, პოეტს და საღამოსავით.
ვით ნაკადული ხანგრძლივ გვალვისას,
ჩემი ცრემლები ისე დამშრალა,
ვიღაც იგალობს სევდას ხვალისას,
დაღონებული მივდევ გზა-შარას.
ო, ფარატინავ ჩემო ფურცელო,
ქრისტესთვის თქმულო ჩემო ოსანავ,
აბა, უცრემლოდ, აბა, უცრემლოდ,
აბა, უცრემლოდ, რა თქვას მგოსანმა?!.
ისევ შემოდის ჟამი მიმწუხრის,
ისევ ჩამომდის ცრემლები ბედად,
არავის ქვეყნად მე ქედს არ ვუხრი,
თუ არა დედას და ისევ დედას.
ისევ ჩამოწვა ღრუბელი მაღლივ,
ისევ ფრთებსა შლის სევდის ფრთოსანი,
არვის სიმღერა არ შვენის ნაღდი
პოეტსავით და საღამოსავით.

40.
ყოჩივარდა, ფურისულა,
ქრისტესისხლა, ლილოჭრელა,
თითქოს ქვეყნად არც მოვსულვარ,
სული იწვის, გული ღელავს.
გულს საგულეს ვინ მიკორტნის,
საგულედან გულს ვინ მპარავს,
მშვენიერი დილა მოდის,
სიო მღერის იავნანას.
შეუსისხლავს ზეცა აისს,
მოჰფენია ველს იელი,
ბედნიერი სხვა ვინ არის,

მე რომ ვიყო ბედნიერი?!.
ვინღა დათვლის ნეტავ ამ ცრემლს?!.
ოქროს თავთავს არწევს სიო,
მტრედი კენკავს ოქროს მარცვლებს,
ოქროს ვარდი მიაქვს რიონს.
მივდევ რიონს ნაპირ-ნაპირ,
გულის დარდი მიაქვს ნიავს,
მომღიმარი ვით მიხაკი,
მკერდს ჭრილობა ჰყვავის ღია.
ვიღაც ღობავს წიფლის ღობეს,
ჰა, დაღმართიც ჩავიარე,
სიო მიხვევს ნაჭრილობევს,
სიო მიხვევს ნაიარევს.
ცოტა წყნარად, ცოტა ფრთხილად,
ცოტა მშვიდად, ცოტა ნელა,
პირმცინარე მოდის დილა,
სული იწვის, გული ღელავს.
მზე ბარჩხალა მაღლით მოდგა,
მზე ოქროსფერს მიდგამს კარავს,
ცვარში ცურავს ჩემი ოდა,
ცვარი არა, — ცრემლი ნამავს.
ქარი არწევს ოქროს აკვანს,
სიო კოცნის ქრისტესისხლას,
ვითვლი კურცხალს კაკალ-კაკალ,
ვწონი ცრემლებს მისხალ-მისხალ.
ჩამომჭკნარა ფურისულა,
დამსხვრეულა ბროლის სურა,
თითქოს სულაც არ მოვსულვარ,
თითქოს სულაც არ წავსულვარ.

41.
თვალს ისევ ახელს თეთრი გვირილა
და დაბადების ტკივილებს ითვლის,
მეც დამინურავს გული ტკივილად,
მეც თითქმის ვარ და არცა ვარ თითქმის.
ისევ ვაგროვებ ქარვისფერ ცრემლებს
სადღაც, გაფრენად შემართულ ფრთებზე,
მერე? — ვინ იცის, რა მელის მერე?! —
ჯერ კი ცრემლებად ათასგზის შემსვეს.
და კვლავაც შესძრა ცა შეთრთოლებამ,
ცამ ვიღაც ისევ გადაიკივლა,
ჩემი გაჩენა, ჩემი ცხოვრება
ღირდა კი, ღირდა ამდენ ტკივილად?!.

***
და მაინც ვიცან მოყვარე, მტერი,
ისიც, რაც იყოს ისიც, რაც არის
და ისიც ვიცი, ვარ მუჭა მტვერი,
მუჭა მიწა და მუჭა ნაცარი.
სხვა რაღა მინდა ამაზე მეტი? —
ცხრაჯერ ტანჯული ვერთვი ცხრა წყაროს,
თუ რიგიანად სათქმელი ვერ ვთქვი,
ნუთუ ამისთვის უნდა მაწამოთ?!.
და აჩრდილს შენსას მე მაინც ვეძებ,
ვეძებ დღედაღამ ხელის ცეცებით,
ყოფნა-არყოფნის ვკიდივარ ბეწვზე,
ვეცემი, ვდგები, ვდგები, ვეცემი.
ბედს ქედი მაინც არ მოვუხარე,
გამგზავრებაზე მაინც არ ვჩივი
და მიუყვები დაღმართს მწუხარე
და წინ მიმიძღვის შენი აჩრდილი.
რას არ ეძახდნენ შენს დაღლილ ხელებს
და მეც სახელად რას არ გარქმევდი,
ხან ნაკადულად და ხანაც ღელედ
დაქანებული მე ვარ თავქვევით.
მჩეხდა თათარიც, მჩეხდა ყივჩაღიც,
მჩეხდა ლეკიც და მჩეხდა მონღოლიც,
მაინც გადავრჩი მე სისხლით ნაღდით,
ჩემი ფაცხით და ჩემი ორღობით.
უფალო ჩემო, განმგებლო ყოვლის,
განკითხვას მხოლოდ შენგან მოველი,
მე ის კაცი ვარ, ვინც სვეტიცხოვლის
ტაძარს აუგო სვეტიცხოველი.
ვარ ჩახლართული შენს წნორს და იფნებს,
ვარ შენი ნისლის ციცქნა ნახევი,
მერე რა, შენში თუ ავითქვიფე,
საქართველოს ხომ დარჩა სახელი?!.

42.
მე ვფურცლავ შუბლზე მიყინულ ფიქრებს
და ბაგეებზე მთვლემარე ლოცვას
და შენს თვალებში (არ გჯერა იქნებ?)
ცა უფრო ღრმა და ლამაზი მოსჩანს.
თოვლქვეშ პირმღიმარ ენძელებს ძინავთ
და თოვლის წასვლას უხმოდ ელიან,
აჰა, მოვიდა ნანატრი დილაც
და ენძელებიც შენ გიმღერიან.
ვინ ახმაურებს კარებზე, ვინ არს?!.
წარმავალია მართლაც ყოველი?!.
და, ვით აპრილის მშვენიერ დილას,
მაინც მოგელი მაინც მოგელი.
ვხედავ, კვირტები კვლავ ცრემლებს ისხამს,
აღარ შემომრჩა ძალა თავს ზემოთ,
ისეთ შეკითხვას ნუღარ დამისვამთ,
რომლის პასუხი აღარ არსებობს.
შენ კი თვალებით მეკითხებოდი
შორეულ მითებს, მშვენიერ ზღაპრებს,
ეს იყო როდის, ეს იყო როდის?!.
დღეს ცრემლებს ისე, ვით მარცვლებს ვაბნევ.

* * *
ვარ ბერი ვინმე, მისული ათონს
და ვიწრო ბილიკს მივყვები თავქვე,
ისეთი ცეცხლი უნდა დაანთო,
აღარასოდეს არ უნდა ჩაქრეს.
მაგრამ, ვაი რომ, ირწმუნებ ვერც კი,
მაინც იცოდე, მაინც გახსოვდეს,
რომ არ არსებობს ისეთი ცეცხლი,
რომ აღარ ჩაქრეს აღარასოდეს.
და ისიც, კარგო, იცოდე კარგად, —
ნუღარ ატარებ გაცვეთილ ნიღბებს,
არაფერს იღებ — არაფერს კარგავ,

არაფერს კარგავ — არაფერს იღებ.
ვაგროვებ ცრემლებს, ვით ძვირფას მარცვლებს,
მე უკვე ავცდი ბილიკს იღბლიანს,
ვეღარასოდეს ვერაფერს გასცემ,
თუ არაფერი არ მიგიღია.
და მელანდება საღამო მწუხრის
და ფოთოლივით ბაგე მთრთოლვარე,
შენდა წინაშე მოყრილი მუხლით
სამარადისოდ დავრჩი მოვალედ.

* * *

ვერცხლი და ოქრო, ოქრო და ვერცხლი, —
მე შენ გიგზავნი ძვირფას სახსოვრებს,
ვარ მონატრული ისეთი ცეცხლის,
რომელიც ჰქრება აღარასოდეს.
მე ვფურცლავ შუბლზე მიყინულ ფიქრებს
და ბაგეებზე მთვლემარე ლოცვას
და შენს თვალებში (არ გჯერა იქნებ?)
ცა უფრო ღრმა და ლამაზი მოსჩანს.

43.
ქვემოთაც თოვლი, ზემოთაც მათოვს,
რისი სახელი, რისი დიდება?!.
დავალ ეული და მარტოდმარტო, —
არავის არვინ აღარ სჭირდება.
ქარს ვეკითხები, ძმობილო, რატომ
მხოლოდ ცრემლები და გაფითრება?!.
თითქოს ყივჩაღმა გამხადა პალტო, —
არავის არვინ აღარ სჭირდება.
რა ეშველება განწყობას ამ ჩემს?!.
ძველი ჭრილობაც აღარ მირჩება
და მკერდს, ვით ზამბახს, იარას ვაჩენ,
არავის არვინ აღარ სჭირდება.
თითქოს ვიხდიდე უმძიმეს სასჯელს,
ძველი ჭრილობაც აღარ მირჩება
არა მგონია, რამე გადარჩეს,
არვის არავინ აღარ სჭირდება.
ქვემოთაც თოვლი, ზემოთაც მათოვს,
რისი სახელი, რისი დიდება?!.
დავალ ეული და მარტოდმარტო, —
არავის არვინ აღარ სჭირდება.

44.
შევიცან შენი ფასი რა გვიან,
/რა ვქნა, გვერდით რომ არ მეყოლები!/,
თითქოს მარაბდის ველზე ვაგდივარ
და მიკორტნიან გულ-ღვიძლს ყორნები.
გათავდა, მორჩა, დრო დადგა წასვლის,
დასრულებულა გზები ამ ცოდვის,
შენ ლექსისა და ცრემლების ფასი,
როგორც არავინ, ისე იცოდი.
გადაინისლა ოცნების ველი,
ცისფერ სიზმარში ცხოვრობდი თითქოს,
უკვე არვისგან არაფერს ელი,
უკვე არვისგან არაფერს ითხოვ.
მე ისიც ვიცი, მე ისიც ვიცი,
რასაცა თესენ, მასვე იმკიან,
წასულს გებოძა ეს, როგორც ფიცი,
ვაგლახ, სიცოცხლით რაც დამიკლია.

45.
მე ეს პოემა ცრემლებით ვძერწე,
აქ ყველა სიტყვა ცრემლის ტოლია,
ნეტავ დასასრულს ასე რად ვეძებ,
როცა საწყისიც ვერ მიპოვნია?!.
ვარ გაფანტული ცისფერ სიზმრებში,
ხელი მომხვია ნისლის ასულმა,
ასე ნიადაგ ნეტავ ვის ველი?!.
არც ვინ მოსულა, არც ვინ წასულა.
გადაშლილია სუყველა კვალი,
სახლშიაც უკვე აღარ არიან,
სიყვარულია მხოლოდ უკვდავი,
სხვა ყველაფერი წარმავალია.
წავარნას ცოცვით მოჰყვება ნისლი,
უკვე მელიან ალბათ დაჩიანს,
არსობას ჩემსას არც დასაწყისი,
არც დასასრული არ გააჩნია.
და ვითვლი ცრემლებს — ვარსკვლავთა ციმციმს,
ნისლი ოცნებად ედება წარაფს,
მე ამ ნისლივით, დაიხაც, ვიცი,
რა გზითაც მოველ, იმ გზითვე წავალ.

46.
ავიღებ სასმისს, უჩუმრად დავლევ,
ცა ბღუჯა-ბღუჯად ვარსკვლავებს ისხამს
და ვზომავ საფლავს სულ მტკაველ-მტკაველ,
და ვწონი ცრემლებს სულ მისხალ-მისხალ.
ცრემლებთან ერთად, ცრემლებთან ერთად,
ჩამოიღვარა ცა ნება-ნებად,
როდის წავრსდგები, ო, ნეტავ ღმერთთან,
ნეტავ რას ნიშნავს ფერისცვალება?!.
გადახსნილია საყელო მთვარის
და მიხმობს მთვარე თეთრი მკლავებით,
ვიცოდე მაინც, ვიცოდე მაინც,
საითკენ მიდის გზა უკვდავების?!.
ავიღებ სასმისს, უჩუმრად დავლევ,
ცა ბღუჯა-ბღუჯად ვარსკვლავებს ისხამს
და ვზომავ საფლავს სულ მტკაველ-მტკაველ
და ვწონი ცრემლებს სულ მისხალ-მისხალ.

ავთანდილ ადეიშვილი

მე მოვკლავ ჩემს სიკვდილს...

(მოთხრობა რომანიდან)
ვუძღვნი სოსო მდივნიშვილს

დომენტის დაკრძალვამდე, ამ სამარეში, თითქმის ერთი საუკუნე ბესარიონ ჯუღაშვილი განისვენებდა წარწერიანი ქვით — „მაწევს ლოდი ცხოვრებისა."

ბესარიონის შვილის — სტალინის პატივსაცემად საფლავს ჟღალი ხარაზი პატრონობდა. როცა ქურდობამ სასაფლაოზეც დაისადგურა, ჟღალმა ხარაზმა საფლავის დღეღამურ გუშაგად ნახელმრუდევი, დღევანდელობაში სახელმწიფო დაცვის პორუჩიკი, ყორუღაანთ კიპრია დააყენა. კიპრიას საციხედ ბევრჯერ ჰქონდა საქმე, მაგრამ პოლიციშეფის მფარველობით გარე-გარე დადიოდა, საჭმლისა და კანფეტის მოპარვაზე კაცი როგორ დავატუსაღო, შიმშილი მცნებებს არ ექვემდებარებაო, თავს იმართლებდა ვორუჟან — შეფი. კიპრიას დაუბორკილებლობას მისი გარეგნობაც ეხმარებოდა — შველოდა. ოვალურ სახეზე სპილოსძვლისფერი დაჰფენოდა, თვალები, წელიწადის დროსთან შეხამებით სხვადასხვაფრად უციმციმებდა, ისეთი გავლა-გამოვლა იცოდა, მოდების მენეჯერი, უნდოდა თუ არ უნდოდა, იტყოდა: აი სუპერ მოდელი! სამარის გუშაგობისას, კიპრიას საშესანდობარო სუფრა არ მოჰკლებია. ამ ბიზნესების კორიანტელში კიპრიას ნეკრობიზნესიც გამოეცხადა, ვინმე ჯონათან ჯონსონმა ბესარიონის ნეშტისა და სამარის ქვის გაყიდვა შესთავაზა, კიპრიამ მოზიარეობა ანუ პარტნიორობა ჟღალ ხარაზს შესთავაზა, ჟღალმა ჯონათანი მოიპინტრიშა, სათოფეზე არ გაიკარა, ბესარიონის საფლავის დაცვა გააძლიერა, კიპრიას ხელფასი მოუმატა და სასთუმალი სტალინის მამის საფლავის ქვაზე დაადებინა, მაგრამ ამაოდ... ერთ ცრიატ დღეს ბესარიონის სამარე გაქურდეს — წაიღეს ნეშტი და ის წარწერიანი ქვა — „ლოდი ცხოვრებისა".

ჟღალი ხარაზი გუმანით მიხვდა, რომ ნეკრომძარცველთა ხელისშემწყობი კიპრია იყო და განაჩენიც გამოუტანა: ცოცხლად დამარხა. კიპრია ისე ჩავიდა სამარეში, რომ პატიება არ უთხოვია. ალბათ, ბინიერმა გრძნობებმა მოაბეზრეს თავი, კუბოს სახურავი რომ დააჭედეს, შიგნიდან იყვირა, სიკვდილს ცოცხალი უნდა შევხვდეო, მე ხომ გორგონავტი ვარ, ჩემი ხომალდის სახელია „მე მოვკლავ ჩემს სიკვდილს!" მერე რუსულად შესძახა: „პოეხალი" და როგორც შეეძლო, ისე აცეკვდა. „გაგიუდა" — გაიხარა ჟღალმა ხარაზმა: „ცოდვა გამინახევრდა, ჯანმრთელი არ იმარხება! შეურაცხადია!

შებინდებისას მესაფლავე ხიბრიამ ბესარიონის გაძარცული სამარე ამოვსებული რომ ნახა, პირკატა ეცა, შეეშინდა: სამარის გაყიდვას დამწამებენო და მიწის ამოყრას შეუდგა. შუაღამე გადასული იყო, კუბოს თავს რომ წააწყდა. სახურავი ანაზდად შეტოკდა. მესაფლავე კი არ ამოძვრა სამარიდან, ამოფრინდა... კუბოში საღ-სალამათი კიპრია იწვა. „დამთავრდა გორგონავტიკა, ვიწყებ ასტრონავტობას!" — კიპრიამ კუბოდან იყვირა, მერე მუხლი ჰკრა სახურავს და საფლავიდან წამოდგა, ამოძვრა, ტანსაცმელი დაიფერთხა, იქვე საფლავის შვერილზე სამიცვალებულო წყლიან ბოთლს დასწვდა, ყელში აარუკრუკა. ამას ყველაფერს ცნობისწადილისგან შებორკილი მეყვავილე, იუსტინეს ძეგლს ამოფარებული მესაფლავე ხიბრია უჭვრიტინებდა. სხეულის სიღამური გარშემოწერილობით მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფლავემ წამომდგარი მოჩვენება კიპრიას მიამგვანა. ფუ, ეშმაკს, იყვირა და სახლისკენ მოძუძგა. დიდხანს არ ურბენია, სასაფლაოსთან ცხოვრობდა, შევარდა სახლში, კარი გადარაზა, მძიმე კარადაც მიადგა. არ გასულა ათი წუთი, კარზე კაკუნი გაისმა, რასაც კიპრიას ხმაც მოჰყვა: შემოსვლას ითხოვდა ცოცხალმკვდარი. ხიბრიამ კარი გაულო, ოთახში ფერდაკარგული, ლამის გალურჯებული კიპრია შემოვიდა, სარკეში ჩაიხედა, გაიცინა: ჩემი უფერულობა უჟანგბადობის ბრალია, ღამე უნდა გამათენებინო. გაათენე, გაუცინა მესაფლავემ, მერე დაიძინეს. დილით გაიღვიძეს. კიპრიას გრინკაანთ სამალავში ორი მილიონი დოლარი ეგულებოდა, ხიბრიას კი დომენტის საფლავის მოწყობა ელოდა. დამხმარე მუშა გომელა უკვე იცდიდა და დომენტის ცოლს ეთითლიბაზებოდა:

— ჯუღაშვილის ცხედარი რომ იპოვნონ, რას შვრებით, მეუღლეს სად გადაასვენებთ?

— ნუ ღელავთ, ბესარიონისა და სხვა კომუნისტური ბელადების ნეშტები ფიდელ კასტროს კუბის კომპარტიის მუზეუმისთვის დიდი ხანია შეუძენია, ძალიან ძვირად.

მოვიდა ხიბრია და გომელასთან გეოატომგულური საუბარი წამოიწყო, ეს ორი ტვინჭყლეტია, თავიანთ მოგონილ ბიოატომის გახლეჩაზე იბურბურებდა. დომენტის მეუღლე, ნორა ქელეხის სუფრას ეპიტაფიებით გავსებულ ქვაზე შლიდა, თან მაისის ცას ხამუშ ხამუშ შესთხოვდა: ცაო, მფარველო მფარველთა, ღრუბლებს სათქეშად ნუ შეჰყრი!

— ეხ, ამ სუფრადქცეულ ქვაზე, გაიხსენა ხიბრიამ, — ერთ გაურკვეველ დროს გენიალური ფიზიკოსის ენრიკო ფერმის „ლეკვი" — დიდზე დიდი მეცნიერი ბრუნო პონტოკორვო იჯდა. მაშინ პონტოკორვომ თქვა: „ატომი გავხლიჩე და ამის შესახებ არაფერი ვიცოდიო."

— უსასრულოა არარაობის ჟამი — ვუპასუხე მე.

— რა არის არარაობის ჟამი? — იკითხა პონტოკორვომ.

— დრო! — ვუპასუხე მე.

— დრო რაობაა და არა არარაობა, რადგანაც უკვდავია!

— დრო მოკვდავია!

— ვინ მოკლავს? — მკითხა პონტოკორვომ.

— ადამიანი, თავის დაბადებით, გარდაცვალებითა და სივრცესთან შერწყმით ანუ სამი სიმძლავრის: ელექტრომაგნიტურის, გრავიტაციულისა და ბირთვულის შეერთებით. ეს თეორია ორი მეცნიერის აღმოჩენილია!

— ერთი ცნობილია — ალბერტ აინშტაინი, მეორე ფიზიკოსებისათვის უცნობია. — თქვა ბრუნომ.

— რატომ? — ვკითხე მე.

— აღმოჩენას ჯგუფურობა არ უყვარს.

— არა, არ გეთანხმებით, ერთიანი ველის თეორია მოსპობს დროს, როგორც სამყაროს ჯალათს, ადამიანები ხორციელ უკვდავებას მიიღებენ, ეს წარმოსახვაში, სინამდვილეში: „სიმძლავრის სამკუთხედი" დედამიწას დააქუცმაცებს, რაც მთლიანს ჰქონდა, ის თვისება გადაეცემა ნაწილებს, მსგავსი ბადებს მსგავს, და მსგავსი ჰკლავს მსგავს, ამით კი კვლავ მსგავსი რჩება.

— კემბრიჯი? მეორე მეცნიერი თქვენ ხომ არა ხართ?

— არა, ოქსფორდის შემდეგ, დროისა და სამყაროს მარადიულობის თეორია, როდესაც აქ ჩამოვიტანე და ქართველებს გავაცანი, მეცნიერებმა იცინეს, ბრბოს ამის არაფერი გაეგებოდა და ბაძვით ხარხარებდა, ბოლოს ავანგარდისტულ იუმორად მიიჩნიეს და სატირულ ჟურნალში გამომიქვეყნეს კომენტარებით. მე გამიტყდა გული და ჩემი ნაშრომი ამ სასაფლაოზე ღრმად დავმარხე, ასე გავხდი მესაფლავე.

— დაველოდები თქვენი თეორიის პრაგმატს, — თქვა პონტოკორვომ და წავიდა.

ყველას უკვირდა, დიდი ფიზიკოსი აქ როგორ მოხვდაო? სრულიად უბრალოდ, ის ხომ ჭაბუა ამირეჯიბის სიძე გახლდათ.

საფლავის ქვებზე ქელეხის სუფრა გაიშალა, ჭირისუფალმა დასანაყრებლად ყველას უხმო:

— მობრძანდით, მალე მეუფე გვესტუმრება, გვეტყვის: „მამაო ჩვენოს", მერე კი ღვინო წავუქციოთ დომენტის გახსენებას, ჰო, მართლა, ის კაცი, „ლეკვი", აქ რომ იყო, სად წავიდა?

— ბრუნო?

— მგონი, კი.

— ის წავიდა წარსულში, თქვენს წარმოდგენაში დღევანდელობით არსებობს, ახლა მეხსიერების ფანტომირება მიმდინარეობს, ამას საფლავის ქვები ასხივოსნებენ, ის, რაც დაინახეთ, გეოეკრანიზირებით ხდებოდა.

მეუფე კალისტრატე საფლავებს შორის შეწნულ ბილიკზე გამოჩნდა. ამ გადმოსვენების პარაკლისს მამაო შიოც გადაიხდიდა, მაგრამ მიტროპოლიტმა ითავა, მე ვიტყვი სავედრებელ სიტყვასო. ყმაწვილკაცობიდან მეგობრები იყვნენ და ეს რგოლი მათ შორის არ წყდებოდა.

სამარესთან მდგარნი მეუფე კალისტრა-

ტეს ამბორითა და ჯვარზე მთხვევით შეხვდნენ. მიტროპოლიტი კი ღაღადებდა: „უფალო იესო ქრისტე, შეგვიწყალე ჩვენ, დიდება უფალს. ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი გულით. რამე თუ იგინი ნუგეშისმცემულნი იქმნენ.

— იხარე მეუფეო, ვიცოდი, რომ მობრძანდებოდით, — გაიხარა ნორამ.

— სხვაფრივ არ ძალმიძს. ეჰ, დომენტი, დომენტი, ხოფადან რატომ გადმოგასვენეს?!

— მეუფეო, ხოფას სასაფლაოს ზღვის წყალი შეუჩნდა და შეუდგა, ცხედრები ზღვაში გაიტაცა, დომენტის კუბოს დიდი ქვა დასწოლია და ვეღარ აატივტივა, ასე გადავრჩით, განსვენებულს ანდერძი შევუსრულე, თავის ქალაქში ჩამოვასვენეთ.

მეუფე კალისტრატემ ლოცვა აღავლინა:

— „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალე ჩვენ. ამინ! უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შენი აურაცხელთა მოწყალებით, ვედრებითა წმინდა ქალწულისა დედისა შენისა მარიამისა და წმიდათა მამათა და მოძღვართა, მოციქულთა და მოწამეთა და ყოველთა წმიდათა შენთათა, მიუტევე მონას შენსა თანა დომენტის ცოდვანი მისნი, მიეც მასსა მონასა შენსა საუკუნო ხსენებანი. უფალო, შენ დაამკვიდრე, დააფუძნე სოფელნი და ყოველი დამკვიდრებელნი მას შინა, უფალო იესო ქრისტე, დაუმკვიდრე და აწ განუმტკიცე სასუფეველი ცათა შინა მონასა შენსა დომენტის.

— უფალო შეგვიწყალე,

— უფალო შეგვიწყალე,

— უფალო შეგვიწყალე!

მიაბარეს ნეშტი დომენტისა მიწას, მერე შემოუდგნენ სატრაპეზოდ ქცეულ საფლავის ქვას. მეუფე კალისტრატემ კიდევ აღავლინა ლოცვები და „მამაო ჩვენოთი“ დაასრულა. პური გატეხა, დაიწყო ტრაპეზი. მეუფე კალისტრატემ გაიხსენა, ყმაწვილკაცობაში დომენტისთან ერთად, არსებული წყობილების წინააღმდეგ პროკლამაციებს — „თავისუფლება საქართველოს“ რომ ავრცელებდა. ერთხელაც დაუჭერიათ, ამერიკულ „ჯიპში“ ჩაუყრიათ. ამ ჯაჯგურსა და მანქანაში ძალით შეტენის დროს, დომენტის ხალათიდან ის აკრძალული ქაღალდები ამოუძვრენია და „ჯიპის“ საფენ-ფარდაგის ქვეშ ამოუდვია... ორგანოში გაჩხრიკეს, ნივთმტკიცება რომ ვერ აღმოუჩინეს, ორივე გაათავისუფლეს. ის საჯანყო ფურცლები ძალოვნებმა ერთი წელი ატარეს. ავტომრეცხავები საფენების ამოლაგებისას, გაზეთში გახვეულ პროკლამაციებს ციმციმ ამოიღებდნენ ხოლმე და ისევ თავის ადგილზე დებდნენ, ამგვარად იქცეოდა რემონტიორი თუ სხვა ხელოსანი. ასე დიდხანს გაგრძელდებოდა, მდინარის სანაპიროზე ის „ჯიპი“ რომ არ ამოტრიალებულიყო და მთელ ქალაქში პროკლამაციები არ გაეფანტა.

— ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის! — ჭიქა ასწია გროველამ.

— ამინ, სიმართლე სიწმინდეა, სიწმინდე სიბრძნიდან მოდის!

— სულიერი სიბრძნე კი მოყვასის სიყვარულს გვიქადაგებს!

— რაებს ბოდავთ, ახალი, დღევანდელი სიბრძნე ფულია, ფული კი ღმერთია, ადექით, საფლავები თხარეთ, ბიუჯეტში ფული შემოიტანეთ, დრო ფულია! ვინა თქვა ეს, თუ იცი შენ? მამაჩემო, თქვენო ღირსებავ, ბატონო მესაფლავევ!

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხა ნორამ.

— მოდერნისტული პარტიის წევრ-ავანგარდისტი „ერთთა კავშირი“-ს ფრაქციიდან.

— მერედა, შვილო, აცალე ჯამაათს კაცის შესანდობარი დალიოს.

— კაცი, კაცები და მისთანები სხვადასხვა ორიენტაციის მოქალაქეებში გაღიზიანებას იწვევენ, შეიგნეთ, კაცებად და ქალებად დაყოფით სამოქალაქო საზოგადოება ვერ აშენდება, ამით კი ევროიუნიტედში პრობლემები გვექმნება. ახლა არ დამიწყოთ ბაზარი, უმრავლესთა აზრი ერთია: შექმენით საბიუჯეტო თანხა. შენ, იმიჯდაბრედილო, მამიკო, ადექი და წინსწრებით თხარე საფლავები, ოჯახებს წინასწარ გადაახდევინეთ სამარის ღირებულება, ნაღდი პონტია, ყველა ოჯახს შავი დღისათვის თითო მკვდარი ყოველთვის ეყოლება, თუ არადა, მამიკო, საგადასახადო თანხა ავანსად შეიტანე, სანამ მიცვალებული გამოჩნდება.

— ფუი ეშმაკს, სად მაქვს ფული?!

— დაუსაბუთებელი ქონება გააქვთ? — გაოცდა ნორა.

— მაქვს, აი, ეს! — ხიბრიამ ჯიბიდან ხორბალი ამოიღო, მუჭა გაშალა და ხელისგულზე ოქროსფერი მარცვლები გაბრწყინდა.

— „პური ჩვენი არსობის“! — თქვა მეუფემ.

— მასეთი არსობა სამი ტონა აქვს! — მაბეზღარობდა მოდერნპარტიელი.

— საიდან, მესაფლავევ?! — გაოცდა დომენტის ქვრივი.

— წლობით ვაგროვებდი.

— შვილო ჩემო, სად მოიჭირნახულე?

— აქ, ამ სასაფლაოზე მოვიმკე.

— აქ ამოპურდა? — გაოცდა მეუფე.

— ადრე ამ მიწას საყანედ ხნავდნენ, პური მოჰყავდათ, ხორბალიც იმიტომ წამოვიდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საუბარში შევიდა გროველა.

— ბილიკების გასწვრივ, ყველა საფლავზე და თავისუფალ ადგილებში რატომ არ ჯეჯილობს მიწა?! — ნიშნმოგებით კითხულობდა ხიბრია.

— მიწაზეც არის დამოკიდებული.

— გროველ, აქაური მიწა ნიადაგმცოდნეებს გავასინჯე: ბიოსფერო, ჰავა, ტერიტორიის ხნოვანება ყველა მონაკვეთში ერთი და იგივეა. ტენისა და სითბოს განაწილებაც აქ, ამ მიდამოზე თანაბრად ხდება. სიცოცხლით მდიდარი, შემდგარი ნიადაგია!

— რომელ ჯიშს მიეკუთვნება ეგ თქვენი ხორბალი? — ჰკითხა ნორამ.

— მსგავსი ჯიში და სახეობა დედამიწის ზურგზე არ არსებობს, წინანდლელმა ბოგველიანთ გიორგიმ ფილთაქვით გააფქვილა ხორბალი, დაიგემოვა და მაუწყა: ეს ქრისტეპურაა, 15% ცილას, 20% ოქროს, 60% ნახშირწყლებს, 2% ცხიმსა და 7% მინერალურ ნივთიერებებს შეიცავს, არ ლპება და არც იფშვნება, რქისებრისაა და ადვილად ჩაითესლება, მღრნელი არ ეკარება, თვითდაცვის უნარი აქვს. ზოგი უფლის პურსაც ეძახის, ზოგი ქრისტესპურას, ზოგი ყვითელ დიკას, ეს მარცვალი ურწმუნოთა ხელში გადაშენდა.

— ყანეული მარცვლის კოლექციონერი მოუყვანე, გამოჩენილი კაცი, კიპრია ატვეჩაია, სამ ტონა ნაგავში კლიენტი ნახევარ მილიონ დოლარს იძლევა და ეს კი ეპონტავება, რიჟა ბაზარს უშვებს: სასწაული მარცვალია, ღვთის ნებით მოდისო! რა პონტია ეს?! დროზე მაყუთი, თორემ გამრიცხავენ, სიმონ, პარტიიდან და მინისტრი ვერ გავხდები!

— შვილო ჩემო, ღმერთი გწამს? — დაღონდა მეუფე კალისტრატე.

— ეჰ, ბიძაჩემო, ჩაიარა მაგ თომარის პოეზდმა!

ამის საპასუხოდ მიტროპოლიტი ფეხზე წამოდგა და შეევედრა უფალს: მეუფეო, ყოვლისა მპყრობელო, მკურნალო სულთა და ხორცთა ჩვენთაო, რომელი დაამდაბლებ და აღამაღლებ, რომელი ჰსწყალავ და კვლავ განჰკურნავ, ძმასა ამას. ჩვენსა სნეულს. ზედა მოჰხედე მოწყალებითა შენითა, მიჰყავ მარჯვენე შენი უხილავი სავსე ლხინებითა და კურნებითა, განჰკურნე მონაი ესე შენი...

— ზურა! — უკარნახა ხიბრიამ.

— განჰკურნე მონაი ესე შენი ზურაბი!

— ვაჰ, ჩემი დედას შევე... თუ იაღოვლები არ მოგიყვანოთ!

მუქარამ ყველა გააოგნა. მეუფე კალისტრატემ დააცხრო აღელვებულნი:

— ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა, ძალა ღვთისა დააოკებს ჭაბუკსა, ამინ! — პირჯვარი გადაიწერა მეუფემ.

ხიბრიამ ხორბლის მარცვლები ყველას ჩამოურიგა, ხელისგულზე ოქრომარცვლები აბზინდნენ.

— ხალხნო, ამიხსენით, რატომ ამოვიდა უთესლოდ ჯეჯილი? რატომ ყველა საფლავზე არ ამოდის, რატომ ამოდის მიტოვებულ საფლავებზე. შხამით ვამუშავებ ნიადაგს და ხორბალი მაინც ამოდის. ასე წლობით ვაგროვე ხორბალი. უფალო შემინყალე და, დაფარულს გამჟღავნებული სჯობია, იესო ქრისტეში არის ხორბლის სულიერება, კეთილმა სულმა წარმოშვა ხორბლის ოქრომარცვლოვანება, კეთილ სულებს ხორბლის დაბადების ძალა შესწევთ! აი, ძალა ღვთიური მადლისა, შევსვათ სასმისი!

— თუ ხარ მორწმუნე, უფლის მადლით ხარ ამაღლებული, ამინ! — თქვა ნორამ.

მოტრაპეზეებმა სუფრა მიატოვეს, ხიბრიას განსჯის გზას გაჰყვნენ, გზა ბილიკში შევიწროვდა. სასწაულების მადევარნი ბილიკ-ბილიკ გისოსებით შემორაგულ საფლავს მიადგნენ. გრანიტის ქვა იუწყებოდა, რომ აქ განისვენებს მჭედელი ალექსანდრე ყარყუმიძე. ძეგლი დაადგა ანანო დილიხოძემ.

— აქ ამ სამარიდან ხორბლის თავთავი ამოდის. იგივე მიწაა, სადაც დაკრძალულია პოპოშა მარცვალაძე, აქედან არ ამოდის. მეუფეო, მითხარ მიზეზი, სასწაული რომ ვერავინ ამიხსნა, ანანო დილიხოძე, ვინც ძეგლი დაადგა, ის მოვძებნე, შვილს ამერიკაში წაუყვანია, ნიუ-იორკში წერილი გავუგზავნე, შენ რომ მჭედელს ძეგლი დაადგი, რა კაცია-მეთქი. იმანაც მიპასუხა: „ალექსანდრე, მჭედელი გახლდათ, ახოვანი, სახემარღიანი, თვალსხივიან გამოხედვით, ეშხიანი ქალები სულ იმას იკვეხნიდნენ: მე ისეთი მხურვალებით შემომხედა, ლამის სიამისაგან ჩავიფერფლეო, მეც შემიყვარდა მჭედელი ალექსანდრე, მისი მიხრა-მოხრისაგან მუხლი მეკვეთებოდა და ერთხელაც ალექსანდრეს თვალწინ ჩავიკეცე. იმან უმალ ხელი მტაცა, იღლიებში შემიტარა, იქ, სადაც ძუძუს აგლუვება იწყება, იქ შეაჩერა ხელი, მაღლა აწევისას, მარცხენა ხელის შუა თითი ძუძუს კერტზე მომხვდა, საამო ტკენა ვიგრძენი, იქვე ახლოს, ლიმონას დუქანთან მიმიყვანა, მედუქნე სკამიდან წამოაგდო, მე დამსვა და თვითონ გზა გააგრძელა. მაშინ 14-ისა ვიქნებოდი. 15-ისა რომ გავხდი, ქალური ნდომა შემომენთო, ერთ-ერთ კაკანათა გულის მეზობელს ჩემი გასაჭირი შევჩივლე, იმან კი მიპასუხა, მე რომ ქმარი დამეღუპა, შენნაირად ვიწოდი ვნების ცეცხლზე, მამამთილს, როგორც მამას გული გადავუშალე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმან წამალი გამომიწერა: ტახტზე მაგარზე გადამაწვინა და დილამდე მიქუქუნა. მე ჩემი ვუთხარი, ალექსანდრე შემიყვარდა-მეთქი. იმან, იმ მეზობელმა, ისე მომიწყო საქმე, რომ ალექსანდრეს სახლში ღამე ფანჯრიდან შიშველ-ტიტველი გადამაძვრინა, ჩემი ტანსაცმელი იმან წაიღო, თან მითხრა: ალექსანდრეს ლოგინში შეუწექიო, მეც შევუწექი, ალექსანდრეს გაეღვიძა, პირველად ვიგრძენი ვაჟკაცის სუნთქვა, ის ლოგინიდან წამოდგა, ჩაიცვა შარვალი და მითხრა:

— შენი ეშმაკი დიდია, მაგრამ ჩემი ნამუსის სიწმინდეს ვერ დააჭარბებს, მე მამად შეგფერი, ჩემი მცნებაა ყოველთვის მამობრივი ვიყო, მითხარი ვინ გაცდუნა შენ, სად გაქვს სამოსი?

— არ ვიცი! — ვუპასუხე მე.

იმ ღამეს მიკითხა მჭედელმა სახარება, დილით მღვდელთან — პაპა რეზოსთან წამიყვანა და უთხრა:

— მამაო, ეს გოგონა უპატრონოა და უნდა ვიშვილო, გვაკურთხე, მე მამად და ეს კი — შვილად.

— მე მშობლები მყავს! — ვაუწყე მე.

— ეს გოგონა უპატრონოა, გვაკურთხე, როგორც გითხარი, — ითხოვდა მჭედელი — მამა.

მის ხელში დავქალდი, გავთხოვდი, დავშვილიანდი, ორი ვაჟი მეყოლა, ორივეს ალექსანდრე დავარქვი, იმათაც ვაჟები ეყოლათ და ალექსანდრეებად მონათლეს, ვამრავლებთ ალექსანდრეებს. სანამ ცოცხალი ვარ, ჩემთვის ყოველი წუთი, საათი და დღე ზეიმია, ამ უაზრო ცხოვრებაში, ზეიმისა და დღესასწაულის განზომილება უნდა მოიძებნოს, მოითხოვე და მიაღწევ, მივიღე ალექსანდრეს საფლავზე დათავთავებული შენი გამოგზავნილი ხორბალი, ჭაობიან ადგილას მოვაბნიე, ზოგი ქოთანში ჩავთესე, რა საამო სურნელს გამოსცემს, ეს ალექსანდრეს სურნელია“.

ხალხნო, აქაც ხორბალი ამოდის, აქ კაცი ასვენია, რომელმაც თავისი თვალი ამოიღო და რვა წლის ბრმა ყმაწვილს აჩუქა, არადა, გაჭირვების გამო ჰყიდდა. ხალხნო, ზნეობრივი ცხოვრება სასწაულებს ახდენს. მეუფეო, გავხსნათ საფლავები, ხალხს ვუჩვენოთ, რომ რწმენით კეთილნი უხრწნადები არიან.

— ეს მკრეხელობაა, ნუ შევაწუხებთ ძვირფას მიცვალებულებს, ისინი ხომ რწმენით არიან სასწაულნი! დიდება უფალს!

მიტროპოლიტი იქაურობას მოსცილდა.

— მეუფეო, ხორბალს რა ვუყო? — ჰკითხა ხიბრიამ.

— დათესე, უფლის ნებით დათესე, დათესე, სადმე ტრიალ მინდორზე დათესეთ, შვილნო ჩემნო!



მღვდელ-მონაზონი



ქარიშხლისგან დალეწილებს

თავს შევუშვერ, აისროლონ ქვა რომ ზევით.
ბანდიტებმა მთვარე მოჰკლეს, მზე ჩაიწვა...
დანგრეული ამქვეყნიურ ქაოსებით,
სად მიგყავარ, გამარკვიე დედამიწავ?!
ვიღაც მომდევს, ვიღაც მომდევს ნაჯახებით,
ჩემმა სისხლმა წითლად უკვე გზა მოფერა.
ალბათ გამსრესს მეტეორულ დაჯახებით,
ამ დრო-ჟამის უსაშველო გამოფენა.
იქნებ სჯობდა, ბედს რომ ადრე გავეწირე...
არ შემეხოთ, დავიწყების მადევს ფითრი!
წავალ, ვარდებს ქარიშხლისგან დალეწილებს
ცრემლიანი მწუხარებით გადავითვლი.
მთელი ვიყავ, დღეს ვარ მთელის ნაწილები.
ყველაფერი როგორ დადგა თავდაყირა...
საგიჟეთში უკეთ ვიყავ გაცილებით,
აქ ცხოვრებამ ჩემთვის ცეცხლიც გადაყინა.
აღარც მჯერა თუ ოდესმე მართლა ვიყავ,
დრო ხვალ გულზე რკინის ქუსლით
გადამივლის?
საწუთროო, ყველაფრიდან თუ გამრიყავ,
სიკვდილის წინ მოვუსმენდი პაგანინის.

მისი უწმიდესობის, მამისა ჩვენისა ილიასადმი

უძღები ერის მამა შენა ხარ,
მამა კოლხთა და მამა იბერთი...
შენს გამძლეობას დრო ვერ შელახავს,
თუმცა კი თეთრად ჩამოგვიბერდი.
ქვიშა დარჩება, წყალნი მიდიან,
უფალმა იცის, ვის რა ადარდებს...
შენ საქართველო გულში გინთია,
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.
დრო დადგა მტერს და დუშმანს მიეზღოს,
მხრებით ხომ ზიდე უგნურთა ტვირთი.
გახსოვს, შობა დღეს, როგორც იესო
ჩემთა ცოდვათა გამოც ატირდი.
შენს გულს და გრძნობას დრო ვერ შელახავს,
ერის მამობა ძნელზე ძნელია.
საქართველოსთვის მოსე შენა ხარ,
საქართველოსთვის შენ ხარ ელია!

გიჟის ცრემლებით

პოეტისათვის სიყვარული სად არის მითხარ,
უსიხარულოდ როცა კვდები და ითიშები?
შეშლილთა სახლის შესასვლელთან
გავჩერდი დიდხანს,
რომ დამენახა მეგობრები, ძველი გიჟები.
გააორკესტრა ბედმა უკვე ჩემი წამება,
გისოსებიდან იხედება ხმელი ჭადარი...
შეშლილ დღეების მწუხარებას ეწამწამება,
გული მოკლული, ნატანჯი და ნაავადარი...
ვიდექი დიდხანს, ჩემში ვიღაც შოპენს
უკრავდა,
(გრძნობა თუ შეგრჩა კაცი ამ დროს
მოიცელები)...
ტკივილს მოწოლილს ვერ გაუძლო,
ვერ გაუმკლავდა
და ის ატირდა ვეტერანი გიჟის ცრემლებით.
პოეტისათვის სიყვარული სად არის მითხარ,
უსიხარულოდ როცა კვდები და ითიშები?
შეშლილთა სახლის შესასვლელთან
გავჩერდი დიდხანს,
რომ დამენახა მეგობრები, ძველი გიჟები.

მთაწმინდის თოვლი

თოვლი მოდის... თოვლი მოდის, ოფელია
თოვლში თეთრად იძირება ქალაქი,
შენც სითეთრე, რა სითეთრე მოგფენია,
მიატოვე ცივი ძვალთშესალაგი.

თოვლი მოდის...
ახლა უკვე სულერთია —

საიქიო სააქაო რაც გინდა,
დღეს თბილისი ამ სამყაროს სულეთია
და სულების ტაძარია მთაწმინდა.

შენც ამ თოვლში თეთრ შროშანას
ჰგავხარ, ოდენ,
თვალისათვის თუმც არა ხარ საჩინო,
ამ თოვაში, ოფელია, გიხაროდენ,
ხორცით ყოფნა არც ყოფილა საჭირო.

თოვლი მოდის, ყური უგდე, ოფელია,
მთაწმინდაზე სულთათანას გალობას
თბილისს თეთრად უფლის კვართი მოჰფენია,
დაივიწყე ბედის უმოწყალობა.

ზეცის ნედლი ფირუზები მეფინება,
სადაც გაჰქრა ბედი ნატალახარი,
თოვლი მოდის იებად და ზეფირებად,
სულთმოფენა არის ახალთახალი.

ჩემი სული სიყვარულით შეშლილია,
ჩემი სული ახლა ამ თოვლს ედრება,
სიმარტოვის უკვე აღარ მეშინია —
შეისმინა ზეცამ ჩემი ვედრება.

შენც ამ თოვლში თეთრ შროშანას
ჰგავხარ, ოდენ,
თვალისათვის თუმც არა ხარ საჩინო,
ამ თოვაში, ოფელია, გიხაროდენ,
ხორცით ყოფნა არც ყოფილა საჭირო.

ხარების ნათელი

ხარების ნათელი სანთლებად აუვლის
ამ ვარდებს, ამ აპრილს, ამ სივრცეს, ამ სიოს,
დიდება, ღვთისა და ჯვარცმული მამულის
აქსიოს, აქსიოს, აქსიოს, აქსიოს,

რომ ცოდვის სოფელი ცას მიესაუბროს,
ცოდვილთა მაგიერ რომ სისხლი აქციოს,
სამწმინდა არსების, სამწმინდა საუფლოს
დიდება, დიდება, აქსიოს, აქსიოს,

რომ სხივად შეენთოს იბერთა საცხოვარს,
იქ ბანას, იქ ტაოს, აქ ჯვარს და აქ სიონს,
დიდება, მხსნელსა და წამებულ მაცხოვარს,
აქსიოს, აქსიოს, აქსიოს, აქსიოს,

ვით ვარდის ფურცლობა, ვით ოქრო ცურვილი
სიკვდილით სიკვდილი სიცოცხლედ აქციოს,
დიდება ღვთისა და სიმართლის წყურვილის
აქსიოს, აქსიოს, აქსიოს, აქსიოს.

ალუდა ქეთელაურისადმი

ძმას ძმისთვის მტრობა სწყურია,
შენ მტერს დაუკალ კურატი...
ნამუსის ქუდი სხვას ჰქონდეს,
მე შენსას დავიხურავდი!

უნდა გამიგო

ამოსვლით მოგაქვს ალთა კვეთება,
ჩასვლით საფლავთა დუმილს მაგონებ.
გთხოვე, დღე-ღამის გადაკეთება
ვგრიალებ, მაგრამ ვერ გაგაგონე.
რომ სიმღერები გზა-გზა ვარიგო,
რომ ქარიშხლებით გრძნობა გაჭენდეს,
ცეცხლად მჭირდები, უნდა გამიგო,
მზეო ზენიტში უნდა გაჩერდე!

მაშ ეგრე?!

...„მცხეთა ასე ამიგია“...

თუმცა გამწარებას რაც შევქმენ,
მაინც წუნს ადებ სიკოჭლის...
არ გინდა, ჩემი მარჯვენა,
აბა, მაშ მითხარ, ვის მოსჭრი?
რომ მწყევლი სულო ბოროტო,
ვერ მავნეს შენმა ქინქლებმა,
მკლავს მაინც მოგაჭრევინებ,
კისერზეც მომწვდე იქნება.
მაშ ეგრე, ღირსად არა მთვლი,
მარჯვენას არ მჭრი კრეტინო?
კაცი არ ვიყო, თავიც თუ
ძირში არ მოგაკვეთინო!

როგორც მადლობას

ჩემი სიცოცხლე არის ხანძარი,
შემოქმედების ცეცხლით ხარება.
სულო ბოროტო, ვერ გადამძალეს,
წყეულო გიჭირს ახარხარება.
მტანჯავ და მტანჯავ, მაინც ვერ სცხრები,
რადგან აპრილი ჩემთვის აპრილობს.
ეს სიმღერები, როგორც მერცხლები,
გულიდან მინდა ამოვაფრინო.
მიმატებ დღეთა უსინათლობას,
შხამი იღვრება შენი პირიდან,
მაგრამ სიცოცხლეს, როგორც მადლობას
სიმღერით მაინც ღმერთთან მივიტან.

შეშლილთა სახლში

სულო ბოროტო, სიახლოვეს ვეღარ მომიტან,
შენმა სიგესლემ-ულმობელმა
ვერ იხოლეროს!
ყოველი ღამე ჩემთვის არის მთვარის სონატა
და დღე ყოველი მთელი გრძნობით უკრავს
ბოლეროს.
ჰოი, ავსულო, ჩემი გზიდან გადაიწიე!
ზეცა გაიხსნა, წინათგრძნობა გამიმახვილდა,
მე ჩემს ცხოვრებას და სიცოცხლეს
არამიწიერს,
გიჟის ხელებით გავიტაცებ
ტანჯვის სახლიდან.

გათავისუფლება

იმ ტკივილს დღეს სული ახლოს არ იკარებს,
იმ ტანჯვას, რომელმაც შაშხანით დამხვრიტა,
სიმღერა ხომ მაინც წავგლიჯე გრიგალებს
და გამოვიტაცე შეშლილთა სახლიდან.
მოვდივარ ცხრა გულით და მომაქვს იმედი,
მოგიტანთ სიყვარულს, გახარებთ შორიდან.
ხარს, როგორც მომაკვდავს შენ ისე მიმზერდი,
ცხოვრებავ — ჩემს სისხლში
მოსვრილო კორიდავ!
დღეს ამ სულს ყინულით ვერ გადააციებთ,
რომ აფრქვევს სიცოცხლეს,
რომ ხედავს უხილავს,
მოვდივარ ვარდებით, ხელები ასწიეთ!
მე ვარდებს მოვიტან ელვად და ქუხილად.
ცხოვრებავ, რომ მუდამ ხანძრებით მიტევდი,
ვერ მომკალ, სიმღერას მე ვიწყებ ახლიდან...
მზე მომაქვს, მზე მომაქვს,
მზის მარგალიტები,
მზე გამოვიტაცე შეშლილთა სახლიდან!

მოდის თიბათვე

ცეცხლზე ნავთს მასხამს ახლა ვივალდი,
ცეცხლი, რა ცეცხლი, სად რა ანთია,
ხვალის იმედიც უფალს მივანდე,
საღამოა და მთვარის ლანდია.

მოდის თიბათვე სისხლის გამშრობი,
და სწამლავს მინდვრებს კელაპტრებიანს
და რაც დრო გადის, ჩემი ბავშვობის
დღეები უფრო მენატრებიან.

მემატებიან გულში ბზარები,
ვეღარ იხარა გულმა უშენოდ,
ღრუბელო, საით მიემგზავრები,
დაიცა, ჩემს სულს იქნებ უშველო.

საქართველო

საქართველო — ეს ახალი გალილეა,
საქართველომ უნდა ამცნოს ახაროს!
საქართველო დედამიწის მარილია,
შეისმინე, საუკუნევ, ახალო.

ფოთოლცვენა

ჩაყვითლებულმა გული ჩამწვეს
ჩალის ღერებმა,
„არ მოწიოს“ და „არ დალიოს“
წუწუნებს ცოლი,
ფოთოლცვენაა, ხედავ, ქალო, არ მემღერება,
შემოდგომასაც გაზაფხულის
სასწორზე სწონი,

ფოთოლცვენაა, სევდა უკვე ძვალში გავიდა,
ყელში ბურთი მაქვს გაჩხერილი მახრჩობს,
ღრიჭინობს,
ღვინო კი არა, ჩამომისხი საწამლავიდან,
თავი როგორმე საწამლავით გადავირჩინო.

პოეტის ცრემლი

თქვენ იმას ხედავთ გულქვა კაცებო,
რაც დღეს არის და ხვალ არ იქნება,
რასაც თქვენ ხედავთ, ის არ არსებობს,
არსებულს ცრემლით უნდა მიგნება...

თქვენ რაც არ იცით, იცის ბალახმა
და მაინც ბალახს თელავთ ფეხებით,
აზრი აქვს მხოლოდ იმის დანახვას,
რასაც ცრემლიან თვალით ვეხებით.

თვალში ნაცარიც რომ შემაყარონ,
გრძნობა შემრჩება თავისუფალი,
პოეტის ცრემლში ვხედავ სამყაროს,
ცრემლის წვეთშია თვითონ უფალი.



ნიკოლოზ ბერდიაევი

ესეები

იდეებისადმი რუსების დამოკიდებულების შესახებ

I

ბევრი რამ ჩვენი ხალხისა და საზოგადოების ფსიქოლოგიურ წყობაში სევდიან ფიქრებს აღგვიძრავს. ერთ-ერთ ყველაზე სამწუხარო ფაქტად უნდა ვცნოთ გულგრილობა იდეებისა და იდეური შემოქმედებისადმი, რუსული ინტელიგენციის ფართო ფენების იდეური ჩამორჩენილობა. აქ ვლინდება აზრის სიმჭკნარე და ინერტულობა, აზრის მიმართ უნდობლობა და გულგრილობა. რუსული სულის მორალისტური წყობა, — აი, აზრისადმი იჭვნეული დამოკიდებულების მიზეზი. იდეების სიცოცხლე ჩვენში ფუფუნებადაა მიჩნეული, ამ ფუფუნებაში კი შეუმჩნეველი რჩება არსებითი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. რუსეთში სრულიად სხვადასხვა, ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისით ქადაგებენ ასკეტურ თავშეკავებას იდეური შემოქმედებისა და აზრის სიცოცხლისაგან, რომელიც უკან იტოვებს სოციალური, მორალური თუ რელიგიური მიზნებისათვის უტილიტარულად საჭირო ზღვარს. ეს ასკეტური დამოკიდებულება აზრისა თუ იდეური შემოქმედების მიმართ თანაბრად დამკვიდრდა ჩვენში როგორც რელიგიური, ისე მატერიალისტური თვალსაზრისითაც. ეს ისე ნიშნეულია რუსული ხალხოსნობის უკიდურესად მემარცხენე და უკიდურესად მემარჯვენე ფორმებისთვისაც. რუსული სულის ამ თავისებურებამ ნათელი გამოხატულება ჰპოვა ტოლსტოველობაში. ჩვენში ზოგიერთი საკმარისად მიიჩნევს აზრის იმ მინიმუმს, რაც მოცემულია სოციალ-დემოკრატიულ ბროშურებში, ზოგი კი — იმას, რასაც შეიძლება წმიდა მამების ნაწერებში მიაკვლიო. ტოლსტოველების, მ.ა. ნოვოსელცოვის „რელიგიურ-ფილოსოფიური ბიბლიოთეკისა“ თუ სოციალურ-რევოლუციური ბროშურები აზრისადმი სავსებით ერთნაირ სიძულვილს და ზიზღს ავლენენ. აზრის თავისთავადი ფასეულობა უარიყოფოდა, იდეური შემოქმედების თავისუფლება კი საეჭვოდ იყო მიჩნეული როგორც სოციალ-რევოლუციური, ისე რელიგიური ხსნის თვალსაზრისითაც. ჩვენში უყვარდათ მხოლოდ კათეხიზისები, ადვილად და მარტივად რომ ესადაგებოდნენ ნებისმიერ ცხოვრებისეულ შემთხვევას. მაგრამ სწორედ კათეხიზისების სიყვარულია სიძულვილი თვითმყოფი და თავისთავადი აზრისადმი. ჩვენში ყოველთვის უცხო იყო შემოქმედებითი სიუხვე, ყოველივე რენესანსული; აღორძინების სულის ნატამალიც კი არ ყოფილა. ასე უსიხარულოდ და სევდიანად ჩამოყალიბდა რუსეთის ისტორია, რამაც გათანგა რუსი ადამიანის სული! ადამიანისა, ვისი მთელი სულიერი ენერგია მიმართული იყო ერთადერთი აზრისაკენ — როგორმე ეხსნა საკუთარი სული, ეხსნა ხალხი და მთელი საწუთროც. საყოველთაო ხსნის იდეა, — აი, სპეციფიკურად რუსული აზრი. რუსი ხალხის ისტორიული ბედი თავგანწირული მსხვერპლის ბედია, გზას რომ უღობავდა აღმოსავლეთის შეჭრას ევროპაში და თავისუფალი განვითარებისთვის ძალა აღარ ეყო.

დასავლელი ადამიანი ქმნის ფასეულობებს, ქმნის კულტურის შედევრებს, მისთვის ნიშნეულია თვითმკმარი სიყვარული ფასეულობებისადმი; რუსი ადამიანი ეძებს ხსნას, ფასეულობათა შექმნა, მისი აზრით, ყოველთვის ცოტა საეჭვოა. ხსნას ეძებენ არა მარტო მორწმუნე რუსი სულები, მართლმადიდებელნი თუ სექტანტები, ხსნას ეძებენ თვით რუსი

ათეისტები, სოციალისტები და ანარქისტები. ხსნისთვის საჭიროა კათეხიზისები, მაგრამ სახიფათოა თავისუფალი და შემოქმედებითი აზრი. ნუ გგონიათ, თითქოს რუსული მემარცხენე, რევოლუციური ინტელიგენციის ყველაზე უკეთესი ნაწილი საზოგადოებრივი იყოს თავისი ნებელობისმიერი სწრაფვით და პოლიტიკა მიაჩნდეს თავის ძირითად საქმედ. მასში საზოგადოებრივი აზრის, პოლიტიკური ცნობიერების ნატამალსაც ვერ ჰპოვებთ. ის აპოლიტიკურია და არასოციალური. ამიტომაც უკუღმართი გზებით მიელტვის სულის ხსნას, სიწმინდეს, შესაძლოა, გმირობას და ქვეყნის სამსახურსაც, მაგრამ მოკლებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მშენებლობის ინსტინქტებს. რუსული ინტელიგენციის „საზოგადოებრივი" მსოფლმხედველობა, პოლიტიკას რომ უქვემდებარებს ყოველგვარ ფასეულობას, უჩვეულო უთავბოლობის, არეულ-დარეულობის, აზრისა თუ ცნობიერების სიძაბუნის, აბსოლუტურისა და რელატიურის ურთიერთაღრევის შედეგია. რუსული ინტელიგენტური მაქსიმალიზმი, რევოლუციონიზმი, რადიკალიზმი ერთგვარი მარადიული ასკეტიზმია სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და, საერთოდ, ისტორიულ ცხოვრებასთან მიმართებით. უთუოდ ნიშანდობლივია, რომ რუსული ტაქტიკა, ჩვეულებრივ, ბოიკოტის, გაფიცვებისა თუ უსაქმურობის ფორმას იღებს. რუსი ინტელიგენტი არასოდეს არ არის დარწმუნებული, შეიძლება თუ არა მიიღოს და აღიაროს ისტორია მთელი მისი ტანჯვა-წამებით, სისასტიკითა და ტრაგიკული წინააღმდეგობებით; განა უმჯობესი არ არის მთლიანად უარყოს იგი? რა საჭიროა ისტორიასა და მის ამოცანებზე ფიქრი? ის ამჯობინებს ისტორიაზე მორალიზებას და მისთვის თავისი სოციოლოგიური სქემების მისადაგებას, ასე ძალიან რომ გვაგონებენ თეოლოგიურ სქემებს. და ამ მხრივ, მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი რუსი ინტელიგენტი ტიპიურ რუს ადამიანად რჩება, ვისთვისაც ყოველთვის უცხო იყო ინტერესი ისტორიული აზრისა და ისტორიული დრამატიზმის მიმართ. ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის განზრახ პრიმიტიული და ელემენტარული იყო, ყოველთვის სიმარტივეს მიელტვოდა და უფრთხოდა სირთულეს. რუსი ინტელიგენცია ყოველთვის აღიარებდა ამა თუ იმ დოქტრინას, თავისუფლად რომ თავსდებოდა ჯიბის კათეხიზისში, ან უტოპიას, რომელიც საყოველთაო ხსნის ადვილ და მარტივ ხერხს სთავაზობდა, მაგრამ უფრთხოდა და უარყოფდა თვითმყოფსა და თავისთავად შემოქმედებით აზრს, რომლის წინაშეც შეიძლებოდა უსასრულოდ რთული პერსპექტივა გადაშლილიყო. ეგრეთწოდებული რადიკალური ინტელიგენციის ფართო მასაში აზრი არა მარტო გამარტივებულია, არამედ გაუხამსებულიც და გამოფიტულიც. ძველი იდეების გადაშლა ნახევრად გულგრილ მასაში სახიფათოა. კათეხიზისი მხოლოდ ცეცხლოვან ატმოსფეროშია დასაშვები, ნელთბილ გარემოში კი ის გაუხამსებას და გადაგვარებას განიცდის. შემოქმედებითი აზრი, სულ ახალ-ახალ ამოცანებს რომ აყენებს და წყვეტს, დინამიურია. რუსული აზრი კი, სხვადასხვა რწმენისა და მიმართულების მიუხედავად, ყოველთვის ძალზე სტატიური იყო. ეს თანაბრად სწორია როგორც თეორიულად დამცველი, ისე პოზიტივისტურ-რადიკალური და სოციალისტური დოქტრინების მიმართაც.

II

რუსული გულგრილობა და სიძულვილი იდეების მიმართ ხშირად ჭეშმარიტებისადმი გულგრილობაში გადადის. რუსი ადამიანი თავგადაკლული არ დაეძებს ჭეშმარიტებას, ის სიმართლეს ეძებს, რომელსაც ხან რელიგიურად იაზრებს, ხან მორალურად და ხანაც სოციალურად; რა ქნას, ხსნას ეძებს. არის ამაში რაღაც სპეციფიკურად რუსული, ნამდვილი რუსული სიმართლე. მაგრამ აქვეა საფრთხეც, შემეცნების გზიდან გადახვევა ხალხოსნურად დაფუძნებული უმეცრებისკენ. ორგანული ხალხური სიბრძნის წინაშე ქედმოდრეკილობა ყოველთვის დამბლას სცემდა რუსულ აზრს და გასაქანს არ აძლევდა იდეურ შემოქმედებას, რასაც პირადი პასუხისმგებლობით თავს იდებს პიროვნება. ჩვენი კონსერვატული აზრი ჯერ კიდევ გვაროვნული აზრი გახლდათ, მისთვის უცხო იყო პიროვნული სულის თვითშეგნება. თუმცა პიროვნული სულის ეს თვითშეგნება ნაკლებად იგრძნობოდა ჩვენს პროგრესულ აზრშიც. აზრი, იდეების სიცოცხლე ყოველთვის ექვემდებარებოდა რუსულ გულითადობას (душевность), სიმართლე-სამართლიანობად რომ აღიქვამდა სიმართლე-ჭეშმარიტებას. მაგრამ თვით ეს გულითადობა არ ექვემდებარებოდა სულიერებას (духовность), არ გაუვლია სულში. გულითადობის ამ მბრძანებლობის ნიადაგზე ვითარდება ყოველგვარი ფსიქოლოგიზმი. გვაროვნული, მიწის სტიქიურობასთან დაკავშირებული აზრი ყოველთვის გულითადია და არა სულიერი. იდეა, აზრი პიროვნებაში იშლება და არა კოლექტივში, ისევე, როგორც ხალხური სიბრძნე იშლება იმ პიროვნებების სულიერი ცხოვრების მწვერვალებზე, ხალხის სულს რომ გამოხატავენ. პიროვნული სულის დიადი პასუხისმგებლობისა და შემართების გარეშე შეუძლებელია ხალხუ-

რი სულის განვითარება. იდეების სიცოცხლე სულის სიცოცხლის გამოვლენაა. შემოქმედებით აზრში სული ეუფლება გულითადსა თუ სხეულებრივ სტიქიას. გულითადობისა და მისი ცხოველური სითბოს ერთპიროვნული ბატონობა ეწინააღმდეგება სულის ამ განმათავისუფლებელ სიცოცხლეს. უდიდეს რუს გენიოსებს აშინებდა პიროვნული სულის ეს პასუხისმგებლობა და სულიერი სიმაღლიდან დანარცხებულნი მიწას ეკვროდნენ, სტიქიურ ხალხურ სიბრძნეში ეძებდნენ ხსნას. ასე დაემართა დოსტოევსკის და ტოლსტოის, ასე დაემართა სლავიანოფილებსაც. რუსულ რელიგიურ აზრში გამონაკლისნი არიან მხოლოდ ჩაადაევი და ვლ. სოლოვიოვი.

რუსული სტიქიურ-ხალხური გულითადობა სხვადასხვა, სრულიად ურთიერთსაპირისპირო ფორმებს იღებს — მფარველურსა თუ მეამბოხურს, ნაციონალურ-რელიგიურსა თუ ინტერნაციონალურ-სოციალისტურს. ესაა აზრისა და იდეებისადმი მტრული რუსული ხალხოსნობის ფესვი. რუსულ ხალხურ გულითადობაში, განწყობილებასა და მიმართულებაში არის რაღაც ანტიგნოსტიკური, ეჭვის თვალით რომ უყურებს ცოდნის პროცესს. გული დომინანტობს ნებაზეც და გონებაზეც. რუსი ხალხოსანი მორალისტია, ის ყველაფერს მორალისტურად, მხოლოდ და მხოლოდ მორალისტურად აფასებს. მაგრამ ეს მორალიზმი ხელს არ უწყობს პიროვნული ხასიათის ჩამოყალიბებას. ამ მორალიზმში ჭარბობს მეტისმეტად მიმზიდველი, თუმცაღა ბუნდოვანი გულითადობა, მაგრამ არ იგრძნობა ვაჟკაცური ნება, პასუხისმგებლობა, ხასიათის სიმტკიცე, თვითდისციპლინა. რუსი ხალხი, შესაძლოა, ყველაზე სულიერი ხალხია მსოფლიოში. მაგრამ ეს სულიერება ერთგვარ სტიქიურ გულითადობასა და, ასე განსაჯეთ, ხორციელებაშიც კი ტივტივებს. ამ უნაპირო და უკიდეგანო სულიერებაში მამრული საწყისი ვერ მბრძანებლობს მდედრულ საწყისზე და ყალიბში ვერ აქცევს მას. ეს კი ნიშნავს, რომ სულს ვერ დაუურვებია გულითადობა. ეს სწორია არა მარტო „ხალხთან", არამედ „ინტელიგენციასთან" მიმართებითაც, რომელიც გარეგნულად მოწყვეტილია ხალხს, მაგრამ კვლავინდებურად ინარჩუნებს ხალხური ფსიქოლოგიის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს. ამავე ნიადაგზე იბადება რუსული ნების, რუსული ხასიათის ოდითვე ცნობილი სისუსტე. ყველაზე მემარჯვენე რუსი სლავიანოფილები და ყველაზე მემარცხენე რუსი ნაროდნიკები (მათ რიცხვს, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, თავიანთი სულიერი წყობით უნდა მივაკუთვნოთ რუსი სოციალ-დემოკრატებიც, ასე ძალიან რომ ჰგვანან თავიანთ დასავლელ თანამოაზრეებს) ერთობლივად ილაშქრებენ „განყენებული აზრის" წინააღმდეგ და მხსნელსა და ზნეობრივ აზრს მოითხოვენ, რომელიც შეიძლება პრაქტიკულად გამოიყენო ცხოვრებაში. განყენებული აზრის წინააღმდეგ მიმართულ ჯანყსა და მთლიანი აზრის მოთხოვნაში იყო თავისი დიდი სიმართლე და წინათგრძნობა უმაღლესი რანგის აზრისა. მაგრამ ეს სიმართლე ინთქმებოდა ბუნდოვან გულითადობასა და დანაწევრებისა თუ დიფერენცირების უუნარობაში. შეუძლებელია დასაბამიერი ორგანული მთლიანობა შენარჩუნებულ და გადატანილ იქნას უზენაეს სულიერებაში მტანჯველი მადიფერენცირებელი პროცესისა და სეკულარიზაციის გარეშე. თუ ეს ჭეშმარიტება არ გვესმის, აზრის ორგანული მთლიანობა აზრის მტრობაში, უაზრობასა და ობსკურანტულ მორალიზმში გადაიზრდება. რუსული სულის თავისებურება და ორიგინალობა შეუძლებელია ჩაკლულ იქნეს აზრით. ეს შიში უნდობლობაა რუსეთისა და რუსი ადამიანის მიმართ. ჩვენი კონსერვატული აზრის არადიფერენცირებულობა ჩვენსავე პროგრესულ აზრშიაც გადაინერგა.

III

რუსეთში ჯერ კიდევ არ მომხდარა აზრის ნამდვილი ემანსიპაცია. რუსული ნიჰილიზმი აზრის განთავისუფლება კი არა, დამონება იყო. ჩვენი აზრი მოსამსახურედ დარჩა. რუსები უფრთხიან აზრობრივ ცოდვას, თვით მაშინაც კი, როცა არავითარ ცოდვას აღარ სცნობენ. ისინი ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულან იმის შეგნებამდე, რომ ცოცხალ, შემოქმედებით აზრში არის ბნელის გამკვეთი და სტიქიის გარდამქმნელი სინათლე. თვით ცოდნა არის სიცოცხლე და ამიტომ უკვე აღარ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს ცოდნა უნდა ექვემდებარებოდეს ცხოვრებას. ჩვენთვის აუცილებელია სულიერი განთავისუფლება ჩვენივე აზრის დამთრგუნველი რუსული უტილიტარიზმისაგან, მისი რელიგიური თუ მატერიალისტური მიმართულების მიუხედავად. აზრის მონობამ მიიყვანა რუსი ინტელიგენციის დიდი ნაწილი იდეურ სიღატაკესა და იდეურ ჩამორჩენილობამდე. იდეები, რომლებიც ბევრს ჯერ კიდევ „მოწინავედ" მიაჩნია, არსებითად, ძალზე ჩამორჩენილი იდეებია, მხარს რომ ვერ უსწორებენ თანამედროვე ევროპული აზრის სიმაღლეს. „მეცნიერული" მსოფლმხედველობის მომხრენი ნახევარი საუკუნით ჩამორჩნენ მეცნიერების მოძრაობას. ინტელიგენტური და ნახევრად ინტელიგენტური მასა ძველი, დიდი ხნის წინათ ჩამოწერილი და არქივში დაცული „ხარახურით" სულდგმულობს და საზრდოობს. ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მოწინავე“ ინტელიგენცია უიმედოდ ჩამორჩება ევროპული აზრის მოძრაობას, ევროპის ფილოსოფიურსა თუ მეცნიერულ შემოქმედებას, სულ უფრო და უფრო რომ რთულდება და იხვეწება. მას სწამს და აღიარებს იდეებს, ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ რომ ბატონობდნენ დასავლეთში, ჯერ კიდევ მზადაა სერიოზულად აღიაროს პოზიტივისტური მსოფლმხედველობა, სოციალური გარემოს თეორია და სხვა მისთანანი. მაგრამ ეს სხვა არა არის რა, თუ არა აზრის დინების საბოლოო შეწყვეტა, გახევება და გაქვავება. ტრადიციული პოზიტივიზმი რა ხანია დაემხო არა მარტო ფილოსოფიაში, არამედ მეცნიერებაშიც. თუკი ყოველთვის შეუძლებელი იყო სერიოზულად გველაპარაკა მატერიალიზმზე, როგორც ნახევრად წიგნიერ „მსოფლმხედველობრივ“ მიმართულებაზე, დღეს უკვე ისიც შეუძლებელია სერიოზულად ვიმსჯელოთ პოზიტივიზმზე, და მალე, ალბათ, შეუძლებელი იქნება ვილაპარაკოთ კანტიანურ კრიტიციზმზედაც. ასევე შეუძლებელია ვიზიარებდეთ მსოფლშეგრძნებისა თუ მსოფლჭვრეტის იმ რადიკალურ „სოციოლოგიზმს“, რომელსაც ჯერ კიდევ ემხრობა რუსეთის ინტელიგენტური მასა. კაცობრიობის წინაშე უკვე იშლება კოსმიური მსოფლშეგრძნებისა და მსოფლშეგნების ახალი პერსპექტივა. საზოგადოებრიობას უკვე აღარ შეუძლია განკერძოებული და იზოლირებული იყოს კოსმიური სიცოცხლისა და იმ ენერგიისაგან, სამყაროს ყველა ფენიდან რომ იღვრება მასში. ამიტომ უკვე შეუძლებელია სოციალური უტოპიზმი, რომელიც სოციალური ცხოვრების გამარტივებულ წარმოდგენაზეა დაფუძნებული და ირაციონალური კოსმიური ძალების გაგონებაც არ უნდა. არა მარტო რუსულ შემოქმედებით აზრში, რომლის მცირერიცხოვან წარმომადგენლებსაც ერთგვარი აღმავლობის პერიოდი უდგათ, არამედ დასავლეთ ევროპულ აზრშიაც უკვე მოხდა რადიკალური ძვრა, ასე რომ, აზროვნებისა თუ ცნობიერებისათვის „მოწინავედ“ სულაც აღარ მიიჩნევა ის, რაც ჩვენში ჯერ კიდევ სწამს ძალიან ბევრს, აზრით მცონარას და ინერტულს.

კაცობრიობის ავანგარდი უკვე შევიდა ახალი შუა საუკუნეების ღამეში, როცა მზე შინაგანად უნდა აენთოს ჩვენში და ახალ განთიადთან მიგვიყვანოს. გარეგანი სინათლე ქრება. რაციონალიზმის კრახი, მისტიკის აღორძინება, — აი, რას მოასწავებს ეს ღამეული მომენტი. მაგრამ როცა ახლოვდება ძველი რაციონალური აზრის კრახი, აუცილებლად უნდა ვუხმოთ შემოქმედებით აზრს, სულის იდეის გაშლას. ბრძოლა კაცობრიობის სულიერ მწვერვალებზე ჩაღდება, სადაც წყდება ადამიანური ცნობიერების ბედი და სადაც აზრიც და იდეაც თავისი ჭეშმარიტი სიცოცხლით ცოცხლობს. შუაში კი აზრის ძველი ინერტულობა სუფევს; აქ, სადაც სულს ღაფავენ ძველი სამყაროს უბადრუკი ნაშთები, ნამდვილად არ არის იდეური აქტივობისა თუ შემოქმედებითი ინიციატივის ადგილი, შუალედური აზრი, ინტელიგენტურობის ნიმუშად რომ მოაქვს თავი, სრული უაზრობის დონემდე ეშვება. ჩვენ გამუდმებით ვაწყდებით აზრის სტატიკას, აზრის დინამიკა კი არსადა ჩანს. მაგრამ აზრი თავისი ბუნებით დინამიურია, ის სულის მარადიული მოძრაობაა. მის წინაშე მუდამ ახალ-ახალი ამოცანები დგება, ახალ-ახალი სამყაროები იშლება, და ის მუდამ ახალ-ახალ გადაწყვეტილებებს უნდა იღებდეს. როცა აზრი სტატიური ხდება, ის ხევდება და კვდება. ბევრი ჩვენი „ზაპადნიკის“ აზრი 60-იან წლებზე შეჩერდა; ისინი — ამ ძველი აზრის მცველნი, — უელემენტარულესი განმანათლებლობის სტადიაზე შეჩერდნენ, დასავლეთში XVIII საუკუნეს რომ უწევდა. აზრის სფეროში ეს ადამიანები პროგრესისტები და რევოლუციონერები კი არ არიან, არამედ კონსერვატორები და მცველები. ისინი უკან, რაციონალური განმანათლებლობისკენ გვექაჩებიან, სულის ბერვით რომ ათბობენ დიდი ხნის წინათ გაციებულ აზრს, მაგრამ მტრულად კი არიან განწყობილნი მისი ყოველგვარი ნათების მიმართ.

IV

იდეების შემოქმედებითი მოძრაობა სულაც არ იწვევს მეტ-ნაკლებად მძაფრ ინტერესს რუსეთის ინტელიგენტური საზოგადოების ფართო წრეებში. ჩვენში იმის რწმენამაც კი იჩინა თავი, რომ საზოგადო მოღვაწეებს სულაც არ სჭირდებათ იდეები, ან სჭირდებათ მხოლოდ მათი მინიმალური მარაგი, რასაც შეიძლება ყოველთვის მიაკვლიო ტრადიციული, დრომოჭმული, სტატიურად გახევებული აზრების არქივში. 1905 წელს ჩვენს მოძრაობას ცოცხალი შემოქმედებითი იდეები კი არა, ნელთბილი იდეები ასაზრდოებდა; მას გლეჯდნენ და აქუცმაცებდნენ მწველი ვნებები და ინტერესები. და ეს იდეური სიმწირე საბედისწერო აღმოჩნდა. უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე ჩვენში გამოითქვა ბევრი იდეა, არა მარტო განყენებული, არამედ ცოცხალი და კონკრეტული. მაგრამ ამ იდეების ირგვლივ ვერ ჩამოყალიბდა ვერავითარი კულტურული ატმოსფერო, და ვერც რაიმე საზოგადოებრივ მოძრაობას დაედო დასაბამი. ეს იდეები ძალზე მცირერიცხოვან წრეში რჩებოდნენ. იდეების სამყარო და საზოგადოებრიობის სამყარო ერთმანე-

თისაგან გათიშული აღმოჩნდა. საზოგადოებრივ აქტივისტთა მხრივ არ იყო იდეების არავითარი მოთხოვნილება, არც იდეური შემოქმედების შეკვეთა. ისინი ძველი იდეების უბადრუკ ნაშთებს სჯერდებოდნენ. ჩვენი საზოგადოების სულიერი მდგომარეობის მთელმა არანორმალურობამ და ავადმყოფობამ განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი მსოფლიო ომის დასაწყისში, რამაც მოითხოვა არა მარტო მთელი მატერიალური, არამედ სულიერი ძალების ზღვრული დაძაბვაც. არ შეიძლებოდა ძველი განმანათლებლური იდეებითა და ძველი რაციონალურ- სოციოლოგიური სქემებით მისდგომოდი მსოფლიო ტრაგედიას. მარტოოდენ ამ მოძველებული იდეური იარაღით აღჭურვილ ადამიანს თავი გასრესილად და ისტორიის ბორტს მიღმა გადაგდებულად უნდა ეგრძნო. ჰუმანიტარულ-პაციფისტური განწყობილება, ყოველთვის ძალზე გამარტივებული და ელემენტარული, უმწეოა ისტორიული ბედის მრისხანე სახის, ისტორიული ტრაგედიის წინაშე. თუკი მატერიალური თვალსაზრისით მზად არ ვიყავით საომრად, იდეური მზადყოფნა საკმარისი არ იყო. ტრადიციული იდეები, ათეულობით წლების მანძილზე რომ ბატონობდნენ ჩვენში, სავსებით ფუჭნი არიან დღევანდელ მსოფლიო მოვლენათა მასშტაბებისთვის. ყველაფერმა იცვალა თავისი ძველი ადგილი, ყველაფერი აზრის სრულიად ახალ, შემოქმედებით მუშაობას, ახალ იდეურ შემართებას მოითხოვს. ჩვენი საზოგადოება კი ამ არნახული მსოფლიო კატასტროფის დროს ღარიბია იდეებით, უნიათო და გამოფიტული. ჩვენ სანაცვლოს ვიხდით ხანგრძლივი დროის მანძილზე იდეების მიმართ გულგრილობისთვის. იდეები, რომლებსაც ეყრდნობოდა ძველი ძალაუფლება, საბოლოოდ გაუფასურდნენ. ვერავითარი ძალისხმევა ვეღარ უქცევთ პირს სააქაოსკენ. ვერას გვიშველის ძველი სკივრიდან ამოქექილი ვერავითარი, შხამ-სამსალასავით მწარე, მისტიური თავის მართლებები. ხოლო რუსული საზოგადოების იდეები, საზოგადოებისა, რომლის მოწოდებაც იყო გარდაექმნა ჩვენი ცხოვრება და განეახლებინა ძალაუფლება, — მანამდე გაცვდნენ და გამოიფიტნენ, ვიდრე მოაწევდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ხორცშესხმის ჟამი. ისღა დაგვრჩენია, მივუბრუნდეთ იდეების შემოქმედებით სიცოცხლეს, შეუმჩნევლად რომ მწიფდებოდა ამ ქვეყნად. შეირყა როგორც რუსული კონსერვატიზმის, ისე რუსული რადიკალიზმის იდეოლოგიური საფუძვლები. საჭიროა ახალ იდეურ განზომილებაზე გადასვლა.

ერების მსოფლიო ჭიდილში რუს ხალხს უნდა ჰქონდეს თავისი იდეა და თავისი სულიერი წრთობა შეჰქონდეს მასში. რუსები არ შეიძლება კმაყოფილდებოდნენ გერმანული იმპერიალიზმის მოგერიებით და ბნელი შინაგანი რეაქციის ძლევის უარყოფითი იდეით. მათ მართებთ არა მარტო სახელმწიფოებრივად და საზოგადოებრივად გადაეწყონ ამ ბრძოლაში, არამედ იდეურად და სულიერადაც. სამარცხვინო გულგრილობა იდეების მიმართ უნდა შეიცვალოს ახალი იდეური აღტყინებით და აღმავლობით. ნიადაგი გაფხვიერებულია და დადგა ხელსაყრელი დრო იდეური ქადაგებისთვის, რაზედაც დამოკიდებულია მთელი ჩვენი მომავალი. რუსეთის ისტორიის ყველაზე მძიმე და საპასუხისმგებლო ჟამს ჩვენ ვიმყოფებით იდეური ანარქიისა და სამარცხვინო ინერტულობის მდგომარეობაში: ჩვენს სულში მიმდინარეობს კონსერვატული და რევოლუციური აზრის, მემარჯვენეთა და მემარცხენეთა იდეური კვდომით განპირობებული ხრწნის პროცესი. მაგრამ რუსი ხალხის შინაგანი სამყარო სავსეა ფარული შესაძლებლობებით და მასში ფეთქავს ცოცხალი სული. გაფხვიერებულ ნიადაგზე უნდა დაეცეს ახალი აზრისა და ახალი სიცოცხლის თესლი. მსოფლიო როლისათვის რუსეთის მომწიფება წინასწარ გულისხმობს მის სულიერ აღორძინებას.

ადამიანი და ღმერთი. სულიერება
(წიგნის — „სამეფო სულისა და სამეფო კეისრისა“ — I თავი)

ადამიანი დგას კითხვათა კითხვის წინაშე — ესაა საკითხი ღმერთის შესახებ. ეს კითხვა იშვიათად ისმის — სიწმინდესა და დასაბამიერებაში, — ის მეტისმეტად შეეზარდა მომაკვდინებელ სქოლასტიკას, ვერბალურ ფილოსოფიას, ცნებებით თამაშს. იმ ხალხმა, ვისაც ღმერთის ამაღლება სურდა, საშინლად დაამდაბლა იგი, რაკიღა ღმერთს სულის კი არა, კეისრის სამეფოდან აღებული თვისებები მიანიჭა. არ არსებობს ღმერთის არსებობის გარანტიები, ადამიანს ყოველთვის შეუძლია ეჭვობდეს და უარყოფდეს. ღმერთი არავისაიძულებს, მაღიარეო, როგორც გვაიძულებენ მატერიალური საგნები. ის ადამიანის თავისუფლებას მართავს. ღვთის რწმენა მხოლოდ შინაგანი შეხვედრაა სულიერ ცდაში. გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, რომ ღმერთის არსებობის ყველა ტრადიციული დასაბუთება — ონტოლოგიური, კოსმოლოგიური თუ ფიზიკურ-თეოლოგიური, არა მარტო უნიადაგოა, არამედ სრულიად უსარგებლოც, მეტიც, მავნე და ფუჭი. ღმერთის არსებობის ამ დასაბუთებათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანტისეული კრიტიკა დიდად დამაჯერებელია და ტრადიციული აპოლოგეტიკის მიერ ჯერაც არაა უარყოფილი. გაცილებით უფრო ძლიერია დასაბუთება, რომლისთვისაც შეიძლებოდა ანთროპოლოგიური გვეწოდებინა. ამ უკანასკნელის თანახმად, ადამიანი არის არსება, რომელიც ორ სამყაროს ეკუთვნის, რადგანაც ვერ თავსდება აუცილებლობის ამ ბუნებრივ სამყაროში, თვითმატრანსცენდირებელი, როგორც ემპირიულად მოცემული არსი, ამ ფიზიკური სინამდვილიდან უხილავ თავისუფლებას რომ ავლენს. ეს კი არ გვისაბუთებს, არამედ გვიჩვენებს ღმერთის არსებობას, რამდენადაც სულიერ საწყისს ავლენს ადამიანში. კიდევ უფრო არსებითია პირველადი შეგრძნება, რომელიც შეუძლებელია სათანადოდ იქნეს გამოხატული. თუ ერთი წამით წარმოიდგენთ სამყაროს, ან, ვთქვათ, მოძრავი მატერიის, როგორც პირველსაფუძვლის, თვითმკმარობას, გაოგნებული დარჩებით ამნაირი სამყაროს გაუგებრობით, უაზრობითა და არარეალიზებადობით. ღმერთზე ფიქრის უთუო შედეგი: ღმერთის მოაზრება შეუძლებელია რაციონალური, ყოველთვის ამქვეყნიური, ღმერთისაგან ასერიგად განსხვავებული სინამდვილიდან აღებული ცნებებით. სიმართლე მხოლოდ აპოფატიკური თეოლოგიის მხარეზე იყო. შეუძლებელია ღმერთის ონტოლოგიის შენება. ღმერთი არ არის ყოფიერება, რომელიც უკვე მხოლოდ და მხოლოდ განყენებული აზრის დამუშავებად გვევლინება. ღმერთი არ არის ყოფიერება, ღმერთი სულია. ღმერთი ესენცია კი არ არის, არამედ ექსისტენცია. ღმერთზე შეიძლება მხოლოდ სულიერი ცდის სიმბოლიკით ილაპარაკო. და საერთოდაც, მეტაფიზიკა შესაძლებელია მხოლოდ როგორც სულიერი ცდის სიმბოლიკა, როგორც სულიერ შეხვედრათა სიმბოლური აღწერა. შეუძლებელია განყენებულად, ადამიანისაგან აბსტრაჰირებულად დასვა საკითხი ღმერთის შესახებ. ადამიანის არსებობა, აღებული მისი სიღრმისეული და არა ზედაპირული აზრით, აი, ღმერთის არსებობის ერთადერთი მოწმობა, რადგანაც ადამიანი ღმერთის სახის გამოხატულებაა, თუნდაც ხშირად დამახინჯებული გამოხატულება. ადამიანი არამარტო სასრული არსებაა, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობს თანამედროვე აზრი, არამედ უსასრულოც; უსასრულო არსება სასრული ფორმით, უსასრულობისა და სასრულობის სინთეზი. ადამიანის უკმაყოფილება სასრულობით და მისი სწრაფვა უსასრულობისაკენ, — აი, რა ავლენს ადამიანის ღვთაებრიობას, აი, რა არის ღმერთის, და არა მარტო სამყაროს არსებობის ადამიანური მოწმობაც. ღმერთის, როგორც თვითმკმარი და უძრავი არსების გაგება სხვა არა არის რა, თუ არა ზღვარდებული და განყენებული რაციონალური აზრი, ამნაირი გაგება მოცემული არ არის სულიერ ცდაში, საიდაც ღმერთთან დამოკიდებულება ყოველთვის დრამატულია. ადამიანი ხვდება ღმერთს არა ყოფიერებაში, რომელზედაც ცნებებით მსჯელობენ, არამედ — სულში, სულიერ ცდაში. ყოფიერებაში უკვე აქტივაციაა, ან ცნების უსულგულო განყენებულობა, ან იდეალიზირებული ბუნებრივი აუცილებლობა და სოციალური იძულება. მხოლოდ სულში შეხვედრა ნიშნავს თავისუფლებაში შეხვედრას. ღმერთთან შეხვედრა მხოლოდ სულში და თავისუფლებაშია დრამატული მოვლენა.

ადამიანისა და ღმერთის დამოკიდებულება პარადოქსულია და სრულიად არ ექვემდებარება ცნებებით გამოხატულებას. ღმერთი იბადება ადამიანში, და ადამიანი ამით მაღლდება და მდიდრდება. ასეთია ერთი მხარე ღვთიურ-ადამიანური ჭეშმარიტებისა, ადამიანის ცდაში რომ იხსნება. მაგრამ არის მეორე მხარეც, ნაკლებ გახსნილი და ნათელი. ღმერთს სჭირდება ადამიანი და ადამიანს სჭირდება ღმერთი. ეს გულისხმობს ადამიანის შემოქმედებით პასუხს ღვთისადმი. ღმერთისა და ადამიანის დამოკიდებულება მხოლოდ დრამატულად, ანუ დინამიურად თუ შეიძლება გვესმოდეს. ღმერთს სტატიურად ვერ მოვიაზრებთ. სტატიური გაგება რაციონალურია და ექსოთერული. ბიბლიის სიმბოლიკა უაღრესად დრამატულია და დინამიური. სტატიური ონტოლოგია ბერძნული ფილოსოფიიდანაა აღებული. ღვთაებრივისა და ადამიანურის დაშვება, რომლებიც შეიძლება შეერთებულ იქნენ, მაგრამ არა იგივეობრივნი და შერწყმულნი, ესაა ჭეშმარიტება, მაობიექტირებელი გონებისთვის გაუგებარი, ზეგონებრივი ჭეშმარიტება, რადგანაც გონება თავისთავად ან მონიზმისკენაა მიმართული, ან დუალიზმისკენ. ქრისტიანობის საიდუმლო, რაციონალისტურად რომ იხსნება თეოლოგიურ სისტემებში, ღვთაებრივისა და ადამიანურის ამ პარადოქსულსა და დრამატულ დამოკიდებულებასთანაა დაკავშირებული. პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ უზენაესი ადამიანურობა ღვთაებრივია და, ამასთანავე, ესაა ადამიანისა და ადამიანურობის გამოვლენაც. გონების წინაშე მდგარი ეს წინააღმდეგობა რაციონალურად დაუძლეველია. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ღმერთი ადამიანურია, ადამიანი კი ღვთაებრივი. ამიტომ სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ღვთიურ-ადამიანური ადამიანურობა. ძირითადი პრობლემა ღმერთ-კაცისა და ღმერთ-კაცობრიობის პრობლემაა და არა ღმერთისა. ღმერთ-კა-

ცობრიობის გარეშე ღმერთის მტკიცება, ესე იგი, განყენებული მონოთეიზმი, კერპთაყვანისმცემლობის ერთი სახეა. აქედან — უზარმაზარი მნიშვნელობა მოძღვრებისა ღმერთის სამპიროვნების შესახებ, რაც, უწინარეს ყოვლისა, მისტიურად უნდა გვესმოდეს, სულიერი ცდის ტერმინებით გამოხატული, და არა რაციონალურ-თეოლოგიურად. დიდი გერმანელი მისტიკოსები (უწინარეს ყოვლისა, მაისტერ ეკჰარტი და ანგელუს სილეზიუსი) თამამად ამტკიცებდნენ, რომ არ არსებობს ღმერთი ადამიანის გარეშე, და რომ ღმერთი ქრება, როცა ქრება ადამიანი. ეს სულიერად უნდა გვესმოდეს და არა ისე, როგორც ნატურალისტურ მეტაფიზიკასა და ნატურალისტურ თეოლოგიას ესმის. ეს სიყვარულისეული ცდაა და არა ცნება. ჩვენთვის ძირითადი დაპირისპირება ბუნებრივისა და ზებუნებრივის სქოლასტიკური დაპირისპირება კი არ უნდა იყოს, რაც უცხო იყო ეკლესიის ბერძენ მოძღვართათვის, არამედ დაპირისპირება ბუნებრივისა და სულიერისა. არის ტრანსცენდენტულობის ორი გაგება: ან ღმერთი, როგორც ჩემი შეზღუდულობის ტრანსცენდირება, ან როგორც იდუმალი, აქტუალური უსასრულობა, რაც გულისხმობს ადამიანური ბუნების გაუცხოებას, მის ღვთისგარეშეობას. არა კერპთაყვანისმცემლურად, სულიერად გვევლინება მხოლოდ პირველი გაგება. სავსებით მცდარი და დამამცირებელია იდეა, რომელსაც ხშირხშირად იმეორებენ, ადამიანი ღმერთის წინაშე არარაობაა. პირიქით, უნდა ითქვას, რომ ღმერთის წინაშე, მისკენ მიქცევაში, ადამიანი მაღლდება, ის ამარცხებს არარაობას. ყოველგვარი რაციონალური მოძღვრება ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობის შესახებ აუტანელია; მათ მხოლოდ პედაგოგიურ-სოციალური აზრი თუ შეიძლება ჰქონდეთ ქრისტიანული საზოგადოებისთვის. ყველაზე მეტად უნდა უარვყოფდეთ თეოლოგიურ მოძღვრებებში ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომ ღმერთი სამყაროს მიზეზია, პირველმიზეზი. მაგრამ მიზეზი და მიზეზობრივი დამოკიდებულებანი აბსოლუტურად არ ესადაგებიან ღმერთისა და სამყაროს ურთიერთმიმართებას. მიზეზობრიობა არის კატეგორია, რომელიც ნიშნეულია მხოლოდ ფენომენთა სამყაროსათვის და საერთო არაფერი აქვს ნომინალურ სინამდვილესთან. ეს საკმაოდ საფუძვლიანად დაასაბუთა კანტმა, თუმცა ის არათანმიმდევრული იყო, რადგანაც აღიარებდა დამოკიდებულებას Ding an sich-სა და მოვლენას შორის. ღმერთი არ არის სამყაროს მიზეზი; ასე თუ ისე, შეიძლება ითქვას, რომ ის სამყაროს საფუძველია, ან სამყაროს შემოქმედი, მაგრამ ეს გამოთქმები ძალზე არასრულყოფილია. უნდა გავთავისუფლდეთ ყოველგვარი სოციომორფიზმისაგან. ღმერთი არ არის სამყაროსა და დროში მოქმედი ძალა (ამ სიტყვის ბუნებრივი გაგებით), არც სამყაროს მბრძანებელი და მისი მმართველი, არც თვით სამყარო და არც სამყაროული ძალა. უმჯობესია ითქვას, რომ ღმერთი არის სამყაროს აზრი და ჭეშმარიტება, ღმერთი სულია და თავისუფლება. თუ, პანთეისტური მონიზმის საპირისპიროდ, ჩვენ ვამბობთ, რომ ღმერთი პიროვნებაა, ამ სიტყვას სულაც არ უნდა ვხმარობდეთ მისი კერძო, ბუნებრივ-ადამიანური აზრით, და არც კონკრეტულ პიროვნებას ვუსადაგებდეთ, ვისთანაც შეიძლება პირადი ურთიერთობა გვქონდეს. ღმერთთან შეხვედრა და ურთიერთობა შესაძლებელია არა როგორც აბსოლუტთან, ვისთვისაც არ შეიძლება არსებობდეს სხვა, არ შეიძლება არსებობდეს ურთიერთობა, არა აპოფატიკური თეოლოგიის, არამედ კონკრეტულ, პიროვნულ ღმერთთან, რომელსაც ურთიერთობა აქვს სხვასთან. სამყარო ღმერთის გარეშე აბსურდია და სასრულისა და უსასრულოს გადაულახავი წინააღმდეგობა, აზრს მოკლებული და შემთხვევითი.

ადამიანი შეუძლებელია თვითმკმარი იყოს; ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ის არ არსებობს. ასეთია ადამიანის არსებობის საიდუმლო; ეს გვიჩვენებს ადამიანზე უზენაესი არსის არსებობას და ესაა ადამიანის ღირსება. ადამიანი არის თავისი შეზღუდულობის გადამლახველი და უზენაესის მიმართ მსწრაფი არსება. თუ არ არსებობს ღმერთი, ყველაფერი ბრტყელდება და შეუძლებელი ხდება ვისიმე ან რისიმე მიმართ ამაღლება. ხოლო თუ ადამიანია ღმერთი, ესაა ყველაზე უიმედო, ყველაზე მდაბალი და უბადრუკი მდგომარეობა. ყოველი თვისებრივი ფასეულობა უკვე თავისთავად გვიჩვენებს, რომ ადამიანის გზაზეა ის, რაც მასზე უმაღლესია. ხოლო ის, რაც ადამიანზე უმაღლესი, ესე იგი, ღვთაებრივია, ადამიანის მიმართ გარეშე, ან მის ზემოთ მდგარი თუ მისი მბრძანებელი ძალა კი არ არის, არამედ ის, რაც თვით მასშივეა, ადამიანად აქცევს და უზენაეს თავისუფლებას ანიჭებს მას. აქ თვით ტრანსცენდენტურისა და იმმანენტურის განსხვავება ტერმინოლოგიურად პირობითია და ჩვენი დროის პირობებში გვიჩვენებს გადაულახავ პარადოქსულობას. ადამიანი თავისი არსებობის გარიჟრაჟიდანვე თუნდაც ყველაზე ტლანქი ფორმით ვარაუდობდა ღვთაებრიობის არსებობას. თუ არ არის ღმერთი, თუ არ არის სიმართლე, სამყაროზე რომ მაღლდება, მაშინ ადამიანი მთლიანად ემორჩილება აუცილებლობას თუ ბუნებას, კოსმოსს, სახელმწიფოს თუ საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოებას. ადამიანის თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ კეისრის სამეფოს გარდა არსებობს სულის სამეფოც. ღმერთის არსებობა ადამიანში სულის არსებობით ვლინდება. ღმერთი არც ბუნების ძალასა ჰგავს და არც საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო ძალაუფლებას. აქ არ არის არავითარი ანალოგია; ყოველგვარი ანალოგია, ღმერთის გაგების თვალსაზრისით, მონური კოსმომორფიზმი და სოციომორფიზმია. ღმერთი აუცილებლობა კი არ არის, არამედ — თავისუფლება, არც ძალაუფლება, ადამიანსა და სამყაროზე რომ ვრცელდება, და არც სამყაროში მოქმედი უზენაესი მიზეზობრიობა. ის, რასაც თეოლოგები მადლს უწოდებენ, ადამიანის თავისუფლებასთან შედარება-შეპირისპირებით, ადამიანში ღვთაებრივი თავისუფლების მოქმედებაა. შეიძლება ითქვას, რომ ღმერთის არსებობა ადამიანის თავისუფლების ქარტიაა, მისი გამართლება ბუნებასა და საზოგადოებასთან თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ადამიანის ღირსება იმაშია, რომ ქედს არ უხრის იმას, რაც მასზე დაბლაა. მაგრამ ამისთვის საჭიროა იყოს ის, რაც მასზე მაღლაა, თუმცა არა მის გარეთ, ანდა მის ზემოთ. ჰუმანიზმის შეცდომა ის კი არ იყო, რომ ადამიანის უზენაეს ფასეულობას და მის შემოქმედებით მოწოდებას ამკვიდრებდა, არამედ ის, რომ ადამიანის თვითმკმარობისკენ იხრებოდა, რითაც ძალიან ამცირებდა მას, რამდენადაც მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივ არსებად მიიჩნევდა და მასში ვერ ხედავდა სულიერ არსს. ქრისტე კი გვმოძღვრავდა, რომ ადამიანი ღმერთის ხატება და მსგავსებაა და ამით ამტკიცებდა ადამიანის, როგორც თავისუფალი სულიერი არსების ღირსებას, ასე რომ, ის უკვე აღარ იყო ბუნებრივი აუცილებლობის მონა. თავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კეისრის სამეფოს გარდა არსებობს სულის, ესე იგი, ღმერთის სამეფოც. ვიმეორებ: ღმერთი ობიექტური არსებობა კი არ არის, რომელსაც შეიძლება რაციონალური ცნებები მიესადაგოს, ღმერთი სულია. ადამიანის კავშირი ღმერთთან ბუნებრივ-ყოფითი კი არა, სულიერ-ექსისტენციალური, სიღრმისეული კავშირია. თუ არ არის ღმერთი, არც საიდუმლოა, ხოლო თუ არ არის საიდუმლო, სამყარო ბრტყელდება და ადამიანი ორგანზომილებიან არსებად იქცევა, რომელსაც მთის თხემზე ასვლა არ შეუძლია. თუ არ არის ღმერთი, არც სიკვდილის ძლევაა, არც საუკუნო სიცოცხლე, ყველაფერი უაზრობად და აბსურდად იქცევა. ღმერთი სისავსეა, რომელსაც შეუძლებელია არ მიელტვოდეს ადამიანი. ადამიანის არსებობა მკვდარი ლოგიკური დიალექტიკით კი არ ამტკიცებს ღმერთის არსებობას, არამედ გვიჩვენებს და მოწმობს. სულის სამეფოს ამა თუ იმ ფორმით გაიგივება კეისრის სამეფოსთან ყალბი მონიზმია, გარდუვალად რომ ბადებს მონობას. დუალიზმი სულის სამეფოსა და კეისრის სამეფოს შორის აბსოლუტურად აუცილებელი პირობაა ადამიანის თავისუფლებისა. მაგრამ ეს არაა საბოლოო დუალიზმი, ეს ადამიანის სულიერი და რელიგიური გზის დუალიზმია. საბოლოო მონიზმი ღმერთის სამეფოში დამკვიდრდება და ის მხოლოდ ექსატოლოგიურად გამოვლინდება.

არა მარტო დახვეწილი და განვითარებული, არამედ უფრო ელემენტარული და პრიმიტიული ცნობიერებაც შეშფოთებული უნდა იყოს საიდუმლო მოძღვრებით განგების შესახებ და ღმერთის, როგორც ამ ქვეყნის გამრიგისა და მბრძანებლის, გაგებით. როგორ დავუკავშიროთ ეს ბოროტების ზეიმს სამყაროში და ტანჯვას? ჩემი აზრით, ეს ათეიზმის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. გაჭირვებისგან თავის დასაღწევად, ჩვეულებრივ, იშველიებენ მოძღვრებას ცოდვით დაცემის შესახებ. მაგრამ ამით არაფერი არ იხსნება და არც მართლდება. ბოროტების ძალა აუხსნელი რჩება. არ არსებობს არავითარი პროპორციულობა ადამიანის ტანჯვასა და მის ცოდვილობას შორის. ყველაზე მეტად უარესნი კი არა, უკეთესნი იტანჯებიან. აუხსნელი რჩებიან ღმერთის მიტოვებულობის პერიოდები როგორც ისტორიულ, ისე ინდივიდუალურ ცხოვრებაშიც. აუტანელია ადამიანთა ცხოვრებაში საშინელი კატასტროფების ახსნა ღვთის რისხვითა და შემცოდეთა დასჯით. წარმოუდგენლად ძნელია გამართლება მოუძებნო ყოვლისმძლე და ყოვლად კეთილი ღმერთის ყველგანმყოფობას — ბოროტებაშიც, შავი ჭირის თუ ქოლერის მძვინვარებაშიც, ომების, რევოლუციებისა თუ კონტრრევოლუციების საშინელებებშიც. ტანჯვისა და ბოროტების ამ სამყაროში ღვთიური განგების მოქმედების გაგება გადაფასებულ უნდა იქნეს. გაცილებით უფრო სწორად მსჯელობს კიერკეგორი, ვისი აზრითაც, ღმერთი ინკოგნიტოდ რჩება სამყაროში, ხოლო ამ ქვეყნის მთავარი — ღვთიური კანონების კი არა, თავისი საკუთარი, ესე იგი, ამქვეყნიური კანონებისამებრ. ეს სამყარო კეისრის სამეფოს უფრო მორჩილებს, ვიდრე სულისას. ცოცხალი ღმერთის გამოძახილი მხოლოდ ესქატოლოგიურად უნდა გვესმოდეს: „მოვედინ სუფევა შენი". ის ჯერ კიდევ არ მოსულა. ობიექტთა და ფენომენთა სამყარო, მასში გაბატონებული აუცილებლობითურთ, მხოლოდ გარეგანი სფერაა, მაგრამ მის მიღმა ფარულად იგრძნობა ღმერთთან კავშირის სიღრმე. ნუ გვგონია, თითქოს ღმერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ბუნების ძალებივით რისიმე მიზეზი იყოს ამ ქვეყნად, მეფეებისა თუ მთავრების მსგავსად სახელმწიფოებს მართავდეს და მბრძანებლობდეს, ან განსაზღვრავდეს სამყაროსა თუ ადამიანის ბედ-იღბალს. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ პროგრესი ღმერთის დამოკიდებულებაში ისტორიული პროცესისა და ისტორიული აუცილებლობის მიმართ. ისტორიაში თავისუფლებისა და აუცილებლობის ბრძოლა მიმდინარეობს, ღმერთი კი მხოლოდ თავისუფლებაშია. ის არ ერევა აუცილებლობაში. ამას მოსდევს ცვლილება მოძღვრებისა განგების შესახებ. მადლი არ არის მოქმედი ძალა. ის ადამიანში ღვთაებრივის გამოვლენაა. არ არსებობს წინააღმდეგობა მადლსა და თავისუფლებას შორის. მადლი მხოლოდ ნათლით გასხივოსნებული თავისუფლებაა... ისტორიაში შეიძლება მოქმედებდნენ ირრაციონალური ძალები, ბნელი თავისუფლება, საიდანაც იღებს დასაბამს აუცილებლობა და ძალმომრეობა. მაგრამ მოქმედებს ნათლით გასხივოსნებული თავისუფლებაც, მოქმედებს ღვთიური ძალაც. ამიტომ ისტორია უკიდურესად დრამატულია, ამიტომ მასში გამუდმებით მიმდინარეობს ბრძოლა სულის სამეფოსა და კეისრის სამეფოს შორის, რომელსაც აქვს ტენდენცია ტოტალიტარულ სამეფოდ იქცეს. თანაბრად ყალბია სამყაროს ცხოვრებაში ყველგან ხედავდეროგორც ეშმაკეული, ბოროტი ძალის ზეიმს, ისე ღვთიური, კეთილი ძალის თანდათანობით მზარდ გახსნას და ტრიუმფსაც. სული პროგრესულად არ იხსნება ისტორიულ პროცესში, სადაც ვხედავთ აშკარად ბოროტ ძალთა მძლავრობას, მაგრამ საჭიროა ყველგან ვხედავდეთ სულისა და სულიერი სამეფოს შესაძლო ზეობასაც. ადამიანის მიმართება ღმერთისადმი თავისთავად გულისხმობს დრამატულ ბრძოლას სულის სამეფოსა და კეისრის სამეფოს შორის, საბოლოო მონიზმის სახელით, რომელიც მხოლოდ ესქატოლოგიურად თუ შეიძლება გაიხსნას და გაიშალოს. მაგრამ ამ თემას ართულებს ადამიანის მიმართება კოსმოსისადმი.

ფასეულობათა ჰიერარქიისათვის. მიზნები და საშუალებები
(იმავე წიგნის V თავი)

ადამიანი თვისებრიობის შემფასებელი და განმსაზღვრელი არსებაა. ფასეულობათა განსაზღვრა და მათი ჰიერარქიის დადგენა ცნობიერების ფუნქციაა. თვით ველურიც კი ახდენს შეფასებას. მაგრამ ჩვენს სინამდვილეში ფასეულობათა ჰიერარქია თავდაყირა დგას: მდაბალი მაღლად იქცა, მაღალი ისრისება. ფასეულობათა ეს არევ-დარევა მარტოოდენ საბჭოთა რუსეთს კი არა, შესაძლოა, უფრო მეტად ამერიკას და მთელ ევროპასაც ეხება. ადამიანთა საზოგადოების ცხოვრება ეკონომიკის, ტექნიკის, პოლიტიკისა და გამძვინვარებული ნაციონალიზმის ნიშნის ქვეშ დგას. ფასეულობათა ჰიერარქია ჭეშმარიტების მიმართ სრული გულგრილობით განისაზღვრება. სულიერი კულტურა გასრესილია. საკითხი ადამიანის მიერ შექმნილ ფასეულობებს კი არ ეხება, არამედ თვით ადამიანის ფასეულობას. ადამიანური ცხოვრების მიზნები ჩაიშრიტა. ადამიანს უკვე აღარ ესმის, რისთვის ცხოვრობს, დრო აღარა აქვს სიცოცხლის აზრს ჩაუფიქრდეს. მისი ცხოვრება საარსებო საშუალებების ძებნითაა სავსე, რომლებიც თვითმიზნად იქცნენ. ცხოვრების მიზანთა შეცვლა საშუალებებით ადამიანური ცხოვრების ძალზე ნიშანდობლივი პროცესია, რითაც ბევრი რამე იხსნება. მკაფიო ნიმუშად გვევლინება ეკონომიკის განმსაზღვრელი როლი, რამაც გააოგნა მარქსი. თუმცა ეკონომიკა უეჭველად ცხოვრების საშუალებებს ეკუთვნის და არა მიზანს. მაგრამ ადამიანის ცხოვრების მიზნებსა და მათი განხორციელებისათვის საჭირო საშუალებებს შორის ხშირად არავითარი მსგავსება არ არსებობს. ესაა ერთი ნაშიერი ობიექტივაციისა, რომელიც ყოველთვის განხეთქილებას იწვევს და აუცილებლობას ემორჩილება. ის, რომ ფენომენთა სამყაროში მიზეზი იწვევს შედეგს, არსებითად, არანორმალური მოვლენაა. ამას იქითკენ მივყავართ, რომ ქვეყნიერების დაბალ მდგომარეობაში საჭიროა ძალისა და ძალმომრეობის გამოყენება ამა თუ იმ მიზნის ხორცშესასხმელად. ნიშანდობლივია, რომ პირდაპირ, ჯიქურ არავინ არ სახავს ბოროტ მიზნებს, ბოროტება ყოველთვის სიკეთის ნიღაბს ირგებს, ყოველთვის რაღაცას ჰპარავს სიკეთეს. ბოროტება მხოლოდ მის მიერ გამოყენებულ საშუალებებში ვლინდება. საშუალებები ყოველთვის მხოლოდ ადამიანის სულის, სიკეთისა თუ ბოროტების, სიყვარულისა თუ სიძულვილის მოწმეებად გვევლინებიან. ყოველთვის არსებობს საშიშროება ამა თუ იმ მიზნის განხორციელებისას, როცა ამას ნებისმიერი საშუალებებით ცდილობენ. თუ სავსებით სამართლიანი სოციალური წყობილების დასამყარებლად და ხალხის გასაბედნიერებლად საჭიროა აწამო და მუსრი გაავლო მილიონობით ადამიანს, ძირითადი პრობლემა უკვე მიზანი კი აღარ არის, არამედ მის მისაღწევად გამოყენებული საშუალება: მიზანი უსასრულო შორეთში გადადის, საშუალება კი უშუალო პრობლემად იქცევა. დოსტოევსკიმ მწვავედ დააყენა საკითხი: შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლება თუ არა თვით სამოთხის ნეტარებად ქცეული ცხოვრება დავაფუძნოთ თუნდაც ერთი წამებული უმანკო ბავშვის ცრემლზე? ხოლო მომავალი ნეტარების გულისთვის მილიონობით ნაწამებთა შორის ცოტანი როდი იქნებიან უდანაშაულონი და უმანკონი. პრინციპი „მიზანი ამართლებს საშუალებას" დღეს როდია გამონაგონი. ოდესღაც მას მიაწერდნენ იეზუიტებს, გამოყენებით კი ძალიან ბევრი იყენებდა. და სწორედ ესაა მთავარი. თუმცა მთავარი ის კი არ არის, რომ საშუალებები ამორალურნი, სასტიკნი არიან და არაფრით არ ჰგვანან მაღალ მიზნებს; არა, მთავარი ისაა, რომ როდესაც იყენებენ საშინელ, მიზნების საპირისპირო საშუალებებს, ვერასოდეს ვერ აღწევენ დასახულ მიზანს. საშუალებები ყველაფერს ცვლიან, მიზნებს კი ივიწყებენ, ანდა ისინი პირწმინდად რიტორიკად იქცევიან. უკეთური საშუალებები აყალიბებენ სულს, კეთილ მიზნებს კი სასიცოცხლო ძალას ვეღარ ვუწოდებთ. აქედან — სიცრუის სამეფო, რომელშიაც დანთქმულია ადამიანი. ქრისტიანობის კეთილი მიზნები წარსულში ძალიან ხშირად ხორციელდებოდნენ უკეთური საშუალებებით. უნდოდათ ქრისტიანობა სისხლიანი საშუალებებით დაენერგათ ევროპაში. ბიზანტიაში ქრისტიანობა მხეცურ სისასტიკესთან იყო წილნაყარი. საყოველთაოდ ცნობილია ინკვიზიციის კოცონები, ბართლომეს ღამე, სინიდისისა თუ აზრის თავისუფლების უარყოფა და სხვაც მრავალი. უკეთურმა საშუალებებმა ქრისტიანობის განმტკიცებას კი არა, გადაგვარებას შეუწყო ხელი. საფრანგეთის რევოლუციის კეთილი მიზნები — ძმობა, ერთობა, თავისუფლება ასევე ხორციელდებოდნენ სისხლიანი ძალადობითა და ტერორით, მთელი რევოლუციის მანძილზე რომ მძვინვარებდნენ. შედეგად შეიქმნა XIX საუკუნის კაპიტალისტური საზოგადოება, რომლისთვისაც უცხო იყო ყოველგვარი თანასწორობა და, მით უმეტეს, ძმობა, ისევე, როგორც ერთობა. რუსული კომუნისტური რევოლუციაც ასევე იყენებდა ტერორს. თავისუფლება არავის მოუპოვებია ძალმომრეობით, ძმობა — სიძულვილით, მშვიდობა — სისხლიანი განხეთქილებით. უკეთური საშუალებები ყველაფერს წამლავენ. რევოლუციის შემოდგომა არაფრით არა ჰგავს მის გაზაფხულს. უკეთურ საშუალებათა პრაქტიკაში ყველაფერი ნებადართულად ცხადდება მტრის მიმართ, რომელიც უკვე ადამიანადაც აღარ მიაჩნიათ. და ასე იკვრის გამოუვალი მაგიური წრე. მხოლოდ ქრისტეს სიტყვების აზრს „გიყვარდეს მტერი შენიო" გამოვყავართ სიძულვილის ამ მაგიური წრიდან. როდესაც თავისუფლების ნაცვლად ამკვიდრებენ სიძულვილს და შურისძიებას, დასაბამი ეძლევა მონობას. უფრო კეთილი და სამართლიანი საზოგადოების ორგანიზება მიზანი კი არ არის, არამედ ადამიანის უფრო ღირსეული არსებობის საშუალება. კაცობრიობის მიზნად კვლავაც რჩებიან უზენაესი ფასეულობანი, რომლებიც გულისხმობენ საშუალებათა გაადამიანურებას. მიზანს მხოლოდ მაშინა აქვს ფასი, როცა მის განხორციელებას ახლავე, აქვე დავიწყებთ.

არსებობს ორნაირი ფილოსოფია: ფასეულობათა ფილოსოფია და კეთილდღეობისა თუ სარგებლიანობის ფილოსოფია. ფასეულობა თვისებაა, მბრძანებლობით კი რაოდენობის ფილოსოფია მბრძანებლობს. მარქსიზმი ფასეულობათა კი არა, კეთილდღეობის ფილოსოფიაა. მარქსისტებთან ფასეულობათა ჰიერარქიის შესახებ ლაპარაკიც კი არ შეიძლება, რადგანაც მათთვის მიუღებელია კითხვის დასმა თვით ფასეულობათა შესახებ; მათთვის არსებობს მხოლოდ აუცილებლობა, სარგებლიანობა, კეთილდღეობა. მარქსისტული ფილოსოფიისაგან განსხვავებით ნიცშეს ფილოსოფია ფასეულობათა ფილოსოფიაა. მისთვის ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, ფასეულობათა შემოქმედია. მაგრამ ფასეულობათა ნიცშესეული ფილოსოფია წინააღმდეგობრივია და გაუმართლებელი მისი ბიოლოგიური შეფერილობისა და იმის გამო, რომ სიცოცხლის აზრს ძლიერებისაკენ მიდრეკილ ნებაში ხედავს. პუშკინის ლექსებში უჩვეულო ძალით ვლინდება შეჯახება პოეტის შემოქმედებით თავისუფლებასა და ადამიანთა მასის, ბრბოის უტილიტარულ მოთხოვნილებებს შორის, ბრბოისა, რომელიც მისთვის, უპირატესად, მემამულეების, მოხელეებისა თუ კარისკაცების ბრბო იყო და არა მშრომელი მასებისა. ბრბო შეიძლება იცვლიდეს თავის სოციალურ შედგენილობას. პუშკინი თავისუფლების გულმხურვალე დაცვის მიზნით მიმართავს ბრბოს: „...მისი (პოეტის) სიმღერა თავისუფალია ქარივით". „ქოთანი უფრო ძვირფასია შენთვის, მასში შენს სალაფავს ხარშავ". პუშკინი ამბობდა სიტყვებს, ასეთ აღშფოთებას რომ იწვევდნენ 60-იან წლებში: „ჩვენ დავიბადეთ შთაგონების, ტკბილ ხმათა და ლოცვებისათვის". და კიდევ: „პოეტო, ნუ მოელი ხალხის სიყვარულს, შენ მეფე ხარ, იცხოვრე მარტო. თავისუფალი გზით იარე, საითაც მიჰყავხარ შენს თავისუფალ სულს". მაგრამ იმავე პუშკინს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ხალხის მსახური უნდა ყოფილიყო, და ამ მსახურებაში ხედავდა თავის შეფასებას მომავალი თაობების მიერ: „მე ავიგე ხელთუქმნელი ძეგლი, და მისკენ სავალი ბილიკი არ წაიშლება". „ჩემი სახელი მოედება მთელ დიად რუსეთს"... „და დიდხანს ვეყ-

ვარები ხალხს იმის გამო, რომ ჩემი ლირით ვაღვიძებდი კეთილ გრძნობებს; რომ ჩემს სასტიკ საუკუნეში განვადიდე თავისუფლება და ყველას მოვუწოდებდი, მოწყალენი ყოფილიყვნენ დაცემულთა მიმართ". მსახურება არ უპირისპირდება შემოქმედებით თავისუფლებას. ის შეუძლებელია იძულებითი იყოს და არავითარი ფასი არა აქვს, როცა ძალადობის შედეგად გვევლინება. ყველაზე დიდი ბოროტება ჭეშმარიტებისადმი უტილიტარული დამოკიდებულებაა. ჭეშმარიტება სულაც არ არის ადამიანის მსახური და ის ნამდვილად არ მართლდება იმ სარგებლობით, რაც მას მოაქვს. პირიქით, ადამიანის მოწოდებაა ჭეშმარიტების სამსახური. ფასეულობათა ჰიერარქიისათვის უზარმაზარი და ფატალური მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკის აღიარებას მთელი ცხოვრების წანამძღვრად. ეკონომიური მატერიალიზმი ეკონომიკაში ხედავს პირველ რეალობას, რომელიც უპირისპირდება ცნობიერების ილუზიას. მაგრამ ეს აშკარა არევაზეა დაფუძნებული. ეკონომიკა მხოლოდ ცხოვრების აუცილებელი პირობაა და საშუალება, მაგრამ არა მისი მიზანი და არც უზენაესი ფასეულობა თუ განმსაზღვრელი მიზეზი. მე ვერ ვემსახურები ფილოსოფიას, თუ არა მაქვს საჭმელი, ტანსაცმელი, ჭერი. მაგრამ ფილოსოფია სრულიადაც არ განისაზღვრება ამ პირობებით. მატერიალიზმის თეზისი, რომლის თანახმადაც უფრო მაღალი, უფრო დაბლის ეპიფენომენია და მისი მეშვეობით აიხსნება, სრულიად არადამაჯერებელი, მტკნარი სიცრუეა. ყოველივე უმაღლესი ადამიანის ცხოვრებაში, რითაც განისაზღვრება მისი ფასეულობა, მატერიალისტისათვის ცნობიერების ილუზია უნდა იყოს, რომელიც საჭიროა ამხილო. ეს სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანის დეგრადირება. სიცოცხლის უმაღლესი მიზნები არც ეკონომიკაა და არც სოციალიზმი, არამედ სულიერი ფასეულობები. ხალხის სიდიადე, მისი წვლილი კაცობრიობის ისტორიაში სახელმწიფოს ძლიერებით და განვითარებული ეკონომიკით კი არა, სულიერი კულტურით განისაზღვრება. გერმანია ყველაზე დიდი და ევროპული კულტურის მწვერვალი მაშინ კი არ იყო, როცა ბისმარკის იმპერიად იქცა, არამედ მაშინ, როცა პატარ-პატარასახელმწიფოებისაგანშედგებოდა.საბერძნეთის დიადი კულტურა პატარა სახელმწიფოს კულტურა იყო. იტალიური აღორძინების შემოქმედებითი ზეობა ქვეყნის დაქუცმაცების პერიოდს ემთხვევა. მართალია, XIX საუკუნის რუსული კულტურის დიადი შემოქმედება დიად იმპერიასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ის სწორედ იმპერიას უპირისპირდებოდა. ფასეულობათა შექმნა და სულიერი კულტურა სულაც არ არის პროპორციული მონინავე ქვეყნების სახელმწიფოებრივი თუ ეკონომიური ძლიერებისა.

რევოლუცია ფატუმია ხალხთა ცხოვრებაში, მისი მდინარება თავისუფლებით როდი განისაზღვრება; ის გარდუვალია, რაც, სამწუხაროდ, ცუდად ესმით თანამედროვეებს. რევოლუცია მასების გადაადგილებაა და ამიტომ შეუძლებელია არ დააქვეითოს თვისება. ის ყოველთვის თავდაყირა აყენებდა ფასეულობათა ჰიერარქიას. რევოლუციას ვერ დაამხობ, ის შინაგანად უნდა ამოძირკვო და, ამრიგად, დაიცვა სული, რომელსაც ის ყოველთვის ხელყოფს. თუ რევოლუცია უარყოფს სულიერ ფასეულობათა თავისუფალ შემოქმედებას, მას უარყოფდა ორგანიზებული, თავის ფორმებში ჩაკირული და ჩამკვრივებული ძველი რელიგიაც. არაერთხელ თქმულა, რომ ფასეულობათა შემოქმედება სულაც არ არის საჭირო სულის ხსნისა და საუკუნო ცხონებისათვის. და იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ ეს სწორია. მაგრამ სულიერ ფასეულობათა შემოქმედება ხსნისათვის კი არა, ღმერთის სამეფოს სისავსისთვისაა საჭირო, როგორც ზეციურ, ისე ამქვეყნიურ სინამდვილეშიც. მარტო მსჯავრმდებლის თვალი ხედავს ქრისტიანობაში მხოლოდ და მხოლოდ ხსნის რელიგიას. მაგრამ ეს ეზოთერული იდეაა; სიღრმისეული აღქმა გვიმოწმებს, რომ ქრისტიანობა ღმერთის სამეფოს ხორცშესხმის, ინდივიდუალური და კოსმიური ფერისცვალების რელიგიაა. ეს ძალიან ჰგავს ფასეულობათა შემოქმედებისადმი სოციალური რევოლუციის დამოკიდებულებას. სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის აღმოსაფხვრელად და უკლასო საზოგადოების შესაქმნელად სულაც არაა საჭირო თავისუფალი შემოქმედება, ფილოსოფიური თუ ესთეტიკური ფასეულობანი, მავნეა რელიგიური და მისტიკური განწყობილებაც; სოციალური რევოლუციის მიზნებს უპირისპირდება სულიერი კულტურის არისტოკრატიული გაგებაც. ყოველივე ეს სოციალური ბრძოლისაგან გარემიგვაქცევს, რაც ხშირ-ხშირად გვესმის არა მარტო ახლა, არამედ გვსმენია ორმოცდაათი თუ სამოცდახუთი წლის წინათაც.

გარეგნულად ეს თითქოს მართლაც ასეა, მაგრამ შინაგანად აბსოლუტურად ყალბია და ადამიანის დაქუცმაცებულობასა და სისუსტეს ავლენს. რევოლუცია, ამ სიტყვის სიღრმისეული გაგებით, თუ ის მხოლოდ სამოსის გამოცვლა არ არის, როგორც ხშირად ხდება, ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების მთლიანი, ინტეგრალური ცვლილებაა. შეუძლებელია სოციალური სიმართლის ხორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცშესხმა ჭეშმარიტებისა და მშვენიერების გარეშე. თუ სოციალური რევოლუციის შემდეგ შექმნილი ცხოვრება მახინჯია, ჭეშმარიტების შეცნობის ძალიან დაბალ დონეზე მდგარი, ეს შინაგანი ხრწნილების მაჩვენებელი იქნება. სიმახინჯეც სიცრუეა. მშვენიერება, როგორც უზენაესი ფასეულობა, საზოგადოების სოციალური რეორგანიზაციისთვისაც საჭიროა. სხვაგვარად დამახინჯდება ადამიანის ტიპი, აღარ იქნება სტილი და ფორმა, ხატება და ჰარმონია. უტილიტარული თვალსაზრისით, ნებისმიერი საშუალება დასაშვებია. აქ ჩვენს წინაშეა ყველაზე ავბედითი შეცდომა ცხოვრების მიმართ. არ არსებობს უფრო დიდი ბოროტება, ვიდრე იმისკენ სწრაფვა, რომ ნებისმიერი საშუალებით ხორცი შეასხა მშვენიერებას. ეს, ჩვეულებრივ, კეთილი ენერგიის გამოსხივებას კი არ ნიშნავს, რომელიც გარდაქმნის ადამიანს და საზოგადოებას, არამედ, უმალ, ბოროტი ენერგიისას, კეთილი მიზნის ხორცშესასხმელად. ყოვლისგარდამქმნელ სიმართლედ იმდენად ის კი არ უნდა მიგვაჩნდეს, რომ ადამიანი კეთილ მიზანს ისახავდა, რასაც მიზნისგან ძირეულად განსხვავებული საშუალებებით ახორციელებდა, — რამდენადაც მის მიერ კეთილი ენერგიის გამოსხივება. საშუალებები გაცილებით უფრო მეტად ავსებენ ადამიანის სიცოცხლეს, ვიდრე მიზნები, რომლებიც შეიძლება სულ უფრო და უფრო განყენებულნი გახდნენ. თვისებრივ ფასეულობათა თვალსაზრისით, მიზნები ხორციელდებიან საშუალებებით, რომლებიც თვითონვე ცხადდებიან ამ ფასეულობებად. ადამიანური ცხოვრების საშინელება იმაში მდგომარეობს, რომ სიკეთე ბოროტების მეშვეობით ხორციელდება, სიმართლე — სიცრუის, მშვენიერება — სიმახინჯის, თავისუფლება კი ძალმომრეობის საშუალებით. კეთილი მიზნის ხორცშესასხმელად წარმოუდგენელ საშინელებებს მიმართავდნენ. ამას თავისი ღრმა მიზეზები აქვს. ასეთი უტილიტარული დეფორმაციები არც ქრისტიანობისათვის ყოფილა უცხო. ქრისტიანებს მიზნების განსახორციელებლად შესაძლებლად მიაჩნდათ სისხლიანი საშუალებების გამოყენება, და ქრისტიანობა ისევე ვერ განხორციელდა, როგორც რევოლუციის მიზნები. ეს, უწინარეს ყოვლისა, დროის პრობლემასთანაა დაკავშირებული, როცა აწმყოს ისე კი არ უყურებენ, როგორც მიზანს თავისთავად, არამედ როგორც მომავლის საშუალებას, იმნაირი მომავლისას, რომელიც არასოდეს არ დადგება. ძალა და სარგებლობა ჩრდილავს სულსა და ჭეშმარიტებას. საკმაოდ აშკარაა, რომ არ შეიძლება განახორციელო ადამიანთა ძმობა, თუ გამოყენებულ საშუალებებს შემოქმედებითად არ ეფინება ძმობის სხივი. ძალმომრეობა და იძულება მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა გვსურს გასაქანი არ მივცეთ ბოროტების გამოვლინებას და დავიცვათ სუსტნი, ისევე, როგორც საშინელი ექსპლოატაციისა და აგრესიული, დაპყრობითი ომების წინააღმდეგ.

სულიერი კულტურის, სულიერი, რელიგიური, შემეცნებითი, მორალური და ესთეტიკური ფასეულობების შემოქმედება არისტოკრატიულია და სულიერი არისტოკრატიის არსებობას გულისხმობს. სულიერი არისტოკრატია უკლასო საზოგადოებაშიც იქნება. მისი გაქრობა თვისების გაქრობის მომასწავებელი იქნებოდა. თვისება არისტოკრატიულია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სულიერი კულტურა მხოლოდ მცირერიცხოვან რჩეულთათვის არსებობს. დიდ შემოქმედთა, მაგალითად, ჩვენი პუშკინისა და ლ. ტოლსტოის შემოქმედებას საერთო-სახალხო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ აქ უნდა ვუფრთხილდეთ იმ არეულ-დარეულობას, რაც დღეს გამუდმებით ხდება. საერთო-სახალხო შემოქმედება სრულიადაც არ ნიშნავს კოლექტიურსა თუ შეკვეთილ შემოქმედებას. საერთო-სახალხოს საერთო არა აქვს რა კოლექტივთან. დიდი შემოქმედი ყოველთვის ინდივიდუალურია, არავის არ ექვემდებარება და თავისი ინდივიდუალური შემოქმედებით გამოხატავს თავისი ხალხის სულს. ის გაცილებით უფრო სრულადაც კი გამოხატავს თავისი ხალხის სულს, ვიდრე თვით ხალხი თავისი კოლექტიური ცხოვრებით. ყოველი შემოქმედი თავისუფალია, ის ვერ იტანს იძულებას და თავისუფლად ასრულებს თავის მსახურებასაც. როცა შემოქმედი თავისუფლების გარეშე ასრულებს სოციალურ დაკვეთას, შემოქმედების პროდუქტი მხოლოდ უნიჭო და უბადრუკი თუ შეიძლება იყოს. ამნაირი აქტივობა შემოქმედების კი არა, პოლიციის სფეროს განეკუთვნება. საკმაოდ საზიზღარი თანამედროვე გამოთქმის მოშველიებით შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ვერგილიუსი ასრულებდა ცეზარ ავგუსტუსის სოციალურ დაკვეთას, მაგრამ ასრულებდა თავისუფლად და ამიტომაც შექმნა გენიალური ნაწარმოებიო. XIX საუკუნის რუსული ლიტერატურა ყოველთვის იყო დამოძღვრისა და მსახურების ლიტერატურა. და ჩვენ გვეცინება, როცა ვკითხულობთ, რომ თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურაში „engagement" რაღაც სიახლედ ითვლება. ლიტერატურისადმი მიძღვნილ თავის სტატიებში სარტრი აქა-იქ ამბობს, რომ 60-იანი წლების რუსეთში ლაპარაკობდნენ რუსი კრიტიკოსები — ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი; თუმცა ამას უფრო დახვეწილი ფორმით გამოთქვამს. ბოლოს და ბოლოს, ვუბრუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებით მარქსიზმის კლასიკურ თვალსაზრისს კულტურისა და ლიტერატურის შესახებ. ასე სურთ თავი დააღწიონ რაფინირებულ დეკადანსს. კულტურული ელიტა მძიმე კრიზისს განიცდის; მას ემუქრება გაქრობა ჩვენი დროის მასობრივ სოციალურ მოძრაობაში. მე არაერთხელ აღმინიშნავს ეს. იზოლაცია, სიამაყე, ზიზღი დაღუპვისაკენ მიმავალი გზაა. გენიოსი გამოხატავს ხალხის ბედს, ხოლო მწვერვალებზე — ადამიანისა და სამყაროს ბედსაც. მაგრამ არსებობს უკუ-საშიშროებაც: შეგუება და თავისუფლების დაკარგვა. შემოქმედი უწინარეს და უზენაეს ყოვლისა თავის შემოქმედებითს თავისუფლებას უნდა იცავდეს. მისთვის მხოლოდ თავისუფლების მეშვეობითაა შესაძლებელი მსახურებაც და ხალხის ბედის გამოხატვაც. თანაბრად მცდარია იზოლირებული ინდივიდუალიზმიცა და საწარმოო კოლექტივიზმიც. სიტყვა კოლექტივიზმი საერთოდ უნდა გამოირიცხოს. შემდეგ ჩვენ ვნახავთ, რომ ის მხოლოდ კომუნიტარიზმის კარიკატურაა. კომუნიტარულობა ყოველთვის თავისუფალია, კოლექტიურობა კი ყოველთვის იძულებითი. დაუშვებელია შემოქმედებითი თავისუფლების დაკნინება კოლექტიურობის სახელით. კულტურის ფენომენთა საქმე უნდა იყოს არა დამაკნინებელი მისადაგება მასობრივი სოციალური მოძრაობისადმი, არამედ ამ მოძრაობის გაკეთილშობილება მასში თვისების არისტოკრატიული საწყისის შეტანით. საკუთარ მოწოდებას ამ ქვეყნად ხალხი თავის დიდ შემოქმედთა მეშვეობით გამოხატავს, და არა უსახო კოლექტივიზმის გზით. მსოფლიო კულტურის ისეთი დიდი მოვლენები, როგორიცაა ბერძნული ტრაგედია, ან კულტურული რენესანსი თუ XIX საუკუნის გერმანული და რუსული ლიტერატურა, იზოლირებულ ინდივიდთა თუ შემოქმედთა თვითტკბობისგან კი არ იღებენ დასაბამს, თავისუფალი შემოქმედებითი სულის ნაყოფად გვევლინებიან. ხალხის მსახურება, იმავდროულად, ხალხის შემოქმედებითი შემართებაა. სულიერი კულტურა ყოველთვის გულისხმობს ფასეულობათა ჰიერარქიის დაცვას, ამ ერთადერთი ჰიერარქიისა, რომელიც შეიძლება გამართლებულ იქნას. ამას მივყავართ სამართლიანობის ფასეულობისა და თავისუფლების ფასეულობის შეჯახებამდე, რაც თანამედროვე მსოფლიო ეპოქის ძირითადი თემაა.

დღეს ძალიან მოსწონთ ერთმანეთს დაუპირისპირონ სოციალური სამართლიანობისა და თავისუფლების ფასეულობანი და არჩევანს გვთავაზობენ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ ფუნდამენტურ ფასეულობებს გეოგრაფიულად ანაწილებენ: საბჭოთა რუსეთი სოციალური სამართლიანობის მხარესაა, ამერიკა კი თავისუფლების მხარეს. ამიტომ გარდუვალად მიაჩნიათ კონფლიქტი. ამასთან, თავისუფლება თითქმის მთლიანად გაიგივებულ იქნა კაპიტალიზმთან. საკითხის ამნაირი დასმა თავდაუზოგავად უნდა გავაპროტესტოთ. ახლა მე მაინტერესებს არა დღევანდელი დღის პოლიტიკური ჭირვარამი, არამედ მარადიული საკითხი სამართლიანობისა და თავისუფლების შესახებ. თავისუფლებასა და მის წინააღმდეგობებზე, არსებითად, ვისაუბრებთ მომდევნო თავში. მაგრამ შეიძლება თუ არა ერთმანეთს დავუპირისპიროთ თავისუფლება და სამართლიანობა? უწინარეს ყოვლისა, სამართლიანობა (იუსტიცია) სულაც არ არის ქრისტიანული იდეა, ეს კანონიკური და უმადლო იდეაა. ქრისტიანობას სამართლიანობის იდეა კი არ მოუტანია, არამედ სიმართლის იდეა. საოცარია რუსული სიტყვა "правда", რომელსაც შესაბამისი გამოხატულება არ მოეძებნება სხვა ენებში. სიმართლე-სამართლიანობის ძალმომრეობით განხორციელება შეიძლება ძალზე არასასურველი აღმოჩნდეს თავისუფლებისათვის, ისევე, როგორც ფორმალური თავისუფლებისდამკვიდრებამშეიძლებაწარმოშვას უდიდესი უსამართლობა. ესაა ადამიანური ცხოვრების შინაგან წინააღმდეგობათა გამოვლენა. ასეთივე წინააღმდეგობა და კონფლიქტი შეიძლება არსებობდეს თავისუფლებასა და სიყვარულს, სიყვარულსა და სამართლიანობას და სხვა მისთანათა შორისაც. ადამიანური ცხოვრების ტრაგიზმს სიკეთისა და ბოროტების კი არა, უწინარეს ყოვლისა, პოზიტიურ ფასეულობათა კონფლიქტი განაპირობებს. ადამიანმა შეიძლება თავისუფლებას უმსხვერპლოს სიყვარული, სოციალურ სამართლიანობას — თავისუფლება, სიბრალულს — მეცნიერული მოწოდება და ასე შემდეგ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანური საზოგადოების ორგანიზებისთვის აუცილებელია ან თავისუფლებაზე თქვა უარი, ან სამართლიანობაზე. აუცილებლად უნდა ესწრაფოდე თავისუფალსა და სამართლიან საზოგადოებას. თავისუფლების გარეშე შეუძლებელია ყოველგვარი სამართლიანობა. ეს იქნება განყენებული სამართლიანობა, რომელსაც საერთო არა აქვს რა კონკრეტულ ადამიანთან. სამართლიანობა მოითხოვს ყველა ადამიანის თავისუფლებას. მე შემიძლია ადამიანებისადმი სიბრალულის გამო ზღვარი დავუდო ჩემს თავისუფლებას, მაგრამ ეს შემიძლია მოვიმოქმედო მხოლოდ თავისუფლად, და ამას მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს ფასი. იძულებით მსხვერპლს არავითარი ფასი არა აქვს. ასე, ცხოვრებისეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფლიქტების წინაშე ჩემს მიერ თავისუფლებაზე უარის თქმა შეიძლება იყოს მხოლოდ თავისუფალი აქტი. მაგრამ არის თავისუფლება, რომელზედაც უარის თქმის უფლება არა აქვს ადამიანს, თუ სურს შეინარჩუნოს ადამიანური ღირსება, — ასეთია სულისა თუ სინდისის თავისუფლება. სინდისის გაუცხოება ყოვლად შეუწყნარებელია, მას ეკუთვნის უზენაესობა. ვერავითარი სოციალური სამართლიანობა ვერ მოითხოვს ამას. საკითხი ძალიან რთულდება იმითაც, რომ მხოლოდ სამართლიან საზოგადოებას კი არ მოითხოვენ, რომლისთვისაც უცხო იქნება ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანის მიერ, არამედ ძმურ კომუნიტარულ საზოგადოებას. აქ ჩვენ ვხვდებით უზარმაზარ პრინციპულ სხვაობას. კანონს შეუძლია იძულებით მოსთხოვოს ადამიანებს სამართლიანობა, მაგრამ ვერ მოსთხოვს ძმობას. სიბრალული, გულმოწყალება, სიყვარული, თავისუფლების მადლიანი საქმეა, და არა მაიძულებელი კანონისა. მაიძულებელი კანონი შეიძლება თავისუფლების საპირისპირო ძალად იქნეს მიჩნეული, მაგრამ არა თვით სამართლიანობა და მით უფრო ნაკლებ ძმობა. თვით მაიძულებელი კანონიც შეიძლება იცავდეს თავისუფლებას ადამიანთა თვითნებობისგან. სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება მშრომელი მასების მიმართ შეიძლება ნიშნავდეს სწორედ ამ მშრომელი მასების განთავისუფლებას მონობის უღლისაგან. XIX საუკუნეში უყვარდათ ლაპარაკი შრომის განთავისუფლების შესახებ. თუ მეოცე საუკუნეში ამჯობინებენ ილაპარაკონ გეგმიან მეურნეობაზე, დირიჟიზმსა თუ ადამიანის მიმართ სახელმწიფო ძალაუფლების გაძლიერებაზე, ეს, უპირატესად, იმიტომ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ორი მსოფლიო ომით შექმნილ სინამდვილეში და მესამე მსოფლიო ომისთვის ვემზადებით. ჩვენ ვცხოვრობთ სინამდვილეში, რომელშიაც რევოლუცია მხოლოდ ომის სახესხვაობად გვევლინება. ეს განსაზღვრავს ნებისმიერ ფასეულობას. ჩვენ ქაოტურ სინამდვილეში ვცხოვრობთ, რომელშიაც თავისუფლება დაუშვებელ ფუფუნებად ჩანს. სამართლიანობისა და თავისუფლების პრობლემა მისი წმინდა სახით როდი ისმის, ის ჩაძირულია მღვრიე ატმოსფეროში. ბოლოს და ბოლოს, თანამედროვე მსოფლიოში არც სამართლიანობა არსებობს და არც თავისუფლება. ბრძოლა ელემენტარული არსებობისა და თვით სიცოცხლის შენარჩუნებისათვის თავისთავად გამორიცხავს ყველა საკითხს ფასეულობათა შესახებ. ცივილიზაციის თხემზე მიმდინარეობს ელემენტარიზაცია, რომელიც მხოლოდ გვეჩვენება რთულად.

შეიძლება მოვიაზროთ სამი სხვადასხვა ფინალი კრიზისისა, რომელსაც უახლოვდება მსოფლიო: 1) როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური კოსმოსის თანდათანობით დაშლა, კაპიტალისტური რეჟიმის დროში გაწელილი ხრწნა, ატომური ბომბის ზეიმი, ჰენრი მილერის შემოქმედებაში წარმოჩენილი ქაოტური სამყარო, დასაბამიერი კი არა, დასასრულის მაცნე ქაოსი, ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ. ესაა მსოფლიოს დაღუპვა, რასაც ჩვენ ვერ დავუშვებთ. 2) კოლექტივის მოძალადური, მექანიკური რეჟიმი, ორგანიზებულობა, თავისუფლებას რომ აღარ უტოვებს ადგილს, მსოფლიოს დესპოტიზაცია. ამის დაშვებაც კი გვიჭირს. 3) შინაგანად ძლევა ქაოსისა, გამარჯვება ტექნიკაზე, ფასეულობათა ჰიერარქიის აღორძინება, სიმართლის ხორცშესხმასთან შერწყმული. დღემდე ჭარბობს პირველი და მეორე ფინალის ნაზავი. მსოფლიოში თითქოს იწყება იძულებით ორგანიზებული ქაოსი, რომელსაც შინაგანად სრულებითაც ვერა ვძლევთ. მესამე, ერთადერთი სასურველი ფინალი ადამიანის განთავისუფლებას გულისხმობს. ის შეუძლებელია ფატალური აუცილებლობის შედეგი იყოს. პირველი და მეორე ფინალის, ისევე, როგორც მათი ნაზავის შემთხვევაში ადამიანი გარეგნულად თითქოს აქტიური, მაგრამ შინაგანად პასიურია. თანაც აქ ფასეულობათა რაიმე ჰიერარქიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. სულიერი ფასეულობები საერთოდ აღარ არსებობენ. ისინი მთლიანად უფსკრულში არიან დანთქმულნი. როგორი პესიმისტიც შეიძლება იყო პირველ შემთხვევაში, ისეთივე ოპტიმისტი — მეორეში. სრული უაზრობაა მოითხოვო დაგვისაბუთონ სულიერ ფასეულობათა არსებობა და მათი აშკარა სიმაღლე ეგრეთწოდებულ ვიტალურ ფასეულობებთან შედარებით. სულიერ ფასეულობებს, უწინარეს ყოვლისა, ჩემი თავისუფლების აქტი ამტკიცებს. ყველაზე საჭირო ყველაზე ფასეული როდია. ადამიანს ხელფეხი გახსნილი აქვს: შეუძლია რეალურად მიიჩნიოს მხოლოდ ძალიან პატარა, ძალიან ზედაპირული სამყარო. საკითხი რეალობის შესახებ ძალიან რთული საკითხია, ის მარტივად ეჩვენება მხოლოდ არაფილოსოფიურ გონებას. ცხოვრება მნიშვნელობას და სიღრმეს იძენს მხოლოდ მაშინ, როცა ის სიმბოლური რეალიზმის თვალსაზრისით განიმარტება. ხილული სამყარო ჩვენთვის თავსმოხვეული და ჩვენი მაიძულებელი რეალობა როდია, ის სულის თავისუფლებისკენაა მიმართული. თანაც, ყველაზე რეალურია ის, რაც თავისუფალი სულის მიერ იქმნება.

თარგმნა **ბაჩანა ბრეგვაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ ფოცხიშვილი

"შთაგონების წყარო"
(საუბარი თანამედროვე პოეზიაზე)

პოეტისათვის შთაგონების წყარო ამ ქვეყნად, ყველგან და ყველაფერში ვლინდება. მთავარია გწყუროდეს, გწყუროდეს აღმოჩენა ადამიანის იმ იმედის სხივის, იმ სიტყვისა და ჰანგისა, რომლის ჰარმონიული შენადნობი ჭეშმარიტი პოეზიის სახით შვებას ჰგვრის მკითხველს და მოძმეთ სვლას უადვილებს სიცოცხლის უკიდეგანო და ჯერ შეუცნობ ურთულეს გზაზე. შთაგონების წყაროდ მოედინება ბიბლიური დროიდან უხვი და ულეველი მდინარე დედა სამშობლოს სიყვარულისა. ვინ არ აუმღერებია ამ ღვთით მომადლებულ გრძნობას, ვინ არ შთაგონებულა ამ დიადი სიკეთით, რომელსაც სასწაულები მოუხდენია. პოეტის შთაგონების წყაროდ მრავალგზის ქცეულა მარადიული და უწმინდესი გრძნობა დედაშვილობისა. პოეტის სული სიყვარულისა და სიცოცხლის შთაგონებით ხელთუქმნელ საგალობლებს ქმნის. „სიყვარული აღგვამაღლებს" — ჭეშმარიტად ასეა, ეს ამაღლება შთაგონების ტოლფარდი მცნებაა, მისი სინონიმია და მეტაფორა. ცნობილია: ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად შემოქმედი ხანდახან უბრალო, პაწია, თითქმის უმნიშვნელო ამბითაც კი განეწყობა, მაგრამ თუ იგი თავიდანვე არ არის შთაგონებული ამა თუ იმ თემით, მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის. 60-იან წლებში მე დავწერე ერთი პატარა ლექსი „პურის ნატეხი", რომელიც სულ უბრალო შემთხვევამ მიკარნახა. ერთ მშვენიერ დღეს ბარათაშვილის ახალი ხიდის მშენებლებთან საუბრის ჟამს უეცრად დავინახე ვიღაც უცნობმა როგორ აიღო ქუჩაში, ალბათ, ასევე შემთხვევით დაგდებული პურის ნატეხი და იქვე როგორ შემოდო რომელიღაც სახლის ფანჯრის რაფაზე. ეს იყო და ეს, თითქოს არაფერი, მაგრამ მე იმ დღეს მხოლოდ იმ პურის ნატეხით ვიყავ შეპყრობილი. აი ეს ლექსი:

„ქუჩაში გდია პურის ნატეხი, —
ერთ დროს სამი დღის სიცოცხლის სხივი
ჩაივლის ხალხი... და პურის ნატეხს
უბერავს ქარი ფიქრივით ცივი...
ქუჩაში გდია პურის ნატეხი, —
სიმაძღრის მტვერი იყრება პურზე...
ქუჩაში გდია პურის ნატეხი,
რომელსაც ვიღაც გიჟივით უმზერს...
მივა, აიღებს, როგორც ღიღილოს,
ფრთხილად შემოსდებს სადღაც თაროზე...
ო, მისი სევდა ვინ გამიმხილოს
აქ, ამ დუმილის სასაფლაოზე?!
რად უციმციმებს თვალებში გზნება
ვინ ახსენდება, ან რას შესტირის?!. —
მიდის და... ხის ფეხს ქუჩაში რჩება
უთქმელი დარდის მრავალწერტილი..."

ეს ტექსი შემთხვევამ დამაწერინა, მაგრამ შემთხვევით არ ყოფილა ის გამოუცნობი შთაგონება, რომელმაც იმ დღეს ამ ლექსის შესაქმნელად განმაწყო. განა მეორე მსოფლიო ომის საშინელი დრო შიმშილისა, სიცივისა და ტკივილებისა, გაუთავებელი ლოდინისა, ბრძოლისა და თავგანწირვისა, შიშისა და იმედისა არ ამზადებდა ჩვენი თაობის მწერლებს მშვიდობისა და პურის სიკეთის ამდაგვარი შეგრძნებისათავის? შთაგონება ყველგან და ყველაფერშია საჭირო. შთაგონებულია დაზგასთან მდგარი ჩვენი თანამედროვე გურამ სარალიძე, შთაგონებულია ტელესკოპთან მიჯაჭვული ევგენი ხარაძე. შთაგონებული უნდა იყოს ყველა, ვინც სამშობლოს საკეთილდღეოდ იღვწის იმ სიყვარულით, რომელსაც ერისკაცობა ჰქვია. მით უმეტეს, შემოქმედი. ამ შთაგონების წყარო ყველგან ჩუხჩუხებს, ყოველ ნაბიჯზე. იგი პირველ ყოვლისა იმ ადამიანის გულშია, რომელიც ისევ და ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის სიყვარულით სულდგმულს იმ ხეხილშია, რომელიც ნაყოფს რომ ისხამს, იმ ცისკარშია, შუქს რომ აფენს კაცობრიობას, იმ მარცვალშია, დასათესად, რომ გადაურჩენია მოჭირნახულე გლეხკაცს, და იმ სამამულე რქაშია, ამაგდარი მევენახე ცას რომ უხსნის დღენიადაგ ამ დალოცვილ მიწაზე. პოეტი ყველგან და ყველაფერში ეძიებს შთაგონების ნატვრისთვალს. ოღონდ ეგ არის, არავინ იცის იპოვის თუ არა საბოლოოდ იგი მას. მრავალთა შორის ჩემი შთაგონების ერთ-ერთ უწმინდეს წყაროდ ძმათა ძმობა და მეგობრობა ქცეულა ოდით. აი ერთ-ერთი ჩემი პირველი ლექსი: „იქნებ“.

„მე ვიყავ შორს და შორიდან მოვალ,
მოვდევ ამღვრეულ ფიქრებს...
ახლა მზის ჩასვლის ისეთი დროა,
შუქად დაგჭირდე იქნებ.
    არ შემიძლია არ გითხრა ძმობა,
    სულის სიმხნევეს ვიქებ —
    ახლა ერთობის ისეთი დროა,
    ფრთებად გჭირდები იქნებ.
არ შემიცოდო, დაღლილი რომ ვარ,
სიმართლის სახელს ვირქმევ —
ყველა ცრუ რწმენის დარღვევის დროა,
იჭვად დაგჭირდე იქნებ.
    არ მომერიდო-ისეთი დროა,
    ძალას ერთურთში ვიკრებთ...
    გაღმა ვიდექ და გამოღმა მოვალ —
    ხიდად გჭირდები იქნებ“.

ძმობა და მეგობრობა სადედაენო გრძნობაა ჩვენი ხალხისა. „ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის სიყვარული გზად და ხიდად“ — ერის დასამოძღვრად ქადაგებს რუსთაველი. უკეთ არც ითქმის, მაგრამ თითოეული ჩვენთაგანი ბანს აძლევს და თავისებურად ცდილობს გაიაზროს ყველაფერი. ჩვენს ხალხში არ შეიძლება შთაგონების ამ დიდებული წყაროს ამოშრობა. რაც უფრო ეწაფება შემოქმედის სული ამ შუქს, უფრო მეტად და უფრო ძალუმად ჩქეფს იგი. ამიტომაა, ალბათ, დასწერთ სიმღერა-საგალობელს და მერე ისევ იმავე თემას დაუბრუნდებით, არ გაკმაყოფილებს უკვე ლექსად ქმნილი, გგონიათ რაღაც დააკელით ამ დიდებულ გრძნობას ძმის სიყვარულად რომ ცხადდება ამ ქვეყანაზე. ამიტომ იყო, როცა მეგონა, რომ ჩემს ერთ-ერთ უსაყვარლეს ლექსში „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“. სათქმელი ამოვწურე-მეთქი. ორიოდე წელიც არ იყო გასული, რომ ისევ ამ გრძნობას დავუბრუნდი: „მზე ჭრილობაში“

„სიკვდილ-სიცოცხლის უსაზღვრო დავას
გულგრილად უჭვრეტს მზე.
მზე ჭრილობაში მარილად ჩავა,
როცა მარტო ვარ მე.
    როგორც უდაბნოს, მერევა რული,
    ფიქრი მწეწავს და მწვავს,
    წყალი არასდროს არ მიკლავს წყურვილს,
    როცა მარტო ვსვამ წყალს.
მშურს, როცა ერთი მეორეს ლოცავს,
კეთილი შურით მშურს,
დედას ვფიცავარ, არ ვმღერი, როცა
არ ემღერება სულს.
    მუდამ მშვიდი და ნელთბილი ჰავა
    მგონი ჭკუიდან მრევს, —
    მზე ჭრილობაში მარილად ჩავა,
    როცა მარტო ვარ მე“.

საცოდავია მარტოხელა კაცი: „ვაი უძმოსა, თორემ ძმა მრავალს მზე ცხრაგზის ამოუხდების“. განა ერი ჩვენი განადგურებისაგან ძმობისა და მეგობრობისაკენ მარადიულმა ლტოლვამ არ იხსნა? ამ ძმობაშია აზრი ძმათა უკვდავებისა და ხალხთა ერთსულოვნებისა. განა შეიძლება პოეტი არ წერდეს ამ თემაზე?

„საგალობელი ძმათა ძმობისა“

„ძმობამ არ იცის ასაკი, დრო.
ვით მეგობრობამ მანძილი, იჭვი, —
ძმა ხომ არასდროს არ არის შორს,
როცა შორს ხარ და როდესაც გიჭირს.
    ძმა გაწვდის მარილს, ძმა გითმობს პურს,
    ვით მეგობარი გმეგობრობს მუდამ,
    მარადჟამს შენი სიკეთე სურს,
    მარადის შენი ალერსი უნდა...“

გუშინ, როცა რადიომსმენელებისათვის წერილს ვამზადებდი, მეგონა ამ ლექსით მაინც დავუსვამდი წერტილს ძმათა ძმობისა და მეგობრობის თემას ჩემს შემოქმედებაში, მაგრამ დღეს უკვე ვატყობ, რომ ეს არ მოხდება. ჩემი შთაგონების წყარო კვლავ ჩურჩუხებს და ახალი სიმღერისაკენ მიხმობს, ნუ დამშრალიყოს იგი!

„ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“

„ძმას ძმისა ეიმედება
ჟამსა ტკბილსა თუ მწარესა, —
ერთი ძმა ვარსკვლავს ედრება,
შვიდი ძმა შვიდსა მთვარესა.
    ერთი სჭირდება მეორეს,
    ვით გულს სხვა გული მზიერი...
    შენ სთქვი და მეც ვიმეორებ –
    ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“
ნუ იტყვი კაცი გულღრძობას,
თუ იტყვი მკერდი ამხადე —
რაც თავი მახსოვს, სულ ძმობას
და მეგობრობას ვღაღადებთ...“

ჩაწერილია 21.XII-77წ.
საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდის“
მასალების მიხედვით
მოამზადა **ირმა ფერიაშვილმა**

მარმარ ჩვენმარია

მესამე კოტე

„თეატრი — მარადიულია, ვითარცა ქვაში გაცოცხლებული ქანდაკება და ყოველდღიური — როგორც გაზეთი...“ „კაცობრიობა იყოფა ორ ნაწილად: ერთი ის ნაწილია, რომელიც აღმერთებს ფეხბურთს, მეორე კი — რომელიც თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს ის არ უყვარს“... „ჩემი შვილი — ივიკო 6 წლის იყო, როცა მარსზე რაკეტა გაუშვეს, და პირველი, რაც მან მკითხა, იყო: „მამა, იქ ფეხბურთს თამაშობენ?...“

კოტე მახარაძე: „ორი ბატონის მსახური“.

ბატონმა კოტე მახარაძემ თავის საიუბილეო თარიღთან (75 წლისა მოიყარა) გამოსცა წიგნი: „ორი ბატონის მსახური“.

ეს სათაური, ცხადია, ბევრს გვეუბნება და ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. თუმცა, კოტე მახარაძის „ორი ბატონი“ სხვაა და ის, ჩვენი ნაცნობი „ორი ბატონი“ — სხვა.

ერთი „ბატონი“ თეატრია, ცხადია, მეორე — ფეხბურთი (სპორტი), მაგრამ რომელი მათგანია სინამდვილეში პირველი და რომელი — მეორე, არცთუ ადვილი მისახვედრია. თუ ორივე ერთმანეთის ალი-კვალია, არც ერთია პირველი და არც ერთი მეორე, არამედ არის ორი-ერთი, ვაშლი შუა გაპობილი, რაც გინდა ის ვიგულისხმოთ, უფრო ვრცლად — ამერ-იმერი (რამ გაყო ოღონდაც!), — ერთია ორივე და ერთმანეთს ავსებენ, ამთლიანებენ, ამაგრებენ.

ფეხბურთიც ხელოვნებაა, ფართო გაგებით, და თეატრი ხომ არის და არის, და უმთავრესი: ორივე მათგანს აერთიანებს ჯადოსნური სიტყვა: თამაში, სახიობა, გარდასახვა.

თამაში — თავდავიწყებაა.

მეფეები ექიშპებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ დროს რომ გამონახავდნენ, სანადიროდ მიდიოდნენ („თამაშობდნენ და ლაღობდნენ“, რუსთაველი), ნარდს ამღერებდნენ და ქაღალდს თამაშობდნენ („და ხელგაშლით ვთამაშობდით ქაღალდს“, გალაკტიონი). ოდესღაც, ალბათ, ჭადრაკი იმიტომ გამოიგონეს, რომ მართლა არ ამტყდარიყო ომი, — იგივე შეიძლება ითქვას სცენაზე და მწვანე მინდორზე, ამ „ორ ბატონზე“, რომელთაც მთელი ცხოვრება ემსახურა ერთგულად კოტე მახარაძე.

მესამე კოტე კი, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი მონიშნულია, — მესამე კოტე ანუ, „ორი ბატონის მსახურის“ შემქმნელი.

მესამე კოტე:

„ერთი და იგივე ფანჯრიდან შეიძლება სულ სხვადასხვა სურათი დაინახო — გააჩნია, ვინ როგორ უყურებს“...

ეს გახლავთ ამ წიგნის პირველივე ფრაზა-შესავალი, და მკითხველი იმთავითვე მიჰყვება ავტორს, — რაოდენი გამოცდილების მქონეა ამ სტრიქონების დამწერი.

ჩემი ორი ბატონიაო, გვეუბნება ავტორი, ჩემი თეატრი და ჩემი ფეხბურთი. იქნება თქვენ სულ სხვანაირად აღიქვამთ ორივე მათგანს, არც არაფერია გასაკვირი, ჩემი თვალით დანახული ქვეყანა სხვაა, სხვისი თვალით დანახული — სხვა.

ის კიდევ სხვა ამბავია, რომ იტყვიან: თვალი თვალის მტერიაო. აქ, ამ წიგნში, ჩემი დაკვირვებით, თვალი თვალის მეგობარია, როგორც ერთი თვალი დაჰყვება მეორე თვალს, ისე დაჰყვებიან მთელი ტექსტის სივრცეზე ერთმანეთს თეატრი და სპორტი, ეხმარებიან ერთმანეთს, რათა უკეთ დაგვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახონ ჩვენი თანამედროვეობა, ერთმანეთს ენაცვლებიან დაუვიწყარი სახეები: აკაკი ხორავა, ბორის პაიჭაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, გაიოზ ჯეჯელავა, ვახტანგ ჭაბუკიანი, სოფიკო ჭიაურელი, ავთანდილ ღოღობერაძე, ეროსი მანჯგალაძე, მიხეილ მესხი...

მაგრამ მოვიდეთ პირველ სიტყვას.

მესამე კოტე:

მწერლის თვალითაა დანახული და აღქმული ამ მოზრდილი წიგნის მრავალი ეპიზოდი.

კითხვამ გამიტაცა, გამიყოლია და უპირველესი, რამაც ეს განაპირობა, მისი ავტორის ქართულია. სადა, უბრალო, საყოველთაო.

ავტორი იგონებს ბავშვობას, მშობლებს, შინაურ გარემოს, ეზო-კარს, იპოდრომს, სტადიონს, სცენას...

„თუმცა, მოდით, ხაინდრავას დავუბრუნდეთ (ალიოშა ხაინდრავა გახლდათ საქვეყნოდ სახელგანთქმული ჟოკეი), — ფერმკრთალი, კოხტა, მოხდენილი ვაჟკაცი იყო. კაშკაშა ნარინჯისფერ განიერ-სახელოებიან ფარფარა პერანგში, მაღალ წვივებზე შემოტმასნილ თეთრ გალიფესა და მსუბუქ, შავ ჩექმებში გამოწყობილი რომ გამოჩნდებოდა იპოდრომის არენაზე და ამაყად თავაწეული ანავარდებდა მოუთმენლობისაგან ათრთოლებულ წაბლას ან ყორნისფერ „შაშილს", აღტაცებული მაყურებლები ფეხზე წამომდგარნი ეგებებოდნენ... როცა ცხენები ფინიშის სწორზე გადიოდნენ, ხაინდრავა თითქოს არასოდეს იყო დაწინაურებულთა შორის, იმათ გუნდში იყო, მეწინავეებს რომ უნდა დასწეოდნენ. ამ გადამწყვეტ მონაკვეთზე ჟოკეები, როგორც წესი, შოლტს იმარჯვებდნენ, ოდნავ წამოიმართებოდნენ, მთელი ტანით წინ მიაგდებდნენ ცხენს და შეძახილებით, მუხლის კვრით აქეზებდნენ, მაგრამ ხაინდრავა და შოლტი? როგორ გეკადრებათ! მას შოლტი არასოდეს სჭერია ხელში..."

ფინიშთან კი მუდამ პირველი მიდიოდაო — წერს ავტორი.

ამ მოკლე პასაჟში მთელი იპოდრომია (ცხენკაციანა) ჩატეული.

დაუვიწყარია კოტე მახარაძის მიერ დასურათხატებული ჩვენი ლეგენდარული ფეხბურთელი — ბორის პაიჭაძე.

მე არ გამეგონა, რომ პაიჭაძეს თავით თამაში არ უყვარდა. არ იცოდა? არ კადრულობდაო, წერს ავტორი, ხაინდრავა შოლტს არ აკრებდა ცხენს, პაიჭაძე ბურთს თავს არ დაუხვედრებდა. ფეხბურთს თამაშობდა.

არც ეს ვიცოდი, ცხადია:

„ერთ-ერთი დაჯილდოების შემდეგ პაიჭაძემ მიიღო დეპეშა ლენინგრადიდან:

„მართალია, მე თქვენ არ გიცნობთ, მაგრამ არ შემეძლო არ მოგსალმებოდით, როგორც დიდ ხელოვანს, თუ ოდესმე დაგჭირდეთ, ძალიან გთხოვთ, მომმართეთ. მე კომპოზიტორი ვარ, ვცხოვრობ ლენინგრადში. ჩემი მისამართია: ლენინგრადი, 104. ბოლშაია პრიმორსკაია 59. მეგობრულად გართმევთ ხელს. დიმიტრი შოსტაკოვიჩი".

შოსტაკოვიჩს პაიჭაძე, მოედანზე არ ენახა, მაგრამ, როგორც ჩანს, რადიოთი მოუსმენია ფეხბურთის რეპორტაჟი და ეს თბილი დეპეშაც ამან უკარნახა.

აქ ცოტა შენც უნდა წამომეშველო, მკითხველო, რათა ერთად გავიაზროთ, თუ რა როლი შეუსრულებია იმ პაექრობის კომენტატორს...

ისევ ბავშვობის მოგონებებიდან:

„დავუბრუნდეთ ორმოცდაორი წლის ზამთარს, ზამთარს ჩვენი მღელვარებისა და ზამთარს ჩვენს თავს დატეხილი ბედნიერებისა, — ჩვენ დაუვიწყარი, განუმეორებელი ამბის მოწმენი გავხდით. კაჩალოვი უფრო ხშირად ბლოკსა და ესენინს კითხულობდა. მე და ჩემი სკოლის მეგობრები კი პატარაობიდანვე მაიაკოვსკიზე ვიყავით შეყვარებულები... ბლოკის „თორმეტი" კი მაშინ უბრალოდ არ გვესმოდა. პოემა კაჩალოვმა ოპერის თეატრის სცენაზე წაიკითხა. და, თუ არ ვცდები, თვითონ ბლოკს აღუნიშნავს, კაჩალოვმა პოემა ახლებურად დამანახაო..."

და შემდეგ:

„მსახიობმა უკვე დაამთავრა პროგრამით გათვალისწინებული რეპერტუარის კითხვა, მაგრამ მაყურებელი არ უშვებს. ბევრჯერ გამიოძახეს სცენაზე. გამოვიდოდა, თავს დაუკრავდა მაყურებელს და ისევ გადიოდა. მადლობას რომ იხდიდა, როგორ ეჭირა თავი, — ეს ნამდვილი სკოლა იყო, რაღაც ჯადოქრული ნიჭია — უბრალოდ იდგე, ისე, რომ არაფერს აკეთებდე, თავი ოდნავ გქონდეს დახრილი, გამოხატავდე მადლიერებას, მსახურებდე მაყურებელს და სიდიადე შეინარჩუნო... შუაღამე ახლოვდებოდა, მაგრამ დარბაზის დატოვებას არავინ აპირებდა. სახლამდე მიღწევა კი თითქმის შეუძლებელი იყო (როგორი ტევადია აქ ეს ერთადერთი სიტყვა — მიღწევა, მ.ჯ.). მოქმედებდა კომენდანტის საათი... გაუმაძღარი მაყურებელი კი მსახიობის გამოსვლას ითხოვს. ან მსახიობმა უნდა დათმოს, ან — მაყურებელმა. კომპრომისი გამორიცხულია, რომელიმემ უნდა მოიგოს ეს „ბრძოლა"...

კაჩალოვმა დათმო. დათმო და მოიგო. გამოვიდა, გაიღიმა, მარჯვენა ხელი ასწია და თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა:

„სერგეი ესენინი. „კაჩალოვის ძაღლს“. მსახიობი სკამზე ჩამოჯდა, პიჯაკი შინაურულად შეიხსნა, ხელები მუხლებშუა ჩაიდო და დაიწყო...“

და დასკვნა:

„არა, იმ დღეს კაჩალოვი ესენინს არ გვიკითხავდა, იგი შინ იყო, თავისთან...“

დაუვიწყარია ვერიკო ანჯაფარიძის ხატი.

სხვათა შორის, ერთხელაც, ბატონ კოტეს შინ ვეწვიე, დიდი მსახიობის ოთახისკენ გამიძღვა, აქ ვისაუბროთო, ეგების მისი წყალი გადმოგვესხასო, ესე იგი, და ამ ერთადერთი ჯესტითაც კი გამოიხატა ბატონი კოტეს მიმართება გენიალურ მსახიობთან.

ნემიროვიჩ-დანჩენკო:

...„თქვენი კამელია ისე მოკვდა, რომ ვერც — შევამჩნიე, — ჩაყუჩდა, დაიძინა, მორჩა და გათავდა. ძვრფასო ვერიკო, ასე შესრულებული როლისათვის მე მსახიობს ძეგლს დავუდგამდი“...

მესამე კოტე:

„ბატონი! — სხვა სიტყვას ვერ მოძებნი, დიახ, აკაკი ხორავა ბატონი იყო ყველგან — ცხოვრებაშიც და სცენაზეც“.

რა უნდა დაემატოს, რა უნდა ითქვას კიდევ დიდი მსახიობის დასასურათებლად?

მესამე კოტე:

„ეროსის იუმორს საზღვარი არ ჰქონდა. ერთხელ, რეპორტაჟი რომ მიჰყავდა, გამოაცხადა, თბილისელებმა თამაშის პირველ ნახევარში ორი ბურთი გაიტანეს და მხოლოდ მატჩის მიწურულს, როცა ანგარიში თითქოსდა გათანაბრდა და 2:2 გახდა, გამოტყდა, დინამოელების მიერ პირველ ნახევარში გატანილი ერთი გოლი ყოველი შემთხვევისათვის შემოვინახე და ახლა ანგარიში არა 2:2-ია, არამედ — 3:2-ია თბილისელთა სასარგებლოდო“...

ერთხელაც „დონამო“ შინ 4:0-ზე აგებდა, და ზედვე, ჩვენს კართან საჯარიმოც დაინიშნა. მცველებმა აღმართეს „ცოცხალი“ კედელი, რაც ეროსიმ ასე გვაუწყა: „აღმართეს მკვდრებმა ცოცხალი კედელი...“

მესამე კოტე:

...„მე ზედმიწევნით ყურადღებით ვადევნებდი თვალს იტალიელებისა და გერმანელების ორთაბრძოლას. მთელი ეს ხანი სულ იმის ვფიქრობლი, რომ, ეს მატჩი ძალიან მეცნობოდა, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ბევრჯერ მენახა იგი... მივხვდი — ეს შეხვედრა კიევისა და თბილისის დინამოელთა ბრძოლას მაგონებდა“...

რომელ მწვრთნელს აწყენდა სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთელთა გუნდების (სტილის) ამრიგი ცნობა.

მესამე კოტე:

...„განა არა ჰგავს ერთმანეთს მწვრთნელის და სპორტსმენის ურთიერთობა რეჟისორისა და მსახიობის ურთიერთობას?...“

მაგრამ, აი, კერძოდ, როგორ განმარტავს „მესამე კოტე“ აწინდელი თეატრალური რეჟისორის მოღვაწეობას.

...„დავიწყებულია ნემიროვიჩ-დანჩენკოს განაწესი — რეჟისორის მსახიობში მოკვდომა... ახლა მარტო რეჟისორიღა ჩანს... ხშირად, რაც ნაკლებად ავლენს თავს მსახიობი, რაც უფრო ზუსტად ასრულებს რეჟისორის მითითებებს, მით უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ მის ნამუშევარს. ესე იგი, მსგავსი მსახიობი — „საჭირო მსახიობია“. ადრე ხომ პირიქით იყო, ახლა ყველა მსახიობი უნდა განზავდეს რეჟისორში...“

მივყვეთ ავტორის მიერ მონიშნულ გზას...

შევადაროთ ერთმანეთს ორი გამოჩენილი რეჟისორის — რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის თეატრი.

სტურუას თეატრი, ჩემი გაგებით, ჰეროიკული თეატრია, მასობრივი, სადაც ლომის წილი სწორედ რეჟისორზე მოდის.

ჩხეიძის თეტრი — ჩვენია, ეროვნული, კლასიკური, რეალისტური (მახარაძის მიხედვით — რეჟისორი რომ კვდება მსახიობში), ტრადიციული...

მესამე კოტე:

...„არ გეწყინოთ, ჩემო კოლეგებო, მაგრამ სპორტსმენებთან ყველაფერი უფრო მარტივია და ბუნებრივი...“

ალბერ კამიუს ეკითხება ჟურნალისტი:

— სპორტი თუ გიყვართ?

— მიყვარს.

— რა სახეობა?

— ფეხბურთი.

— რატომ?

— პასი იციან.

„მარტივიაო და ბუნებრივი“. ამბობს ავტორი, ესე იგი, ადამიანური, ქრისტიანული (გაგება, პასი, დათმენა, მოყვასის გათვალისწინება), და აი, რატომ ვამახვილებ ამაზე მკითხველის ყურადღებას:

ბატონმა კოტემ დიდი ძალისხმევით და რუდუნებით შექმნა ერთი მსახიობის თეატრი. საკუთარი თეატრი, და საკუთარ თეატრს უწოდა საყვარელი მსახიობის სახელი — ვერიკო და მისცა ასპარეზი მეგობარ მსახიობებს ამ სახელოვანი სცენიდან თავის გამოსავლენი.

პიროვნებამ შექმნა პიროვნული თეატრი, რაც განაპირობა მისეულმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ: ცოდნამ, ნიჭმა, ერუდიციამ და არაკმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა მისი გაზაფხული, ზაფხული და დადგა შემოდგომა, მოსავლის აღებისა და დაბინავების დრო-ჟამი. ჟამი გაყუჩებისა და დაფიქრებისა... წინ ზამთარი ელოდებოდა. ხელოვანის ცხოვრება, მარტივად რომ ვთქვათ, ოთხი პერიოდისაგან უნდა გამოკვეთილიყო. თითოეული მისი პერიოდი დაახლოებით 25 წელიწადს მოიცავს. გაზაფხული (25), ზაფხული (25), შემოდგომა (25). — ბატონი კოტე 75 წლისა მოიყარა, წინ კიდევ ერთი მონაკვეთი ელოდა — ზამთარი (25), ანუ, დაფიქრებისა და შეჯამების პერიოდი. ფიქრი კაცობის გვირგვინია. და ეს გამხოლოება, თავისთავთან დაბრუნება და მაინცდამაინც ფიქრის გორაზე დავანება — ნიშანი და სიმბოლოა პიროვნების ბობოქარი ცხოვრებისა და შემქმედებისა.

ბატონი კოტე, უწინარესად, მსახიობი იყო (ჩემთვის), მაგრამ იგი უწინარესად კომენტატორი იყო (ბევრთათვის), მრავალთათვის კიდევ ორივე მათგანი.

მესამე კოტე ამ წიგნით გავიცანი.

მე შემეძლო კიდევ მრავალი პასაჟი ამომეწერა მისი წიგნიდან, მაგრამ ეს, რომ იტყვიან, შორს წაგვიყვანდა. ახლა კი, მინდა მკითხველს ცოტა რამ ვუთხრა ბატონ კოტეზე, არა როგორც მსახიობზე, არა როგორც კომენტატორზე, არამედ-პიროვნებაზე, ფენომენზე, რომელსაც ეწოდება კოტე მახარაძე.

ადამიანი შეიძლება იყოს მსახიობი, კომენტატორი, მწერალი, მაგრამ არ იყოს პიროვნება. ეს, თუ გნებავთ, მეოთხე კოტეა, ანდა, სულაც — პირველი კოტე, რადგანაც პიროვნებას აკისრია სწორედ უდიდესი მოვალეობა თავისი და თავისი ქვეყნის წინაშე. პიროვნებამ უნდა გაიღოს ლომის წილი საერო საქმეში და ამ საქმეს ემსახურებოდა კოტე მახარაძე. მთელი თავისი ცხოვრება, საქართველოს საქმეს, ქართველი კაცის გამოჩენას დიდ სარბიელზე — სცენაზე, მინდორზე და, აი, აგერ, წიგნში. ეს წიგნი, ერთგვარად, მე ქართველი კაცის პირადობის მოწმობას, მის პასპორტს მაგონებს, რომელითაც თავისუფლად შეუძლია გადალახოს ნებასმიერი სავიზო რეჟიმი.

კოტე მახარაძე პიროვნება იყო ჩემთვის (ჩვენთვის) და, უცხოელთათვის, ასე იცნობდნენ მას და ასე აფასებდნენ, ამის საჩინო დასტური გახლდათ ვეებერთელა რუსეთის წინამძღოლის ტელეფონის ზარი, მეორე დიდი სახელმწიფოს მეთაურის სტუმრობა ბატონი კოტეს ოჯახში, და ბატონი კოტეს ოჯახის სტუმრობა უკრაინის პრეზიდენტთან.

ოდესღაც, რობერტ ფროსტი ეწვია სსრკ-ს, და, სხვათაშორის, ჩვენთან, ბიჭვინთაში ყოფნისას, ხრუშჩოვს ამგვარი სიტყვებით მიმართა:

„ხელოვნება აახლოებს ხალხებს, კარგია, რომ თქვენ გადაწყვიტეთ ჩემი მოწვევა (ტვარდოვსკი უნდა გამგზავრებულიყო ამერიკაში, მაგრამ არ გაუშვეს, მ.ჯ.) მწერლები სულიერების მსახურნი არიან...“

მსგავსი რამ შეიძლება ეთქვა კოტე მახარაძესაც, მისი პირონება ხალხს აახლოებდა და ამეგობრებდა ერთმანეთთან.

ამ რამდენიმე წლის წინათ, მთელმა ქვეყანამ ნახა რუსული ტელევიზიით კოტე მახარაძე, როგორ ეჭირა მას თავი, როგორი პასუხები გასცა ჟურნალისტის შეკითხვებს. სხვებთან ერთად მეც ვნახე ის გადაცემა და გულღიად ვამბობ: არც მეტი, არც — ნაკლები, საკუთარი თავი დიდად ღირსეულ კაცად წარმომიდგა, კოტე ლაპარაკობდა, პიროვნება ლაპარაკობდა და მისი პირით საუბრობდა თითქოს მთელი საქართველო, ვსაუბრობდი, სხვათაშორის, მეც და თითქოს ჩემს გამონათქვამს ქვეყანა ისმენდა.

„ვაი, შური, საყვარელი,
რინა მუში მამარდა რე,
რინაში ნება ქორდასინი,
ქიანა მუში მაფართა რე“.

ამ გენიალურ კოლხურ ლექსს ბატონი კოტესთვის თარგმნა არ სჭირდებოდა (მან წყალივით იცოდა მეგრული), ჩემი უხეირო (პწკარედული, თარგმანი კი ასეთია:

„ვაი, სული საყვარელი,
ცხოვრება როგორი მადლია,
ცხოვრების ნება რომ მოგვცა,
ქვეყანა როგორი ფართეა — „

ცას ვერავინ გამოეკერება, მაგრამ ცას გამოეკერება კაცთა ნახელსაქმარი. სიმონ ჩიქოვანმა დამიბარა: „წიგნს გიტოვებ“. კოტე მახარაძეს შეეძლო ეთქვა: ფირს გიტოვებ, ხმას გიტოვებ, წიგნს გიტოვებ....

დაგვიტოვა კიდევაც და გამოგვეთხოვა, წავიდა.

წავიდა, მაგრამ დარჩა.

„ჩემს დასასრულში ჩემი დასაწყისია“. (თ.ელიოგო).

გრიგოლ რობაქიძე



ჰიტლერის პოეტი და გრიგოლ რობაქიძის ტრაგედია

ეს წერილი ცნობილი მთარგმნელის, დალი ფანჯიკიძის სულიერი განცდა და ხედვაა გრიგოლ რობაქიძის მიერ გერმანულ ენაზე შექმნილ გახმაურებულ ესეს მისეულ ქართულ თარგმანზე „ადოლფ ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვალით“, რომელიც გამომცემლობა „საარმა“ სულ ახლახან მიაწოდა ქართველ მკითხველს.

სამშობლოდან გადახვეწილ მწერლებს შინ დარჩენილებთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვთ: მათი ცხოვრება და შემოქმედება იდუმალებითაა მოცული და თვით მწერლებს არცთუ იშვიათად წამებულის გვირგვინიც ადგათ ხოლმე. ინტერესი მით უფრო დიდია, თუ მწერალი უცხოეთშიც წარმატებით აგრძელებს შემოქმედებით საქმიანობას. გრ. რობაქიძე სწორედ ასეთ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, უფრო მეტიც, მისი შემოქმედების დიდი ნაწილი ემიგრაციაში, თან გერმანულ ენაზეა შექმნილი. ესენია: „გრაალის მცველნი“, „ჩაკლული სული“, „მეგი — ქართველი ქალიშვილი“, „კავკასიური ნოველები“, „დემონი და მათოსი“, „ფრიდრიხ ნიცშე“, პოლიტიკური პორტრეტები: „ლენინი“, „სტალინი“, „ტროცკი“; „ადოლფ ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვალით“, „მუსოლინი — მზით ნიშნეული“ და მრავალი სხვა პროზაული, პოეტური თუ ესეისტური ნაწარმოები.

1928 წელს, შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით გერმანულად გამოვიდა „გველის პერანგი“, ასე რომ, 1931 წელს გერმანიაში გადახვეწილ გრ. რობაქიძეს უკვე იცნობდნენ ლიტერატურულ წრეებში, ინტერესით ეკიდებოდნენ მის ყოველ ახალ ნაწარმოებს, უფრო მეტიც, რომანი „ჩაკლული სული“ ერთ-ერთ რეიტინგში მსოფლიოს სამ უმნიშვნელოვანეს წიგნს შორისაც კი იყო დასახელებული, მაგრამ ეს ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე გრ. რობაქიძე მიუღებელი აღმოჩნდა ევროპისათვის. ამის მიზეზი კი ადოლფ ჰიტლერზე დაწერილი ესე გახდა, რის თაობაზეც თვით გრ. რობაქიძე წერს: „ამას დაერთო ისეთი რაღაც, რაც ჩემთვის, როგორც შემოქმედისათვის, საბედისწერო აღმოჩნდა. ომის პირველ წლებში ორი პატარა წიგნი გამოვეცი: „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“. აქვე დავსძენ, არც პირველია ნაცისტური და არც მეორე ფაშისტური“, (იხ. წერილი ნიკოს კაზანძაკისს. ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1, 2006წ. მთარგმნ. მ. ქსოვრელი და გ. ცინცაძე), მაგრამ სამწუხაროდ, წიგნი სწორედ ფაშისტურად აღიქვეს არამარტო საბჭოეთში, არამედ ევროპაშიც. „ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვალით“ გერმანიაში სამჯერ გამოიცა — 1939, 1940, 1943 წლებში, 1942 წელს კი რუსულადაც გამოვიდა, ალბათ საბჭოთა, კავშირში გავრცელების მიზნით.

ეტყობა, მწერალი ევროპის უარყოფით რეაქციას არ მოელოდა, კერძოდ კი იმას, რომ ევროპული გამომცემლობები აშკარად ამ წიგნის გამო ეტყოდნენ უარს სხვა ნაწარმოებების გამოცემაზე. ზემოხსენებულ წერილში იგი ცდილობს სულ სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოუძებნოს თავის წიგნში წარმოჩენილ ჰიტლერს და დანანებით წერს: „ჩემი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ საშიშროებით დამუხტულ ატმოსფეროში ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლენის ძალა გადაჭარბებით შევაფასე და ამასთან ვერც მკითხველის აღქმის უნარი გავითვალისწინე".

ასე თუ ისე, ფაქტია, რომ მწერალს ომის შემდგომ გერმანიაში აღარ დაედგომებოდა, მან შვეიცარიას შეაფარა თავი და იქვე აღესრულა კიდეც.

* * *

ჩემი თაობა ჩუმად კითხულობდა გრ. რობაქიძეს. ხელიდან ხელში გადადიოდა „გველის პერანგი", რომელიც გვიზიდავდა უჩვეულო სათაურით, უჩვეულო სიუჟეტითა და უჩვეულო გმირებით. ასევე ვიცოდით, რომ ლეგენდარული წარმოდგენა „ლამარა" მისი პიესის მიხედვით იყო დადგმული. ემიგრაციაში დაწერილი თხზულებებიდან კი ყველაზე დიდი იდუმალებით ჰიტლერზე დაწერილი ესე იყო გარემოსილი. დადიოდა ხმები, თითქოს ამ წიგნის წყალობით იგი თვით ფიურერთან იყო დაახლოებული. ერთმანეთში არეული ტყუილ-მართალი კიდევ უფრო აღვივებდა წიგნისადმი ინტერესს და მით უფრო გასაოცარია, რომ დღემდე იგი ქართველი მკითხველისათვის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტით იყო ცნობილი.

ნებისმიერ მხატვრულ ნაწარმოებში რაღაც დოზით ყოველთვის ეხები მწერლის პიროვნებას; მისი განცდები, ბიოგრაფიული მომენტები გაბნეულია პერსონაჟებში, ფაბულაში, სტრიქონებშუა, ინტონაციაში, მაგრამ მწერლის პიროვნების იმ დოზით წარმოჩენა, რასაც ჰიტლერზე დაწერილ ესეში წავაწყდი, ჩემი აზრით, იშვიათია.

გრ. რობაქიძე ზემოთ დასახელებულ წერილში წერს, რომ ის დღე, 1931 წლის 6 მარტი, როცა თავი დააღწია საბჭოთა კავშირს, უბედნიერესი დღე იყო მის ცხოვრებაში, მაგრამ ეტყობა, სამშობლო სულ სხვა რამაა და არა ამა თუ იმ სისტემაში მოქცეული ადმინისტრაციული ერთეული. ცხადია, სამშობლოდაკარგული ადამიანის ტრაგედია ჩანს მთელ მის ემიგრაციულ შემოქმედებაში, სადაც ქართული თემებია დამუშავებული, მაგრამ ჰიტლერზე დაწერილ ესეში, ჩემი აზრით, ეს ტრაგედია სულ სხვანაირადაა გაშიშვლებული; აქ არის ორი პლანი — ფიურერის ფსიქოლოგიური და პოლიტიკური პორტრეტი, უფრო სწორად, მისდამი მიძღვნილი ოდა და სამშობლოდან გადმოხვეწილი მწერლის ტრაგედია — ერთმანეთთან შერწყმული სამშობლოს სიყვარული და მცირერიცხოვანი ერების შვილებისათვის დამახასიათებელი ეროვნული სიამაყე, რომელმაც სულიერად უნდა გადაარჩინოს იგი.

ახლა ვნახოთ, ეს მისწრაფება წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით როგორ არის გადაწყვეტილი: მოკლედ რომ ვთქვათ, ჰიტლერის პორტრეტი ქართულ ანტურაჟშია მოქცეული. პორტრეტის კონტურები კი ასეთია: გარეგნობა; მიხრა-მოხრა; ჰიტლერი — ფიურერი; ჰიტლერი — კერპი, ზეკაცი, ერის მამა; ჰიტლერი — შეუდრეკელი, სიმამაცის ეტალონი და ა.შ. და თითქმის ყველგან ქართული პარალელია მოძებნილი, უფრო მეტიც: მწერალი ისე მოუხმობს ფაქტებს ქართული მითოლოგიიდან, ადათ-წესებიდან, ლიტერატურიდან, ისე თამამად იყენებს სიტყვებს: „ჩვენ, ქართველები", „ჩვენთან საქართველოში" და ა.შ. რომ წუთითაც არ ეპარება ეჭვი —

Grigol Robakidse

Adolf Hitler

von einem fremden Dichter gesehen

Ins Georgische übertragen
und kommentiert
von Dali Pandshikidse

2006

მის საქართველოს ყველა უნდა იცნობდეს! ამავე სფეროდანაა ქართული სიტყვა-თქმების ანალიზი, მათში ჩაბუდებული წარმართული, თუ ქრისტიანული სიბრძნე, რომელიც ხან გოეთეს, ხან რილკეს სიბრძნეს ისე უნდა შეუდაროს მწერალმა, რომ კითხვაც კი არ გაჩნდეს, რომელი ქვეყნის ენასა და ლიტერატურაზეა ლაპარაკი.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. მზესთან და ხალხის დვრიტასთან ჰიტლერის კავშირის „გასამყარებლად" გრ. რობაქიძე ქართულ პარალელებს პოულობს: „ჩემი მშობლი-

ური ქვეყნის ნებისმიერ გლეხს რომ ვკითხო, რა მოსდის ყურძენს სიმწიფეში შესვლისას, მყისვე მივიღებ პასუხს: მტევანში თვალი ჩავიდაო, ხოლო თვალში მზე იგულისხმება. ნუთუ მას გოეთეს ღრმა აზრი აქვს გაგონილი? „ვისაც მზიური არა აქვს თვალი, მას მზის დანახვაც არ შეუძლია". ცხადია, არა. მაშ საიდან უწყის ეს საიდუმლო? საიდან და ეს ცოდნა მას თავის მშობლიურ ენასთან ერთად ეძლევა, სადაც მზეს და მზერას ერთიდაიგივე ფუძე აქვს".

სხვაგან ერთი პასაჟის განსამტკიცებლად თავისივე წიგნიდან მოჰყავს ნაწყვეტი: „იგი ბედისწერას ათვინიერებს და ბედისწერაც მის მხარეზეა. აქ ცნაურდება ის რაღაც, რაც ჭეშმარიტად ისტორიულ პიროვნებას მასისგან გამოარჩევს. ესაა იმ შინაგანი გაორების დაძლევის ნიჭი, რაც ადამიანის არსში ღრმადაა ჩაკირული. აქ ჩემი წიგნის „გრაალის მცველნის" გმირს თავად გიორგის ვალაპარაკებ".

თავში „პირველმდგენი" გრ. რობაქიძე გვიყვება: „ქართველები ჩვენი ხალხის პირველმდგენს სახელსაც კი ვარქმევთ: კარდჰუს, ბერძნულ ყაიდაზე ქართლოსს. მცხეთაში, თბილისის მახლობლად, სადაც ოდესღაც მზეს განდობილნი საკულტო სალოცავებს აგებდნენ, რათა მედიტაციისას გამოეყენებინათ ამ ადგილის უჩვეულო გამოსხივება, იქ, სადაც მეოთხე საუკუნის დამდეგს წმინდა ქალწულმა ნინომ ვაზის ნასხლეტისაგან საკუთარი თმით შეკრული ჯვრით გვაზიარა ქრისტიანობას, გადმოცემის თანახმად გვეგულებოდა კარდჰუს წმინდა საფლავი".

საინტერესოა თავი „ცოტა რამ რასიულობის შესახებ", სადაც მწერალი კვლავ ქართულ მასალას იყენებს. ადოლფ ჰიტლერის მსოფლხატი ასეთია: ხალხის მთლიანობა მისი რასითაა განპირობებული. ადრეული კულტურებისთვის, რომლებსაც უცდიათ ყოფიერებაში შეენარჩუნებინათ საკრალურობა, ცნობილი იყო ეს იდეა. ჩვენში, საქართველოში, ეს იდეა ენაშიც კი ცნაურდება. ქართველს ვინმეს შეურაცხყოფა თუ უნდა, „შე უჯიშოო", ეტყვის, რაიც „რასის არმქონეს" ნიშნავს, ხოლო უძლიერესი ქართული წყევლა ასეთია: „შენი ჯიში ამოვარდაო". („უჯიშო" და „შენი ჯიში ამოვარდაო" ტექსტში ლათინური შრიფტით ქართულადაა ჩართული).

თავი „ცეცხლოვანი სასმელი" უიარაღოს „მამლუქის" შინაარსითა და უკანასკნელი ეპიზოდით იწყება. ურიგო არ იქნება მთლიანად გაგაცნოთ ეს მონაკვეთი:

„ერთი ქართული ნაწარმოები მოგვითხრობს: მე-18 საუკუნის დასასრულს, მონებად გასაყიდად სამეგრელოდან ორი ბიჭუნა გაიტაცეს. საქართველოს ამ კუთხეში ეს საზიზღარი ვაჭრობა ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი. ისინი ერთხანს ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ ერთმანეთს დააშორეს და აი 1798 წელს, ეგვიპტეში ნაპოლეონის ლაშქრობისას ერთი მათგანი დიდი მხედართმთავრის არმიაში აღმოჩნდა, მეორე კი ლომგული მამლუქების ბანაკში. პირამიდებთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ერთი მათგანი ბრძოლის ველზე ეცემა. სასიკვდილოდ დაკოდილს ერთი სიტყვა აღმოხდება: „ნენა", დედის საალერსო სახელი, ერთადერთი სიტყვა მშობლიური ენისა, რომელიც დაწნეხილი სულის სიღრმეში ჰქონდა შემორჩენილი. როგორც დაუნაწევრებელი ბგერებისაგან შემდგარი გმინვა, ისე განიბნა მისი ხმა კოსმიურ სივრცეში. განა ვინმეს შეეძლო გონმიხდილის ხმა გაეგონა? მაგრამ არის ერთი კაცი, ვინც ამ ხმას გაიგონებს: მისი ოდინდელი მეგობარი. მის გულშიც მშობლიური ენის ეს სიტყვაა შემორჩენილი. თავზარდაცემულს ესმის სულთმობრძავის ხრიალი. ტკივილი უორმაგდება, როცა მიხვდება, რომ მისი ბედის მოზიარე ხელჩართულ ბრძოლაში საკუთარი ხმლით განუგმირავს. მაშინ კი სასოწარკვეთილი ყვირილი აღმოხდება და მის ყვირილში წუთისოფელთან გამოთხოვების გმინვა თვით წუთისოფლის წყევლაკრულვად გადაიქცევა.

ვისაც ეს ყვირილი ძარღვს არ შეუტოკებს, იგი სიტყვა „სამშობლოს", ფიურერის მიერ წარმოთქმულს, ვერასოდეს გაიგებს. ადოლფ ჰიტლერმა ამ საკვირველ სიტყვას ჭეშმარიტად დაუბრუნა თავისი პირვანდელი აზრი. სამშობლო — აი, რა არის მისი ცეცხლოვანი სასმელი."

ეს უკანასკნელი მაგალითი ყველაზე უფრო კარგად ცხადყოფს, როგორ ცდილობს მწერალი ქართულ ენასთან, ქართულ ლიტერატურასთან, სიტყვათქმნადობასთან დააკავშიროს და ასე უფრო ხელშესახებად წარმოაჩინოს ჰიტლერის ფენომენი. მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ კომენტარი ყველა შემთხვევაში ერთნაირი იქნება: ეს არის სამშობლოდაკარგული კაცის დაუოკებელი სურვილი, არ მოსწყდეს თავის ფესვებს, იტრიალოს მოვლენების შუაგულში, მაგრამ იტრიალოს როგორც ქართველმა.

მოგვიანებით გრ. რობაქიძე იტყვის, რომ საშიშროებით დამუხტულ ატმოსფეროში გადაჭარბებით შეაფასა თავისი გავლენის ძალა, მაგრამ არა მგონია, ამ განცხადებით თავისი ქართველობის გადაჭარბებით შეფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებას გულისხმობდეს.

ამავე წიგნში იგი წერს: „მწერლის უცხო, თუნდაც წაშლილი წარმომავლობა თავისი სისხლით მსჭვალავს, უფრო მეტიც, კვებავს მისი შემოქმედების რიტმულ სვლებსა და შუქ-ჩრდილებს." ეს აზრი, უპირველეს ყოვლისა, მის შემოქმედებაში დასტურდება. უზადო გერმანულის მიუხედავად წიგნის ინტონაციასა და რიტმულ სვლებში იგრძნობა მწერლის ქართული წარმომავლობა. ესაა, შეიძლება ითქვას, გერმანულ-ქართული ლექსიკურ-ინტონაციური ნაზავის საფუძველზე შექმნილი სტილი, რომელსაც გერმანელი მწერლები და გამომცემლები თავის დროზე ახალსა და უჩვეულოს უწოდებდნენ და ზოგჯერ უჭირდათ კიდეც მის ლაბირინთებში გზის გაკვლევა. კერძოდ, ერთ-ერთი გამომცემელი გრ. რობაქიძეს სწერდა: „ნაწყვეტებმა მომხიბლა, მაგრამ გადმოცემის სტილი, არ შეიძლება არ აღინიშნოს, მეტად უჩვეულოა, ახალია და ძნელი. ის ინტელექტუალურ გემოვნებას არ აკმაყოფილებს". (იხ. ზემოთ დასახელებული „წერილი ნიკოს კაზანძაკისს").

* * *

რაც შეეხება თარგმანს: ეს იყო საკმაოდ მძიმე, მაგრამ უაღრესად საინტერესო სამუშაო. უნდა შემენარჩუნებინა ის ქართული ნიუანსები, რაც ჩანდა ტექსტის რიტმულ სვლებში. ადეკვატები მომენახა უჩვეულო ენობრივი წარმონაქმნებისათვის, რომლებიც რობაქიძისეულობის მიუხედავად გერმანული ენისთვის უფრო ორგანულია, ვიდრე ქართულისათვის და ვფიქრობ, ამ ამოცანის გადასაჭრელად სწორი გზა ავირჩიე — შევისწავლე მისი ქართული ესეისტიკა და სწორედ იქ ვიპოვე ის ლექსიკა, რაც აუცილებელი იყო ორიგინალის რაც შეიძლება ზუსტად გადმოსაცემად. ეს ლექსიკა კი, თავის მხრივ, გერმანული ენის ზეგავლენით აქვს ავტორს შექმნილი. მაგალითად, გერმანული „ur-" პრეფიქსის შესატყვისია რობაქიძისეული „თაურ-" პრეფიქსი, საიდანაც გაჩნდა სიტყვები: თაურხატი, თაურმოვლენა, თაურუჯრედი და ა.შ. ასევე გერმანული კომპოზიტების თარგზეა მოჭრილი ქართული ოკაზიური კომპოზიტები: თვალწამი, მზიურშობილი, მზეოსანგანფენილი, მზეკაცი და სხვა.

ყველა ეს სიტყვა, ცხადია, ადოლფ ჰიტლერის განსადიდებლადაა საგანგებოდ შექმნილი. მწერალი არ იშურებს მხატვრულ ხერხებს თავისი პერსონაჟის წარმოსაჩენად, თამამად იჭრება ფილოსოფიაში, მითოლოგიაში, გოეთესა და რილკეს პოეზიაში, იქ პოულობს საჭირო პარალელებს, ამჟღავნებს გერმანული და მსოფლიო ლიტერატურის ღრმა ცოდნას, მოძიებული აქვს მასალები, რაც კი დაწერილა ჰიტლერზე. ქმნის რაღაც შუალედურ ჟანრს ესესა და მხატვრულ პროზას შორის და საბოლოოდ ხელთ გვრჩება ჭეშმარიტი მწერლის თვალით დანახული ჰიტლერი, ოღონდ განძარცული ყველა იმ ბოროტებისაგან, რაც კაცობრიობის წინააღმდეგ მის გმირს ჰქონდა ჩაფიქრებული და წიგნის გამოსვლის დროს ნაწილობრივ განხორციელებულიც.

ოთარ ლიქოშვილი

"მეოთხე სასპასპეტო"

სოფელი სართიჭალა მდებარეობს ძველი კუხეთის მიწაზე, დღეს გარე კახეთს რომ ეძახიან, მდინარე ივრის მარჯვენა მხარეს, სამგორის ველზე, თბილისიდან თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით. მის სამხრეთით უკვე გარეჯის მთები იწყება.

სართიჭალა ისტორიულ წყაროებში გვხვდება 1578 წლიდან. ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები თავიანთ ნაშრომებში სოფელს მოიხსენიებენ არა როგორც სართიჭალას, არამედ სათისჭალას: „ხოლო არს მეოთხე სასპასპედო ტფილისიდან, ვიდრე ტაშისკარამდე, მეფისთანა მყოფნი და იმ ზღვრების: აღმოსავლით ლილოს საზღვრით, რომელი განვლის შარობის ლილოსასა აღმოსავლეთ-სამხრითკენ ლოჭინამდე... მუნით განვლით სამგორსა ჩადივარს შუა და მრავალწყაროსა და სათისჭალას შუა". სართიჭალა სათისჭალად მრავალ ადგილას მოიხსენიება, რაც შეიძლება ასე აიხსნას: ჭალა მდინარის პირა ტყიან ადგილს ჰქვია. სათი კი, როგორც დიდი ლექსიკოგრაფები სულხან-საბა და ნიკო ჩუბინიშვილი მიუთითებენ, არის გიშერი. „სათი შავი ქარვაა, გიშერი", ადასტურებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც. ამ სიტყვას თვით დიდი შოთაც იყენებს: „ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა", ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში".

სათი — შავი ქვა ანუ გიშერი მოიპოვებოდა თუ არა სართიჭალაში, ეს ცნობილი არ არის, მაგრამ შავი ფერის ქვა ივრის ხეობაში ბევრია, ალბათ, გიშერს მიამსგავსეს და შეიძლება ამიტომაც უწოდეს ამ ადგილს სათისჭალა.

რაც შეეხება სოფლისათვის სართიჭალის სახელწოდების მიკუთვნებას, მის თაობაზე ხალხში შემორჩენილია ორი ლეგენდა: პირველი ლეგენდა თემურ ლენგის შემოსევებს უკავშირდება. თემურმა გაშლილ მინდორზე ადვილად სძლია ისედაც დასუსტებულ და დანაწევრებულ ქართველებს და მათ ბოლომდე ასალაგმავად ივრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ჭალაში სისხლისმსმელი ტომი, სართები ჩაასახლა, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ ახლომდებარე დასახლებებს. მათი წასვლის შემდეგ ამ ადგილს ხალხმა სართების ჭალა უწოდა. მეორე ლეგენდა ამ ტერიტორიის ყიდვა — გაყიდვას უკავშირდება. ივრის ჭალის მფლობელ ბატონს ვალი ჰქონია მოსაზღვრე სოფლის ბატონისა. ვალის გასტუმრების დროს ფული დაჰკლებია, უთქვამს: „სართად კიდევ ჭალას მოგცემო" აი, ასეთი გაყიდული ჭალის სახელით არის კიდევ ცნობილი ეს ტერიტორია. ამ ლეგენდებიდან რომელია სწორი, არავინ იცის. ფაქტი კი ერთია, საქართველოს სამეფო კარი ყოველთვის დაინტერესებული იყო სართიჭალის მოშენება — მოღონიერებით. ამას ვკითხულობთ საბუთში „არზა სართიჭალაში მამულის თაობაზე ერეკლე II-ის ოქმით", სადაც წერია: „სართიჭალაში დროებით ხის კოშკებიც დაუდგამთ და, რაც მთავარია, ამ მდიდარი სავარგულების მიტოვება არ სურთ გლეხებს, ოღონდ ეგ არის, მათ მხოლოდ მეფის ყმობა უნდათ, თავადის ყმობას კი გაურბიან".

ზემოთქმულისა და კიდევ სხვადასხვა მიზეზის გამო სოფელი ძირს ვერ იმაგრებდა, სანამ არ გაძლიერდა მე-16, მე-17 საუკუნეების მიჯნაზე დაარსებული წმიდა ლაზარეს სახელობის ტაძარი. მე-18 საუკუნეში ეკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სია მონასტრად გადაკეთდა, იგი იყო საყდარი ეპისკოპოსისა და მრევლიც საკმაოდ ბევრი შემოუკრებია. მეზობელი სოფლებიდანაც კი ამ ტაძარში დადიოდა ხალხი სალოცავად. სოფელმა ტაძრის გარშემო იწყო დასახლება. მე-18 საუკუნეში წმიდა ლაზარეს სახელობის ეკლესიიდან ცოტა მოშორებით, ვინმე მირზიაშვილმა ააგო ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. ამ ორი ეკლესიის მადლით სოფელმა სართიჭალამ არა მარტო დასახლება, გაძლიერებაც დაიწყო და საბოლოოდ დამკვიდრდა გარეჯის სამონასტრო კომპლექსში, რის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

1801 წელს რუსეთმა საქართველო დაიპყრო. სართიჭალელთა ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა. მე-19 საუკუნის 20-იან წლებში სართიჭალის ტერიტორიაზე გამოჩნდნენ გერმანელი შვაბები, რომლებმაც დააარსეს სამი დასახლება: პეტერსდორფი, როზენფელდი და მარიენფელდი.

ვინ არიან შვაბები?

ისტორიული სინამდვილე ამ ხალხის შესახებ ჩვენში დღემდე გასაიდუმლოებულია. წიგნებიდან ცნობილია მხოლოდ, რომ შვაბია შუა საუკუნეების გერმანიაში ჯერ საჰერცოგო, შემდეგ სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის ისტორიული ოლქი იყო, სადაც დასახლებული არიან ალემანები. როგორც თვითონ შვაბები ამბობენ, დოკუმენტები მათი ისტორიის შესაბებ, რომელიც გამოიკვლია დიდმა მხედართმთავარმა პეტრე ბაგრატიონმა, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის არქივებში ჩაიკეტა, ხოლო კომუნისტებმა ამ თემას ათმაგი ტაბუ დაადეს.

პეტრე ბაგრატიონი ევროპაში ომების დროს გერმანიაში, კერძოდ, შვაბიაში შეხვდა დიდებული წარმოშობის უნიჭიერეს მევენახე ხალხს, რომლებსაც მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად გაშენებული ჰქონდათ სხვადასხვა ჯიშის ვაზი და აწარმოებდნენ შესანიშნავ ღვინოს. პეტრემ მათთან საუბარში შეიცნო კავკასიური ფესვები, რაც გამოიხატებოდა მათ ენას, რწმენასა და კულტურაში. ისინი მეტყველებდნენ გერმანულისაგან განსხვავებულ დიალექტზე და იყვნენ არა ლუთერანები და კათოლიკები, არამედ განუყოფელი სარწმუნოების ხალხი, რომელთა რელიგია მართმადიდებლურისა და ხევისბერის ინსტიტუტის ერთგვარ ნაზავს წარმოადგენდა.

შვაბებში არსებული ლეგენდის თანახმად, ისინი ჯერ კიდევ დაუსახლებელ ევროპაში, დაახლოებით ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნეში, დამკვიდრებულან. როგორც მათ პეტრე ბაგრატიონს მოუყვნენ, ისინი წამოსულან კავკასიის ფერდობზე მდებარე სოფელ ბავარიდან (ამჟამად ლენტეხის რაიონი), ანუ დვალეთიდან და გერმანიაში დაერქვათ ალემანები (დვალები-ალები-ალემანები. ბავარი-ბავარია). ისინი ლოცულობდნენ მართლმადიდებლურ ტაძრებში.

პეტრე ბაგრატიონის შეხვედრა შვაბებთან ანუ ქართველებთან, რა თქმა უნდა, უფლის ნებით მოხდა და მანვე შთააგონა, რომ საქართველოს აღორძინების გასაღები სწორედ ალემანების ანუ შვაბების თბილისსა და მის შემოგარენში დასახლებაში იდო. პეტრემ უფლის ეს შთაგონება თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა და დაიწყო გზების ძიება მის განსახორციელებლად.

პეტრე ბაგრატიონმა თავისი მეომრული წარმატებების გამოისობით სწრაფად დაიწყო აღზევება რუსეთის სამეფო კარზე. მის ყველა ოცნებას აღსრულება ეწერა, გარდა ერთისა, მისი სიყვარული კატარინა პავლეს ასულთან, რუსეთის იმპერატორ, ალექსანდრე პირველის დასთან ქორწინებით ვერ დაგვირგვინდა. ამისი საფუძველი პირველ რიგში პოლიტიკა იყო, ხოლო შემდეგ შური. სამეფო კარს არ უნდოდა, რომ განმეორებულიყო პეტრე პირველის მეფობის ისტორია და პეტრე ბაგრატიონის ქორწინებას კატარინა პავლეს ასულთან გადაეღობა მთელი სამეფო კარი. პეტრეს ესეც არ აკმარეს და როგორც ამბობენ, ბოროდინოს ბრძოლაში იგი მტრის ტყვიამ კი არ იმსხვერპლა, ზურგიდან ესროლეს. სიკვდილის წინ მან კატარინა პავლეს ასულს ანდერძად დაუტოვა მისი ოცნება შვაბების საქართველოში ჩამოსახლების შესახებ გაესრულებინა. სულ მალე კატარინა პავლეს ასული გახდა რა შვაბიის დედოფალი, განახორციელა ბაგრატიონის ანდერძი და 1817 წლის მაისში 116 შვაბური ოჯახი თბილისში გამოგზავნა. ისინი 1818 წლის 25 ნოემბერს ჩამოვიდნენ თბილისში და დასახლდნენ სოფელ ჩუღურეთიდან დიდუბემდე მდებარე ტერიტორიაზე და ამ ქუჩას დაარქვეს „ნეო ტიფლის შტრასე" (ახლანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტი). შემდეგ ნაწილი გადასახლდა ბოლნისის რაიონში (ლუქსემბურგი) დაიწყეს ოქროს მოპოვება და დააარსეს პირველი სოფელი და დედოფალ კატარინას პატივსაცემუად დაარქვეს კატარინეფელდი.

პეტრე ბაგრატიონს შვაბების საქართველოში ჩამოსახლებით სურდა განევითარებინა აგრარულ-სამრეწველო საქმიანობა, აეშენებიბა მათი მეშვეობით თბილისის გარშემო ქალაქები, შეექმნა უნიკალური ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობები, რაც ხელს შეუწყობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძლიერეს, რადგან ერეკლე II მიერ თბილისის გარშემო დასახლებული სომხები არაფრის გამკეთებელნი არ იყვნენ ქვეყნისთვის. ისინი წარმოადგენდნენ უპატრონო დაბალ ფენას, მისდევდნენ ძირითადად მეწაღეობას, იყვნენ ბრძოლის უუნარონი. ეს გუგულის ბარტყები მშვიდად გრძნობდნენ თავს სხვის ბუდეში და თავის მამა-მარჩენალს მადლობა იმით გადაუხადეს, რომ 1795-ში აღა-მაჰმად ხანს წაგებული ომი მოაგებინეს და შვაბების ჩამოსახლება ამ პერიოდში სწორედ რომ დროული იყო.

შვაბების კავკასიური ფესვები იქიდანაც ჩანს, რომ სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე მდებარე მარიენფელდის დასახლებაში 1832 წლის კამერალური აღწერით ირიცხებოდა 35 კომლი. აქედან 22 ოჯახი მევენახე იყო. მათ გააშენეს სართიჭალაში შესანიშნავი ვენახები. ამ ადგილს დღეს ცუგროვანი ჰქვია. იგი წარმოსდგა გერმანული სიტყვისგან „ცუკერ ვაინ" (შაქრიანი ღვინო). ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ ყარაბულახელ თავად ჩოლოყაშვილთან და საფრანგეთიდან ჩამოტანილი წითელი ვაზის ჯიშებიდან მიიღეს საუკეთესო ღვინო, რომელიც დღეს „ხაშმის საფერავის" სახელით არის ცნობილი.

შვაბებმა შექმნეს უნიკალური სარწყავი სისტემა, ბოლნისიდან მოზიდული ქვით უმოკლეს დროში ააშენეს პეტერსდორფი, როზენფელდი და მარიენფელდი. ბოლნისში მოპოვებული ოქროს განაწილება დასახლებებს შორის ხვედრითი წილის მიხედვით ხდებოდა. გროვდებოდა თანხა, რათა თბილისის გარშემო აშენებულიყო ქალაქები, რომლებიც ცივილიზაციის ბასტიონები იქნებოდნენ და რომლებიც რუსების და სომხების თარეშს მოუღებდა ბოლოს.

პეტრე ბაგრატიონის ოცნება ნელა-ნელა ხორცს ისხამდა.

მაგრამ ეშმაკს არ ეძინა...

ერეკლე II-ის და ხატისოვის ჩამოსახლებულ სომხებს თბილისის დაპყრობა უნდოდათ, ხოლო რუსებს — საქართველოს გაძარცვა. ამ საქმეში მათ შვაბები ხელს უშლიდნენ. ქართველებისგან მათი ჩამოშორების მიზნით, ისინი გაალუთერანეს კიდეც, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. სართიჭალის წმიდა ლაზარეს ტაძარში და შვაბების კირხეში მლოცველი, აწ უკვე სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტიანები, მაინც ვერ გათიშეს, სანამ ისინი კომუნისტებმა 1941 წელს შუა აზიაში არ გადაასახლეს.

XX საუკუნის 40-50-იან წლებში სართიჭალაში ჩამოასახლეს იმერლები ხარაგაულის რაიონიდან, ფშავ-ხევსურები, მთიულები, რაჭველები, რუსები, უკრაინელები, მალაკნები, ებრაელები და სოფელი მრავალეროვანი გახდა.

სოფელს ყველაფერი ჰქონდა, რაც კომუნისტურ საზოგადოებაში „ღირებულებებს" წარმოადგენდა. არ ჰონდა მთავარი — მადლი: წმიდა ლაზარეს ტაძარი ათეისტებს ჰქონდათ ჩაკეტილი.

გასული საუკუნის 90-იან წლებში სოფლის სულიერი მოძღვრის — მამა შალვას (შუბითიძე) შრომითა და მოღვაწეობით აღდგა სამების წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელიც კომუნისტებმა ორჯერ დაანგრიეს, წმიდა ლაზარეს სახელობის ტაძარში დაიწყო წირვა-ლოცვა. 1994 წელს მამა შალვას თაოსნობით დაიწყო მთავარანგელოზთა ტაძრის მშენებლობა, რომელიც დასრულდა 2004 წელს. სოფლის სიონის უბანში იკურთხა წმიდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ტაძრის მშენებლობა.

დიდი მადლი დატრიალდა სოფელში.

იოანე ზოსიმეს მიხედვით, ლაზარე ქართული ენაა — „და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან". სახარების მიხედვით თუკი ქრისტე ლაზარეს სტუმარია, იგი ქართული ენის სტუმარია. უფალი, მეორედ მოსვლისას, როდესაც ლაზარეს აღადგენს, ქართულ ენასაც აღადგენს და დაუბრუნებს მსოფლიო მნიშვნელობას, როგორც კაცობრიობის პირველ ენას. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ სიტყვა „ლაზარეს" ასოთა მარაგი 144-ს შეადგენს:

ლ (30) ა (1) + ზ (7) + ა (1) +რ (100) + ე (5) = 144

„და გავიხედე და აჰა, კრავი, სიონის მთაზე მდგომარე და მასთან ას ორმოცდაოთხი ათასი, რომლებსაც შუბლზე აწერიათ მისი და მამის სახელი" (გამოცხ. 14.1)

ლაზარეს აღდგინება მოხდა ბეთანიაში. „ხოლო ბეთანია იერუსალიმის ახლოს იყო, თხუთმეტიოდე უტევანის მანძილზე" (იოან. 11.18). ე.ი იერუსალიმში მდებარე სიონის მთა ლაზარეს აღდგინების ადგილიდან თხუთმეტიოდე უტევანის, ანუ 2775 მეტრის, მანძილზე მდებარეობს (ერთი უტევანი — 185 მ). როგორც გაირკვა, სართიჭალის წმიდა ლაზარეს სახელობის ტაძრიდან სართიჭალასთან მდებარე სიონის (სასიონო) მთამდე 2775 მეტრია ე.ი (144) ლაზარე მაცხოვართან ერთად სიონის მთაზე უნდა გამოჩნდეს. „ბიბლიური ენციკლოპედია (თბ. 1998 წ.)" ბეთანია მდებარეობს ელეონის მთის საპირისპირო მხარეს..." (გვ. 255) მართლაც, სართიჭალიდან და სიონის მთიდან ჩრდილოეთით მდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარეობს იალონის (იალნოს) მთა.

იალონის (იალნოს) მთის გასწვრივ, მდინარე ივრის გაღმა, მდებარეობს ხორების მთა. როგორც ვიცით, ხორების მთიდან მოსემ, უფლის შეწევნით, წყალი მისცა ეგვიპტიდან ამოყვანილ ხალხს. ჩვენი ხორების მთიდან გამოსული წყალი კი ჩაედინება მდინარე იორში და მალამოდ ედება წმიდა ნინოს, წმიდა დავით გარეჯელისა და წმიდა ანტონ მარტყოფელის მადლით აღსავსე კუთხის ველებს.

ისე რომ, ისრაელისა და სართიჭალის მიდამოებში ბევრი რამ ემთხვევა ბიბლიაში აღნიშნულ სახელწოდებებს: წმიდა ლაზარეს სახელობის ტაძარი, სიონის მთა, იალნოს მთა, ხორების მთა, იორი-იორდანე.

რატომ არის სართიჭალასა და მის შემოგარენში ამდენი წმიდა ადგილი?

რატომ ცხოვრობდა აქ ადამიანი უძველესი დროიდან?

კითხვებს კითხვებითვე შეგვიძლია ვუპასუხოთ:

1. რატომ ააშენეს სართიჭალაში საკავშირო მნიშვნელობის რადიოსადგური, რომელიც უცხოეთის გადაცემებს ახშობდა.

2. რატომ იყო განლაგებული სართიჭალაში საიდუმლო კოსმოსური კავშირგაბმულობის სამხედრო ნაწილი და კოსმოსში გაფრენამდე რატომ გადიოდა ყველა კოსმონავტი სართიჭალის სამხედრო ნაწილში წვრთნას?

3. რატომ იდგა ცივ-გომბორის ქედზე წლების განმავლობაში ბურთის მაგვარი შენობა?

კითხვებზე პასუხი ერთია: ჩვენი წინაპრები მუდამ ახლოს იყვნენ უფალთან და სახლდებოდნენ ისეთ ადგილებში, სადაც სამყაროში გასასვლელი იყო. კომუნისტებმა ეს ყველაფერი შესანიშნავად იცოდნენ და ამიტომ ააშენეს სართიჭალასა და მის შემოგარენში აღნიშნული ობიექტები. აქ არსებული სამყაროში გასასვლელის გამო, კოსმოსიდან შესაბამისი სიგნალების მიღება გაადვილებული იყო.

სართიჭალის წმიდა ლაზარეს და მთავარანგელოზთა ტაძრებში გულით აღვლენილ ლოცვას განსაკუთრებული მადლი გააჩნია. ყველა მორწმუნე ადამიანს შეუძლია ამის განცდა.

სართიჭალას გარეჯის სამონასტრო კომპლექსში ყოველთვის ეკავა განსაკუთრებული ადგილი და ადმინისტრაციულად ყოველთვის საგარეჯოს რაიონს ეკუთვნოდა. მაგრამ ავადსახსენებელი ხრუშჩოვის ზეობის პერიოდში, ვიღაც მედროვე ჩინოვნიკის სუბიექტური შეხედულებების გამო, გარდაბნის რაიონს გადაეცა, რამაც ნგრევის მეტი არაფერი მოუტანა ამ ღვთივკურთხეულ სოფელს. ფაქტობრივად კომუნისტებმა გახლიჩეს გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და დღესაც გრძელდება ეს საშინელი გაუგებრობა, რაც არც მომავალში მოგვიტანს სიკეთეს.

მიუხედავად სოფლისათვის არასასურველი მოვლენების განვითარებისა, სართიჭალაში გამოჩნდნენ ადამიანები, ვინაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს სოფლის განვითარების საქმეში.

დღეს სართიჭალას ამშვენებენ და იღვწიან მისი გაძლიერებისათვის:

მამა შალვა (შუბითიძე) — სოფლის სულიერი მოძღვარი. სართიჭალის სამების წმიდა გიორგის, მთავარანგელოზთა ეკლესიების ამშენებელი და შესანიშნავი პოემის „დავით აღმაშენებლის" ავტორი;

მამა იოსები (კარელიძე) — ბერ-მონაზონი, ტაძრების მშენებელი. მონაწილეობდა სართიჭალის ღვთისმშობლის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოებში, სართიჭალის მთავარანგელოზთა ეკლესიის მშენებლობაში. აშენებული აქვს რუის-ურბნისის ეპარქიის, კოდმანის გაბრიელ ქართველის, ძამას საბა განმწმენდელის სახელობის ეკლესიები, ქოზიფას მონასტრის საძვალე გვირაბი, ღვთისმშობლის სამკვეთლო, მონაწილეობდა ბანას, მუხილეთის და ქოზიფას ტაძრების მშენებლობაში და... სხვები.

სართიჭალა სამი დიდი წმიდანის საფლავთა სამკუთხედშია მოქცეული: წმიდა ნინოს, წმიდა დავით გარეჯელის და წმიდა ანტონ მარტყოფელისა. იგი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია იმ მადლიანი ქართული მიწისა, რომელსაც დედა ღვთისმშობლის კალთა იფარავს, ამიტომ ყველა სართიჭალელმა და არა მარტო სართიჭალელმა უნდა გაითავისოს: „ნუ მისდრკები მარჯულ, ნუცა მარცხულ, არამედ გზასა სამეუფოსა ვიდოდეთ" (2სჯ. 5,29.17.11)





ბალანჩივაძეების სახელოვანი მუსიკალური საგვარეულოსთვის

ბალანჩივაძეების სახელოვანი მუსიკალური საგვარეულოსათვის 2000-იანი წლები ძალზე მდიდარი აღმოჩნდა საიუბილეო თარიღებით: 2 წლის წინ მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ იზეიმა გენიალური ამერიკელი (ქართველი) ბალეტმაისტერის ჯორჯ ბალანჩინის — გიორგი ბალანჩივაძის დაბადების 100 წლისთავი. წელს აღინიშნა მისი უმცროსი ძმის გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, „ქართული მუსიკის მეტრის" ანდრია ბალანჩივაძის ასეთივე საიუბილეო თარიღი, წელსვე მის ვაჟს – ცნობილ პიანისტს ჯარჯი ბალანჩივაძეს 65 წელი შეუსრულდა. დაბოლოს, გაისად ჩვენ გველის პირველი ქართული ოპერის „თამარ ცბიერის" ავტორის, ახალი ქართული პროფესიული მუსიკის წამომწყების მელიტონ ბალანჩივაძის დაბადების 145 და გარდაცვალების 70 წლისთავი.

თავის დროზე ბედნიერება მხვდა წილად ბატონ ანდრიასგან ჩამეწერა არაჩვეულებრივად საინტერესო მონათხრობი მისი ცხოვრების გზის შესახებ (დაიბეჭდა წიგნში «Андрей Баланчивадзе» Тб.1979).

ქვემოთ არაერთგზის ვისარგებლებ ამონარიდებით ბ-ნი ანდრიას მოგონებებიდან, რომლებიც დაკავშირებულია ბალანჩივაძეების სახელოვან მუსიკალურ საგვარეულოსთან – დაწყებული მისი ბურჯით, დიდი მელიტონ ბალანჩივაძით და დამთავრებული მელიტონის შვილებით, შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით.

ალბათ, არაფრით არ იფიქრებდა ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელი, სოფელ ბანოჯის მკვიდრი ანტონ (ამირან) ბალანჩივაძე, რომ იგი გახდებოდა მამამთავარი შესანიშნავი საგვარეულოსი, რომელიც მრავალ ნიჭიერ ხელოვანს შესძენდა სამშობლოს და შორს გაუთქვამდა მას სახელს.

ანტონის ორმა ვაჟიშვილმა — მელიტონმა და ვასომ — საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ქართული ხელოვნების მატიანეში: მელიტონი, ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პირველი ქართული ოპერის „თამარ ცბიერის" ავტორია, ვასო — ქართული თეატრალური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი, ორივეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

მსოფლიოში გაითქვა სახელი მელიტონის შუათანა ვაჟმა — გიორგი ბალანჩივაძემ — ჯორჯ ბალანჩინმა, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული მე-20 საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს ბალეტმაისტერად, მელიტონის უმცროსი ვაჟი — სახელოვანი ქართველი კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე ჩვენი მუსიკალური კულტურის სიამაყეა.

ხალასი ნიჭით იყო დაჯილდოებული გიორგისა და ანდრია ბალანჩივაძეების უფროსი და — თამარი, თვითმყოფი ხელწერის მქონე მხატვარი ქალი (იგი სამამულო ომის წლებში დაიღუპა).

ხელოვნებას ემსახურებიან ანდრია ბალანჩივაძის შვილებიც: წარსულში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, მოცეკვავე ცისკარ ბალანჩივაძე და ნიჭიერი და მრავალმხრივი მუსიკოსი — ჯარჯი ბალანჩივაძე, ხოლო ანდრიას უფროსი ძმის — აპოლონის შვილი, მუსიკათმცოდნე ელისაბედ ბალანჩივაძე — თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი იყო. მხატვრის ნიჭით გამოირჩეოდა ანდრიას მეუღლე ქ-ნი პანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალანჩივაძეების ოჯახის საგვარეულო გადმოცემები და ზოგიერთი შემონახული ისტორიული წყარო გვიდასტურებს, რომ ამ გვარის წარმომადგენლები ოდითგანვე გამოირჩეოდნენ „სახიობა-გართობის“ ნიჭით და ხშირად გვევლინებოდნენ სამეფო კარის მუსიკოსებად თუ მომლხენებად. როგორც ცნობილია, ოპერა „თამარ ცბიერში“ მელიტონ ბალანჩივაძემ დიდი სიმპათიითა და მახვილგონიერებით დაგვიხატა კარის მასხარის სახე. ანდრია ბალანჩივაძის სიტყვებით, მამამისი, თურმე, ხუმრობით ამბობდა, რომ ხალხის საყვარელი პერსონაჟის — ენამოსწრებული მასხარის სახის შექმნისას მას არ ავიწყდებოდა თავის წინაპართა პროფესია.

ბალანჩივაძეების გვარი ქართულმა საზოგადოებრიობამ გაიცნო გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც მუსიკალური ხელოვნების სარბიელზე გამოვიდა მისი უფროსი წარმომადგენელი მელიტონ ბალანჩივაძე. ახალგაზრდა მომღერალმა, წარმატებით შეასრულა რამდენიმე ბარიტონული პარტია თბილისის საოპერო სცენაზე, შეადგინა ეთნოგრაფიული გუნდი და კონცერტები გამართა საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. 1889 წლიდან იგი პეტერბურგშია, სწავლობს კონსერვატორიაში დიდ რუს კომპოზიტორ — ნ.ა.რიმსკი-კორსაკოვთან, მართავს ე.წ. „ქართულ კონცერტებს“ პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში მის მიერ ორგანიზებული საგუნდო კოლექტივებით.

1897 წელს, ახალი ქართული პროფესიული მუსიკის გარიჟრაჟზე, პეტერბურგში აუღერდა პირველი ნაწყვეტები მელიტონ ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერიდან“, 1912 წელს კი —დაიდგა ოპერის პირველი მოქმედება. პეტერბურგში ცხოვრების თითქმის 30 წლის მანძილზე მ.ბალანჩივაძეს ურთიერთობა ჰქონდა რუსული მუსიკალური და თეატრალური საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებთან, ეწეოდა საქველმოქმედო მოღვაწეობას. მისი სახსრებით პირველად გამოიცა რუსული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლის — მიხეილ გლინკას წერილები. 1917 წელს მელიტონი სამშობლოში ბრუნდება, სადაც აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა, აარსებს სამუსიკო სასწავლებლებს თბილისსა და ქუთაისში. 1926 წელს გაიმართა „თამარ ცბიერის“ პრემიერა, რაც ქართული ოპერის მატიანეში მნიშვნელოვან თარიღად ჩაიწერა (30-ან წლებში ოპერას „დარეჯან ცბიერი“ ეწოდა).

კარგად თქვა მელიტონ ბალანჩივაძის შესახებ მისმა თანამედროვემ და თანამოსაგრემ, გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორმა დიმიტრი არაყიშვილმა: „მელიტონ ბალანჩივაძეს წილად ხვდა იშვიათი ბედნიერება — საფუძველი ჩაეყარა ქართული მხატვრული მუსიკისათვის და შემდეგ 50 წლის მანძილზე სიამაყით ედევნებინა თვალი, თუ როგორ იზრდებოდა და ვითარდებოდა ეს შენობა“.

მელიტონ ბალანჩივაძე

მაგრამ თავისი შესანიშნავი მუსიკალური ნაწარმოებების გარდა მელიტონ ბალანჩივაძემ დატოვა დიდებული მემკვიდრეობა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებითაც.

პეტერბურგში ცხოვრებისას მას შეეძინა ორი ვაჟი: გიორგი — 1904 წელს და ანდრია — 1906 წელს, რომელთა სახელები შემდგომ ფართოდ გახდა ცნობილი...

იგონებს ანდრია ბალანჩივაძე: „პირველი მუსიკალური შთაბეჭდილებები ოჯახში მივიღეთ. ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ პეტერბურგში მცხოვრები ქართველები, მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს, რომელთაც აღტაცებით ვისმენდით. შეიძლება ითქვას, რომ მამაჩვენმა გვაზიარა ქართულ სიმღერას და სამუდამოდ შეგვაყვარა იგი.

ვსწავლობდით ფორტეპიანოზე დაკვრას. მე და გიორგი გაგვიტაცა ოთხი ხელით შესრულებამ. ჩვენი რეპერტუარი საკმაოდ ფართო იყო. ვასრულებდით პოპულარულ კლასიკურ პიესებს, ნაწყვეტებს პოპულარული ოპერებიდან და ბალეტებიდან“.

1918 წელს ძმების ცხოვრების გზები დიდი ხნით დაშორდა ერთმანეთს: ანდრია მამას წამოჰყვა საქართველოში, გიორგი კი — მაშინ პეტროგრადის თეატრალური სასწავლებ-

ლის მოსწავლე — ჩრდილოეთის დედაქალაქში დარჩა. პარალელურად გიორგი პეტროგრადის კონსერვატორიაშიც სწავლობდა საფორტეპიანო განყოფილებაზე. 1921-24 წლებში იგი იყო ბალეტის მოცეკვავე განთქმულ მარიას თეატრში. 1924 წელს იგი უცხოეთში გაემგზავრა: ცნობილმა რუსმა საზღვარგარეთელმა თეატრალურმა მოღვაწემ სერგეი დიაგილევმა ბალეტმაისტერად მიიწვია თავის ანტრეპრიზაში და იმ დროიდან ჯორჯ ბალანჩინის სახელი ცნობილი ხდება მსოფლიოს მუსიკალური და თეატრალური საზოგადოებრიობისათვის. რამდენიმე წლის შემდეგ ჯ.ბალანჩინი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ძმები: ჯორჯ ბალანჩინი და ანდრია ბალანჩივაძე

გადადის საცხოვრებლად, სადაც 1934 წელს აარსებს „ამერიკული ბალეტის სკოლას“ და „ამერიკულ საბალეტო დასს“. ბალანჩინი სამართლიანად ითვლება ამერიკული საბალეტო ხელოვნების ერთ-ერთ ფუძემდებლად. მსოფლიო სახელი მოიხვეჭა ბალანჩინმა, როგორც ბალეტმაისტერმა, 40-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც იგი სათავეში ჩაუდგა ჯერ საბალეტო საზოაგდოებას ნიუ-იორკში, ხოლო შემდეგ (1948 წლიდან) საბალეტო დასს — „ნიუ-იორკ სიტი ბალე“, რომელთან ერთადაც მან თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა. აქ მან დადგა 100-ზე მეტი ბალეტი, რომლებიც მრავალი თეატრის რეპერტუარში შევიდა. ბალანჩინი თანამშრომლობდა მე-20 საუკუნის გამოჩენილ კომპოზიტორებთან, როგორებიც იყვნენ: სტრავინსკი, პროკოფიევი, ჰინდემიტი და სხვები.

ქორეოგრაფიის საფუძვლად ბალანჩინი თვლიდა მუსიკას, რომლის შინაარსიც ცეკვის მეშვეობით იხსნება. შემთხვევითი არაა, რომ ბალანჩინს უწოდებდნენ „მუსიკოს-ქორეოგრაფს“, „ყველაზე მუსიკალურ ბალეტმაისტერს“ და ა.შ.

მე, ცხადია, ადრევე მქონდა გაგონილი განთქმული ბალეტმაისტერის სახელი, მაგრამ მისი ჭეშმარიტი სიდიადე და მნიშვნელობა გავაცნობიერე (თუნდაც, თეორიულად) მხოლოდ მაშინ, როდესაც 1946 წელს ჟურნალ „ამერიკაში“ წავიკითხე ამერიკული ბალეტისადმი მიძღვნილი ერთი წერილი. აქ ცნობილი საბალეტო პროდიუსერის ლ.კირსტაინის შესახებ ეწერა, რომ იგი „სამუდამოდ შევიდა ამერიკული ბალეტის ისტორიაში იმით, რომ 1933 წელს ევროპიდან ამერიკაში მიიწვია ჯორჯ ბალანჩინი“(!!). საოცარი ფრაზაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

1962 წელს ბალანჩინი თავისი დასით საბჭოთა კავშირს ეწვია. მისი უმცროსი ძმა ანდრია ბალანჩივაძე იგონებს: „დიდად ამაღელვებელ მოვლენად იქცა ჩემთვის ჩემი ძმის — გიორგის საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა. ერთმანეთი არ გვენახა თითქმის 45 წელი. დაუვიწყარია ჩვენი შეხვედრა შერემეტიევოს აეროდრომზე. ორივენი ვერ ვიკავებდით ცრემლს. გიორგი საქართველოშიც ჩამოვიდა. თბილისმა იგი აღტაცებაში მოიყვანა. აღტაცებულნი იყვნენ თბილისელებიც — ბალანჩინითა და მისი საბალეტო დასით. შემდეგ ჩვენ ქუთაისსაც ვეწვიეთ. მოვინახულეთ მამაჩვენის საფლავი „მწვანე ყვავილაში“.

ამაღელვებელი იყო მისი მეორე ჩამოსვლაც 10 წლის შემდეგ. ლენინგრადში შევხვდით სიჭაბუკის მეგობრებს, თანაკლასელებს. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გიორგიმ ცხადად შეიგრძნო თავისი ქართული ფესვები. მე ძალიან გამიხარდა, როდესაც შევიტყვე, რომ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ამერიკაში გასტროლების დროს იგი ჭეშმარიტი ქართული გულუხვობით შეეგება და გაუმასპინძლდა თავის თანამემამულეებს. რამდენიმე წლის წინ უკვე მე მომეცა შემთხვევა მომენახულებინა გიორგი ნიუ-იორკში. სამწუხაროდ, ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო. 1983 წლის 30 აპრილს იგი გარდაიცვალა. განუხორციელებელი დარჩა მისი სურვილი, დაედგა ახალი ბალეტი ჩემი ერთ-ერთი ნაწარმოების მუსიკაზე...“

1984 წლის დეკემბერში თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა დადგა ბალანჩინის ცნობილი ბალეტი „სერენადა“ ჩაიკოვსკის მუსიკაზე (დადგმა განახორციელა ა.პლისეცკიმ). ჩაიკოვსკის შთაგონებული მუსიკა, ბალანჩინის უბადლო ქორეოგრაფია — თითქოსდა ამეტყველებული პლასტიკა — ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ახლაც, თბილისში ჩვენი თეატრის სცენაზე საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელის ქ-ნი ნინო ანანიაშვილის ინიციატივით იდგმება ბალანჩინის რამდენიმე ბალეტი.

ჯორჯ ბალანჩინის — გიორგი ბალანჩივაძის ხელოვნება მარად დაამშვენებს კაცობრიობის კულტურულ საგანძურს.

ახლა კი ანდრია მელიტონის ძე ბალანჩივაძის შესახებ. ბატონი ანდრია სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად გასული საუკუნის ქართულ მუსიკაში. იგი იყო საბჭოთა კავშირის და საქართველოს სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი მრავალი წლის მანძილზე, არაერთგზის ედგა სათავეში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირსაც.

ბატონი ანდრია ძალზე მრავალმხრივი ადამიანი გახლდათ: კომპოზიტორი, რომლის საუკეთესო ქმნილებები თანამედროვე ქართული მუსიკის კლასიკურ ნიმუშებადაა აღიარებული, გამოჩენილი პედაგოგი — ქართველ კომპოზიტორთა რამდენიმე თაობის აღმზრდელი (მისი მოწაფეები არიან რ.ლაღიძე, ა.ჩიმაკაძე, ბ.კვერნაძე, მ.დავითაშვილი, ა.შავერზაშვილი, შ.მილორავა, ნ.სვანიძე, ო. თევდორაძე...), საკუთარ ნაწარმოებთა შესანიშნავი შემსრულებელი (ვითარცა დირიჟორი და პიანისტი).

მას მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა ქართული და რუსული კულტურის ისეთ კორიფეებთან, როგორებიც იყვნენ: კ.მარჯანიშვილი, გ.ტაბიძე, გ.ლეონიძე, დ.შოსტაკოვიჩი, ლ.ობორინი, ა.გაუკი, ლ.ლავროვსკი, ი.სოლერტინსკი და სხვები.



ანტონ ბალანჩივაძე

მიჭირს ზუსტად თქმა თუ პირველად როდის „დავაფიქსირე“ ჩემს ცნობიერებაში ბატონი ანდრიას სახე. ვფიქრობ, რომ ეს მოხდა 1944 წლის დეკემბერში, როდესაც თბილისში ჩატარდა გრანდიოზული კულტურული ღონისძიება (მრისხანე ომის წლებში) — ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელოვნების დეკადა.

ოპერის თეატრში ოდისეი დიმიტრიადის დირიჟორობით, ტრიუმფული წარმატებით პირველად შესრულდა ა.ბალანჩივაძის დიდებული სიმფონია. დარბაზი აღფრთოვანებით მიეგება ძალზე ახალგაზრდული შესახედაობის მქონე კომპოზიტორს (ამ დროს იგი 38 წლისა იყო), რომელიც მორცხვად იღიმებოდა. ახლა მიჭირს იმ სიმფონიის მოსმენისაგან ჩემი მაშინდელი შთაბეჭდილების აღდგენა, მაგრამ კარგად დამამახსოვრდა ლოჟაში ჩემ გვერდით მჯდომი შავგვრემანი, დიდსათვალებიანი კაცი, რომელიც ყოველი ნაწილის დამთავრების შემდეგ როგორც ჩანს, მოწონების ნიშნად, ჩუმად იმეორებდა: „შაითან, შაითან“ მოგვიანებით გავიგე, რომ ეს ყოფილა აზერბაიჯანული მუსიკის კლასიკოსი უზეირ ჰაჯიბეკოვი!

შემდგომი ჩემი „შეხვედრა“ ბატონ ანდრიასთან 1949 წლის გაზაფხულზე მოხდა, როდესაც მას და ჩემ მასწავლებელს — ლადო დონაძეს კონსერვატორიის „ქვეშევრდომულმა“ ხელმძღვანელობამ „ზემდგომი ორგანოების“ გულის მოსაგებად და საკუთარი თავის დასაზღვევად ნამდვილი სასამართლო მოუწყო (1948 წლის ყბადაღებული „უზენაესი“ დადგენილების ექო!).

იგონებს ა.ბალანჩივაძე: „ეს იყო მძიმე დრო საბჭოთა მუსიკისათვის. დაუმსახურებელი კრიტიკის ობიექტები გახდნენ საბჭოთა მუსიკის კლასიკოსები: ნ.მიასკოვსკი, ს.პროკოფიევი, დ.შოსტაკოვიჩი... მალე „საპროსკრიფციო სიაში“ მეც აღმოვჩნდი. კიდევ მეტი, მოხდა ისე, რომ ჩემთან ერთად მიზანში ამოიღეს ცნობილი მუსიკათმცოდნე ლადო დონაძე, რომელმაც დაწერა ვრცელი, ძალიან შინაარსიანი წერილი ჩემი სიმფონიის შესახებ. 1949 წლის გაზაფხულზე კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ღია კრება, რომელიც უფრო სასამართლოს სხდომას წაგავდა. ცხადია მოიძებნენ „პროკურორები“ და „მოსამართლეები“ (აი, ადვოკატები კი რატომღაც არ ჩანდნენ). ბრალდებები, ძირითადად, სტანდარტული იყო: „ფორმალიზმი, ანტიპატრიოტიზმი, კოსმოპოლიტიზმი“, მაგრამ გაისმოდა „თვითმყოფი“, საკმარისად ავბედითი ფრაზებიც. დონაძეს, მაგალითად, ბრალად ედებოდა, რომ იგი „მარშალიზებული ევროპის წინაშე იხრის ქედს“! კრების რეზოლუცია ითვალისწინებდა ჩემსა და დონაძის გაძევებას კონსერვატორიიდან. დონაძემ წარმოთქვა ბრწყინვალე თავდაცვითი სიტყვა, რომელსაც დარბაზი ოვაციით შეხვდა და მაინც, ღმერთმა უწყის, რითი დამთავრდებოდა ყოველივე ეს, ბოლო მომენტში კრებას რომ არ მოვლინებოდა ანტიკური ტრაგედიის Deus ex machina-ს მსგავსად, საქართველოს კპ ცკ მდივანი რ.შადური. მან უარყო ჩვენ მიმართ წარმოდგენილი ბრალდებები და დაგვახასიათა როგორც „პატიოსანი საბჭოთა მუსიკოსები“. ჩვენც შვებით ამოვისუნთქეთ“.

როდესაც ვლაპარაკობთ ანდრია ბალანჩივაძეზე, ხშირად მივმართავთ სიტყვებს „პირველი“ და „საუკეთესო“. მართლაც, მან, პირველმა საქართველოში, შექმნა 1936 წელს შესანიშნავი ბალეტი „მთების გული“, რომელმაც მრავალი სცენა მოიარა, პირველმა დაწერა 1944 წელს ქართული სიმფონიის სრულყოფილი ნიმუში, ათი წლით ადრე კი — პირველი ქართული საფორტეპიანო კონცერტი. აღარაფერს ვამბობ ისეთ შედევრზე, როგორიცაა მე-3 („საყმაწვილო“) საფორტეპიანო კონცერტი, რომელიც დღიდან მისი შექმნისა (1952 წ.) დამკვიდრდა საშემსრულებლო და პედაგოგიურ რეპერტუარში.

მეხსიერებაში ჩამებეჭდა ა.ბალანჩივაძის მე-2 სიმფონიის პრემიერაც (1959), რამაც განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იმით, რომ კომპოზიტორი დაუფარავად ამბობდა — სიმფონიის ცენტრალურ, მესამე ნაწილში 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული ამბებია ასახულიო.

დიდი სიამოვნებით და მღელვარებით ვიხსენებ ბატონ ანდრიასთან ჩემი ყველაზე ახლო ურთიერთობისა და თანამშრომლობის ხანას —1968-1973 წლებს, როდესაც იგი კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარედ მუშაობდა, მე კი — მერი დავითაშვილთან და ოთარ გორდელთან ერთად — მდივნად.

ბატონი ანდრია ჩვენ „კაბინეტს“ ხუმრობით (რაც საკმაოდ საშიში იყო) „ანტიპარტიულს“ უწოდებდა, რადგანაც ოთხიდან სამნი უპარტიონი ვიყავით (და ასეთებად დავრჩით). თავის დროისთვის ეს თითქმის უნიკალური შემთხვევა იყო მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

ახლა კი გთავაზობთ ა.ბალანჩივაძისაგან ჩვენ მიერ ჩაწერილ მოგონების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება მის ურთიერთობას ქართველ მწერლებთან და ხელოვნების მოღვაწეებთან, რაც ნაკლებადაა ცნობილი მკითხველისათვის:

„ქართველ მწერლებთან დაახლოებას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ ლენინგრადიდან თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, 1918 წელს, მე და მამაჩემი უბინაობის გამო დაგვასახლეს მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ოთახში მაჩაბლის ქუჩაზე. აქვე სახლობდნენ მაშინ ტ.ტაბიძე, ნ.მიწიშვილი, გ.ლეონიძე და ზოგიერთი სხვანი. გიორგი ლეონიძესთან მე ძალიან დავმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობრდი 15 წლის შემდეგ, როდესაც იგი მუშაობდა ჩემი ბალეტის — „მთების გულის“ ლიბრეტოზე. რაც შეეხება გალაკტიონ ტაბიძეს, იგი გახდა ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი „არამუსიკოსთა“ წრიდან, რასაც ხელს არ უშლიდა საკმაო განსხვავება ასაკში. გალაკტიონი ხშირად მიწვევდა აკომპანიატორად თავისი პოეზიის საღამოებზე. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთ-ერთი საღამო 1923 წლის ბოლოს, თუ 1924-ის დასაწყისში. პოეტი იდგა შავ წამოსასხამში, ჩაბნელებულ სცენაზე, მას წითელი შუქი ანათებდა (რაც ერთგვარად „დემონურ“ იერს აძლევდა), კითხულობდა თავის ლექსებს. მე კი თანხლებას ვუწევდი ფორტეპიანოზე, ვუკრავდი სხვადასხვა მელოდიას (მაგ. მასნეს „ელეგიას“, რომლის თანხლებითაც გალაკტიონს უყვარდა თავისი განთქმული „მერის“ კითხვა). ასეთი საღამოები ჩვენ ჩავატარეთ აგრეთვე ქუთაისსა და ბორჯომში.

დავუმეგობრდი „ცისფერყანწელებსაც“ — მომხიბვლელ პ.იაშვილს, დახვეწილ ტ.ტაბიძეს, მოკრძალებულ, ძალზე ინტელიგენტურ ვ.გაფრინდაშვილს. არასოდეს დამავიწყდება ერთი ძალიან თბილი და მხიარული საღამო მწერალთა სახლში ა. გორკის თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით 1922 წელს. ამ საღამოზე მე მოვხვდი არა როგორც მწერალთა კავშირის „მდგმური“, არამედ როგორც მისი მონაწილე. იმ ხანებში მწერალ ნ.მიწიშვილს დაეღუპა ჯიშიანი ძაღლი, სახელად ჩიბის (მას ახსენებენ ლექსებში ვ.გაფრინდაშვილი და ტ.ტაბიძე). გორკის თხოვნით, წარმოდგენილ იქნა ჩიბისის დაკრძალვის „სამგლოვიარო ცერემონია“, რომლის მუსიკალური გაფორმებაც მე დამეკისრა. ალექსი მაქსიმეს ძე გულიანად იცინოდა...

1931 წელს მივიღე ჩემთვის ძალიან საპატიო წინადადება კოტე მარჯანიშვილისაგან — მეთანამშრომლა მასთან. ყველამ იცის, თუ რა არაჩვეულებრივი ადამიანი იყო მარჯანიშვილი. მაგრამ მე ამას უნდა დავსძინო, რომ, ყველაფერთან ერთად, იგი იშვიათი მუსიკალობით გამოირჩეოდა და მშვენივრად იცნობდა მუსიკალურ ლიტერატურასაც. სპექტაკლის მომზადების დროს იგი აქტიურად წარმართავდა კომპოზიტორის მუშაობას, რჩევას იძლეოდა, მოჰყავდა მაგალითები და, წარმოიდგინეთ, ორკესტრის დეტალებსაც წვდებოდა.

ჩემ მიერ გაფორმებული სპექტაკლებიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა „არსენას ლექსი“, რომელიც მარჯანიშვილს მოფიქრებული ჰქონდა, როგორც თავისებური მუსიკალური დრამა. ეს იყო დიდი რეჟისორის ერთ-ერთი უკანასკნელი, ჭეშმარიტად ნოვატორული სპექტაკლი. ორიგინალური იყო დეკორაციული გადაწყვეტაც, რომელიც ლადო გუდიაშვილს ეკუთვნოდა. იგი ემყარებოდა მოძრავი დეკორაციების პრინციპს, რაც იძლეოდა სურათების „კინემატოგრაფიული“ შეცვლის შესაძლებლობას. ნათლად ჩამებეჭდა მეხსიერებაში, თუ როგორ ასწავლიდა რეპეტიციებზე ლადო გუდიაშვილი კინტაურის ცეკვას მთლად ჭაბუკ გიორგი შავგულიძეს. მალე, შალვა დადიანის რჩევით, მე შევუდექი ოპერა „არსენას“ წერას. მანვე შემიდგინა ლიბრეტო მიხეილ ჯავახიშვილის რომანის მიხედვით. მე მოვასწარი პირველი მოქმედების დაწერა, შემდგომ კი მუშაობა შეწყდა მ.ჯავახიშვილის ტრაგიკული დაღუპვის გამო.

კ.მარჯანიშვილთან კი ჩემი თანამშრომლობა კიდევ რამდენიმე ხანს გაგრძელდა, მის სიკვდილამდე. მე ძალიან ამაღელვა, როდესაც ჩემი 60 წლისთავის დღეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივისაგან მივიღე საჩუქარი წარწერით: „დიდ კოტეს საყვარელ მუსიკოსს“.

საუბარი ბალანჩივაძეების მუსიკალური საგვარეულოს შესახებ არასრული იქნებოდა, თუ არ ვახსენებდით ანდრია ბალანჩივაძის უმცროს ვაჟს — ნიჭიერ და მრავალმხრივ მუსიკოსს ჯარჯი ბალანჩივაძეს. იგი განათლებით და პროფესიით პიანისტია, ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი. ამავე დროს, ამჟღავნებს საკომპოზიტორო ნიჭსაც. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი კამერული ნაწარმოებები. მრავალი წელია, რაც ჯარჯი სათავეში უდგას კამერულ ორკესტრს. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით განხორციელდა მრავალი საინტერესო კონცერტი თუ მუსიკალური წარმოდგენა.

ჯარჯის ვაჟი — ანტონი ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვარია. არაერთგზის გამართულა მის ნამუშევართა გამოფენები. მუსიკოსია ანდრიას კიდევ ერთი შვილიშვილი (უფროსი ვაჟის—ამირანისაგან) — ანდრია (უმცროსი). იგი მევიოლინეა და უკრავს ორკესტრში.

ბალანჩივაძეების ნიჭიერი საგვარეულოს ცხოვრება ხელოვნებასა და შემოქმედებაში გრძელდება.



ირინა ფირცხალავა

მუსიკალური ტექსტი, ესთეტიკა და დინამიკა

დღეს სხვადასხვა ტიპის ქსელები — ელექტრონული, ეკონომიკური, ფიჭური და ა.შ. სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს ადამიანის ცხოვრებაში, სულ უფრო მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს თავსართი „ინტერ“, რომლის ერთ-ერთი ყველაზე მაღალტექნოლოგიური მიღწევაა ინტერნეტი — კაცობრიობის გამოცდილების ინფორმაციული ქსელი.

ამ რეალობასთან კავშირში იბადება ხელოვნების კვლევის ზოგიერთი მეთოდი და განახლებას განიცდის სამეცნიერო ლექსიკაც. სწორედ ამ „ახალი ლექსიკის“ ერთ-ერთ ტერმინზე – ინტერტექსტუალობაზე და მასთან დაკავშირებულ მოვლენაზე გვინდა ვისაუბროთ წინამდებარე სტატიაში.

ჩვენი თამამი თეორიის მიხედვით, ინტერტექსტუალური მიდგომა ხელოვნებათმცოდნეობაში, და, მათ შორის მუსიკათმცოდნეობაში, ეპოქის სოციალური ყოფის მეტად ლოგიკური ანარეკლია. ეს ერთგვარი მცდელობაა ასეთივე „ქსელის“ პოვნისა მუსიკაშიც (და არამხოლოდ), რომლის განხორციელება ხელოვნების ნიმუშის ყველაზე „ხელშესახები“ კატეგორიის – ტექსტის ინტერკავშირების საშუალებით ხდება.

ინტერტექსტუალობა, როგორც სამუსიკათმცოდნეო მეცნიერების აქტუალური პრობლემა რუსი მეცნიერის, მარკ არანოვსკის სახელს უკავშირდება, თუმცა თვით ინტერტექსტუალობის იდეა სხვადასხვა მკვლევარების გაცილებით უფრო ადრეულ ნაშრომებშიც არის გატარებული, რომლებიც სტილის, ტრადიციის, გავლენის, ეპოქის ინტონაციური ფონდის და მუსიკალური აზროვნების სხვა საზოგადო მახასიათებლების საკითხს უკავშირდება.

ტერმინი „ინტერტექსტუალობა“ — ნიშნავს განსხვავებული ტექსტების ურთიერთქმედებას ერთი მხატვრული მთელის ფარგლებში. ამ ტერმინს არანოვსკი ლინგვისტიკიდან სესხულობს.

XX საუკუნემ აზროვნებაში მოვლენათა აღქმის ახლებური ტენდენციები მოიტანა, რამაც მათი შეფასებისა და აღნიშვნის — შესაბამისი ტერმინოლოგიის შემუშავების აუცილებლობა წარმოშვა. როგორც ცნობილია, სამეცნიერო აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ერთი და იგივე მოვლენები განსხვავებული ტერმინებით აღინიშნებოდა და პირიქით — ერთი ტერმინი განსხვავებულ პერიოდში სხვადასხვა მოვლენას აღნიშნავდა.

XX საუკუნეში, საზოგადოდ ტექსტის პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ტექსტი ჰუმანიტარული მეცნიერების კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტი ხდება, რომელსაც ფართო გაგებით განიხილავენ როგორც ნებისმიერი ინფორმაციის წყაროს. ჯერ კიდევ გასული საუკუნის I ნახევარში ბახტინი წერდა, რომ „იქ სადაც არ არის ტექსტი, იქ არ არის კვლევის ობიექტი. და თუ ტექსტს მიუდგებით ფართო გაგებით — როგორც ნებისმიერ ერთიან ნიშნობრივ კომპლექსს, მაშინ, ხელოვნებათმცოდნეობასაც (მუსიკათმცოდნეობას, სახვითი ხელოვნების ისტორიასა და თეორიას) ტექსტებთან (ხელოვნების ნიმუშებთან) აქვთ საქმე“, ანუ, ფაქტობრივად, საუბარია იმაზე, რომ ტექსტი არის ყველაფერი, რისი ინტერპრეტაციაც არის შესაძლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო შორს მივყავართ პოსტმოდერნული ფილოსოფიის წარმომადგენლებს. მაგალითად, დერიდა ტექსტად აღიქვამს მთელს კულტურასაც კი, რომლის შინაარსის ერთმნიშვნელოვანი გარკვევა შეუძლებლად მიაჩნია. ტექსტის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებად იგი ინტერპრეტაციათა ამოუწურაობას მიიჩნევს.

„ინტერტექსტუალობა", როგორც ცნება და ტერმინი სწორედ ტექსტის პრობლემას უკავშირდება. იგი ლინგვისტიკაში იბადება და მას პირველად რ. ბარტი მიმართავს. შემდგომში ეს ტერმინი მუსიკათმცოდნეობაშიც მკვიდრდება, თუმცა ლიტერატურული და მუსიკალური ტექსტების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია ინტერტექსტუალობის გამოვლინების ფორმები, ფუნქციონირების კანონზომიერებანი და მისი აღმოჩენის, დადგენის მეთოდები. ლიტერატურული ტექსტის შინაარსი, გადმოცემისთანავე (მოსმენის, წაკითხვის) ხდება გასაგები, ხოლო ტექსტის სტრუქტურის შესწავლა ანალიზის გარკვეულ პროცედურებს მოითხოვს. მუსიკაში, სტრუქტურები მოცემულია უშუალოდ, ხოლო შინაარსი კვლევის შედეგად იხსნება და ხშირად ერთგვარი რეფლექსიის საგანიც კი ხდება.

თუმცა, ლიტერატურათმცოდნეობაშიც შესაძლოა ვნახოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ტექსტთაშორისი კავშირები წარმოდგენილია არა მხოლოდ სიღრმისეულ დონეზე, არამედ მეტი თვალსაჩინოებით არის გამოვლენილი. მაგალითად, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში აღწერილია შემთხვევა, როდესაც ქართველი პოეტი მურმან ლებანიძე და ამერიკელი პოეტი ჯონ ეშბარი მიმართავენ ერთნაირ სიტყვათშეთანხმებას — „გახაზა ღამე" — ერთი პოეტური აზრის გადმოსაცემად (საუბარია ღამის სიმყუდროვის დარღვევაზე)[1].

რას გულისხმობს მუსიკალური ინტერტექსტუალობა?

როგორც ირკვევა, ინტერტექსტუალობა, როგორც მოვლენა საზოგადოდ დამახასიათებელია მუსიკალური ხელოვნებისთვის, თუმცა, მუსიკის ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე (საუბარია, ევროპულ მუსიკალურ კულტურაზე) ამ მოვლენის არსს სხვადასხვა ტერმინი გამოხატავს, მაგალითად, **გავლენა, ტრადიცია, სტილური მახასიათებლები,** მოგვიანებით **პოლისტილისტიკა** და მასთან დაკავშირებული ტერმინების მთელი არსენალი — **კოლაჟი, ციტატა, სტილიზაცია** და ა.შ.

რა თქმა უნდა, ეს ტერმინები და ცნებები XX საუკუნეშიც არ კარგავს თავიანთ მნიშვნელობას, მაგრამ აზროვნების ახალი ფორმებიდან გამომდინარე დამატებით განსაზღვრებებს პოულობს. ამ შემთხვევაში ტექსტის, როგორც ფართო მნიშვნელობის მქონე თვითღირებული ფენომენის აღქმის შესაბამისად, შესაძლებლად მიგვაჩნია სამუსიკათმცოდნეო ლექსიკონში ისეთი ტერმინის შემოტანაც, როგორიც არის „ინტერტექსტუალობა".

„ინტერტექსტუალობა", როგორც გარკვეული მოვლენის აღმნიშვნელი ტერმინი ფაქტობრივად უახლესი მუსიკათმცოდნეობის მონაპოვარს წარმოადგენს, თუმცა როგორც საკომპოზიციო მეთოდი — მუსიკის ისტორიის ყველა ეტაპზე იჩენს თავს. ამასთან ერთად, ინტერტქსტუალური მიმართებების შინაარსობრივი მხარე იცვლებოდა საკომპოზიტორო აზროვნების ისეთ კატეგორიებთან კავშირში, როგორიც არის ავტორის ცნება, საავტორო უფლებების პრობლემა, საკომპოზიტორო სტილის ინდივიდუალიზაცია, ზოგადის და საკუთარის გამიჯვნის ტენდენცია.

ინტერტექსტუალობის არსი შესაძლოა გამოიხატოს ფორმულით **„საკუთარი — არასაკუთარი",** რომელიც განსხვავებულ სახეს იღებდა მუსიკალური აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

რომანტიზმის ეპოქაში აქტუალიზებულია ფორმულა **„საკუთარი — სხვისი",** რადგან სტილური ინდივიდუალიზაციის პრობლემა ამ დროს განსაკუთრებით მძაფრად დგება და რომანტიზმის, როგორც სტილისა და მიმდინარეობის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს.

კლასიციზმის ოპოზიციური თანაფარდობა შეიძლება აღინიშნოს ფორმულით **„საკუთარი — ზოგადი".** აქ უკვე იკვეთება კომპოზიტორის, როგორც მუსიკალური ნაწარმოების საავტორო უფლების მქონე პიროვნების ფენომენი, რომელიც თავის ქმნილებაში საკუთარ სათქმელს ამბობს; ამავე დროს, დიდ მნიშვნელობას ინარჩუნებს ეპოქის მუსიკალური მეტყველების საერთო ტენდენციებიც. მუსიკალური ენაც და სტილიც „საზოგადო საკუთრებას" წარმოადგენს, თუმცა უკვე არსებობს საავტორო უფლებების კოდექსი.

კიდევ უფრო ძლიერი იყო საერთო ტენდენციები ბაროკოს ეპოქაში, ამიტომ ფორმულა გამოიხატება შემადგენლობით **„ზოგადი**

1 ი. მერაბიშვილი. გალაქტიონის ენიგმები. /საქართველოს ბაირონის საზოგადოება. თბ. 2003 გვ. 80-81

— **ზოგადი".** საზოგადოებას ეკუთვნოდა არა მხოლოდ მუსიკალური ენა და სტილი, არამედ შემოქმედებითი პროცესის შედეგიც. „ფუნქცია ბატონობდა რეზულტატზე"[1] მაგალითად, დღეს, როდესაც ვისმენთ ბახის ვირტუოზულ ჰარმონიზირებულ ქორალებს, ჩვენ ვტკბებით და ვოცდებით მათი სილამაზითა და ასევე, დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულების მნიშვნელობით; შექმნის პერიოდში კი „მათ მნიშვნელობა ჰქონდათ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეღერდნენ ღვთისმსახურების დროს" (იქვე).

რომანტიზმის შემდგომი ეპოქები სტილური სიმრავლით გამოირჩევა და შესაბამისად, ნეოსტილებისა და მთელი რიგი სტილური „—იზმების" გავლენით, ინტერტექსტუალობის ფორმულაც მეტად მრავალფეროვან სახეს იღებს.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, ინტერტექსტუალური მიმართებების ხარისხის ევოლუცია, ფაქტობრივად, აირეკლავს საკომპოზიტორო აზროვნებისა და სტილების ევოლუციას.

განასხვავებენ ინტერტექსტუალობის 2 ტიპს. ეს არის კორპუსული და ლექსიკური ინტერტექსტუალობა.

კორპუსული ინტერტექსტუალობა გულისხმობს ურთიერთქმედებას მთლიანი ტექსტების დონეზე, რომელიც ხორციელდება მენტალური ან რეალური მოცემულობების საფუძველზე. მენტალურ სფეროში შედის ისეთი მოცემულობები, როგორიც არის ნაწარმოების **ჟანრი, ფუნქცია, სტრუქტურა,** ანუ, სახეზეა ტექსტთაშორისი ნათესაობა, რომელიც ზოგადად გამომუშავებული გამოცდილების სფეროს განეკუთვნება.

მაგალითად, აღნიშნავენ, რომ ჟანრული კატეგორია ისტორიული განვითარების მანძილზე მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ვიდრე ფუნქციური. XVII-XVIII საუკუნეებში ყალიბდება ისეთი ახალი ჟანრები, რომლებსაც არ გააჩნია გასაზღვრული სოციალური ფუნქცია — ცხოვრებისეული დანიშნულება, არამედ წინა პლანზე წამოიწია ხელოვნების ნიმუშის, როგორც ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელი დამოუკიდებელი ფენომენის აღქმა. „თითოეული მათგანის ფუნქცია მდგომარეობს არა ესთერიკურისა და უტილიტარულის შეერთებაში, არამედ სინამდვილის სპეციფიკურ-მხატვრულ შემეცნებასა და ასახვაში"[2]. ფუნქცია, როგორც ასეთი, ფაქტობრივად, უკანა პლანზე გადადის. რაც შეეხება ჟანრულ კატეგორიას — ის ცალკე აღებული ჟანრის მკაფიოდ გამოხატულ მახასიათებლებს XX საუკუნემდე ინარჩუნებს, ამიტომ, როგორც მართებულად აღნიშნავს მუსიკალური ინტერტექსტუალობის თეორიის ავტორი მ. არანოვსკი, „მუსიკალური ტექსტების ურთიერთშეხება იწყება ერთ-ერთ პირველად დონეზე — ჟანრის ამორჩევის დონეზე".[3]

კორპუსული ინტერტექსტუალობის რეალური სფერო ითვალისწინებს კავშირს უშუალოდ კონკრეტულ ტექსტებს შორის, ანუ მუსიკალური შემოქმედების პროცესის იმ შემთხვევას გულისხმობს, როდესაც კომპოზიტორი თავის ნაწარმოებებში დამოუკიდებლად არსებულ „სხვის" ტექსტს მიმართავს. უნდა აღინიშნოს, რომ რეალური ინტერტექსტუალობის მეთოდი მთელი რიგი ჟანრების აუცილებელ თვისებასაც წარმოადგენს, რის ყველაზე თვალსაჩინო გამოხატულებად შესაძლოა ოპერა „პასტიჩო" (სხვადასხვა ოპერების ფრაგმენტებისგან შემდგარი ოპერა), ვარიაციის, ფანტაზიის ჟანრები მივიჩნიოთ.

ლექსიკური ინტერტექსტუალობა გულისხმობს, კომუნიკაციას განსხვავებულ ტექსტებს შორის, ცალკეული საქცევების, ინტონაციების, „მუსიკალური ლექსემების" დონეზე. მუსიკალურ ლექსემაში იგულისხმება ნებისმიერი მოკლე ნაგებობა, რომელიც მიგრირებს ტექსტიდან ტექსტში როგორც მთლიანი ერთეული. ფაქტობრივად, საუბარია სპეციფიკურ მუსიკალურ სიმბოლიკაზე, ამა თუ იმ ეპოქის „ინტონაციურ ფონდზე" (ბ. ასაფიევი), ზოგადად მუსიკალურ ლექსიკაზე.

ინტერტექსტუალობა, როგორც საკომპოზიტორო აზროვნებასთან დაკავშირებული პრობლემა შეიძლება ქართული მუსიკის მაგალითზეც იყოს განხილული, რომელიც ინტერტქსტუალური გამოვლინების ყველა არსებულ ტიპს მოიცავს.

ახალი ქართული პროფესიული საკომპოზიტორო სკოლა XIX საუკუნეში კლასიკურ-რომანტიკული ტრადიციების გავლენით ჩამოყალიბდა და საწყის ეტაპზე, ევროპულ გამოცდილებაში არსებული ჟანრებისა და ფორმების ათვისებაზე იყო მიმართული. შესაბამისად, სახეზეა ინტერტექსტუალური გამოვლინება მენტალური სფეროს დონეზე.

როგორც ცნლბილია, ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის თვითმყოფადობა და ორიგინალობა ქართულ ტრადიციულ მუსი-

1 А. Сохор. Стиль, метод, направление (к определению понятий) /Вопросы социологии и эстетики музыки. том II. Л.1981 ст. 227

2 А. Сохор. Стиль, метод, направление (к определению понятий) /Вопросы социологии и эстетики музыки. том II. Л.1981 ст. 235

3 М. Арановский. Музыкальный текст: структура и свойства /М.1998 ст.62

ეროვნული ბიბლიოთეკა

კას — ფოლკლორს ეყრდნობა, რასაც ჩვენ **„ფოლკლორულ ინტერტექსტუალობას“** ვუწოდებთ. ფაქტობრივად, საუბარია საკომპოზიტორო და ფოლკლორული ტექსტის ურთიერთმიმართებაზე, რომელიც გამჟღავნებულია ინტერტექსტუალობის რეალურ და ლექსიკურ მეთოდში.

ახალი ქართული პროფესიული მუსიკა მოიცავს ინტერტექსტუალური გამოვლინებების მეტად მრავალფეროვან გამოხატულებებს, მაგრამ ამ შემთხვევაში შევეცდებით გამოვყოთ ტექსტთა ურთიერთობის ერთი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია კომპოზიტორის ფოლკლორისადმი მიმართების საკითხთან.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი ქართულ მუსიკათმცოდნეობაში მანამდეც განიხილებოდა, როგორც ტრადიციასთან დამოკიდებულების, ფოლკლორული და კომპოზიტორული სტილების ურთიერთმიმართების პრობლემა, თუმცა ტექსტის პრობლემის თანამედროვე თვალთახედვიდან გამომდინარე, ამ თვალსაზრისით შესაძლოა დაისვას ინტერტექსტუალობის, ანუ ახალი პროფესიული და ტრადიციული ტექსტების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

XX საუკუნის ქართული პროფესიული მუსიკა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ კომპოზიტორის „სხვისი“ ტექსტისადმი მიდგომის სხვადასხვა ხარისხი ფოლკლორული მასალის გამოყენების საფუძველზე.

ფოლკლორული ინტერტექსტუალობა ახალ ქართულ პროფესიულ მუსიკაში ინტერტექსტუალური გამოვლინების 2 ტიპს გულისხმობს. ეს არის კორპუსული, რეალური და ლექსიკური ინტერტექსტუალობა.

ზოგადად, მუსიკათმცოდნეობაში გამოყოფენ კომპოზიტორის ფოლკლორისადმი დამოკიდბულების ორ ტიპს. პირველი გულისხმობს ფოლკლორული მასალის უშუალო ციტირებას, რაც რეალური ინტერტექსტუალობის მეთოდს შეესაბამება, მეორე კი — ტრადიციული მუსიკალური აზროვნებისათვის დამახასიათებელი ინტონაციური თუ რიტმული თავისებურებების ჩაქსოვას ორიგინალურ თემატურ მასალაში, ხალხური ინტონაციური ატმოსფეროს შექმნას კონკრეტული ფოლკლორული ნიმუშის გამოყენების გარეშე. ფაქტობრივად, საუბარია ფოლკლორული ლექსიკური ერთეულების გამჟღავნებაზე პროფესიულ ნაწარმოებში ანუ — ლექსიკურ ინტერტექსტუალობაზე.

ქართველი კომპოზიტორების პირველი თაობის ძირითად ამოცანას ევროპული ფორმების ათვისება წარმოადგენდა, როემლთა მხატვრული განხორციელება ეროვნულ ინტონაციურ საფუძველზე უნდა წარმართულიყო. ეს იყო ქართული მუსიკის განვითარების მაგისტრალური გზა. ამავე დროს, ფოლკლორული ინტერტექსტუალობა ქართულ მუსიკას განვითარების მანძილზე ახასიათებს, მაგრამ განსხვავებული იყო ამ მიმართებების მოტივაცია და მეთოდები.

ამ თვალსაზრისით, ქართული მუსიკის პერიოდიზაცია შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს: 60-იან წლებამდე და 60-იანი წლების შემდეგ. ციტირება, ანუ რეალური ინტერტექსტუალობა, როგორც აპრობირებული საკომპოზიტორო მეთოდი, აქტუალურია ორივე პერიოდისთვის, თუმცა განსხვავებულია ამ პერიოდების ნაწარმოებში ფოლკლორული მასალის ფუნქციონირებისა და შინაარსის ხასიათი.

მაგალითისათვის ვნახოთ რა შინაარსის დატვირთვა აქვს „ჩაკრულოს“ ზ. ფალიაშვილის „აბესალომში“ და სვანურ „ზარს“ გ. ყანჩელის III სიმფონიაში.

სახეზეა პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულება სწორედ ტექსტის, როგორც გარკვეული შინაარსის მატარებელი ფენომენის მიმართ.

ფალიაშვილს ფოლკლორული ციტატა თავის ოპერაში მისთვის დამახასიათებელი ორიგინალური სემანტიკით შემოაქვს. კერძოდ, სუფრული „ჩაკრულო“ საქორწინო მოქმედების ნაწილი ხდება. ამრიგად, სახეზეა კომპოზიტორის ფოლკლორთან **უშუალო** დამოკიდებულების მეთოდი, როდესაც ციტატა ავტორისეულ ნაწარმოებში შემოდის იმ ატმოსფეროსთან ერთად, რომელშიც ის ობიექტურად ბუნებაში არსებობს.

სხვათა შორის, ასეთივეა ინტერტექსტუალური გამოვლინებანი 20-50-იანი წლების ქართულ ინსტრუმენტულ მუსიკაში, სადაც გამოყენებული ციტატა ფაქტობრივად განაპირობებს ნაწარმოების შინაარს, ემოციურ ფონს. მაგალითად, „მზეშინას“ ციტატას ყოველთვის ლირიკული საწყისი შემოაქვს, „მუმლი მუხასა“-ს — პატრიოტული და ა.შ.

განსხვავებულია, ამ მხრივ 60-იანელთა და მათ შორის გ. ყანჩელის მიმართება. მართალია, გრაფიკული თვალსაზრისით სიმფონიის თემა და სვანური „ზარის“ მელოდიური ხაზი სრულიად იდენტურია, მაგრამ სხვაგვარია მათი შინაარსობრივი გამოხატულება. 60-იანელთა თაობის კომპოზიტორისათვის, ფოლკლორული თემა შინაარსისაგან გაწმენდილი ინტონაციური მასალის მნიშვნელობას იძენს, რომელსაც ის მხატვრული ჩანაფიქრიდან გამომდინარე, ორიგინალური

სემანტიკით ავსებს. ციტატა ტოვებს თავის არსებობის ემოციურ გარემოს და სიცოცხლეს განსხვავებულ სტილურ-სემანტიკურ სამყაროში აგრძელებს.

ეს არის 60-იანი წლების სააზროვნო გარდატეხისათვის დამახასიათებელი ფოლკლორული ინტერტექსტუალობის გამოვლინების პრინციპული პოზიცია ანუ ფოლკლორის, როგორც დამოუკიდებელი ტექსტის **გაშუალებული** აღქმა. ტექსტს, რომელსაც პოსტმოდერნული ფილოსოფიის თანახმად ინტერპრეტაციათა ამოუწურავი რაოდენობა ახასიათებს, კომპოზიტორი შესაძლებლად თვლის გაამჟღავნოს ამ ინტერპრეტაციის ერთ-ერთი „შესაძლებელი ვარიანტი".

ამავე დროს, 60-იანი წლების ქართული მუსიკის ისტორიაში მოიძებნება ისეთი „შესაძლებელი ვარიანტიც", როდესაც ციტატა ინარჩუნებს თავის სემანტიკას, მაგრამ ფუნქციით მაინც განსხვავდება 60-იანამდელი მიდგომისაგან. მაგალითად მოვიყვანთ გურული საგალობლის ციტატას ნ. სვანიძის კამერული ორატორიიდან „ფიროსმანი", სადაც გურული საგალობელი უკვე კოლაჟის მნიშვნელობას იძენს.

საინტერესოა, როგორი საკომპოზიტორო მეთოდი განაპირობებს ასეთ განსხვავებულ შედეგს?

როდესაც ყანჩელი იყენებს სვანურ „ზარს", ის ფოლკლორულ მუსიკალურ მასალაში საკუთარ იდეას ახორციელებს, რომელიც ინტონაციურად მისი ორიგინალური თემების კონტექსტში მეტად ორგანულად თავსდება. სვანიძის შემთხვევაში, გურული საგალობელი მოტანილია როგორც გარკვეული კონტრასტი ორიგინალური საკომპოზიტორო მასალის მიმართ, როგორც გარკვეული, ნაწარმოების არსობრივი ფონისაგან განსხვავებული იდეა.

ამრიგად, გამომდინარე ამ სამი მაგალითიდან, შეგვიძლია გამოვიყვანოთ ინტერტექსტუალობის სამი განსხვავებული ფორმულა, რომელიც აირეკლავს სამ განსხვავებულ ისტორიულ — შინაარსობრივ მიდგომას.

ფალიაშვილთან ეს ფორმულა გამოიხატება როგორც **„ზოგადი — ზოგადი"**, რადგან ზოგადი ფოლკლორული მასალა (ის შეიძლება ყველა კომპოზიტორმა გამოიყენოს) თავისი „ზოგადი" სახით შედის ნაწარმოებში (თუმცა ეს არ გამორიცხავს ფალიაშვილის კომპოზიტორულ ინდივიდუალობას). ყანჩელი ზოგად ინტონაციურ მასალას საკუთარი შინაარსით ავსებს და საკუთარ გარემოში აქცევს, ამიტომ ფორმულა შეიძლება გამოიხატოს როგორც **„ზოგადი — საკუთარი"**. სვანიძესთან კი ფოლკლორული მასალა დროით-დისტანციურ შინაარსს იძენს, რომელიც მჟღავნდება დაპირისპირებით — **„წარსული — თანამედროვე"**.

ამრიგად, მუსიკალური აზროვნება ერთიან კანონზომიერებებს ემყარება. ქართული მუსიკა, როგორც მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი თვითმყოფადი ნაწილი ამავე კანონზომიერებებს ეყრდნობა და საზრდოობს, ინტერტექსტუალური საკომპოზიტორო ლოგიკის გამოვლინება კი — ერთგვარ დასტურად შეგვიძლია მივიჩნიოთ.



შ.ქიქოძე. ფიროსმანი

ქართული კინოსურათშეკვრა

ფიროსმანი - ფლანერი*

საქართველოში უყვართ ლეგენდები. ტრადიციულად, სუფრასთან რომ შეიკრიბებიან, უსათუოდ ახსენებენ წარსულის გმირებს. ნიკო ფიროსმანიც ლეგენდებზე აღიზარდა. ის ხატავდა დიდ მეფე თამარს და პოეტ შოთა რუსთაველს — ქართველთათვის საამაყო, ლეგენდარულ სახეებს. ქართველთა სიამაყის საგანია თავადაც ლეგენდად ქცეული, მხატვარი ნიკო ფიროსმანი.

ის ორი საუკუნის გასაყარზე ცხოვრობდა მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში (1862-1918). მან თავისი გულუბრყვილო შემოქმედებით დაასრულა ძველი ქართული ხელოვნების ციკლი და საფუძველი დაუდო ახალს, თუმცა თავად ამის შესახებ არაფერი იცოდა.

იცოდა მხოლოდ, რომ უნდოდა ეხატა და ხატავდა. ხანდახან ამისთვის გასამრჯელოსაც იღებდა. გადამხდელთ — დუქნების და სამიკიტნოების პატრონებს, მხატვრობის არაფერი გაეგებოდათ, მაგრამ დახატული სურათები მყიდველის, მომხმარებლის მისაზიდად ესაჭიროებოდათ. საკუთარ საწარმოზე წარწერა ან მინიშნება სჭირდებოდათ. ასე იქცა ფიროსმანი იმ სახის ხელოვნების ერთ-ერთ პირველ ოსტატად საქართველოში, რომელსაც დღეს სარეკლამო დიზაინს ან ვიზუალური კომუნიკაციის ხელოვნებას ვუწოდებთ. ეს სპონტანურად ხდებოდა — ხან თავად სთავაზობდა, ხანაც მას თხოვდნენ დაეხატა, და ხატავდა. ზოგჯერ წარწერებითაც ამკობდა ნამუშევრებს.

ისტორიული სახეები მაინც იშვიათია ფიროსმანის შემოქმედებაში. ის ძირითადად იმ რეალურ სახეებს გამოსახავდა, რომელთაც გარშემო ხედავდა: მოქეიფეებს, მეარღნეებს, ყარაჩოხელებს და კინტოებს... — ძველი თბილისის კოლორიტულ მაცხოვრებლებს. მისი სურათებიდანაც ჩანს, რომ ეს ხალხმრავალი, მრავალფეროვანი, დინამიკური ქალაქი იყო. მაგრამ მხატვარი თითქოს არც მონაწილეობდა იმ ცხოვრებაში, რომელიც მის გარშემო დუღდა. ის უცქერდა გარემოს და ყოველდღიურობა განზოგადებულ ყოფიერებამდე აჰყავდა. რასაც გრძნობდა და რაც ახატინებდა, თითქოს მის თვალწინ, მაგრამ გარკვეული ბარიერის მიღმა ხდებოდა. კონკრეტული პირი ან საგანი კი არ აღელვებდა თავისი ყოფიერი შინაარსით, არამედ მისი შეფერილობა, მოხაზულობა, ობიექტთა მონაცვლეობა, — რიტმი.

შესაძლებელია, ფიროსმანის სურათებზე კონკრეტულ პიროვნებათა ნიშნებიც ჩანს, მაგრამ მთავარი ის არის, რაც მათ აერთიანებს და არა — განაცალკევებს. ეს არის მხატვრის თვალი და მისი სული. მისი პერსონაჟები სადღეგრძელოებს სვამენ, უკრავენ, ცეკვავენ, სასმელს აწვდიან, ჩამოასხამენ, ლეწავენ, ტვირთს ეზიდებიან, ლოცულობენ, ყალიონს ექაჩებიან და ძუძუს აწოვებენ... მაგრამ მაინც მუდამ გარინდებულნი არიან. კი არ პოზიორობენ, არამედ წარმოადგენენ. ყველაფერი მხატვრის ხედვის პრიზმაშია გატარებული. მის სურათებში ყველა პირი, ცხოველებიც მისი თვალებით იცქირებიან. ეს მზერა სევდიანია და კეთილი.

ეს ჰუმანური სამყაროა. ჰუმანიზმი მარტო თემებში და სახეებში კი არ გამოსჭვივის, არამედ ფორმებში და ფერებში. ნიკალა უმეტესად შავ მუშამბაზე ხატავდა. ამ მასალას მან

* Flaneur — ფრანგულად მოხეტიალე. ბოდლერთან და პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში მოდერნული, ურბანული სამყაროს „გმირი“, რომელიც თვალს ადევნებს ქალაქის ცხოვრებას და მონაწილეობს მასში. არც ბურჟუაზიას ეკუთვნის, არც მასებს. შეუძლია შეერიოს მასას, მაგრამ მისი ნაწილი ვერასოდეს გახდება.

შეიძლება უფრო გაჭირვების გამო მიაგნო, მაგრამ შემდგომ უკვე გამიზნულად იყენებდა. შავი ფონი მის სურათებს განსაკუთრებულ სიღრმეს და სიმკვეთრეს აძლევს. გარკვეულ სითბოსაც ანიჭებს. შავი ის ფერია, რომელსაც „უჭირავს" ფიროსმანის ნამუშევრები და თანაც ესატყვისება ზოგადად ქართულ კოლორიტს.

ფიროსმანი თვითნასწავლი მხატვარი იყო. მან არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა იმ დროს ხელოვნების ცენტრებში, თუნდაც პარიზში. ის თავისთვის, დამოუკიდებლად ქმნიდა. პირადად მას იმ წრეში იცნობდნენ, სადაც ტრიალებდა და ვისთვისაც ხატავდა. ეს თბილისელთა საშუალო ფენა იყო.

და მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზაციის ცენტრებს დაშორებული იყო, მისი ხელოვნება მოდერნიზმის ისტორიის ნაწილად იქცა. აქ, მისი მხატვრობის მაღალ ხარისხთან ერთად, სწორედ ის როლია მნიშვნელოვანი, რომელიც თავისდა უნებურად შეასრულა ფიროსმანმა.

მოდერნისტების უმრავლესობა შთაგონებას ცივილიზაციით შეურყვნელ ადგილებში და სახეებში ეძებდა. სიმბოლიზმიდან ფოვიზმზე, ექსპრესიონიზმზე თუ კუბიზმზე გადასვლა, რომელთა შესახებ ფიროსმანმა არაფერი იცოდა, სწორედ პრიმიტიული, ნაივური სამყაროსადმი თაყვანისცემით ხდებოდა. რუსული ლუბოკი თუ აფრიკული ქანდაკება, ბრეტანელი გლეხის სამოსი თუ ბავშვის ნახატი, გერმანული ქსილოგრაფია და გლეხის მიერ მოხატული ქოხი, გოგენის და კანდინსკის, პიკასოს და მალევიჩის მხატვრობას ჰკვებავდა.

ფიროსმანის პატარა ქვეყანა, რუსთაველის და თამარის დროს დიდი და ძლიერი, ახლა რუსეთის განაპირა გუბერნიას წარმოადგენდა. ის განვითარებით ძლიერ ჩამორჩებოდა ევროპულ ცივილიზაციას. ქართული ხელოვნება მე-19 საუკუნის ბოლომდე შუასაუკუნეების ჩარჩოებში რჩებოდა. ეროვნული დაზგური, მით უმეტეს საერო მხატვრობა აქ არ განვითარებულა. სამაგიეროდ, საეკლესიო ხელოვნებამ შუა საუკუნეებში ძალიან მაღალ განვითარებას მიაღწია. რეალურ ბუნებასთან და სახეებთან ერთად, სწორედ წარსულის ხელოვნება ჰკვებავდა ფიროსმანის ფანტაზიას. ფრესკა და მინიატურა, ჭედური და არქიტექტურული ორნამენტი უჩვენებდა კონტურის მნიშვნელობას. ფრესკებზე წარმოდგენილი რეპრეზენტატიული სახეები, გამარტივებული ფორმები, პირობითობა მას ქართული სულის გამოვლენაში ეხმარებოდა. რასაც პროტესტს უცხადებდნენ ავანგარდისტები — აკადემიური რეალიზმი, ფიროსმანს საერთოდ არ აწუხებდა. მისთვის თავისთავად მნიშვნელოვანი იყო თავად ხელოვნება, ყოველგვარ მატერიალიზმს მოკლებული. ის ხაზით და ფერით თავის სულის სათქმელს ამბობდა, საგნებს აქრობდა, მუსიკა შემოჰქონდა თავის ნამუშევრებში და მის რიტმზე ხატავდა.

მნიშვნელოვანი ის არის, რომ ფიროსმანს არ ეშინოდა სიბრტყის, არ ებრძოდა მას. როდესაც სჭირდებოდა, მესამე განზომილების შეგრძნებასაც იძლეოდა, პერსპექტივასაც მიანიშნებდა, მაგრამ ძირითადად მოქმედებას სიბრტყის პარალელურად, ფრონტალურად ავითარებდა. როდესაც ფართო პლანს იძლევა, უფრო წვრილმანდება, მეტ დეტალს გვიჩვენებს, მაგრამ ჰორიზონტალური გაშლა, ფონის ერთიანობა, როგორც წინა, ისე უკანა პლანის სიმკვეთრე, მის სურათებს მონუმენტურობას, ეპიკურ ხასიათს სძენს. ეს კახეთში — საქართველოს აღმოსავლეთ პროვინციაში გაზრდილი ადამიანის ხედვაა.

ახლოს მოტანილ, ერთ ან რამდენიმე ფიგურიან კომპოზიციაში მონუმენტურობის გრძნობა ლაკონიზმით და სისადავით მიიღწევა. ხანდახან სულ ორი-სამი ფერია გამოყენებული. მაგრამ თითოეული ფერი ღრმაა, მდიდარი, ჟღერადი, სინათლით სავსე. ეს სინათლეა, ღამის ამსახველ კომპოზიციებში ობიექტებს სიბნელეს რომ გამოსტაცებს.

თავად მოდერნისტად შუა საუკუნეების ქართულმა ხელოვნებამ აქცია. ხოლო მისმა გულუბრყვილო ხელოვნებამ ავანგარდისტებს მისცა საკვები - იმათ, ვინც ამგვარი ხელოვნების ფასი შეგნებულად იცოდნენ და ფიროსმანის მსგავს გენიოსებს ხალხში ეძებდნენ. ასეთები იყვნენ ძმები ზდანევიჩები, რომლებიც თავიანთ მეგობარ მხატვარ ლე დანტიუსთან ერთად, 1912 წლის ზაფხულში პეტერბურგიდან მშობლიურ თბილისში ჩამოვიდნენ და სადგურის მახლობლად, ერთ სამიკიტნოში ფიროსმანის ნამუშევრები აღმოაჩინეს. მომდევნო წელს, მიხეილ ლარიონოვმა და ნატალია გონჩაროვამ ფიროსმანის ნამუშევრები მოსკოვში, ავანგარდისტთა საყოველთაოდ ცნობილ გამოფენაზე უჩვენეს, სახელწოდებით — „მიშენ". ეს დიდი აღიარება იყო. აქედან იწყება ფიროსმანით დაინტერესება, რასაც თავად მხატვრისთვის არ მოუტანია ბედნიერება. მან სიმარტოვესა და სიღარიბეში დალია სული. მაგრამ მის კოლეგებს — მხატვრებს, მაგალითად, ქართველებს — დავით კაკაბაძეს და ლადო გუდიაშვილს გეზი მისცა და გზა გაუფართოვა. დიდი ხნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ, 1969 წელს, ფიროსმანის გამოფენა პარიზში, ლუვრში უჩვენეს. პიკასომ ნიკალას პორტრეტი დახატა.

ფიროსმანი ტრადიციულ, არამოდერნიზებულ სამყაროს ასახავდა იმიტომ, რომ ამგვარ სამყაროში ცხოვრობდა. თუმცა, მის თვალს და ყურს ყველა სიახლე იტაცებდა, რომელიც ამ ყოფაში იჭრებოდა — იქნებოდა ეს მატარებელი, რომელზეც ერთ დროს გამცილებლად მუშაობდა თუ პატეფონი, რომელსაც მის სურათში ევროპულ შლიაპიანი მამაკაცი მართავს. მაგრამ ეს მისი ნამუშევრების დინჯ რიტმს არ არღვევს. ის ფუტურისტი არასოდეს გამხდარა.

ფიროსმანს უყვარდა აღდგომის დღესასწაული. წითელი კვერცხები და ბატკანი, „პასკა“ და სხვა, ყოფითი სიმბოლოები მის ნამუშევრებში ადამიანის თვალებიან და ფრინველის ფრთებიან ანგელოზებთან ერთად არის წარმოდგენილი. ეს მისტიციზმით აღსავსე, სიურეალისტური სურათებია, თუმცა სიურეალიზმი ჯერ დაბადებული არ იყო.

აღდგომის დღესასწაულზე აღესრულა ნიკალა. მას ერთ ძველ სახლში, კიბის ქვეშ ჰქონდა თავშესაფარი. იქიდან წაიყვანეს ჰოსპიტალში, სადაც მიიცვალა. მან თან გაიყოლა უამრავი საიდუმლო, მათ შორის, თავისი დიდი სიყვარული ფრანგი მოცეკვავე ქალის - მარგარიტას მიმართ. არავინ იცის, თუ სად არის ნიკალას საფლავი...

პაბლო პიკასო. ფიროსმანი

ილია ონიანი

ფიროსმანი

ისეთი იშვიათი, მთლიანი პიროვნება-შემოქმედი, როგორც ფიროსმანია, მოიცავს, ატარებს ყველანაირ ჩანასახებს, პოტენციას, „ისტორიას“ მასალისა. როგორც ნამდვილი ნიჭიერება-გენია უაღრესად გასულიერებულია, შინაგანად მატარებელი სითავისუფლისა, ნიჭიერების, თავისთავადი სითავისუფლით შექმნილი. მასში საგნობრიობაზე უარის თქმა, თავისთავად განვლილადაა მოცემული; იგი არც ევროპულ მრგვლოვან-სივრცობრივ მიბაძვის გზაზეა და არც მხოლოდ აღმოსავლურ დეკორატიულ „განშლისა“. აღქმის საოცარი განუყოფლობა, სადღაც ძირითად სამყაროში დანახული საგანთა პირველადი, არსული სახეები, როგორც კოდირება, როგორც ბეჭდური დასტური, ისე ისახებიან მასთან. ფიროსმანი უდიდესი ფიგურაა ფერწერაში. მე იგი მესახება, როგორც გარკვეული მთაგრეხილი (მატისიც), რაღაცის გამყოფი, რაღაცის დასაწყისი და რაღაცის შეჯამება. როდესაც ნამდვილზეა ლაპარაკი, თავისთავად იგულისხმება სიახლეც, განუმეორებლობაც (არანამდვილიც შეიძლება იყოს „ორიგინალური“, ვთქვათ, ადამიანს გამოსახავს ყოველთვის ოთხი ფეხით; ჰოდა, აღარ აგერევა). ჭეშმარიტი განუმეორებლობა კი აუცილებლად მასალისმიერ ძვრასაც გულისხმობს. ეს ასეა, თავისთავად; მაგრამ ფიროსმანმა ისეთი სულიერ-ფილოსოფიური სიღრმე მისცა ფერწერის ენას — არა თემატურად, ვთქვათ რელიგიურ-ფილოსოფიური თემებითა, იდეებითა თუ ძიებებით, არამედ მასალისვე წიაღი ატარებს ამ სულეირ ენერგიას, ამ სიღრმეს — ისეთი, როგორიც სხვა დარგების ჭეშმარიტად დიდ ნაწარმოებებში წარმოუდგენელია არ იყოს, მაგალითად ვაჟასნაირ პოეზიაში.

მთელ ჩვენს მაღალ მაღალ მემკვიდრეობას რომ თავი დავანებოთ, დღევანდელ მხატვრობაში გვყავს ფიროსმანი, კაკაბაძე, — რომელთა თავშეკავებული, თავისთავში ღირსეულად ჩაბუდებული სრულყოფა ატარებს ფეთქებადობის, დიდ სივრცეზე ვრცობის პოტენციას, ატარებს გზათა ჩვენების, პრობლემათა წამოჭრის, არა ზედაპირულ, მხოლოდ მასალისმიერი კეკლუცობის საშუალებას, არამედ იმ მარადიული ამაღლებულობით, საჭიროებით ცხებულობას, რაც იშვიათ, მაგრამ ჭეშმარიტ, ადამიანის არსებობისთვის ჰაერივით საჭირო ხელოვნებას ახასიათებს (ეს მხოლოდ მეტაფორად არ უნდა იქნეს გაგებული).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვნიდან: თამაზ ჩხენკელი, მორის ფოცხიშვილი, ოტია პაჭკორია და მორის ფოცხიშვილის მეუღლე როზიტა ვერბი. ბიჭვინთის მწერალთა სახლი.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
ზაზა ჩუგოშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42
ტელ.: (+995 32) 93 18 69;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@posta.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
ე.ბ.ფ.
№ 763
7.VIII 2006
სალაბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ფიროსმანი

უშვილო მილიონერი და ღარიბი გლეხის შვილები

ნიკო ფიროსმანი

ქეიფი

ფასი 3 ლარი

ISSN 1512-3189